ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ეკონომიკის მიმართულება

ავტორი: მარიამ ჯიბუტი

სივრცით-ტერიტორიული მოწყობა და რეგიონების ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

ხელმძღვანელი: ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი ეთერ ხარაიშვილი

თბილისი

2020

სარჩევი

შესავალი 9

თავი 1. რეგიონების ეკონომიკური განვითარების თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომები 18

1.1 რეგიონები და მათი სივრცითი განაწილების საფუძვლები 18

1.2 ეკონომიკური საქმიანობის სივრცითი კონცენტრაცია 26

1.3 რეგიონები - ეკონომიკური პოლიტიკის ობიექტები 41

თავი 2. სივრცით-ტერიტორიული მოწყობა და რეგიონული პოლიტიკა საქართველოში 50

2.1 საქართველოს რეგიონების ურთიერთდამოკიდებულება და მახასიათებლები 50

2.2 რეგიონების განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები 78

2.3 სივრცით-ტერიტორიული მოწყობის მნიშვნელობა რეგიონების ეკონომიკური განვითარების დაგეგმვაში (შემთხვევების ანალიზი) 90

2.4 მაღალმთიანი რეგიონების განვითარების პოლიტიკა და მისი გავლენა ბიზნეს გადაწყვეტილებაზე 111

თავი 3. რეგიონული განვითარების ხელშეწყობის საერთაშორისო გამოცდილება და გამოწვევები საქართველოში 126

3.1 დაახლოების მიზანი, ევროკავშირის პოლიტიკა და რეგიონული პოლიტიკა ევროკავშირის ქვეყნებში 127

3.2 რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოდელები და პერსპექტივები 159

დასკვნები და რეკომენდაციები 173

გამოყენებული ლიტერატურა 180

დანართი 191

აბსტრაქტი

რეგიონების განვითარება და რეგიონული პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საფუძველია. თითოეულ რეგიონს საკუთარი როლი შეაქვს ქვეყნის განვითარებაში, რაც დაკავშირებულია მათი რესურსის ეფექტიანად გამოყენებასთან.

ნაშრომის მიზანია ეკონომიკურ განვითარებაზე ორიენტირებული სივრცითი მოწყობის მოდელების შესწავლისა და ტერიტორიული ერთეულების ეკონომიკური ზრდის მიდგომების ანალიზის საფუძველზე საქართველოს რეგიონების ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება.

მიზნის მისაღწევად ჩატარებულმა კვლევებმა საშუალება მოგვცა ჩამოგვეყალიბებინა რეგიონების გამიჯვნის ეფექტიანობის შეფასების კრიტერიუმები; დაგვედგინა ეკონომიკის სექტორების კონცენტრაცია ტერიტორიულ ერთეულებში; შეგვეფასებინა ეკონომიკური აქტივობის განაწილების დონეები; გამოგვევლინა ეკონომიკის დივერსიფიკაციის დონე თითოეული სექტორისათვის; ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მაგალითით და მუნიციპალიტეტში ჩატარებული თვისებრივი კვლევის შედეგების საფუძველზე გვეჩვენებინა დასახლებებს შორის არსებული ეკონომიკური კავშირები, „მიზიდულობის ცენტრები“ და მათი გამოყენებით სხვა დასახლებებისთვის სარგებლის მიღების შესაძლებლობები.

კვლევის ფარგლებში მოხდა სახელმწიფო სტრატეგიის დოკუმენტებით განსაზღვრული პრიორიტეტებისა და უცხოური გამოცდილების შესწავლა, რამაც საშუალება მოგვცა რეგიონული პოლიტიკის გაუმჯობესების რეკომენდაციები წარმოგვედინა.

კვლევის შედეგების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ განვითარების პერსპექტივა და ეკონომიკური დაახლოების შესაძლებლობები უფრო მაღალია იმ რეგიონებისთვის, რომელთაც ეკონომიკური ცენტრები აქვთ; განვითარებადი ქვეყნებისთვის, შეზღუდული რესურსების პირობებში, მზარდი ეკონომიკის მქონე

შედარებით მდიდარი რეგიონების ზრდის შენელებისა და ღარიბი რეგიონების ხელშეწყობის სტრატეგიის არჩევა არამიზანშეწონილია; სასურველია საქართველომ გამოიყენოს პოლონური გამოცდილება, მათ შორის ინვესტიციების ხელშეწყობის ახალი მიდგომა, რაც ითვალისწინებს სპეციალური ეკონომიკური ზონების ჩანაცვლებას ქვეყნის მთლიანი ტერიტორიით; ქალაქებში კონცენტრირებული ზრდა აღქმული უნდა იყოს როგორც ძლიერი მხარე და აქცენტი გაკეთდეს მათ სხვა ტერიტორიულ ერთეულებთან ეკონომიკურ დაკავშირებაზე; ეკონომიკური საქმიანობა უკვე დივერსიფიცირებულია რეგიონებს შორის, რაც პოლიტიკის გამტარებლების აქცენტის უფრო მეტად დარგობრივ სპეციალიზაციაზე გაკეთებას საჭიროებს.

ნაშრომში წარმოდგენილი მიდგომები, მოსაზრებები, დასკვნები და რეკომენდაციები შესაძლებლობას იძლევა გაუმჯობესდეს საქართველოში სივრცით-ტერიტორიული მოწყობის დაგეგმვა და მეტად ეფექტიანად იქნას გამოყენებული რეგიონების ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები.

Abstract

Regional development and regional policy are the basis of a country's economic growth. Each region has its own role in the development of the country, which is related to the efficient use of their resources.

The aim of the paper is to develop recommendations for economic development opportunities in the regions of Georgia based on the study of spatial arrangement models focused on economic development and analysis of economic growth approaches of territorial units.

Research results enabled us to establish criteria for evaluating the effectiveness of the regional division; measure the concentration of economic sectors in territorial units; assess the levels of distribution of economic activity; revealed the level of economic diversification for each sector; show economic interdependence and connections between settlements, “growth centers” and the opportunities to benefit other settlement by

supporting development of centers (based on the example of Kazbegi municipality and the results of a qualitative research conducted).

The study examined the priorities set by official policy papers and research of foreign experience that allowed us to elaborate recommendations for regional policy improvement.

Research results showed that the development perspective and opportunities for economic convergence are higher for the regions that have economic centers; it is unreasonable to choose a strategy to slow down the growth of relatively rich regions with growing economies and to promote poorer regions, especially for developing countries having the limited resources; Georgia can use the Polish experience, including a new approach to investment promotion, which envisages the replacement of special economic zones by the whole area of the country; concentrated growth in cities should be perceived as a strength and emphasis should be placed on their economic connection to other territorial units; economic activity is already diversified among the regions, which requires policy makers to focus on more sectoral specialization.

The approaches, opinions, conclusions and recommendations presented in the paper provide an opportunity to improve the planning of spatial-territorial arrangement in Georgia and to use the opportunities for economic development of the regions more effectively and thoroughly.

ცხრილები, გრაფიკები და სხვა ილუსტრაციები

დიაგრამა 1.1.1 ფუნქციური რეგიონის მაგალითები

დიაგრამა 1.2.1 „ახალი ეკონომიკური გეოგრაფიის“ თეორიის საფუძვლების ვიზუალიზაცია, პროცესების ურთიერთდამოკიდებულება

ცხრილი 2.1.1 დასახლებების დაჯგუფება მათი რაოდენობისა (ცალი) და მოსახლეობის საშუალცხრილი

ცხრილი 2.1.2 რეგიონებისთვის დამახასიათებელი ნიშნების შეფასების შეჯამებაო რიცხოვნობის მიხედვით (ადამიანი) რეგიონულ ჭრილში

ცხრილი 2.1.3 ჰიპოთეტური ტერიტორიული ერთეულები და მათ შორის სასაქონლო ნაკადების მოძრაობის ტენდენცია

ცხრილი 2.1.4 ჰიპოთეტური ტერიტორიული ერთეულებისთვის „ორმაგი სტანდარტიზაციის“ კოეფიციენტი

დიაგრამა 2.1.1 მთლიანი სამამულო პროდუქტი (მლნ ლარი) და თბილისის წონა(%), 2006 – 2017 წლები

დიაგრამა 2.1.2 მთლიან სამამულო პროდუქტში რეგიონების წონა (თბილისის გარეშე), 2011-2018 წლები (%)

დიაგრამა 2.1.3 დასაქმების, ეკონომიკური აქტიურობისა და უმუშევრობის დონე სასოფლო და საქალაქო დასახლებებში, 2018 (%)

დიაგრამა 2.1.4 მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით რეგიონალურ ჭრილში, 2018 (%)

ცხრილი 2.1.5 ფულადი და არაფულადი შემოსავლები (მლნ ლარი), შემოსავლები ეკონომიკური საქმიანობიდან (მლნ ლარი), დაქირავებული შრომის წილი სულ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებში (%) და დაქირავებით დასაქმებულების წილი დასაქმებულ მოსახლეობაში (%) რეგიონების მიხედვით, 2018 წელი

ცხრილი 2.1.6 განაწილების კოეფიციენტი საქართველოს რეგიონებისა და ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით შეფასებული დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობის საფუძველზე

დიაგრამა 2.1.5 ადგილმდებარეობის მრუდი საქართველოს რეგიონებისთვის ხუთი სექტორის მიხედვით

ცხრილი 2.1.7 სპეციალიზაციის კოეფიციენტი საქართველოს რეგიონებისთვის

დიაგრამა. 2.1.6 2012 წელს დაარსებულ საწარმოთა გადარჩენის მაჩვენებელი 2017 წლისათვის (%)

ცხრილი 2.1.8 გადარჩენილ საწარმოთა გადანაწილება სექტორებისა და რეგიონების მიხედვით, 2017 წლისათვის

დიაგრამა 2.2.1 ბიზნეს სექტორის ბრუნვა და დამატებული ღირებულება საწარმოთა ზომის მიხედვით, საქართველო, 2018 წელი

დიაგრამა 2.2.2 სახელმწიფო სტრატეგიების სოფლის განვითარების სტრატეგიასთან შედარების მატრიცა „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020-თვის“ (ზედა ნაწილი), „2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამისთვის“ (ქვედა ნაწილი)

დიაგრამა 2.3.1 ყაზბეგის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების განაწილება, სხვადასხვა სექტორების წილი ბიზნეს საქმიანობაში, 2018 წელი

დიაგრამა 2.3.2 ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მეტად დასახლებული ტერიტორია ყველა სეზონზე

დიაგრამა 2.3.3 მოსახლეობისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების პასუხი კითხვაზე: „ძირითადად სად შეიძენთ თქვენთვის საჭირო პროდუქტს/ნედლეულს ?“

დიაგრამა 2.3.4 სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართული მოსახლეობის პასუხი კითხვაზე: „რომელი დებულება შეესაბამება ყველაზე მეტად თქვენს საქმიანობას ?“

დიაგრამა 2.3.5 ადგილობრივი ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების პასუხი კითხვაზე: „რა ფაქტორი გიშლით ყველაზე მეტად ხელს რომ შეიძინოთ პროდუქტი ადგილობრივი მოსახლეობისაგან ?“

დიაგრამა 2.3.6 ადგილობრივი თვითმმართველობისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების (მხოლოდ ისინი, რომლებიც მუნიციპალური ცენტრების გარეთ ცხოვრობენ/ფუნქციონირებენ) პასუხი კითხვაზე: „გთხოვთ გაიხსენოთ ბოლო 5 წლის განმავლობაში განხორციელებული პროექტი, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა თქვენი საცხოვრებელი პირობებისა და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებაზე“

ცხრილი 2.4.1 შემთხვევა #1 - საგადასახადო შეღავათები საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში რეგისტრირებული კარტოფილის მწარმოებელი პირისათვის (პირველადი წარმოება)

ცხრილი 2.4.2 შემთხვევა #2 - საგადასახადო შეღავათები საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში რეგისტრირებული კარტოფილის ჩიფსის მწარმოებელი საწარმოსთვის (გადამუშავება)

დიაგრამა 2.4.1 - „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია 2019-2023“-ით განსაზღვრული ხედვის, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების იერარქია

ცხრილი 3.1.1 საქართველოსთვის NUTS სამივე დონისთვის შესაძლო სტატისტიკური რეგიონული დაყოფა

დიაგრამა 3.1.1 დაახლოების პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირის ფონდების პრიორიტეტული მიმართულებები

ცხრილი 3.1.2 რეგიონული პოლიტიკის ძველი და ახალი პარადიგმები

დიაგრამა 3.1.2 პოლონეთის ტერიტორიული ერთეულების ფუნქციური დატვირთვა 1999 წელსა (1- სოფლის მეურნეობა; 2 - სატყეო მეურნეობა, 3 - ტურიზმი, 4 - შერეული ფუნქციები) და 2009 წელს (1- ურბანული (urban), 2 - ურბანიზებული (urbanized), 3 - მრავალფუნქციური და გარდამავალი, 4 - მნიშვნელოვნად სასოფლო სამეურნეო, 5 - დომინირებს სასოფლო სამეურნეო, 6 - ტურიზმი და რეკრეაცია, 7 - სატყეო, 8 - ტერიტორიული ერთეულები შერეული ფუნქციით)

დიაგრამა 3.2.1 მთლიანი სამამულო პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე რეგიონების მიხედვით, 2006 – 2017 წლები

ცხრილი 3.2.1 ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდის ტემპი საქართველოს რეგიონებში, ბოლო 5 და 10 წლის საშუალო მაჩვენებელი (2007-2017 წლებისთვის)

ცხრილი 3.2.2. ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი სამამულო პროდუქტი საქართველოს რეგიონებისთვის 2017 წლის მდგომარეობით (ათასი ლარი) და შიდა ქართლის რეგიონისთვის საჭირო ზრდის ტემპი იმისთვის, რომ 5, 10 ან 20 წლის განმავლობაში გაუთანაბრდეს ქვეყნის სხვა რეგიონებს

ცხრილი 3.2.3. ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი სამამულო პროდუქტის საპროგნოზო მაჩვენებელი 20, 10 და 5 წლის შემდეგ (ათასი ლარი), წლების რაოდენობა, რაც სჭირდება შიდა ქართლის რეგიონს, რათა მიაღწიოს იმ მდგომარეობას, რომელსაც სხვა რეგიონები 10 და 5 წელში აღწევენ (დათვლილია ორი სხვადასხვა ვარიანტისთვის: რეგიონების ზრდის საშუალო ტემპად აღებულია ბოლო 10 და 5 წლის ზრდის საშუალო ტემპები)

აბრევიატურის ჩამონათვალი

ENPARD –სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა

ERDF-ევროპის რეგიონული განვითარების ფონდი

ESF-ევროპის სოციალური ფონდი

Eurostat - ევროპული საზოგადოების სტატისტიკური სამსახური

EU - ევროკავშირი

GDP - მთლიანი სამამულო პროდუქტი

GNI - მთლიანი ეროვნული შემოსავალი

NUTS - სტატისტიკური ტერიტორიული ერთეულების ნომენკლატურა

შესავალი

საკითხის აქტუალურობა. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა წარმოადგენს მისი შემადგენელი ნაწილების განვითარების დონის ერთიან სურათს. ეს უკანასკნელი სხვადასხვა რეგიონის დაჯამებული მონაცემებია. აღნიშნული მონაცემების მიზანმიმართული ანალიზის გარეშე რთულია მოსახლეობის ცხოვრების დონისა და არსებული ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება. საქართველო უდავოდ ერთ-ერთი ქვეყანაა, რომელიც რეგიონებს შორის უთანასწორობის დონით გამოირჩევა. უთანასწორობა შესამჩნევია არა მხოლოდ რეგიონებს შორის, არამედ რეგიონების, მუნიციპალიტეტების შიგნითაც.

ქვეყნის ეკონომიკაში უკიდურესად დიდია დედაქალაქის როლი. საქართველოში შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების 50% თბილისზე მოდის, ასევე, მის წილად მოდის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 78%, ბიზნეს სუბიექტების ბრუნვის 72%, ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციების 73% და ა.შ. მთლიან სამამულო პროდუქტში შედარებით მაღალი წონა აქვთ იმ რეგიონებს, სადაც თვითმმართველი ქალაქები და ინდუსტრიულად განვითარებული ზონებია. ასეთი ქალაქების განვითარების დონე დედაქალაქთან შედარებით მაინც დაბალია. ხშირ შემთხვევაში ისინი რეგიონის სხვა ტერიტორიული ერთეულებიდან მოსახლეობის მიზიდვას ვერ ახერხებენ, ამიტომ მოსახლეობის მიგრაციის ტენდენცია მეტწილად დედაქალაქის მიმართულებით ვლინდება.

მოსახლეობისა და ბიზნეს სექტორის კონცენტრაციის განმაპირობებელი ფაქტორები და გარემო იწვევს ეკონომიკური აქტივობების ერთ სივრცეში მოქცევას. კონცენტრაცია, თავის მხრივ, ქმნის აგლომერაციის ეფექტს, რომლითაც მოსახლეობა და ფირმები სწორედ ამ სივრცეში საქმიანობისას სარგებლობენ. შედეგად სახეზე ვიღებთ სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულში ეკონომიკის განვითარების განსხვავებულ დონესა და უთანასწორობას. ტერიტორიულ ერთეულებად შესაძლოა აღქმული იყოს სხვადასხვა კონტინენტი, სახელმწიფო, რეგიონი, მუნიციპალიტეტები და დასახლებაც კი. ჩვენი კვლევის ფარგლებში ასეთ ტერიტორიულ ერთეულებად ძირითად შემთხვევაში მოხსენიებულია რეგიონები.

რეგიონების განვითარების საკითხების შესწავლა სივრცით-ტერიტორიული მახასიათებლების გარეშე შეუძლებელია. ეკონომიკური აქტივობების სივრცეში განაწილების ცვლილება და მიზეზები აჩვენებს პრობლემებსა და გამოწვევებს, წარმოქმნის ეკონომიკური ზრდისა და შემდგომი განვითარების შესაძლებლობებს.

რეგიონული პოლიტიკის დაგეგმვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს პოლიტიკური და ადმინისტრაციული საზღვრების შეუსაბამობა ეკონომიკურ საზღვრებთან. რეგიონების შიგნით სხვადასხვა ტერიტორიული ერთეული ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან ბუნებრივი რესურსებით, გეოგრაფიული ნიშნებით, სამუშაო ძალის რაოდენობითა და კვალიფიკაციით, საინვესტიციო გარემოთი და რაც მთავარია თითოეულ მათგან აქვს უნიკალური, სხვებისგან განსხვავებული მდებარეობა.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების 21-ე თავი პირდაპირ ავალდებულებს საქართველოს, რომ რეგიონული პოლიტიკის სფეროში აქცენტი გააკეთოს ღარიბი რაიონების განვითარებასა და ტერიტორიულ თანამშრომლობაზე. ღარიბი ტერიტორიული ერთეულების განვითარებაზე ორიენტაცია და რეგიონებს შორის ბალანსის მიღწევის მცდელობა განვითარებადი ქვეყნებისთვის შესაძლოა პოტენციური ეკონომიკური ზრდის დათმობას ნიშნავდეს.

რეგიონების განსხვავებული ტერიტორიული, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, დედაქალაქში კონცენტრირებული ეკონომიკური აქტივობები გადაწყვეტილების მიმღები პირებისგან ეფექტიანი რეგიონული პოლიტიკის დაგეგმვას მოითხოვს. პოლიტიკის ეფექტიანობა კი დამოკიდებულია პოლიტიკის ობიექტის სივრცით-ტერიტორიული მახასიათებლების სიღრმისეულად გაანალიზებაზე, რაც მისი განვითარების შესაძლებლობების საფუძველია.

საკითხი აქტუალურია საქართველოსთვის, კვლევის შედეგებს ექნება განსაკუთრებული მნიშვნელობა რეგიონული ეკონომიკის განვითარების ეფექტიანად დაგეგმვისთვის. შესაბამისად, მკაფიოა პრობლემის კვლევის საჭიროება და განვითარების შესაბამისი მოდელების შექმნის მნიშვნელობა.

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია ეკონომიკურ განვითარებაზე ორიენტირებული სივრცითი მოწყობის მოდელების შესწავლისა და ტერიტორიული ერთეულების ეკონომიკური ზრდის მიდგომების ანალიზის საფუძველზე საქართველოს რეგიონების ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება.

წარმოდგენილი მიზნის მისაღწევად განისაზღვრა შემდეგი ამოცანების შესრულება:

- რეგიონების ეკონომიკური განვითარების თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომების შესწავლა;
- სივრცით-ტერიტორიული მოწყობისა და რეგიონული განვითარების ურთიერთკავშირის შესწავლა;
- საქართველოს რეგიონების ტერიტორიული, სოციალური და ეკონომიკური მახასიათებლების შეფასება, მათ შორის ბიზნეს საქმიანობის კონცენტრაციის ანალიზი;
- რეგიონების უთანასწორობის მაჩვენებლების ანალიზი და ეკონომიკური განვითარების მოდელების შემუშავება;
- რეგიონების განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის შესწავლა საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნების მაგალითზე;
- შემთხვევის ანალიზი (Case Study) საქართველოს ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის მაგალითზე;
- საქართველოში რეგიონების ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისა და პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდისთვის რეკომენდაციების შემუშავება, და სხვა.

კვლევის საგანი და ობიექტი

კვლევის საგანს წარმოადგენს რეგიონების ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობები და მისი სივრცით განვითარებასთან კავშირი ეკონომიკური საქმიანობის კონცენტრაციის მახასიათებლების გათვალისწინებით.

კვლევის ობიექტია საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულები და იქ მიმდინარე ეკონომიკური საქმიანობები.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

კვლევის პროცესში მოხდა ანალიზის, სინთეზისა და შედარების მეთოდების, „ქეის-სთადის“ (შემთხვევების შესწავლა) და სტრატეგიის დოკუმენტების შედარების მოდელის გამოყენება. ბიზნეს საქმიანობის კონცენტრაციის შეფასების მიზნით გამოყენებულ იქნა სხვადასხვა კოეფიციენტები, მათ შორის განაწილებისა და სპეციალიზაციის.

პროექტის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად ჩატარდა სამაგიდე კვლევა: თითოეულ საკითხთან დაკავშირებით არსებული თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომები შესწავლილი იქნა ოფიციალური პუბლიკაციების, კვლევის ანგარიშების, სტატიების, სამეცნიერო ნაშრომების გაცნობით; ჩატარდა სტატისტიკური გაანგარიშებები ოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით (WORLD BANK, EUROSTAT, FAOSTAT, GEOSTAT და სხვა); მოხდა საჭირო ინფორმაციის გამოთხოვა და ანალიზი სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან და სხვა უწყებებიდან.

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი (ანკეტით გამოკითხვა) და თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტები (ნახევრად-სტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფის შეხვედრები). თითოეული ამოცანის შინაარსიდან გამომდინარე, თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტებისთვის შემუშავდა განსხვავებული სახელმძღვანელო/კითხვარი, რომელიც დაეყრდნო სამაგიდე კვლევიდან მიღებულ ინფორმაციას. კვლევის პროცესში რესპოდენტები იყვნენ: რეგიონული განვითარების საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები; უნივერსიტეტებისა და სხვა კვლევითი დაწესებულებების პროფესორები და მკვლევარები; დარგის ექსპერტები; ადგილობრივი მოსახლეობა; რეგიონული

განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, სხვა სამთავრობო უწყებებისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები.

კვლევის მეცნიერული სიახლე

- სხვადასხვა მეცნიერული მიდგომების, თეორიებისა და მოდელების ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულია რეგიონების გამიჯვნის ეფექტიანობის შეფასების კრიტერიუმები; რეგიონების განვითარების პოლიტიკის ეფექტიანად დასაგეგმად ტერიტორიული ერთეულების ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ხარისხის ანალიზის მეშვეობით გამოვლენილია ფუნქციური რეგიონები.
- განაწილების კოეფიციენტის გამოყენებით დადგენილია კონკრეტული სექტორების კონცენტრაცია ტერიტორიულ ერთეულებში, დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობის საფუძველზე ექვსი სექტორისთვის აგებულია ადგილმდებარეობის მრუდი და შეფასებულია ეკონომიკური აქტივობის განაწილების დონეები.
- დამატებული ღირებულების მაჩვენებლის ანალიზის საფუძველზე გაანგარიშებულია სპეციალიზაციის კოეფიციენტი საქართველოს ყველა რეგიონისთვის, მიღებული შედეგების საფუძველზე დადგენილია ეკონომიკის დივერსიფიკაციის დონეები.
- ძირითადი სახელმწიფო სტრატეგიის დოკუმენტების შეფასების საფუძველზე განსაზღვრულია საქართველოში რეგიონული განვითარების პოლიტიკის ალტერნატიული მიმართულებები. სახელმწიფო სტრატეგიებისა და სოფლის განვითარების სტრატეგიის შედარების საფუძველზე შემუშავებულია მატრიცა და განსაზღვრულია სოფლისა და რეგიონული განვითარების მიმართულებებით სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების გზები.
- ყაზბეგის მუნიციპალიტეტის რესურსული პოტენციალის შეფასების, მოსახლეობისა და ბიზნეს სუბიექტების გამოკითხვების საფუძველზე გამოვლენილია დასახლებებს შორის არსებული ეკონომიკური კავშირები, რესურსების გაადგილების ძირითადი მიმართულებები, დადგენილია

„მიზიდულობის ცენტრები“, და დასაბუთებულია მათი ზრდის მნიშვნელობა სხვა ტერიტორიებისთვის პოტენციური სარგებლის მიღების თვალსაზრისით. შედეგების განზოგადების საფუძველზე შემოთავაზებულია მუნიციპალიტეტის ეფექტიანი განვითარების რეკომენდაციები.

- თვისებრივ კვლევაზე დაყრდნობით შეფასებულია რეგიონის მოსახლეობასა და ბიზნეს სექტორს შორის თანამშრომლობის ხარისხი, გამოვლენილია ხელშემშლელი ფაქტორები და დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების დაჯგუფების საფუძველზე შემუშავებულია მათ შორის კოორდინაციის გაუმჯობესების მიმართულებები.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

კვლევის მიდგომები, შედეგები და დასკვნები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სხვა მეცნიერების მიერ ამ დარგში შესაბამისი საკითხების კვლევის დასაგეგმად. ნაშრომში ნაჩვენები მეთოდოლოგიური მიდგომები საშუალებას იძლევა საქართველოს თითოეული მუნიციპალიტეტისა და რეგიონისთვის მოხდეს მათი გამოყენება.

ნაშრომში მიღებული კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს საქართველოში ტერიტორიული ერთეულების განვითარების ეფექტიანი პოლიტიკის დაგეგმვას და განხორციელებას. კვლევის შედეგები, ასევე, მნიშვნელოვანია იმ სამთავრობო უწყებებისთვის, რომლებიც ჩართულები არიან რეგიონული პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. ასევე, იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ადგილობრივად ახორციელებენ პროექტებს. კვლევის შედეგების შესახებ თითოეული მხარისთვის ხდებოდა ინფორმაციის მიწოდება სადისკუსიო შეხვედრების ფორმატში.

ნაშრომის გამოყენება შესაძლებელია უმაღლეს სასწავლებლებში, ამ საკითხით დაინტერესებული სტუდენტებისთვის სახელმძღვანელო და საკითხავ მასალად.

კვლევის შედეგების აპრობაცია და პუბლიკაცია

კვლევის შედეგების წარდგენა მოხდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე და გამოქვეყნდა რეცენზირებად ჟურნალებში, მათ შორის:

1. Convergence and growth – conflicting goals of economics policy – A case study of Georgia, Environmental & Socio-economic Studies 8(1):1-8, 2020.

   https://content.sciendo.com/view/journals/environ/8/1/article-p1.xml

ნაშრომი წარდგენილ იქნა 16-17 ნოემბერს,, იაპონიის ეკონომიკური პოლიტიკის ასოციაციის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო აკადემიურ კონფერენციაზე - JEPA 2019, რომელიც ჩატარდა ტოკიოს ჩუოს უნივერსიტეტში (იაპონია).

2. რეგიონული დაყოფა, საქართველოს რეგიონები და მათი მახასიათებლები, გლობალიზაცია და ბიზნესი, #8, გვ. 126-129, 2019.

   https://www.eugb.ge/view_content.php?content=content&id=242&ADMINISTRATIVE%20DIVISION,%20REGIONS%20OF%20GEORGIA%20AND%20THEIR%20CHARACTERISTICS

3. Rural Development – Challenges, Opportunities and Policy, Journal ECOFORUM, Volume #8, Issue #2 (19), 2019.

   http://www.ecoforumjournal.ro/index.php/eco/article/view/980

4. „მაღალმთიანი რეგიონების ეკონომიკური განვითარების პოლიტიკა საქართველოში“, ჟურნალი „ეკონომისტი“ #2, ტომი XIV, თბილისი, 2018

   http://pgie.tsu.ge/contentimage/sxvadasxva/jurnali_ekonomisti/_2-2018_bolo.pdf

5. „რეგიონული დაახლოება - რეგიონული პოლიტიკის გამოწვევა“, საერთაშორისო კონფერენცია - მენეჯმენტი, ეკონომიკა და სოციალური მეცნიერებები, 21-22 ოქტომბერი, 2018, ვაშინგტონი, ამერიკის შეერთებული შტატები.

სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი მომზადებული და აპრობირებულია საზღვარგარეთ კვლევითი ვიზიტების პერიოდში: დიმიტრი ცენოვის ეკონომიკის აკადემია (ბულგარეთი), ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტი (გერმანია), სტოკჰოლმის უნივერსიტეტი (შვედეთი), ტარტუს უნივერსიტეტი (ესტონეთი).

ნაშრომი მომზადდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის გრანტით დაფინანსების კონკურსში გამარჯვების საფუძველზე.

ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომი შედგება სამი თავისა და ცხრა ქვეთავისგან, დასკვნებისა და რეკომენდაციების ნაწილისგან. ნაშრომს თან ახლავს გამოყენებული ლიტერატურა და დანართი.

პირველ თავში განხილულია რეგიონების ეკონომიკური განვითარების თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომები, მათ შორის წარმოდგენილია: რეგიონების ჩამოყალიბების ფაქტორები და ის თეორიები, რომლებიც ამ პროცესებს ხსნიან; რეგიონებისთვის დამახასიათებელი ნიშნები; ეკონომიკური საქმიანობის სივრცითი კონცენტრაცია და ადგილმდებარეობის შერჩევისას გადაწყვეტილებაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები; აგლომერაციის ეფექტი და მისი გავლენა ეკონომიკური განვითარების კონცენტრაციაზე; სახელმწიფოს როლი არასრულყოფილი ინფორმაციის პირობებში ბიზნესისთვის სწორი სტიმულების შექმნაში; „თანასწორობისა“ და „ეფექტიანობის“ მიზნები.

მეორე თავში განხილულია სივრცით-ტერიტორიული მოწყობის მნიშვნელობა რეგიონული განვითარების დაგეგმვისას; შეფასებულია საქართველოს რეგიონების ტერიტორიული, სოციალური და ეკონომიკური მახასიათებლები; სხვადასხვა კოეფიციენტის გამოყენებით შეფასებულია ეკონომიკური საქმიანობის განაწილება სივრცეში; გაანალიზებულია პოლიტიკის დოკუმენტები, მათში წარმოდგენილი სტრატეგიული მიმართულებები და შესაბამისი პრიორიტეტები; მოცემულია ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ჩატარებული კვლევის შედეგები და მისი განვითარების სტრატეგიული ხედვა; შეფასებულია მაღალმთიანი რეგიონების განვითარების პოლიტიკის ინსტრუმენტები და მათი ეფექტიანობა.

ნაშრომის მესამე თავში განხილულია რეგიონების განვითარების ხელშეწყობის საერთაშორისო გამოცდილება ბულგარეთის, შვედეთისა და პოლონეთის მაგალითზე; ევროკავშირის „დაახლოებისა“ და რეგიონული განვითარების

პოლიტიკა; გაანალიზებულია ევროკავშირის მოთხოვნები წევრი თუ წევრობის მსურველი სახელმწიფოების მიმართ, ევროკავშირის ფონდების პრიორიტეტული მიმართულებები და სტატისტიკის ტერიტორიული ერთეულების ნომენკლატურა. გამოკვეთილია რეგიონული პოლიტიკის ძველი და ახალი პარადიგმები; გაანალიზებულია საქართველოში მიმდინარე პროცესები და რეგიონების ეკონომიკური მდგომარეობის დაახლოების ტემპი მის პოტენციალთან ერთად; ნაჩვენებია თუ რა კუთხით არის შესაძლებელი საერთაშორისო გამოცდილების გამოყენება.

ნაშრომს თან ერთვის შესწავლილი და ნაშრომში წარმოდგენილი ლიტერატურის სია და დანართი.

თავი 1. რეგიონების ეკონომიკური განვითარების თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომები

1.1 რეგიონები და მათი სივრცითი განაწილების საფუძვლები

რატომ ვითარდება ზოგი რეგიონი უფრო სწრაფად ზოგი კი უფრო ნელა? რა იწვევს რეგიონებს შორის სოციალური უთანასწორობის მაღალ და მუდმივ დონეს? რა უწყობს რეგიონების განვითარებას ხელს და ზოგადად რა ფაქტორების ზეგავლენით ვითარდებიან რეგიონები? ამ და სხვა კითხვებზე პასუხების შესწავლით ბოლო ათეულობით წლის მანძილზე უამრავი მეცნიერი დაინტერესდა. მათი კვლევის საგანი რეგიონულ ზრდასა და განვითარებას შეეხედებოდა, თუმცა, კვლევის მიზნიდან გამომდინარე რეგიონის ცნება განსხვავებულად აღიქმეოდა.

რა არის რეგიონი? მიუხედავად იმისა, რომ უამრავი თეორია არსებობს რეგიონების ზრდისა და განვითარების საკითხების ირგვლივ, შეჯერებული მოსაზრება რეგიონის განმარტებასთან დაკავშირებით არ არის, მით უფრო საქართველოში, ქვეყანაში, რომელშიც მმართველობის რეგიონული დონე და რეგიონის ცნება კანონით არ არის განსაზღვრული.

რეგიონების ჩამოყალიბებაზე და მათ სივრცით განაწილებაზე უდავო გავლენას ახდენს მოსახლეობისა და ბიზნეს სექტორის გადაწყვეტილება საკუთარი საცხოვრებელი ადგილის, სამუშაო ადგილისა და ეკონომიკური საქმიანობის ტერიტორიის შესახებ. ამრიგად, რეგიონების ჩამოყალიბებისთვის აუცილებელი პირობაა მოსახლეობა, ბიზნეს სექტორი და ტერიტორია. მათი ერთმანეთთან, სხვა რეგიონების მოსახლეობასთან და ბიზნეს სექტორთან ურთიერთქმედება წარმოქმნის რეგიონულ კავშირებს, ურთიერთდამოკიდებულებებს, განვითარების პროცესსა და ზოგადად რეგიონულ გარემოს, რისი შესწავლაც რეგიონული ეკონომიკის ობიექტია.

რეგიონების ჩამოყალიბების საფუძვლების ანალიზისთვის აუცილებელია პასუხი გაეცეს პასუხი კითხვას: რომელ ტერიტორიულ ერთეულში, რა ინტენსივობით და რატომ ხორციელდება ესა თუ ის ეკონომიკური საქმიანობა? ადგილმდებარეობის თეორიის ერთ-ერთ ნაწილად უნდა აღინიშნოს საზოგადოებრივი

ინფრასტრუქტურის განაწილება და გადაწყვეტილება, რომელიც შესაბამისი პირების მიერ მიიღება ინფრასტრუქტურის ერთ სივრცეში მოწყობის თუ პირიქით, სივრცეში არაკონცენტრირებულად განაწილების შესახებ. რეგიონების ჩამოყალიბების საფუძვლების ანალიზი მიგვიყვანს ერთ საინტერესო და აქტუალურ კითხვამდე: რა უფრო მეტად ეფექტიანია, შეზღუდული რესურსების პირობებში განვითარებადი ქვეყნების მთავრობებმა ხელი შეუწყონ საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას ცენტრალურ ადგილებში, თუ ყველა დასახლებულ ადგილში მიგრაციული პროცესების მეტ-ნაკლებად შესაჩერებლად?

წამოჭრილ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა რთულია, თუმცა, რეგიონების განვითარების პოლიტიკის დაგეგმვისთვის მათი ანალიზი აუცილებელია. პირველ რიგში განვიხილოთ, ის თეორიული მიდგომები, რომლებიც რეგიონების ჩამოყალიბების საფუძვლებს განმარტავს.

ვ. კრისტოლერმა წიგნში „ცენტრალური ადგილები სამხრეთ გერმანიაში“ წარმოადგინა **ცენტრალური ადგილების თეორია** (Christaller 1966), რომლის მიხედვითაც დასახლების ძირითადი მიზანია მის გარშემო მყოფი ბაზრები უზრუნველყოს პროდუქტითა და მომსახურებით. ასეთ დასახლებებს მან ცენტრალური ადგილები უწოდა და განმარტა, როგორც მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობისთვის პროდუქტისა და მომსახურების გაცვლის ძირითადი ადგილი. მან რეგიონი განმარტა როგორც ცენტრალური ადგილების იერარქიული სისტემა, რომელიც აერთიანებს დასახლებას, სოფელს და ქალაქს. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან პროდუქტსა და მომსახურებაზე არსებული მოთხოვნილებით და ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობით. თითოეული ზემდგომი დონე დამატებით პროდუქტს ან/და მომსახურებას უნდა თავაზობდეს მასში მოქცეულ არეალს. ვ. კრისტოლერის თეორიის მიხედვით თითოეული რეგიონი მოიცავს მცირე რაოდენობით მაღალი მოთხოვნილების მქონე დასახლებებს და დიდი რაოდენობით დაბალი მოთხოვნილების მქონე დასახლებებს. მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული განსხვავებიდან გამომდინარე კი მიმდინარეობს საქონლის გაცვლა დასახლებებს შორის.

ცენტრალური ადგილების თეორიის მოდიფიცირებული ვარიანტი 1954 წელს შემოგვთავაზა ა.ლოშმა (Losch 1978), მისი ხედვაც რეგიონის განმარტებასთან დაკავშირებით უფრო მეტად ითვალისწინებდა მხოლოდ სამომხმარებლო ბაზარზე ორიენტაციის მიხედვით რეგიონების დაყოფას. მან სამომხმარებლო ბაზრების ანალიზის დროს აქცენტი გააკეთა მხოლოდ ეკონომიკურ ფაქტორებზე, რომლებიც ზოგ შემთხვევაში ხელს უწყობს კონცენტრაციას და ზოგ შემთხვევაში, პირიქით გაფანტულობას. ნედლეულზე ხელმისაწვდომობის თანაბარი შესაძლებლობა და ტერიტორიის ერთგვაროვნება იყო ძირითადი დაშვება. ასეთ პირობებში ფირმის მიერ წარმოებულ პროდუქტზე მოთხოვნას შეზღუდავს ტრანსპორტირების ხარჯი, რაც სხვა თანაბარ პირობებში წარმოების ადგილიდან დაშორების სიდიდის შესაბამისად შეამცირებს პროდუქტზე მოთხოვნას. გარკვეული საზღვრის შემდეგ პროდუქტის ფასი იმდენად გაიზრდება, რომ პროდუქტზე მოთხოვნა ნულს გაუტოლდება. შედეგად მივიღებთ ფირმისთვის სამომხმარებლო ბაზარს, რაც რეგიონული სამომხმარებლო ბაზრის ჩამოყალიბებას უნდა ემსახურებოდეს, თუმცა ფაქტი, რომ პროდუქტები არის მრავალფეროვანი და მათი წარმოების ადგილების მიხედვით ინდივიდუალურ სამომხმარებლო ბაზრებს განსხვავებული საზღვრები ექნებათ, გასათვალისწინებელია. ამ პრობლემის საპირწონედ ავგუსტ ლოშის მიდგომა იყო, რომ სამომხმარებლო ბაზრების დაყოფა უნდა ხდებოდეს არა პროდუქტის სახეობების მიხედვით, არამედ ბაზრის ზომის მიხედვით. პროდუქტები, რომელთათვისაც ბაზრის ზომა ერთნაირია ერთიანდებიან ერთ ჯგუფში და წარმოქმნიან ფიჭის ფორმის ექვსკუთხედებს, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ. შესაბამისი პროდუქტების წარმოების ადგილები თითოეულ „ექვსკუთხედში“ შიგნით იქნება მოქცეული.

მან შესაბამისი ანალიზის საფუძველზე დაასკვნა, რომ ექვსკუთხედი რეგიონის საზღვრებისთვის საუკეთესო ფორმაა, რადგან მოთხოვნა ტერიტორიის ერთ ერთეულზე ყველაზე მაღალი სწორედ ამ შემთხვევაშია (Losch 1978, 110). ექვსკუთხედის შემდეგ კი კვადრატი უნდა იქნას მიჩნეული რეგიონისთვის საუკეთესო ფორმად. საქართველოს რეგიონების ფორმაზე დაკვირვების შედეგად რთულია ითქვას, რომ რომელიმეს ექვსკუთხედის ან კვადრატის ფორმა აქვს,

თუმცა ქვემო ქართლისა და იმერეთის რეგიონის ფორმები ყველაზე მეტად არის მიახლოებული ავგუსტ ლოშის მიერ განხილულ რეგიონის სასურველ ფორმებთან. რთულია გადაჭრით ითქვას, რომ რეგიონების საზღვრების დაწესებამ მთავარი როლი ითამაშა, თუმცა ფაქტია, რომ დღეს იმერეთისა და ქვემო ქართლის რეგიონები შედარებით მაღალი განვითარების დონით გამოირჩევიან და მათი წონა მთლიან სამამულო პროდუქტში სხვა რეგიონებთან შედარებით ყველაზე მაღალია.

რეგიონების ჩამოყალიბებისას სივრცითი ურთიერთდამოკიდებულებისა და შრომითი ბაზრის შესწავლის მნიშვნელობაზე ყურადღება გაამახვილეს ე. ჰუვერმა და ფ. გიარატანმა (Hoover and Giarratani 1984). მათ განიხილეს რეგიონული „კვანძის“ ცნება, რის მიხედვითაც რეგიონულ „კვანძს“ უნდა ჰქონოდა შემდეგი ორი მახასიათებელი: ადამიანური, კაპიტალური და სასაქონლო ნაკადები უფრო მეტად გადაადგილდება რეგიონის შიგნით ვიდრე სხვა რეგიონებში; რეგიონის შიგნით მიმდინარე აქტივობებისთვის დამახასიათებელია ერთი „კვანძისკენ“ მიზანმიმართულობა. ამასთან, გამოყოფილი იქნა რეგიონების ორი განსხვავებული ტიპი: ერთგვაროვანი და ფუნქციური.

ერთგვაროვნების მიხედვით გამოყოფილ რეგიონულ ტერიტორიას ახასიათებს მსგავსი ზეგავლენის ხარისხი, მაგალითად, ისეთი მოვლენების შედეგად, როგორიცაა ნედლეულის ფასის ზრდა, ბუნებრივ-კლიმატური ფაქტორების ცვლილება, მოთხოვნის სტრუქტურის ცვლილება სასოფლო თუ არასასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე და სხვა. საქართველოში აღნიშნულის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ წალკისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტები, სადაც კარტოფილის წარმოება ერთ-ერთ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს. კარტოფილის მოსაყვანად საჭირო სასუქზე ფასების ზრდა, გვალვა თუ კარტოფილზე მოთხოვნის შემცირება მსგავს ზეგავლენას მოახდენს ამ ორ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობასა და ბიზნეს სექტორზე. იგივე შეიძლება ითქვას იმ სარგებელსა და შესაძლებლობებზე, რაც კარტოფილის ჩიფსის საწარმოს გახსნამ შეიძლება მოუტანოს აღნიშნულ ტერიტორიულ ერთეულებს.

რეგიონების გამოყოფის ალტერნატიული, ფუნქციური მიდგომა, ეყრდნობა ტერიტორიულ ერთეულების ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ხარისხის ანალიზს. ძირითადი პირობაა, რომ რეგიონის შემადგენელ ტერიტორიულ ერთეულებს შორის ურთიერთობის ხარისხი უფრო მჭიდრო და ხშირი იყოს, ვიდრე რეგიონის გარე ერთეულებთან. ფუნქციური დაყოფის ერთ-ერთ ფორმად გამოიყოფა რეგიონი რეგიონული „კვანძით“ (nodal region), შემდეგში მოვიხსენიოთ, როგორც რეგიონული ცენტრი. იმ შემთხვევაში თუ რეგიონის შიგნით შეინიშნება მისი შემადგენელი ერთეულებიდან ერთი კონკრეტული მიმართულებით საქონლის, მომსახურების თუ სხვა ნაკადების გადაადგილება, მაშინ მიმართულების ობიექტი უნდა ჩაითვალოს რეგიონულ ცენტრად.

კ. ფოქსის „ფუნქციურ ეკონომიკური სივრცის“ კონცეფცია ეყრდნობოდა რეგიონული „კვანძის“ მიდგომას და ცენტრალური „კვანძის“ დომინირების განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორად დასაქმებულების სამუშაო ადგილებზე სივრცითი დამოკიდებულების ხარისხს განიხილავდა (Fox 1994).

აღნიშნული მიდგომა დაედო საფუძვლად ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტის ეკონომიკური ანალიზის ბიუროს (United States Department of Commerce Bureau of Economic Analysis) „ეკონომიკური სივრცის“ განსაზღვრებას. რეგიონული ეკონომიკური ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა ისეთი სტატისტიკური ინფორმაცია, როგორიცაა: ბიზნესის შემოსავლები და დასაქმებულთა რაოდენობა სხვადასხვა სექტორისთვის; დასაქმებულთა შემოსავლები; მოსახლეობის რაოდენობა; შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე. მათი ანალიზით შესაძლებელი გახდა ადგილობრივი ეკონომიკური აქტივობის, ინდუსტრიებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობისა და სხვადასხვა სივრცით ერთეულებში მოსახლეობის გადაადგილების შესწავლა. საბოლოოდ, თითოეული „ეკონომიკური სივრცე“ აერთიანებდა ერთ ან მეტ „ეკონომიკურ ცენტრს“ და მიმდებარე ტერიტორიულ ერთეულებს, რომლებიც ეკონომიკურად დაკავშირებულები იყვნენ „ცენტრთან“. აღნიშნული მიდგომით ტერიტორიულ ერთეულებს შორის ეკონომიკური ურთიერთობის განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორს საცხოვრებელსა და სამუშაო ადგილს შორის მოსახლეობის

გადაადგილების ინტენსივობა წარმოადგენდა. შესაბამისად, თითოეული ეკონომიკური სივრცე მოიცავდა სამუშაო ძალის საცხოვრებელსა და სამუშაო ადგილს (Johnson 1995, 75). რეგიონების ხელახალი განსაზღვრის პროცესი ითვალისწინებდა სამ ძირითად საფეხურს:

- „ეკონომიკური ცენტრის“ განსაზღვრა - ეკონომიკური ცენტრი არის მეტროპოლიტენი ან მსგავსი ტერიტორია რომელიც ეკონომიკური აქტივობის ცენტრს წარმოადგენს. არამეტროპოლიტენური კვანძის განსაზღვრისთვის საჭირო გახდა სამსახურიდან სახლამდე მოსახლეობის გადაადგილების მონაცემთა ანალიზი; გაზეთების გამოცემის ადგილებისა და მიმოქცევაში ყოფნის დისტანციის ანალიზი; მოსახლეობის რაოდენობისა და შედარებითი ეკონომიკური იზოლაციის გათვალისწინება.
- ტერიტორიული ერთეულების „ეკონომიკური ზონებისთვის“ (Component Economic Areas) მიკუთვნება - გულისხმობს შედარებით მცირე ეკონომიკური ერთეულების ანალიზს, რომლებიც არ წარმოადგენენ „ეკონომიკურ ცენტრებს“. კვლევის მიზანია განისაზღვროს თუ რომელ „ეკონომიკურ ცენტრთან“ არის დაკავშირებული თითოეული მათგანი. აღნიშნული ძირითადად შეფასდა საცხოვრებელსა და სამუშაო ადგილს შორის მოსახლეობის გადაადგილების მონაცემებსა და ყველაზე მეტად კითხვადი რეგიონული გაზეთების გამოცემის ადგილებზე დაყრდნობით.
- „ეკონომიკური ზონების შემადგენელი ნაწილების“ და მსხვილი ეკონომიკური ზონების გაერთიანება - თოთოეულმა „ეკონომიკურმა ზონამ“ მოიცვა სამუშაო ძალის საცხოვრებელი და სამუშაო ადგილი. ამასთან, მათი ეკონომიკური მნიშვნელობა და ზომა საშუალებას აძლევდა ეკონომიკური ანალიზის ბიუროს განეხორციელებინა ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზირება.

ზემოთ წარმოდგენილი მიდგომა ითვალისწინებს, რომ „ეკონომიკურ ზონებს“ შორის სამუშაო ძალის გადაადგილება საცხოვრებელიდან სამუშაო ადგილამდე და უკან უნდა ხასიათდებოდეს დაბალი ინტენსივობით. აღნიშნული მიდგომის ნაკლოვანებაა რომ ვერ ხდება საკომუნიკაციო და სატრანსპორტო ტექნოლოგიების

განვითარების გათვალისწინება. თანამედროვე ტექნოლოგიები, განსაკუთრებით მომსახურების სფეროში, იძლევა შესაძლებლობას დასაქმებული შორ მანძილზე ცხოვრობდეს სამუშაო ადგილიდან და ელექტრონულად ასრულებდეს მის მოვალეობას.

ფუნქციური რეგიონების კლასიფიკაციისას რეგიონის შემადგენელ ნაწილებს შორის ურთიერთობის სხვა ფორმებიც იქნა განხილული (Klapka, Halas and Tonev 2013). აღნიშნული, პირველ ეტაპზე საჭიროებს რეგიონის შემადგენელ ტერიტორიულ ერთეულებს შორის ურთიერთობის ორგანიზებული ფორმის შესწავლას. რეგიონის შიგნით პროდუქტის, სამუშაო ძალისა თუ კაპიტალის გადაადგილებას შესაძლოა ჰქონდეს შემთხვევითი ხასიათი და არ იკვეთებოდეს ნაკადების კონკრეტული მიმართულება. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ფუნქციურ რეგიონში მის შემადგენელ ნაწილებს შორის ურთიერთქმედების შემთხვევით სტრუქტურასთან. ამრიგად, ფუნქციური რეგიონის გამოყოფის ძირითადი კრიტერიუმია მისი სხვა რეგიონებისგან „იზოლაციისა“ და რეგიონის შიგნით ეკონომიკური აქტივობების ერთმანეთთან ურთიერთკავშირის ხარისხი. ფუნქციური რეგიონის შიგნით აუცილებელი არ არის პროდუქტის, სამუშაო ძალისა თუ კაპიტალის გადაადგილებას გამოხატულად ორგანიზებული ხასიათი ჰქონდეს.



დიაგრამა #1.1.1 ფუნქციური რეგიონის მაგალითები

წყარო: Mgr.Pavel Klapka, Doc. RNDr. Marian Halas, Mgr. Petr Tonev, Functional Regions: Concept and Types, 2013.

აღსანიშნავია, რომ შემთხვევითი და ცენტრალური (იხ. დიაგრამა #1.1.1) ნაკადებით დახასიათებული ურთიერთკავშირის სახეობების გარდა სხვა დანარჩენ მაგალითებს უფრო მეტად თეორიული ხასიათი აქვთ და პრაქტიკაში ნაკლებად თუ შევხვდებით.

რეგიონების გამიჯვნის საკითხის აქტუალობასთან ერთად წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა უამრავი კრიტერიუმი, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია ქვეყნის ტერიტორიულ მოწყობასთან. ეს კრიტერიუმები შეიძლება იყოს:

- მომიჯნავე დასახლებების ერთგვაროვნება;
- სამუშაო ძალის ბაზრის მახასიათებლები - ამ კრიტერიუმის მიხედვითაც შესაძლებელია, მაგალითად, ქვეყნის დაბალი, საშუალო და მაღალი შემოსავლის მქონე რეგიონებად დაყოფა, სადაც რეგიონის შიგნით დაახლოებით მსგავსი მთლიანი სამამულო პროდუქტია ერთ სულ მოსახლეზე, ხოლო რეგიონებს შორის აღნიშნული მაჩვენებელი განსხვავდება. ამასთან, შესაძლებელია რეგიონების დაყოფისას დასაქმებულთა სექტორული სპეციალიზაციის გათვალისწინება, რაც, თავის მხრივ, საჭიროებს რეგიონების მიხედვით ეკონომიკის წამყვანი დარგების გამოყოფას.
- რეგიონული პოლიტიკის დაგეგმვის ობიექტი „ადმინისტრაციული რეგიონები“ - ამ შემთხვევაში რეგიონების გამოყოფა ეფუძნება ქვეყნის ადმინისტრაციულ დაყოფას, რომლის შესაბამისადაც უფლებამოსილი პირები გეგმავენ და ახორციელებენ პროგრამებს. თუმცა, გასათვალისწინებელია ფაქტი, რომ ხშირ შემთხვევაში ადმინისტრაციული საზღვრები არ შეესაბამება რეგიონების დაყოფის ეკონომიკურ, გეოგრაფიულ თუ სხვა მახასიათებლების ლოგიკას.
- ბუნებრივი რესურსები, ეკოსისტემა თუ სხვა გეოგრაფიული ნიშნები - რეგიონულ დაყოფას შესაძლებელია საფუძვლად დაედოს მოსახლეობასა და

ბუნებრივ რესურსებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი. აღნიშნული კრიტერიუმის მიხედვით რეგიონები არის მოსახლეობისა და ბუნებრივ რესურსების ურთიერთქმედების შედეგად ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთეულები. მიუხედავად იმისა, რომ სატრანსპორტო ტექნოლოგიები უკვე მაღალ დონეზე არის განვითარებული, ტერიტორიული ერთეულის გეოგრაფიული მდებარეობა და ისტორიული საფუძველი რეგიონული დაყოფის პროცესზე კვლავაც ახდენს გავლენას.

ქართველი მეცნიერი, პროფესორი ეთერ ხარაიშვილი წიგნში „რეგიონული ეკონომიკა“ გამოყოფს რეგიონის დამახასიათებელ შემდეგ ნიშნებს (ხარაიშვილი 2004, 12-13):

- სივრცობრივი (ტერიტორიული) მთლიანობა;
- ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული, კულტურული და სხვა შიდარეგიონული კავშირები;
- ეკონომიკური ერთგვაროვნება;
- რეგიონის ორგანული კავშირი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ სისტემასთან;
- მართვადობა.

მიუხედავად იმისა, რომ რეგიონების დაყოფა ეკონომიკური საფუძვლებიდან გამომდინარე ყველაზე მეტად ეფექტიანი იქნებოდა რეგიონული პოლიტიკის გატარებისთვის, დღეს ჩამოყალიბებული რეგიონების დიდი ნაწილი ისტორიულ საფუძვლებს ატარებს. შემდგომ თავებში განვიხილავთ თუ რამდენად შეესაბამება საქართველოში ჩამოყალიბებულ რეგიონებს ეს მახასიათებლები და რამდენად გამართლებულია რეგიონალიზაციის არსებული პრაქტიკა ეფექტიანი პოლიტიკის გატარების მიზნებისთვის.

1.2 ეკონომიკური საქმიანობის სივრცითი კონცენტრაცია

ე. ჰუვერი და ფ. გიარატანი რეგიონულ ეკონომიკას განმარტავენ როგორც მეცნიერებას რომელიც ეკონომიკური სისტემის სივრცითი ხასიათის გაგებას ცდილობს. *„ჩვენ ვცდილობთ გამოვავლინოთ ფაქტორები, რომლებიც*

ეკონომიკური აქტივობების სივრცეში განაწილებას წარმართავენ და ვაღიარებთ, რომ როგორც კი ეს განაწილება იცვლება ამას მნიშვნელოვანი შედეგები მოყვება ინდივიდებისა და მათი ჯგუფებისთვის" (Hoover and Giarratani, 1984, 4).

ეკონომიკური საქმიანობის სივრცითი კონცენტრაცია დამოკიდებულია, როგორც მოსახლეობის, ისე ბიზნეს სუბიექტების ქცევაზე და იმ ფაქტორებზე, რომლებიც ამ ქცევას განსაზღვრავენ. მიგრაცია გამოხატავს მოსახლეობის სურვილს შეიცვალონ საცხოვრებელი, უარი თქვან ერთ კონკრეტულ ადგილზე ცხოვრებაზე და ამჯობინონ სხვა ადგილი მისთვის უპირატესობის მინიჭებით. ხშირ შემთხვევაში ამ გადაწყვეტილებაზე გავლენას ახდენს უკეთესი დასაქმების შესაძლებლობა, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისა და რეგიონების შემთხვევაში, რომელთათვისაც დამახასიათებელია უმუშევრობის მაღალი დონე. სამუშაო ადგილების ნაკლებობა ან პირიქით, დასაქმების მაღალი შესაძლებლობა თავის მხრივ დაკავშირებულია ბიზნეს სუბიექტების გადაწყვეტილებაზე ეკონომიკური საქმიანობისთვის შეარჩიონ კონკრეტული ტერიტორიული ერთეული.

ფირმები გადაწყვეტილებას იღებენ თუ სად დაიწყონ ან განავითარონ საკუთარი ბიზნეს საქმიანობა მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, რომლებიც საბოლოო ჯამში განსაზღვრავენ ფირმის მომგებიანობას. ხშირ შემთხვევაში მცირე და საშუალო ზომის ფირმებისთვის ღრმა ანალიზის ჩატარება, ცოდნის თუ კვლევისთვის საჭირო ფინანსური რესურსის ნაკლებობის გამო, არ არის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, არც თუ იშვიათად მათი გადაწყვეტილება ანალიზს მოკლებული და ინერციულია.

ე. ჰუვერი და ფ. გიარატანი წიგნში „შესავალი რეგიონულ ეკონომიკაში" ადგილმდებარეობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გამოყოფენ ოთხ ძირითად ფაქტორს (Hoover and Giarratani 1984), ესენია:

- ადგილობრივი რესურსი - იმ რესურსის გათვალისწინება, რომელიც ტრანსპორტირებას არ ექვემდებარება.
- ადგილობრივი მოთხოვნა - მოთხოვნა იმ პროდუქტზე, რომელიც ტრანსპორტირებას არ ექვემდებარება. ისეთი სერვისები, როგორიცაა კინო,

თეატრი, სილამაზის სალონი, სკოლა და სხვა გამოყენებული უნდა იქნას ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, ამრიგად, მათზე მოთხოვნის ზრდის და შემცირების ძირითადი წყაროა ადგილობრივი მოთხოვნის ცვლილება.

- ტრანსპორტირებადი ნედლეული - სხვა ტერიტორიიდან ნედლეულის მიწოდების შესაძლებლობა, რომელიც ტრანსპორტირებას ექვემდებარება, უნდა მოიცავდეს ტრანსპორტირების დანახარჯებს.
- გარე მოთხოვნა - წარმოებული პროდუქტის გაყიდვის შესაძლებლობა სხვა ბაზრებზე; უფრო კონკრეტულად, გაყიდვებიდან წმინდა შემოსავალი სხვა ბაზრებზე ტრანსპორტირების ხარჯების გათვალისწინებით.

ეკონომიკური საქმიანობის განთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, ანალიზის ეტაპზე, შეფასების გასაკეთებლად ორი მნიშვნელოვანი პრობლემა უნდა გამოიყოს, ესენია: ადგილზე არსებული ადამიანური რესურსის მწარმოებლურობის შეფასება და სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებში მიღებული მომსახურების ხარისხის შეფასება. მაგალითად, როდესაც ვიცით, რომ X ტერიტორიულ ერთეულში შრომის ანაზღაურება 20%-ით აღემატება Y ტერიტორიულ ერთეულში იმავე სპეციალობის ინდივიდის შრომის ანაზღაურებას, და თუ საწარმო განსათავსებლად ირჩევს Y ლოკაციას, ეს უდავოდ ხარჯების შემცირებას ნიშნავს ? პასუხი ცალსახა ვერ იქნება და რატომ? თუ X ტერიტორიულ ერთეულში ინდივიდს შეუძლია 20%-ით უფრო პროდუქტიულად იმუშაოს, ეს არამხოლოდ დააბალანსებს შრომის ანაზღაურებას შორის განსხვავებას, არამედ უპირატესობასაც კი მიანიჭებს საქმიანობის X ტერიტორიულ ერთეულში დაწყებას. X ტერიტორიულ ერთეულში ინდივიდის მაღალი პროდუქტიულობით მუშაობამ შესაძლოა საწარმოს შეუმციროს ელექტროენერგიის დანახარჯები, ფართის დაქირავების ხანგრძლივობა, ტექნოლოგიების მოცდენის პერიოდი და სხვა ხარჯები რაც პირდაპირ დაკავშირებულია ერთი დასაქმებულის მუშაობის ხანგრძლივობასთან.

ეკონომიკური საქმიანობის ადგილმდებარეობის შესახებ არჩევანის გაკეთების ეტაპზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად საგადასახადო პოლიტიკა მიიჩნევა. მართლაც, გადასახადის სიდიდე პირდაპირ აისახება ფირმის წმინდა მოგებაზე. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ გადასახადის გადახდასთან ერთად კომპანიები

იმ ტერიტორიულ ერთეულში შესაბამისი საზოგადოებრივი სერვისის მიღებას ელოდებიან. რთულია ზუსტად შეფასდეს გადასახადის გადახდით მიღებული სერვისის ღირებულება და სარგებელი, მით უფრო სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულებისთვის გაკეთდეს ამ სერვისებიდან მიღებული სარგებლის შედარებითი ანალიზი, თუმცა, ის ფაქტი, რომ გადასახადების გადახდა ამ სერვისების შექმნას უნდა ემსახურებოდეს გვაჩვენებს, რომ დაბალი გადასახადი მაინც და მაინც არ ნიშნავს ამ ტერიტორიულ ერთეულში ეკონომიკური საქმიანობის მომგებიანობას. ტერიტორიულ ერთეულებში, სადაც დაბალი გადასახადებია ან საგადასახადო შეღავათებია დაწესებული, შესაძლოა არ იყოს ხელმისაწვდომი ბიზნესისთვის საჭირო ისეთი სერვისები, რომლებიც სხვა ტერიტორიულ ერთეულებში უკვე არსებობს. ასეთი სერვისების მისაღებად გაწეულმა დამატებითმა ხარჯებმა კი შესაძლოა გადაწონოს საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებით შექმნილი სარგებელი.

საქართველოს, ისევე როგორც მსოფლიოს გამოცდილების გათვალისწინებით უნდა ითქვას, რომ იშვიათ შემთხვევას არ წარმოადგენს ბიზნეს სუბიექტების ერთ სივრცეში კონცენტრაცია. არ იქნება სწორი შეფასება, თუ ვიტყვით, რომ ეს ტენდენცია არაეფექტიანია ქვეყნის განვითარებისთვის. საკითხის პრობლემურობის შეფასებას „თანასწორობისა“ და „ეფექტიანობის“ მიზნებს შორის წინააღმდეგობასთან მივყავართ, რასაც შემდგომში უფრო დეტალურად განვიხილავთ. ამ ეტაპისთვის გავაანალიზოთ ის ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ამა თუ იმ ტერიტორიულ ერთეულებში ეკონომიკური აქტივობის ინტენსივობაზე.

ბიზნეს საქმიანობა თავის თავში მოიცავს ორ მნიშვნელოვან პროცესს: წარმოებასა და რეალიზაციას. ბიზნეს სუბიექტის საქმიანობის მომგებიანობაც პირდაპირ დამოკიდებულია წარმოებისა და რეალიზაციისთვის დამახასიათებელ ფაქტორებზე:

(1) ბიზნეს სუბიექტი, რომელიც წარმოების დასაწყებად გადაწყვეტილებას იღებს იმ ნედლეულის ახლოს, რომელიც ექვემდებარება ტრანსპორტირებას.

მაგალითი - ლიცენზიანტი ახალქალაქიდან (შემთხვევის შესწავლა)

შევისწავლეთ ბიზნეს-სუბიექტის საქმიანობა ახალქალაქში, რომელიც 8 ჰექტარ ფართობზე პემზის მოპოვებას ახდენს. მას ლიცენზია აქვს აღებული 386,000 კუბამეტრის მოპოვებაზე, რომელიც მოქმედია 2028 წლამდე. მისი შეფასებით ამ პერიოდში და უფრო ადრეც კი ამ რესურს მთლიანად აითვისებს.

მისი საქმიანობა გარკვეულწილად დამოკიდებულია ამინდზე, რა მხრივაც ახალქალაქის კლიმატური პირობები ხელშემწყობი ფაქტორი ნამდვილად არ არის. *„ახალქალაქში უნდა ჩავთვალოთ, რომ ექვსი თვე არის ზამთარი და ექვსიც ზაფხული. შემოდგომა და გაზაფხული თითქმის არ არსებობს, მაგრამ მაგალითად შარშან საერთოდ არ გავჩერებულვართ, მხოლოდ სამი დღე იყო რომ გავჩერდით, დანარჩენი მთელი სეზონი ვმუშაობდით, ამინდი იძლეოდა ამის საშუალებას“ - აღნიშნავს მწარმოებელი.*

მოპოვება ხდება შავი და წითელი პემზის. შავი პემზა გამოიყენება თბოიზოლაციისთვის და არის ძალიან მსუბუქი სამშენებლო მასალა. პემზა ითვლება ენერგო-ეფექტურ ბუნებრივ რესურსად, რომელიც გამოიყენება როგორც თბოიზოლაციაში, ასევე ბლოკის წარმოებაში. მასზე მოთხოვნა დროთა განმავლობაში ზრდადია. *„ეკოლოგიური თვალსაზრისით ბუნებაზე ზემოქმედებას ჩვენ არ ვახდენთ. ისეთ კარიერს ვამუშავებთ, რომელიც არ არის ნაყოფიერი მიწა. აბსოლუტურად განსხვავებულია ჩვენი კარიერი სხვა კარიერებისაგან. მაქსიმალურად როგორც შესაძლებელია თანამედროვე ტექნოლოგიებით ვაკეთებთ ამ საქმეს“.*

პროდუქტი რეგიონის ფარგლებშიც იყიდება, მაგრამ ძირითადი ნაწილი რეგიონის ფარგლებს გარეთ გადის. მათი კლიენტები არიან სკოლები, რომელთა რეაბილიტაცია მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ხორციელდება. *„ჩვენ ახლა სატრანსპორტო საშუალებები გვყავს შეზღუდული, მაგრამ რომ გვყავდეს დამატებით კიდევ, ყველა შეკვეთას ავიღებდი. ხანდახან მიწოდებას ვერ ვასწრებთ იმდენი შეკვეთაა“.*

საქმიანობის დაწყების პირველ ეტაზე EBRD-გან მიიღო 10%-იანი თანადაფინანსებით თანამედროვე ტექნიკის შეძენის შესაძლებლობა. დღეს კი უკვე ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში აქვს მიღებული დასტური მისი ბიზნეს პროექტის დაფინანსებაზე. ბიზნეს პროექტის მთლიანი ბიუჯეტი 177,000 ლარს შეადგენს, საიდანაც 115,000 ლარი იქნება გრანტი, ხოლო დარჩენილი თანხა მათი თანამონაწილეობა.

კომპანია დღეს 8 ადამიანს ასაქმებს, თუმცა, დასაქმებულების რაოდენობა ახლო პერიოდში 20-მდე გაიზრდება. *„მყავს ძველი ოპერატორი, რომელსაც BP-ის უსაფრთხოების წესები აქვს გავლილი და გამოცდილია, მაგრამ ძირითადად ისეთი ხალხი მყავს დასაქმებული, რომელსაც წარმოდგენა არ აქვს თუ რა არის უსაფრთხოება. მე თვითონ BP-ში ვმუშაობ, ვიცი რაც არის და ამიტომ ვცდილობ მაქსიმალურად მაღალ სტანდარტებს მივუახლოვო ჩემი ბიზნესიც“.*

სამომავლოდ გეგმავს სამრეწველო ხაზში ჩართვას, რათა ნედლეულის რეალიზაციიდან მზა პროდუქციის რეალიზაციაზე გადავიდეს შემოსავლებისა და შესაბამისად მოგების გაზრდის მიზნით. *„სამომავლოდ მინდა ბლოკის წარმოება დავიწყო და შესაძლებელია სამრეწველო ხაზი შევიძინო. ანუ მინდა რომ მაქსიმალურად შევამცირო ნედლეულის გაყიდვა. ვხედავ შესაძლებლობას, რომ ნედლეული თავად გამოვიყენო და შევქმნა მზა*

პროდუქცია, რომელსაც მეტი შრომა სჭირდება, მაგრამ ამავე დროს მეტად მომგებიანი იქნება“.
საკუთარი ბიზნეს საქმიანობის ერთ წელს საკმაოდ წარმატებულად და მომგებიანად აფასებს, ამასთან განვითარების გრძელვადიან გეგმებსაც სახავს. პრობლემების დასახელება, რომელიც მის ბიზნესზე უარყოფითად აისახება უჭირს და საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებაზეა ორიენტირებული.

(2) ბიზნეს სუბიექტი, რომელიც წარმოებას იწყებს იმ რესურსის ახლოს, რომელიც არ ექვემდებარება ტრანსპორტირებას. მაშინ, როდესაც ვსაუბრობთ ტურისტული ბიზნესის განვითარებაზე, განსაკუთრებით სასტუმროებისა და რესტორნების, მათი მომგებიანობა და შესაბამისად განლაგების არეალი პირდაპირ არის დაკავშირებული ტურისტული ნაკადებზე, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია თითოეულ ტერიტორიულ ერთეულში არსებულ ბუნებრივ კლიმატურ პირობებზე. ბუნებრივ-კლიმატური გარემო - გეოგრაფიული მდებარეობით შექმნილი რესურსი, არ ექვემდებარება ტრანსპორტირებას და შესაბამისად ტურისტული ობიექტების კონცენტრაციის ერთ-ერთი ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორია. ასეთი კონცენტრაციის კარგი მაგალითები გვხვდება საქართველოში, მაგალითად ზემო სვანეთის რეგიონში - დაბა მესტია, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში - დაბა სტეფანწმინდა და კურორტი გუდაური, ბორჯომის მუნიციპალიტეტში - კურორტები ბორჯომი და ბაკურიანი და სხვა. ასეთი ადგილების მთავარ გამოწვევას სეზონურობა წარმოადგენს. საქართველოში ტურისტული ნაკადების აქტიურობა უფრო მეტად ზაფხულისა და ზამთრის პერიოდში შეინიშნება. მაღალი ტურისტული პოტენციალის მქონე ტერიტორიული ერთეულების ძირითად ნაწილისთვის დამახასიათებელია ერთ სეზონზე მომგებიანობა და დარჩენილი პერიოდის განმავლობაში ბიზნეს საქმიანობის შეწყვეტა ან სამუშაო პერიოდის შემცირება. ერთ სეზონზე დამოკიდებულება ბიზნეს ობიექტებს აიძულებს გაითვალისწინონ არასეზონურ პერიოდში გასაწევი ხარჯები და შემოსავლების შემცირების სავარაუდო ტენდენცია, რაც სეზონურ პერიოდში მოგების მარჟის ზრდაზე აისახება.

მაგალითი - სასტუმრო „სტანცია ყაზბეგი“ - (შემთხვევის შესწავლა)

სასტუმროს დატვირთვა ყაზბეგში არსებული სხვა სასტუმროების მსგავსად უფრო მეტად მოსალოდნელია გაზაფხულის ბოლოსა და ზაფხულის პერიოდში, თუმცა, მენეჯერები ელოდებიან რომ ყაზბეგი ზამთრის პერიოდშიც დაიტვირთება. *„იხსნება კობი გუდაურის საბაგირო, რომელიც გუდაურს ყაზბეგის სხვა ტერიტორიებს დაუკავშირებს, ინფრასტრუქტურაც განვითარდება და გუდაურის დახმარებით ზამთრის პერიოდშიც დაიტვირთება ყაზბეგის სხვა ადგილები“- აღნიშნა სასტუმროს მენეჯერმა.*

სასტუმროს გახსნა შესაძლებელი გახდა ბანკთან თანამშრომლობით. ბანკიდან აღებული სესხით ჩაიდო ინვესტიცია სასტუმროსა და რესტორნის მოწყობაში. აღსანიშნავია, რომ მათთვის საჭირო პროდუქტების ძირითადი ნაწილის ტრანსპორტირება ხორციელდება თბილისიდან, საკუთარი რესურსებით. *„ხორცის შემთხვევაში ადგილობრივად არ ხდება შესყიდვა, რადგან ადგილობრივი ფერმერების ძირითადი პრობლემა არის ის, რომ საბუთს ვერ იძლევიან. იხსნება ადგილი, სადაც შეგვეძლება ადგილობრივი ხორცის შესყიდვა. მას შემდეგ რაც გაიხსნება მათგან ვიყიდი ხოლმე, რადგან ძალიან კარგი ხარისხია“ - აღნიშნა სასტუმროს მენეჯერმა.*

სასტუმრო-რესტორანში დასაქმებულია 15 ადამიანი, მათი ძირითადი ნაწილი ადგილობრივი მოსახლეობაა. ჯერ-ჯერობით იმ კვალიფიკაციის კადრის პოვნა, რომელიც მათ სჭირდებათ, პრობლემას არ წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ სასტუმრო-რესტორანი მცირე პერიოდია რაც გაიხსნა, ისინი უკვე ფიქრობენ განვითარების შესაძლებლობებზე, სხვადასხვა ტურისტული მომსახურების დამატებით. *„მინდა ავიღო ბიზნეს სესხი და შევიძინო ისეთი ტიპის ავტომობილები, რომლებიც იქნება ტურისტისთვის კომფორტული გადასაადგილებლად და თუნდაც გავაქირავო ხოლმე, როგორც გითხარით ე.წ. „დელიკები“ უცხოელი ტურისტებისთვის არაკომფორტულია, თან არის მარჯვენა საჭით“.*

მუნიციპალიტეტში ბიზნეს სექტორისა და ზოგადად ტურიზმის განვითარების ძირითად დამაბრკოლებელ ფაქტორებად ინფრასტრუქტურის მოუწყობლობას ასახლებენ, მათ შორის წყალზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ პრობლემას. *„ხშირად არის ხოლმე, როდესაც წყალი წყდება და როგორც მოგეხსენებათ წყლის გარეშე სასტუმრო ბიზნესი წარმოუდგენელია“.* საბაზისო ინფრასტრუქტურასთან ერთად აღინიშნა გასართობი ინფრასტრუქტურის არ არსებობა, რაც იწვევს ტურისტების ყაზბეგში მოკლე პერიოდით გაჩერებას, ხშირ შემთხვევაში მხოლოდ 2-3 დღით.

ტურისტების გაჩერების მოკლე პერიოდში ტურისტული ბიზნესის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად უნდა დასახელდეს, მხოლოდ დასარჩენი ადგილებისა და კვების ობიექტების განვითარებაზე ორიენტაციის არაეფექტიანობა. ტურისტული ბიზნეს სუბიექტების წარმატებით ფუნქციონირება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ტურისტული მომსახურების ჯაჭვზე, რომელიც ტურისტს თავაზობს მრავალფეროვან, კომფორტულ და დროში ეფექტიანად დაგეგმილ პროდუქტს.

(3) ბიზნეს სუბიექტი, რომელიც ადგილმდებარეობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სარეალიზაციო ბაზრებთან სიახლოვის განზრახვით. დიდ ქალაქებში და მათთან მიმდებარედ ბიზნეს საქმიანობის კონცენტრაციის ერთ-ერთ ამხსნელ ფაქტორად უნდა დასახელდეს ბიზნეს სუბიექტების სურვილი განთავსებულები იყვნენ ერთობლივი მოთხოვნის ახლოს, რათა ტრანსპორტირების დანახარჯები იყოს მინიმალური. თუმცა, ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ამ სტრატეგიის შერჩევა ყველა ბიზნესის ტიპისთვის არ არის მომგებიანი და საჭიროებს ნედლეულის სათანადო ადგილამდე ტრანსპორტირების, სხვა რესურსების (მაგ. სამუშაო ძალა) ხელმისაწვდომობისა და მათთან დაკავშირებული დანახარჯების ცვლილების ანალიზს. სარეალიზაციო ბაზრებთან სიახლოვის ეფექტიანობის კარგ მაგალითად შეიძლება განვიხილოთ სადისტრიბუციო კომპანიები, რომლებიც ყოველდღიურად ამარაგებენ სხვადასხვა დაწესებულებებს პროდუქტებით, საწყობიდან მომხმარებლამდე პროდუქტების ტრანსპორტირების სიხშირე მაღალია და შესაბამისი დანახარჯების ოპტიმიზაცია ადგილმდებარეობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

გარკვეული სექტორებისთვის ეკონომიკური საქმიანობის მომგებიანობა მეტწილად დამოკიდებულია ნედლეულზე ხელმისაწვდომობასა და უკვე მზა პროდუქტის რეალიზაციის დროს დანახარჯების მინიმიზაციაზე, რაც უფრო მეტად პროდუქტის წარმოებისთვის არის დამახასიათებელი. ასეთ შემთხვევაში მზა პროდუქტის ნედლეულთან შედარებით მაღალი ფასეულობა ბიზნეს სუბიექტს აძლევს სტიმულს გადაწყვეტილება სარეალიზაციო ბაზრებთან სიახლოვის სასარგებლოდ მიიღოს. შედეგად მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში ეკონომიკური აქტივობის კონცენტრაციის ტენდენცია ჩნდება. ტერიტორიული რესურსის შეზღუდულობა და მოთხოვნის ზრდა, ზრდის ბიზნესის ასეთ ადგილებში წამოწყების ფასს, აჩენს ახალი მშენებლობების სტიმულს, შედეგად ეტაპობრივად იზრდება და ვითარდება დასახლებული ქალაქები. ეს ტენდენცია მნიშვნელოვანი გამოწვევაა ტერიტორიული ერთეულების თანაბარი განვითარების

ხელშეწყობისთვის, რადგან გვიჩვენებს, რომ თუ გვინდა ეს პროცესი ბუნებრივად განვითარდეს, ამისთვის ქვეყნის სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებში მოსახლეობა მსგავსი რაოდენობითა და სიმჭიდროვით უნდა იყოს დასახლებული და რესურსებზე მსგავსი ხელმისაწვდომობით უნდა ხასიათდებოდეს, რაც რეალურ ცხოვრებაში არ გვხვდება და ამის მიღწევის მცდელობა პოლიტიკის გამტარებლების მხრიდან აზრს მოკლებული იქნება. ჩნდება კითხვები: ეკონომიკური აქტივობის რამდენიმე ტერიტორიულ ერთეულში კონცენტრაცია უნდა ჩაითვალოს თუ არა პრობლემად ? უნდა შეეცადონ თუ არა პოლიტიკის გამტარებლები გავლენა მოახდინონ ბიზნეს სუბიექტების გადაწყვეტილებაზე დაიწყონ საქმიანობა რომელიმე კონკრეტულ ტერიტორიულ ერთეულებში? ან რა ფორმით არის შესაძლებელი ინვესტორს ვუბიძგოთ ინვესტირებისკენ კონკრეტულ ტერიტორიულ ერთეულში? ინფორმაციის არ ქონა ან არასრულყოფილება საბაზრო ჩავარდნების ყველა შესაძლო გამომწვევ ფაქტორს პირდაპირ უკავშირდება, შესაბამისად, გამართლებულია, რომ ხელისუფლება ამ პრობლემის შემცირების მიზნით დანახარჯებს წევს ან ამ პრობლემით წარმოშობილ რისკებს საკუთარ თავზე იღებს. საქართველოში ასეთი მიდგომის ერთ-ერთ წარმატებულ მაგალითს შემდეგ ქვეთავში განვიხილავთ.

ფირმების თუ მოსახლეობის მიერ მრავალი წლის განმავლობაში განთავსების ადგილის შესახებ გადაწყვეტილებების ერთობლიობამ წარმოქმნა აგლომერაციის ეფექტი. აგლომერაციის ეფექტი გულისხმობს კონცენტრირებულ ეკონომიკას, რომელშიც დიდი რაოდენობით ფირმები და ადამიანები ერთმანეთთან ახლოს არიან განლაგებულები და ამ სიახლოვის შედეგად შემცირებული დანახარჯებითა და გაზრდილი ეფექტიანობით იღებენ სარგებელს. ეს სარგებელი შესაძლოა გამოხატული იყოს საერთო ინფრასტრუქტურით სარგებლობის, ცოდნის გაცვლის შესაძლებლობებით, უკვე გამოცდილი სამუშაო ძალის არსებობით და სხვა. აგლომერაციის პროცესის ჩამოყალიბება, თავის მხრივ, უკავშირდება რამდენიმე ეფექტს:

აგლომერაცია, ინვესტიციების მზარდი მომგებიანობა და პერიფერიებში ჩამოყალიბებული სავაჭრო ეკონომიკური საქმიანობა - სანამ ფირმა იწყებს წარმოებას, ის იღებს გადაწყვეტილებას საწარმოს მშენებლობის შესახებ. იმ შემთხვევაში კი თუ საწარმო უკვე არსებობს, ახალი საწარმოს მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება არსებული საწარმოდან პროდუქტის ტრანსპორტირების დანახარჯებისა და ახალი საწარმოს მშენებლობასთან დაკავშირებული ფიქსირებული და ცვალებადი დანახარჯების შედარებითი ანალიზით. **ამრიგად, ტრანსპორტირების გამარტივება და მასთან დაკავშირებული დანახარჯების შემცირება ხელს შეუწყობს კონცენტრაციას, ხოლო ტრანსპორტირების მაღალი დანახარჯები ხელს უწყობს რესურსების გაფანტულობას.** ეკონომიკური აგლომერაციის მკვლევარებმა, მ.ფუჯიტამ და ჯ. ტისემ წიგნში „ეკონომიკური აგლომერაცია: ქალაქები, ინდუსტრიული ადგილმდებარეობა და გლობალიზაცია“ მოიყვანეს მაგალითი, სადაც ობიექტის მშენებლობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებდნენ პოლიტიკის გამტარებლები. განხილული იყო შემთხვევა: მოსახლეობით თანაბრად დასახლებულ ორ ტერიტორიაზე პოლიტიკის გამტარებლები დგანან შემდეგი არჩევანის წინაშე (1) ააშენონ ორი ობიექტი ცალ-ცალკე თითოეულ დასახლებაში, რის შედეგადაც პროდუქტის მიწოდებისას ტრანსპორტირების დანახარჯები ნულს გაუტოლდებ,ა თუ (2) ააშენონ ობიექტი ერთ დასახლებაში და პროდუქტი მეორე დასახლებას მიაწოდონ ამ ობიექტიდან. ანალიზის დროს, რა თქმა უნდა. შედარდება ტრანსპორტირებისა (T) და საწარმოში ინვესტირების (F) დანახარჯები. დაშვება გაკეთებული იყო, რომ ორივე დასახლებისთვის საწარმოს მშენებლობისა და ფუნქციონირების დანახარჯები ერთნაირია. რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში თუ 2F>F+T აშენდება მხოლოდ ერთი ობიექტი, ხოლო თუ F<T აშენდება ორი ობიექტი (Fujita and Thisse, 2013, 12). იმ შემთხვევაში როდესაც გადაწყვეტილებას იღებს პოლიტიკის გამტარებელი, მით უფრო იმ შემთხვევაში, თუ ეს გადაწყვეტილება სოციალურად ორიენტირებულია, ობიექტის საერთოდ არ აშენების შესახებ გადაწყვეტილება შესაძლოა არ განვიხილოთ, მით უფრო იმ სოციალური ეფექტების გათვალისწინების გარეშე, რომლებიც ხშირ შემთხვევაში პოლიტიკის გამტარებლების ერთ-ერთი მთავარი

ორიენტირია. თუმცა, როდესაც განვიხილავთ კერძო მეწარმეს, ტრანსპორტირების დანახარჯების შემცირებასთან ერთად მან შესაძლოა გადაწყვეტილება მიიღოს, რომ უკვე არსებული საწარმოდან მიაწოდოს ორივე დასახლებას პროდუქტი. მისი ინტერესი დასახლებაში მოსახლეობის დასაქმება ან ეკონომიკური აქტივობის ხელშეწყობა არ არის. მან შესაძლოა პროდუქტის მიწოდება არსებული საწარმოდანაც არამომგებიანად ჩათვალოს. ამ დროს გამოჩნდებიან შუამავლები, რომლებიც საკუთარი ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფენ პროდუქტის ტრანსპორტირებას საწარმოდან დასახლებამდე. ამ შემთხვევაში დასახლებისთვის პროდუქტის ფასი არა მხოლოდ ტრანსპორტირებისთვის საჭირო დანახარჯებით იზრდება, არამედ ახალი პირის ეკონომიკური სარგებლის ოდენობითაც, რაც მას სტიმულს აძლევს პროდუქტის ტრანსპორტირება განახორციელოს. საქართველოს მაგალითზე კარგად ჩანს სავაჭრო ეკონომიკური საქმიანობის როლი, არა მხოლოდ სასოფლო ტიპის დასახლებებში არამედ „მიზიდულობის ცენტრებშიც“, თუმცა, ზემოთ წარმოდგენილი ანალიზიდან ნათელია, მოლოდინი იმისა, რომ ეს ტენდენცია შეიცვლება საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობასთან ერთად არ არის გამართლებული.

აგლომერაცია და გვერდითი ეფექტები - ფირმებისა და მოსახლეობის კონცენტრაცია ერთ ტერიტორიულ ერთეულში ქმნის კონცენტრაციის კიდევ უფრო მეტად ზრდის საფუძვლებს. ის ტერიტორიული ერთეულები, რომლებიც ქმნიან აგლომერაციის ეფექტს ახალ ფირმებსა და სხვა მოსახლეებს თავაზობენ: (1) უკვე გამოცდილ კადრებს, რომლებიც ერთის მხრივ წარმოადგენენ რესურს ფირმებისთვის, მეორეს მხრივ, ცოდნის მიღების წყაროს მოსახლეობისთვის; (2) უკვე ჩამოყალიბებულ ინდუსტრიულ პროდუქტებსა და მომსახურებას; (3) ახალი იდეებისა და ინოვაციების შექმნის მეტ შესაძლებლობებს; (4) გამოცდილებას, რომელზე დაკვირვებითაც შესაძლებელია გარკვეული დასკვნების გაკეთება. ეს უკანასკნელი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს განსაკუთრებით იმ ქვეყნებისთვის, სადაც ბიზნესის სავარაუდო მომგებიანობის შეფასება რთულია. ამის მიზეზი შესაძლოა ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის

შეზღუდულობა ან/და ინფორმაციის სიძვირე იყოს. აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში ინოვაციების გავრცელების ხელშეწყობას ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში ცდილობს თავად პოლიტიკის გამტარებელი, რადგან ეს პროცესი თავისთავად საერთოდ არ მიმდინარეობს ან ინოვაციების გავრცელების ტემპი იმდენად დაბალია, რომ ნაკლებად განვითარებული რეგიონი ინოვაციის შესახებ ინფორმაციის მიღების, დანერგვის მცდელობისა და შემდგომ დანერგვისგან მინიმალურ სარგებელს იღებს. გასათვალისწინებელია, რომ როგორი ეფექტიანიც არ უნდა იყოს პოლიტიკის გამტარებლის მცდელობა ახალი იდეების ჩამოყალიბებასა და ინოვაციების გავრცელებას შეუწყოს ხელი, რეგიონი, რომელიც ინოვაციას „ეგუება“ მუდმივად იქნება ნაკლებად განვითარებული, ვიდრე რეგიონი, რომელიც ინოვაციას ნერგავს.

ნათელია, რომ თუ სივრცითი ეკონომიკა გაგებულ უნდა იქნას, როგორც იმ ძალების ურთიერთქმედების შედეგების ერთობლიობა, რომლებიც ერთის მხრივ აგლომერაციას, ხოლო, მეორე მხრივ, დისპერსიას უწყობს ხელს (Ottaviano and Thisse 2004, 2576). ზემოთ განხილული მოდელები, მაგალითად ვ. კრისტოლერისა და ა. ლოშის „ცენტრალური ადგილების თეორია“ უფრო მეტად აღწერს კონცენტრაციისა თუ გაფანტულობის შესაძლო ვარიანტებს, მათი დაგეგმვის სხვადასხვა შესაძლებლობებს და ნაკლებად განიხილავს იმ შედეგებს და პროცესებს, რაც ეკონომიკური აქტივობის ასეთ განაწილებას მოყვება. 1991 წელს პ. კრუგმანმა წარმოადგინა „ახალი ეკონომიკური გეოგრაფიის“ თეორია, რამაც საფუძველი დაუდო ამ საკითხის ახალი მიმართულებების შესწავლასა და ემპირიულ კვლევებს. მან განიხილა ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს გარკვეული ეკონომიკური აქტივობების ცენტრისკენ კონცენტრაციას (ბაზრის ზომის ეფექტი; დიდი სამუშაო ძალის ბაზარი; ეკონომიის წარმომქმნელი გვერდითი ეფექტები) და ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის ამ კონცენტრაციას (ფაქტორების არამობილურობა; მიწის ქირა; არაეკონომიურობის წარმომქმნელი გვერდითი ეფექტები). პ. კრუგმანმა „ახალი ეკონომიკური გეოგრაფია“ განსაზღვრა, როგორც ეკონომიკური ანალიზის სტილი, რომელიც ცდილობს ახსნას ეკონომიკის სივრცითი სტრუქტურა კონკრეტული ტექნიკური „ინსტრუმენტების“

გამოყენებით, რათა შეიქმნას მოდელები შემოსავლების მზარდობისა და ბაზრების არასრულყოფილების მახასიათებლების გათვალისწინებით. ორი თანაბარი ზომის რეგიონისა და ორი ეკონომიკური საქმიანობის (არამობილური და სრულყოფილი კონკურენციის მქონე სოფლის მეურნეობის სექტორი; მობილური და არასრულყოფილი კონკურენციით დახასიათებული გადამამუშავებელი სექტორი) მაგალითზე, ტრანსპორტირების დანახარჯების ცვალებადობის, კონცენტრაციის ხელშემწყობი და ხელის შემშლელი ფაქტორების გათვალისწინებით მან წარმოადგინა შემდეგი შეფასება: მაშინ როდესაც ტრანსპორტირების ხარჯები მაღალია გადამამუშავებელი სექტორი ორივე რეგიონში თანაბრად არის წარმოდგენილი. ტრანსპორტირების ხარჯების შემცირებასთან ერთად დაიწყება პროცესი, რომელიც გადამამუშავებელი სექტორის ერთი რეგიონისკენ კონცენტრაციას მისცემს ბიძგს და შედეგად წარმოიქმნებიან ცენტრალური და პერიფერიული ტერიტორიული ერთეულები, სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი სექტორების შედარებითი კონცენტრაციით (Krugman 1998, 7-12). **ამრიგად, მოდელის საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასთან ერთად დროთა განმავლობაში უნდა შეინიშნებოდეს ეკონომიკური საქმიანობის მეტი კონცენტრაცია კონკრეტულ ტერიტორიულ ერთეულებში.**



დიაგრამა 1.2.1 „ახალი ეკონომიკური გეოგრაფიის“ თეორიის საფუძვლების ვიზუალიზაცია, პროცესების ურთიერთდამოკიდებულება

ამავე მაგალითზე იქნა ნაჩვენები, თუ როგორ გრძელდება გადამამუშავებელი სექტორის კონცენტრაცია ჯაჭვური ეფექტით. საბოლოო პროდუქტის მწარმოებლების კონცენტრაცია ხელს უწყობს შუალედური პროდუქტების მწარმოებელთა კონცენტრაციას იმავე არეალში, რადგან მათთვის სარეალიზაციო ბაზართან სიახლოვე მიმზიდველია.

თავის მხრივ, შუალედური პროდუქტების მწარმოებელთა კონცენტრაციის ტენდენცია ასტიმულირებს გადამამუშავებელი სექტორის შემდგომ განვითარებას. ეს პროცესი საბოლოო ჯამში იწვევს მსოფლიო ეკონომიკის ინდუსტრიულ ცენტრებად და არაინდუსტრიულ პერიფერიულ ტერიტორიებად დაყოფას. ინდუსტრიულ ცენტრებში წარმოების განვითარება, თავის მხრივ, გულისხმობს სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ზრდას. ინდუსტრიულ ცენტრებში ხელფასების ზრდის ტენდენცია, პერიფერიებში ხელფასების შემცირებასთან ერთად მიგვიყვანს ხელფასების უთანაბრო განაწილებასთან, ხოლო მსოფლიო ეკონომიკის ინტეგრაცია - მისი ტერიტორიის არათანაბარ განვითარებასთან. პერიფერიებში ხელფასების შედარებით დაბალი დონე და ტრანსპორტირების დანახარჯების შემცირება ეკონომიკური საქმიანობის წამოწყებისთვის შექმნის ხელსაყრელ პირობებს, რაც საწარმოებს მისცემს სტიმულს საქმიანობა ცენტრიდან პერიფერიებში გადაიტანონ. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს პერიფერიებში ხელფასების დონის ზრდას. ამრიგად, გრძელვადიან პერიოდში ტრანსპორტირების დანახარჯების შემცირების პროცესი პირველ ეტაპზე მსოფლიო ბაზრის ინტეგრაციას უწყობს ხელს, რაც მსოფლიოს მდიდარ და ღარიბ რეგიონებად დაყოფს, შემდეგ კი ხელს შეუწყობს რეგიონებში ეკონომიკის სტრუქტურისა და შემოსავლების დაახლოებას (Krugman and Venables 1995, 860-862). რთულია იმის შეფასება თუ როდის მიგვიყვანს ზემოთ აღწერილი ეკონომიკური პროცესები მსოფლიოს სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულების ეკონომიკის „დაახლოებამდე“, თუმცა მარტივია იმის თქმა თუ ახლა პროცესის რომელ წერტილში ვიმყოფებით - განსხვავებული ცხოვრების დონე როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებში, ისე თითოეული ქვეყნის შიგნით. წარმოდგენილი მოდელი გვაიმედებს, რომ გრძელვადიან პერიოდში

პერიფერიებში მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების დონე გაიზრდება, ერთი მხრივ, ტრანსპორტირების ხარჯების მნიშვნელოვნად შემცირების, ხოლო, მეორე მხრივ, „იაფი მუშახელის ეფექტის“ შედეგად. დღეს, როდესაც ტრანსპორტირების საშუალებები მეტ-ნაკლებად უკვე განვითარებულია, დიდი ეფექტის მქონე გაუმჯობესების მიღწევა საკმაოდ რთული და დროსთან დაკავშირებული პროცესია. ამრიგად, იკვეთება, რომ არჩევანი რაც დღეს პერიფერიების განვითარებას და იქ მცხოვრებ მოსახლეობას რჩება არის მოლოდინი, თუ როდის გადაწონის „იაფი მუშახელის ეფექტი“ კომპანიებისთვის ბაზართან სიახლოვით წარმოქმნილ სარგებელს. ამ პროცესში, მნიშვნელოვანია ხელისუფლების როლი, რომელიც დგას არჩევანის წინაშე: (1) ჩაერიოს და თავისუფალი ეკონომიკური ძალების შედეგების შეცვლას შეეცადოს; (2) ორიენტაცია აიღოს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე და დაელოდოს, თუ როდის დაიწყებენ ფირმები პერიფერიებში მცხოვრები შედარებით „იაფი მუშახელის“ რესურსის გამოსაყენებლად საწარმოების ნაკლებად ცენტრალურ ადგილებში მშენებლობას. ამ პროცესის ერთ-ერთი დაბრკოლებაა უკვე აშენებული საწარმოების ადგილმდებარეობის ცვლილების საკმაოდ მაღალი დანახარჯები, რასაც მოლოდინები კიდევ უფრო გრძელვადიანი პერიოდისთვის გადააქვს.

მოსახლეობისა და საწარმოების კონცენტრაცია, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია მიწის ფასზე, მის მახასიათებლებსა და მისი შეზღუდულობის დონეზე. იოჰან ჰაინრიხ ფონ ტუნენმა მისი ცნობილი მოდელით აჩვენა თუ როგორ არის შესაძლებელი ტერიტორიული ცენტრისა და კონკურენტული ბაზრის პირობებში სხვადასხვა ეკონომიკური აქტივობებისთვის გამოყენებული იქნას სივრცე. ჩვენ მიწის საკითხს დეტალურად არ განვიხილავთ. საქართველოს შემთხვევაში ეს საკითხი განსაკუთრებით სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს. თუმცა, სივრცითი ეკონომიკისთვის რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა აუცილებელია აღვნიშნოთ (Fujita and Thisse 2013, 29-98): სარეალიზაციო ბაზართან სიახლოვესთან ერთად იზრდება მიწის ფასი; საცხოვრებლისა და გადაადგილების ხარჯები იზრდება ქალაქის ზომის ზრდასთან ერთად, რაც ამცირებს მოსახლეობის რეალურ შემოსავლებს. ეს უკანასკნელი არის ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც მოსახლეობის

ნაწილისთვის დიდ ქალაქებში ცხოვრება არ არის სასურველი. ამრიგად, მიწის ფასი არის ფაქტორი, რომელიც ხელს უშლის სივრცით კონცენტრაციას და ეკონომიკური აგლომერაციით შესაძლო სარგებლის მიღებას. საქართველოს შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ რამდენიმე ქალაქში თუ შეინიშნება საცხოვრებლისა და გადაადგილების დანახარჯების ზრდის ტენდენცია. ქალაქების ძირითადი ნაწილი კვლავ ნაკლებად მიმზიდველია მოსახლეობისა და ბიზნეს სექტორისთვის. შესაბამისად მიწის ფასი შედარებით დაბალია. დაბალი მიწის ფასი ცენტრების ჩამოყალიბებისა და აგლომერაციის პროცესის მაღალი ტემპის მიღწევის შესაძლებლობას ქმნის.

1.3 რეგიონები - ეკონომიკური პოლიტიკის ობიექტები

რეგიონული პოლიტიკის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რეგიონის, როგორც ტერიტორიული ერთეულის ჩამოყალიბებაზე და მისი საზღვრების ლოგიკური მსჯელობის შედეგად განსაზღვრაზე. იმ შემთხვევაში თუ რეგიონში შემავალ ტერიტორიულ ერთეულებში არ არის გამოხატული მსგავსება გარკვეული ინდიკატორების მიხედვით, პოლიტიკის დაგეგმვა, მით უფრო ეფექტიანად, მნიშვნელოვანი გამოწვევა იქნება. წარმოიდგინეთ ერთ პალატაში განთავსებული პაციენტები, რომელთა ნაწილსაც განსხვავებული ჯანმრთელობის პრობლემები აწუხებთ და თქვენ გინდათ მსგავსი დანიშნულებით უმკურნალოთ. ყველაზე მარტივი გამოსავალი იქნება უბრალოდ შეეცადოთ შეიმუშაოთ უნივერსალური დანიშნულება, რომელიც სავარაუდოდ არც პაციენტების საბოლოო გამოჯანმრთელებას მოგცემთ შედეგად, თუმცა, არც მათი მდგომარეობის მაშინვე გაუარესებას და დაღუპვას გამოიწვევს. უნივერსალური დანიშნულების შემუშავება მით უფრო რთულია, რაც მეტად განსხვავებულები არიან პაციენტები ერთმანეთისგან ასაკობრივი, ფიზიკური თუ სხვა მახასიათებლებით; რაც მეტად განსხვავებულია მათი პრობლემების გამომწვევი მიზეზები, სიმპტომები და შედეგები. გასათვალისწინებელია მათი წარსული გამოცდილებაც, აქამდე გაჩენილი ჯანმრთელობის პრობლემები, მათი მკურნალობის გზები და მიღებული შედეგები, წარუმატებელი მკურნალობის მიზეზების კვლევასთან ერთად. საკითხს უფრო ართულებს პაციენტების

შეზღუდული ფინანსური რესურსები, ზოგმა მათგანმა შესაძლოა ყველა დანიშნული წამლის შეძენა მოახერხოს, ზოგმა კი ვერა, რაც კიდევ უფრო მეტად შეამცირებს პაციენტების ნაწილში თქვენს მიერ შემუშავებული უნივერსალური დანიშნულების ეფექტიანობას. შედეგად, პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობას შორის დროთა განმავლობაში განსხვავება კიდევ უფრო მეტად გაიზრდება, რაც უკვე ახალი უნივერსალური დანიშნულების შემუშავებას პირვანდელზე უფრო რთულს გახდის და მის მოსალოდნელ ეფექტიანობას კიდეც უფრო შეამცირებს. ასე გაგრძელდება მანამ, სანამ პაციენტებს მსგავსი ნიშნით არ დავაჯგუფებთ და მიუხედავად მსგავსი მახასიათებლებისა ინდივიდუალურად არ მივუდგებით. ჯანდაცვის სფეროში ასეთი მიდგომის ჭეშმარიტება დღეს კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგას, არც რეგიონული ეკონომიკისა და პოლიტიკის სფეროში მოღვაწე ადამიანებს შორის წარმოადგენს რეგიონული დაყოფის მნიშვნელობა დავის საგანს, თუმცა, ზოგ შემთხვევაში არც რეგიონულ დაყოფას და არც შემდგომი პოლიტიკის დაგეგმვას აქვს თანმიმდევრული და გააზრებული ხასიათი. სწორედ ასეთი არის რეგიონული პოლიტიკის განხორციელების პროცესი და შედეგი, როდესაც პოლიტიკის გამტარებლები ცდილობენ ერთი უნივერსალური მიდგომით შეუწყონ ხელი რეგიონების განვითარებას. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რეგიონის შიგნით არსებული ტერიტორიული ერთეულები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

ამრიგად, რეგიონული მოწყობა რეგიონული პოლიტიკის ეფექტიანობის უმნიშვნელოვანესი საფუძველია. საბაზრო ჩავარდნები პოლიტიკის გამტარებლების ჩარევის ერთ-ერთი მიზეზია. ტერიტორიული ერთეულების დროთა განმავლობაში სპეციალიზაციამ ზოგ შემთხვევაში რეგიონების ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დააყენა, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ქვანახშირის წარმოებით ცნობილი შტატები ვაიომი, დასავლეთ ვირჯინია, კენტუკი, პენსილვანია და ილინოისი. როგორც კი, ქვანახშირის წარმოების დარგში დასაქმებულთა რაოდენობის შემცირების ტენდენცია დაიწყო შტატები უმუშევრობის დონის ზრდის გამოწვევის წინაშე დადგა. ტექნოლოგიურმა განვითარებამ და ალტერნატიული ენერგიის

წყაროების გაჩენამ, ქვანახშირის წარმოებაში ნაკლები სამუშაო ძალის ჩართულობა გახადა საჭირო. რა მოხდება თუ თავისუფალი ბაზრის იმედზე ხელისუფლება არაფერს გააკეთებს? საპასუხოდ გატარებული პოლიტიკის ეფექტიანობის ხარისხი ცალკე შეფასების საგანია, თუმცა, მოქმედების საჭიროება ნათელია. სხვა შემთხვევაში სტრუქტურული უმუშევრობა სპეციალიზებულ შტატებში მოსახლეობის სოციალური პირობების მნიშვნელოვან გაუარესებას გამოიწვევს, მათი ნაწილი სავარაუდოდ შეეცდება გადამზადდეს და სხვა შტატებში ეძიოს სამსახური. მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის შემცირება და საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება სპეციალიზებულ შტატებში არსებულ სამომხმარებლო მოთხოვნასაც შეამცირებს, რაც სხვა სექტორებშიც პრობლემების სათავე გახდება.

საბაზრო ჩავარდნების, ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებსა და განვითარებულ ქვეყნებში შემოსავლებისა და ეკონომიკური ზრდის დონეებს შორის განსხვავების ასახსნელად ჯოზეფ სტიგლიცი გვთავაზობს სამ მიზეზს, ესენია (Stiglitz 1989): (1) ცოდნა, რომელიც ჩნდება პრაქტიკასთან ერთად (learning by doing) და რომლის გადაცემაც ქვეყნიდან ქვეყანაში სრულყოფილად შეუძლებელია; (2) საკრედიტო ბაზრებზე შეზღუდულობა (credit rationing), რომელიც შესაძლოა ქვეყანაში არასასურველი ეკონომიკური შოკების შედეგად ჩამოყალიბდეს. ამ დროს, დიდი კორპორაციები იწყებენ შიდა ფინანსების გამოყენებას და გადანაწილებას დაქვემდებარებულ კომპანიებში. ამის შესაძლებლობა განვითარებულ ქვეყნებში არსებულ კომპანიებს უფრო მეტად აქვთ, ვიდრე განვითარებად ქვეყნებში მომუშავე მცირე მასშტაბის ფირმებს; (3) პროდუქტის წარმოება, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია მისი ხარისხის შეფასების სირთულეებთან მომხმარებლების მხრიდან. თუ უცხოელმა მომხმარებელმა საქართველოში წარმოებული თხილის ორ მწარმოებელს შორის გააკეთა არჩევანი, არჩეული პროდუქტი მისთვის დაბალი ხარისხის გამოდგა, ეს იმას ნიშნავს, რომ ის მეორე მწარმოებლის პროდუქტსაც აღარ შეიძენს? მიღებული უსიამოვნო გამოცდილებით ჩათვლის რომ საქართველოში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები დაბალი ხარისხისაა? ან ზოგადად საქართველოში წარმოებული ყველა პროდუქტი დაბალი ხარისხისაა,

რადგან ის განვითარებადი ქვეყანაა? თუ ვიტყვით, რომ პროდუქტის ხარისხი დამოკიდებულია იმ ეკონომიკურ გარემოზე, სადაც ის იწარმოება, სამუშაო ძალის ცოდნაზე, გამოყენებულ ტექნოლოგიებზე, მაშინ მოლოდინი იმისა, რომ ნაკლებად განვითარებულ ქვეყანაში წარმოებული პროდუქტის ხარისხი შედარებით დაბალი იქნება საღ აზრს მოკლებული ნამდვილად არ არის.

ინფორმაციის არასრულყოფილება და მის მისაღებად საჭირო დანახარჯები, ბაზრის შესაძლებლობა ინვესტორებს მისცეს სწორი სიგნალი აუცილებლად უნდა განვიხილოთ ზემოთ წარმოდგენილ მიზეზთა შორის. აღნიშნული ფაქტორები გარკვეულწილად ხსნის თუ რატომ შეიძლება გაჩნდეს საბაზრო ჩავარდნები და სად შეიძლება ხელისუფლებამ დაინახოს საკუთარი როლი.

ანალიზისთვის საჭიროა გამოვყოთ ის ძირითადი ეტაპები, რომელთა გათვალისწინებითაც ბიზნეს სუბიექტები იღებენ გადაწყვეტილებას ჩადონ ინვესტიცია კონკრეტულ ტერიტორიულ ერთეულში კონკრეტული ეკონომიკური საქმიანობის წამოსაწყებად. ამ პროცესის შემადგენელ მნიშვნელოვან ეტაპებად უნდა გამოვყოთ:

- არსებული ბიზნეს ობიექტები და მათი საქმიანობის მომგებიანობა;
- დახურული ბიზნეს ობიექტები და მათი საქმიანობის წარუმატებლობის მიზეზების ანალიზი. ამ ეტაპზე აუცილებელია შეფასდეს ბიზნეს საქმიანობის შეწყვეტა შიდა ფაქტორებით იყო განპირობებული (სუსტი მენეჯმენტი და სხვა.) თუ ისეთი გარე ფაქტორებით, რომლებიც მართვას არ ექვემდებარება.
- ბაზრის შესწავლა, მოთხოვნისა და მიწოდების მახასიათებლების ანალიზი.

თითოეული ეტაპი საჭიროებს სათანადო ინფორმაციაზე წვდომას. ინფორმაციის წყარო შეიძლება იყოს ქვეყნის სტატისტიკის ეროვნული სამსახური ან შესაძლებელია თავად ბიზნეს სუბიექტმა მოიპოვოს ინფორმაცია, რაც არც თუ მცირე დანახარჯებთან არის დაკავშირებული. ასეთი დანახარჯების გაწევის შესაძლებლობა მცირდება პოტენციური ინვესტიციისა და ბიზნესის სავარაუდო ზომის სიმცირესთან ერთად. საქართველოში სტატისტიკურ ინფორმაციაზე

წვდომის პრობლემა უკვე წლებია აქტუალურია, ინფორმაცია ძირითად შემთხვევაში ზოგადია და წარმოდგენილია რეგიონებისთვის, ზოგ შემთხვევაში კი გაერთიანებული რეგიონებისთვის. შეიძლება ითქვას, რომ დღეს სტატისტიკის ეროვნული სამსახური საქართველოში ვერ ქმნის იმ ბაზას, რომელიც ბიზნეს სუბიექტს საშუალებას მისცემს შესაბამისი ანალიზის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება კონკრეტულ ტერიტორიულ ერთეულში კონკრეტული საქმიანობის წამოწყების შესახებ. შედეგად, ბიზნეს სუბიექტების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით მცირე ბიზნესის შემთხვევაში, ყოველგვარი ანალიზისა და შეფასების გარეშე, გამართლების იმედით იწყებენ ეკონომიკურ საქმიანობას, განსაკუთრებით როდესაც ამაში სახელმწიფო ან საერთაშორისო ორგანიზაციების საგრანტო კომპონენტი ეხმარებათ.

რა როლი შეიძლება შეასრულოს სახელმწიფომ მაშინ, როდესაც ქვეყანაში არსებული ინფორმაციული ბაზა ბიზნეს საშუალებას არ აძლევს მიიღოს სწორი სიგნალები, ან მაშინ, როდესაც ცდილობს ხელი შეუწყოს ისეთი ტერიტორიული ერთეულის განვითარებას, სადაც გამოცდილება ეკონომიკური საქმიანობის წარმატების თუ წარუმატებლობის არ არსებობს.

განვიხილოთ **სახელმწიფო, როგორც ბიზნეს საქმიანობის განმახორციელებელი.** ასეთი შემთხვევის ერთ-ერთ მიზანს შესაძლოა წარმოადგენდეს რისკისა და არასრულყოფილი ინფორმაციის პირობებში სახელმწიფომ პოტენციურ ინვესტორებს მისცეს დაკვირვების შესაძლებლობა. ექსპერტთა დიდი ნაწილის მოსაზრებით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების ფუნქციონირება არაეფექტიანია და მათი კერძო მფლობელობაში გადასვლა არის ეფექტიანობის გაზრდის საწყისი. სახელმწიფო საწარმოების არარენტაბელურობას უამრავი კვლევა და მათი ფინანსური დოკუმენტაციის ანალიზი ადასტურებს, თუმცა მათი ფუნქციონირების არაეფექტიანობის შესაფასებლად ეს საკმარისი არ არის. პირველ რიგში უნდა გაანალიზდეს რა მიზანს ემსახურებოდა მათი შექმნა? რა ფაქტორებმა განაპირობა საჭიროება სახელმწიფოს დაეფუძნებინა საწარმო და რატომ კერძო ბიზნესი არ დაინტერესდა? როგორ შევაფასოთ მიღწეულ იქნა თუ არა მიზანი? საჭიროა ამ საკითხების შესწავლა იმისთვის, რომ დავასკვნათ სახელმწიფოს

გადაწყვეტილება გახდეს ბიზნესის მესაკუთრე არაეფექტიანია თუ უბრალოდ არამომგებიანია როგორც ბიზნეს საქმიანობა. ამის მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ, შ.პ.ს „Goderdzi Resort".

მაგალითი - შ.პ.ს „Goderdzi Resort - (შემთხვევის შესწავლა)

ზღვის დონიდან 2,000 მეტრზე მდებარე სამთო-სათხილამურო კურორტი „გოდერძი" დამსვენებლებს და ექსტრემალური ტურიზმის მოყვარულებს მხოლოდ 3 წელია რაც იღებს. კურორტზე დამსვენებლების მიღება შესაძლებელი გახდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 100% წილობრივი მონაწილეობით საწარმოს შ.პ.ს "Goderdzi Resort" დაფუძნებით.

შ.პ.ს „Goderdzi Resort"-ი ახორციელებს კურორტზე არსებული 6 კოტეჯისა და სასტუმრო „მეტეო"-ს ადმინისტრირებას, რომელშიც შესაძლებელია 30-32 ადამიანის განთავსება. კოტეჯები გათვლილია 72 ადამიანზე. კოტეჯები უმეტეს წილად ზაფხულში არ მუშაობს, თუმცა, სასტუმრო „მეტეო", რომელიც ზუსტად გოდერძის უღელტეხილთან მდებარეობს, მთელი წლის განმავლობაში ფუნქციონირებს. კურორტის დატვირთვა მაინც სეზონურია და ტურისტების მიღება ძირითადად ზამთრის სეზონზე ხდება. კურორტზე არსებული ბუნებრივი პირობები, ტყეები და სამკურნალო წყლები იძლევა შესაძლებლობას დამსვენებლები ზაფხულის პერიოდშიც დაინტერესდნენ, რაც კურორტზე შესაბამისი სერვისების შექმნისთვის ხელისშემწყობი ფაქტორია.

შ.პ.ს „Goderdzi Resort"-ის დაფუძნების მიზანი იყო კურორტ „გოდერძი"-ს ეტაპობრივი განვითარება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით, რომელსაც წინ უსწრებდა 2012 წელს საბაგიროების მშენებლობა. *„ჩვენთვის მთავარი იყო აგვეშენებინა საბაგიროები და ინვესტორებისთვის დაგვენახებინა პოტენციალი. მას შემდეგ რაც საბაგიროები აშენდა, ინვესტორს უნდა დაენახა, რომ კურორტზე იქნებოდა ტურისტების მოდინება და მიიღეს გადაწყვეტილება აეშენებინათ ეს კოტეჯები"* - *აღნიშნავს შ.პ.ს „Goderdzi Resort"-ის წარმომადგენელი.*

კურორტის მოწყობა შესაძლებელი გახდა ავსტრიული ბანკისგან ავსტრიის მთავრობის მხარდაჭერით 11 მლნ ევრომდე უპროცენტო სესხის ინვესტირებით. ჩადებულმა ინვესტიციამ ბიძგი მისცა სხვა ინვესტორებსაც და დღეს საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს 10-მდე სასტუმროს მშენებლობა, მათ შორის სასტუმრო-კომპლექსების, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის კურორტის შესაძლებლობას მიიღოს დამსვენებლები და შეთავაზოს მათ მრავალფეროვანი სერვისი.

სასტუმრო „მეტეოსა" და კოტეჯების გახსნით შესაძლებელი გახდა კურორტზე ტურისტების პოტენციურ ნაკადზე დაკვირვება. *„2015 წელს გავიხსენით და შარშან გვქონდა დაახლოებით 70%-იანი მატება ხალხის. წინა წლებში დაახლოებით 40%-იანი მატება, წელს ველოდებით დაახლოებით 90%-იან მატებას".* ამ რამდენიმე წლიანმა

გამოცდილებამ აჩვენა კურორტის დამატებით განვითარების საჭიროება, შესაბამისად იწყება კურორტის ქვედა უბნის განაშენიანება დამატებით 200 ჰექტარზე. *„გეგმის მიხედვით უნდა არსებობდეს კურორტზე 6 საბაგირო გზა და 48 კმ სათხილამურო ტრასები და ვიწყებთ აქტიურ მუშაობას მესამე საბაგიროს მშენებლობაზე, რომელიც სასტუმრო „მეტეოს“ მოემსახურება“* - აღნიშნავს შ.პ.ს *„Goderdzi Resort”-ის წარმომადგენელი.*

სასტუმრო „მეტეოსა“ და კოტეჯების თუ სხვა ბიზნეს სუბიექტების ძირითად პრობლემას და განვითარების დამაბრკოლებელ ფაქტორებს წარმოადგენს ბუნებრივი აირის არ არსებობა და საგზაო ინფრასტრუქტურის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. *„აქ ერთი მომენტია, რომელიც გასათვალისწინებელია გზასთან დაკავშირებით. დამსვენებელს უწევს ძალიან დიდი ხანი გზაში ყოფნა, 150 კმ-ის გასავლელად სჭირდებათ 5 საათი“.* არის მოლოდინები, რომ 2020 წლისთვის ბუნებრივი აირი უკვე იქნება კურორტზე.

შ.პ.ს „Goderdzi Resort” დღეს ასაქმებს 31 ადამიანს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მისი დაფუძნების შედეგად მიღებული ეკონომიკური ეფექტი ამ მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად დიდია.

წარმოდგენილი შემთხვევა არის სახელმწიფო პოლიტიკის მაგალითი, რომელიც ცდილობს ინვესტორს მისცეს სწორი სიგნალი ინფორმაციის არ არსებობის თუ სიმცირის შემთხვევაში და შექმნას მათთვის დაკვირვების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში სასტუმრო „მეტეოსა“ და კოტეჯების მშენებლობის ეფექტიანობის შეფასება მხოლოდ ფინანსური დოკუმენტების ანალიზით არ იქნება გამართლებული.

ხშირ შემთხვევაში ასეთი პოლიტიკის მიზანია ახალ ტერიტორიულ ერთეულებზე ეკონომიკური საქმიანობის წამოწყებისთვის ბიძგის მიცემა. ეკონომიკური საქმიანობის სივრცითი კონცენტრაცია პოლიტიკის გამტარებლებისთვის სხვა გამოწვევებსაც აჩენს. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი.

მართალია სხვადასხვა ქვეყნის განვითარების დონეს შორის განსხვავებულობა, და ქვეყნის შიგნით რეგიონებს შორის უთანასწორობას ერთი და იგივე ფაქტორები არ განაპირობებს, თუმცა, ფაქტორები, რომლებიც ბიზნეს სუბიექტებისა და მომხმარებლების გადაწყვეტილებებზე ახდენენ გავლენას, მსგავსად მოქმედებენ ამ ორ განსხვავებულ შემთხვევაში.

ინოვაციებისა და ცოდნის გავრცელების ხელშეწყობა

რეგიონული პოლიტიკის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ხელი შეეწყოს რეგიონებს შორის ცოდნისა და გამოცდილების გაცვლასა და გაზიარებას, საწარმოო პროცესისა და ტექნოლოგიების შესწავლის მიზნით გასვლითი ღონისძიებების ორგანიზებას. გასათვალისწინებელია, რომ რეგიონების დაახლოების მცდელობა ცოდნის გავრცელების ხელშეწყობით და ამავე დროს ინოვაციების შექმნის მხარდაჭერა ხშირ შემთხვევაში შეუთავსებელი ამოცანებია. ინოვაციების სტიმული მაშინ არსებობს, როდესაც მეწარმეს აქვს მოლოდინი, რომ ამ ინოვაციიდან მიიღებს მოგებას, რაც პირდაპირ დაკავშირებულია ინოვაციაზე მონოპოლიურ საკუთრებასთან. იმ შემთხვევაში, თუ რეგიონული პოლიტიკის მიზანია ინოვაციებიდან სარგებელი და ცოდნა მალევე გავრცელდეს რეგიონებს შორის, მაშინ ინოვაციიდან პოტენციური სარგებლის მოლოდინი დაბალია, რაც ინოვაციების შექმნის სტიმულს ამცირებს. როგორ შეუძლია პოლიტიკის გამტარებელს ინოვაციებისა და ცოდნის გავრცელების ხელშეწყობის ორი ამოცანა ერთდროულად დაისახოს? თუ ცოდნის გავრცელების ხელშეწყობის სტრატეგიის შერჩევა მოხდება, ის ეფექტიანი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცოდნის გავრცელება ზეგავლენას არ მოახდენს ცოდნის შემქმნელების მონოპოლიურ მოგებაზე (Dawkins 2003). ამრიგად, ამ შემთხვევაში პოლიტიკის გამტარებლებმა მხოლოდ იმაზე კი არ უნდა იფიქრონ, თუ როგორ შეუწყონ ხელი ცოდნის გაზიარებას რეგიონებს შორის, არამედ უპირველესი და უფრო ღრმა ანალიზის საგანი უნდა იყოს ასეთი პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, რა პარალელური ღონისძიებები აქვთ გათვალისწინებული ინოვაციების შექმნის სტიმულების შესანარჩუნებლად. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ინოვაციები და ახალი ცოდნის შექმნა დაკავშირებულია საკმაოდ მნიშვნელოვან დანახარჯებთან, უკვე შექმნილი ინოვაციური ტექნოლოგიის გამოყენება კი მნიშვნელოვნად უფრო მარტივი და ნაკლებ ხარჯიანია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს მთავრობის ხელშეწყობით ხდება და გათანაბრების პოლიტიკის ამოცანას წარმოადგენს.

„თანასწორობისა“ და „ეფექტიანობის“ მიზნები

წლებია განხილვის საგანს წარმოადგენს, თუ რამდენად უწყობს ხელს ეფექტიანობაზე ორიენტირებული რეგიონული პოლიტიკა რეგიონებს შორის სიმდიდრის თანაბარ განაწილებას და პირიქით, შეიძლება თუ არა რომ თანასწორობაზე ორიენტაცია იყოს არაეფექტიანობის მიზეზი (Dawkins 2013, 149). მაშინ როდესაც, ეფექტიანობის მიზანი გულისხმობს ეროვნული ეკონომიკის ზრდის მაქსიმიზაციას და რესურსების ოპტიმალურ განაწილებას დროში, თანასწორობის მიზანი ორიენტირებულია რეგიონებს შორის შემოსავლების, სიმდიდრისა და ეკონომიკური ზრდის არათანაბარი დონის შემცირებაზე (Richardson 1977, 177).

აღნიშნული მიზნები გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა თავსებადი იყოს, თუმცა, რეგიონების არათანაბარი განვითარების პრობლემის სიმწვავე, რაც ქვეყნების განვითარების პროცესის ადრეულ ეტაპზე იჩენს თავს, პოლიტიკის გამტარებლებისგან ერთ მიზანზე ორიენტირებულობას ითხოვს. იმისდა მიუხედავად თუ რა იქნება პოლიტიკის გამტარებლების არჩევანი, უთანასწორობის გამომწვევი ფაქტორების შესწავლის აუცილებლობა გარდაუვალია. ამასთან, საჭიროა იმ სარგებლისა და დანახარჯების ანალიზი, რომელიც ხელისუფლების ჩარევით ეკონომიკური ზრდის მიმართულების შეცვლის შედეგად მიიღება.

თავი 2. სივრცით-ტერიტორიული მოწყობა და რეგიონული პოლიტიკა საქართველოში

საქართველო მდებარეობს მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ რეგიონში, დიდი აბრეშუმის გზის საკვანძო ადგილზე, რომელიც ისტორიულად უდიდეს როლს თამაშობდა ევროპისა და აზიის განვითარებასა და ურთიერთობებში.

2.1 საქართველოს რეგიონების ურთიერთდამოკიდებულება და მახასიათებლები

საქართველოს ტერიტორიული მოწყობა მოიცავს 2 ავტონომიურ რესპუბლიკას და 69 მუნიციპალიტეტს, საიდანაც 64 მუნიციპალიტეტის ტერიტორია არის საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებადი. საქართველოში მუნიციპალიტეტი თვითმმართველობის ერთადერთი დონეა, შესაბამისად მმართველობის რეგიონული დონე და რეგიონის ცნება კანონით არ არის განსაზღვრული. საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებ-გვერდის მიხედვით საქართველოს რეგიონების ჩამონათვალში 11 ტერიტორიული ერთეულია, საიდანაც 2 არის აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ხოლო დარჩენილი 9 არის მოხსენიებული როგორც ისტორიული მხარე: გურიის, იმერეთის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის მხარეები. თითოეული მხარე, თავის მხრივ, მოიცავს მუნიციპალიტეტებს, რომელთა ადმინისტრაციული საზღვრებიც ავტომატურად განსაზღვრავს შესაბამისი მხარის საზღვრებს. თვითმმართველობის ერთდონიანი სისტემა ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის კოორდინაციის პრობლემას წარმოშობს. ამის საპასუხოდ შექმნილია სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის სტრუქტურული ერთეული, რომელსაც მეტწილად ცენტრალური ხელისუფლების რეგიონული პოლიტიკის განხორციელებაში კოორდინატორის ფუნქცია აკისრია. სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის დებულების

მიხედვით მისი სამოქმედო ტერიტორია მოიცავს გარკვეულ მუნიციპალიტეტებს და შესაბამისად მათ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს.

ზემოთ დასახელებული 9 რეგიონი, როგორც წესი, რეგიონული პოლიტიკის ობიექტებად განიხილება დროთა განმავლობაში გეოგრაფიული და ისტორიული საფუძვლებით არის ჩამოყალიბებული. რეგიონული პოლიტიკის მიზნებისთვის ქვეყნის ასეთი დაყოფის მიზანშეწონილობა ჯერ-ჯერობით შესწავლის საგანი არ ყოფილა. ამასთან, ჩანს ტენდენცია, რომ არც ერთ ქვეყანაში არ შეესაბამება პოლიტიკური და ადმინისტრაციული საზღვრები ეკონომიკურს (Ray 1985, 413). თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ გამოწვევა უგულებელყოფილი უნდა იყოს რეგიონული პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში. ზოგადი დაკვირვებით შეფასების გარდა, კვლევის ერთ-ერთ ამოცანად დავისახეთ საქართველოს რეგიონების არსებული „გამიჯვნის“ შეფასება. პირველ ეტაპზე შევაჯამეთ რეგიონების ჩამოყალიბების საფუძვლების შესახებ სხვადასხვა მეცნიერების მიდგომები, თეორიები და მოდელები, რის შედეგადაც განვსაზღვრეთ შეფასების კრიტერიუმები (ჯიბუტი 2019). ეს კრიტერიუმებია:

1. რეგიონებში ვხვდებით ცენტრალურ ადგილებს, ე.წ. „მიზიდულობის ცენტრებს“;
2. თითოეული რეგიონი მოიცავს მცირე რაოდენობით მაღალი მოთხოვნილების მქონე დასახლებებს და დიდი რაოდენობით დაბალი მოთხოვნილების მქონე დასახლებებს;
3. ადამიანური, კაპიტალური და სასაქონლო ნაკადები უფრო მეტად გადაადგილდება რეგიონის შიგნით, ვიდრე სხვა რეგიონებში;
4. ახასიათებთ სხვადასხვა გარე თუ შიდა ფაქტორების ზეგავლენის მსგავსი შედეგები რეგიონის ფარგლებში;
5. საცხოვრებელსა და სამუშაო ადგილს შორის მოსახლეობის გადაადგილების ინტენსივობა მაღალია რეგიონის შიგნით;
6. რეგიონები ადმინისტრაციული ერთეულებია;

7. ბუნებრივი რესურსები, ეკოსისტემა თუ სხვა გეოგრაფიული ნიშნები მსგავსია რეგიონის შიგნით;
8. რეგიონებს ახასიათებთ ეკონომიკური ერთგვაროვნება;
9. რეგიონებს ახასიათებთ მართვადობა.

იმისთვის, რომ ზემოთ წარმოდგენილი კრიტერიუმების საფუძველზე გაგვეკეთებინა დასკვნები, შევისწავლეთ საქართველოს რეგიონების განვითარების სტრატეგიები 2014-2021 წლებისთვის, სადაც მეტწილად წარმოდგენილია რეგიონების აღწერილობითი ინფორმაცია.

რეგიონებში ვხვდებით ცენტრალურ ადგილებს, ე.წ. „მიზიდულობის ცენტრებს“ – შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ კრიტერიუმს ყველა რეგიონი აკმაყოფილებს. თითოეული რეგიონი მოიცავს მუნიციპალიტეტებს, რომლებსაც, თავის მხრივ, აქვთ ადმინისტრაციული ცენტრები. „მიზიდულობის ცენტრის“ განსაზღვრისთვის შესაძლებელია უფრო ღრმა ანალიზის ჩატარება და ცალკე კრიტერიუმების განსაზღვრა, თუმცა, ამ ეტაპზე კვლევის მიზნებისთვის ხარისხობრივი შეფასების გაკეთება უფრო მიზანშეწონილია.

თითოეული რეგიონი მოიცავს მცირე რაოდენობით მაღალი მოთხოვნილების მქონე დასახლებებს და დიდი რაოდენობით დაბალი მოთხოვნილების მქონე დასახლებებს - მოთხოვნილების დონის განსაზღვრისთვის გამოვიყენეთ მოსახლეობის მხრიდან წარმოქმნილი მოთხოვნილება, შესაბამისად ამ კრიტერიუმის შესაფასებელ ინდიკატორად განისაზღვრა მოსახლეობის რაოდენობა და დასახლებების ზომა. თითოეულ რეგიონში ვხვდებით მცირე რაოდენობით საქალაქო ტიპის დასახლებებს (მასში გაერთიანებულია, როგორც ქალაქი, ისე დაბა) და დიდი რაოდენობით სასოფლო ტიპის დასახლებებს (იხ. ცხრილი 2.1.1). ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ კრიტერიუმსაც საქართველოს რეგიონები აკმაყოფილებს.

რეგიონები	ქალაქების რაოდენობა	1 ქალაქში მცხოვრები მოსახლეობის საშუალო რაოდენობა	დაბების რაოდენობა	1 დაბაში მცხოვრები მოსახლეობის საშუალო რაოდენობა	სოფლების რაოდენობა	1 სასოფლო დასახლებაში მცხოვრები მოსახლეობის საშუალო რაოდენობა	საქალაქო დასახლებებში სამომხმარებლო მოთხოვნის ფართობითი განსხვავება სასოფლო დასახლებებისგან
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	2	84693	5	3078	322	463	189
გურია	2	10590	5	2145	186	438	29
იმერეთი	11	23168	2	1834	535	515	49
კახეთი	9	7947	0	-	333	742	11
მცხეთა-მთიანეთი	2	7054	5	1430	480	153	56
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	3	2008	2	474	251	100	25
სამეგრელო-ზემო სვანეთი	8	15535	2	2557	521	387	47
სამცხე-ჯავახეთი	5	9107	7	1304	259	409	25
ქვემო ქართლი	7	24731	5	1401	351	695	38
შიდა ქართლი	4	23589	2	5428	373	424	68

ცხრილი 2.1.1 დასახლებების დაჯგუფება მათი რაოდენობისა (ცალი) და მოსახლეობის საშუალო რიცხოვნობის მიხედვით (ადამიანი) რეგიონულ ჭრილში

წყარო: ავტორის დაანგარიშება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოსახლეობის გეოგრაფიული განაწილება და შიდა მიგრაცია, მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემებით

აღნიშნული კრიტერიუმის ანალიზის პროცესში გამოიკვეთა, რომ რეგიონების ქალაქებში, დაბებსა თუ სოფლებში მოსახლეობის რაოდენობის განაწილება, ისევე როგორც სხვადასხვა ტიპის დასახლებების რაოდენობა, საკმაოდ ასიმეტრიულია.

ქალაქებში ყველაზე მეტად დასახლებული რეგიონის საშუალო მაჩვენებელი 12-ჯერ აღემატება ყველაზე ნაკლებად დასახლებული რეგიონის საშუალო მაჩვენებელს. იმერეთის რეგიონში ვხვდებით 11 ქალაქს, მაშინ როდესაც გურიისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში არის მხოლოდ ორ-ორი. **რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში ერთ დაბის ტიპის დასახლებაში (მიეკუთვნება საქალაქო დასახლებას) ცხოვრობს საშუალოდ იმაზე ნაკლები ადამიანი, ვიდრე იმერეთის, კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონების სოფელში.** ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ თითოეული რეგიონი ზემოთ განხილულ კრიტერიუმს ინდივიდუალურად აკმაყოფილებს, მათი შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ ამ კრიტერიუმის დაკმაყოფილების ხარისხი განსხვავებულია თითოეულისთვის.

ადამიანური, კაპიტალური და სასაქონლო ნაკადები უფრო მეტად გადაადგილდება რეგიონის შიგნით ვიდრე სხვა რეგიონებში - სტატისტიკური ინფორმაციიდან გამომდინარე, რთულია ამ კომპონენტის რაოდენობრივი მაჩვენებლებით შეფასება, თუმცა, ადამიანური ნაკადების გადაადგილების შეფასებისთვის შესაძლებელია გამოვიყენოთ 2014 წლის აღწერის მონაცემები შიდა მიგრანტების განაწილების შესახებ. ეს მონაცემები გვაჩვენებს რომ ადამიანური ნაკადების გადაადგილება არც თუ ძლიერად არის კონცენტრირებული რეგიონის შიგნით, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ მონაცემები მოიცავს დაოჯახების შედეგად საცხოვრებელი ადგილის შეცვლას, რაც უმეტეს შემთხვევაში მოსალოდნელია რეგიონის შიგნით. **რეკომენდირებულია მოსახლეობის აღწერის პროცესში შიდა მიგრაციის გამოკვლევის მეთოდოლოგიას დაემატოს შიდა მიგრაციის მიზეზების დაფიქსირების ველი, რათა შესაძლებელი გახდეს ადამიანური ნაკადების გადაადგილების მიზეზების შესწავლა, რაც მნიშვნელოვანია რეგიონული ეკონომიკისათვის.**

აჭარის ა/რ-ში იმ ადამიანების წილი, რომლებმაც რეგიონის შიგნით შეიცვალეს საცხოვრებელი ადგილი შეადგენს 71%-ს, ქვემო ქართლის რეგიონისთვის ეს მაჩვენებელი ყველაზე დაბალია და მხოლოდ 17%-ს შეადგენს. იმისთვის, რომ გაგვეკეთებინა დასკვნა თითოეული რეგიონისთვის ადამიანური ნაკადები უფრო

მეტად გადაადგილდება რეგიონის შიგნით თუ არა, ავიღეთ საშუალო მაჩვენებელი, კერძოდ თუ მოსახლეობის 50%-ზე მეტმა მუდმივი საცხოვრებელი შეიცვალა, თუმცა, დარჩა ისევ რეგიონში, ესე იგი ადამიანური ნაკადები უფრო მეტად გადაადგილდება რეგიონის შიგნით. ასეთი რეგიონია მხოლოდ ოთხი (აჭარა, იმერეთი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი), სხვა დანარჩენი ექვსი რეგიონისთვის (დედაქალაქს არ ვითვალისწინებთ) ადამიანური ნაკადები მეტად გადაადგილდება სხვა რეგიონებში. სასაქონლო ნაკადების გადაადგილების შეფასებისთვის დავეყრდენით სხვადასხვა კვლევის ანგარიშებს, ასევე, თავად რეგიონების განვითარების სტრატეგიებში წამოყენებულ გამოწვევებსა და რეგიონებში არსებული განთავსების ობიექტების, საკვები და სავაჭრო ბიზნესის წარმომადგენლებთან ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგებს. რეგიონებში ბიზნეს ობიექტების ძირითადი ნაწილი დედაქალაქიდან ახდენს პროდუქტის დისტრიბუციას თავად, ან სადისტრიბუციო კომპანიის დახმარებით. გადამამუშავებელი სექტორი რეგიონებში ნაკლებად არის განვითარებული, პირველად წარმოებაში ჩართულ ფერმერებს კი ხშირ შემთხვევაში არ აქვთ პროდუქტის რეალიზაციისთვის კრიტიკული მასა, ან ვერ აკმაყოფილებს გარკვეულ სტანდარტებს. ამრიგად, სავაჭრო ურთიერთობები განსაკუთრებით შედარებით მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებისთვის, მათთან არახელსაყრელია. შესაბამისად, სასაქონლო ნაკადები უფრო მეტად გადაადგილდება რეგიონების გარეთ, დედაქალაქის მიმართულებით. განხილულ კრიტერიუმს რეგიონები ვერ აკმაყოფილებენ.

ახასიათებთ სხვადასხვა გარე თუ შიდა ფაქტორების ზეგავლენის მსგავსი შედეგები რეგიონის ფარგლებში - რეგიონების განვითარების სტრატეგიებში წარმოდგენილ SWOT ანალიზს თუ დავეყრდნობით, მთლიანად რეგიონისთვის პოტენციური საფრთხეების ნაწილში მსგავსი ფაქტორებია გამოვლენილი. რეგიონის კონკრეტული ტერიტორიული ერთეულებისთვის გამოკვეთილად განსხვავებული საფრთხეები არ არის განხილული. თუმცა, ეს თავად დოკუმენტის უფრო მეტად ზოგად შეფასებებზე ორიენტაციით არის განპირობებული. მსგავსი საფრთხეები არის იდენტიფიცირებული არ მხოლოდ თავად რეგიონისთვის, არამედ სხვადასხვა

რეგიონებისთვისაც. რეგიონების SWOT ანალიზის საფრთხეების ნაწილის შედარებისას გამოვლინდა, რომ სხვადასხვა გარე თუ შიდა ფაქტორის ზეგავლენას მეტწილად მსგავსი შედეგები ექნება მთლიანად ქვეყნის სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულებისთვის.

საცხოვრებელსა და სამუშაო ადგილს შორის მოსახლეობის გადაადგილების ინტენსივობა მაღალია რეგიონის შიგნით - რეგიონებში საგზაო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმართაობა და გადაადგილებასთან დაკავშირებული ხარჯები ნაკლებად იძლევა საცხოვრებელი ადგილიდან სამუშაოდ შორ მანძილზე გადაადგილების შესაძლებლობას. ძირითად შემთხვევაში მოსახლეობა გადაადგილდება საცხოვრებელსა და მის მუნიციპალურ ცენტრს შორის, სადაც მეტ-ნაკლებად აქვთ დასაქმების შესაძლებლობა, ან დასაქმების მიზნისთვის იცვლიან საცხოვრებელ ადგილს, ამ შემთხვევაში უფრო მეტად ხშირი მიმართულებაა დედაქალაქი. გამომდინარე იქიდან, რომ მოსახლეობის გადაადგილება სამუშაო ადგილზე მეტ წილად ხდება მუნიციპალიტეტის შიგნით, უნდა შეფასდეს რომ საცხოვრებელსა და სამუშაო ადგილს შორის მოსახლეობის გადაადგილების ინტენსივობა მაღალია რეგიონის შიგნით.

რეგიონი ადმინისტრაციული ერთეულია - გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში მართვის რეგიონული დონე არ არის ჩამოყალიბებული, რეგიონები ადმინისტრაციულ ერთეულებს არ წარმოადგენენ. რეგიონების განვითარების სტრატეგიები არის შემუშავებული, თუმცა, მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყება არ არის განსაზღვრული.

ბუნებრივი რესურსები, ეკოსისტემა თუ სხვა გეოგრაფიული ნიშნები მსგავსია რეგიონის შიგნით - რეგიონების განვითარების სტრატეგიების და სხვა სამთავრობო დოკუმენტების ანალიზი ნათლად გვიჩვენებს რომ რეგიონების სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულები ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ბუნებრივი რესურსითა და გეოგრაფიული ნიშნებით. ამის შეფასების ერთ-ერთ ინდიკატორად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მაღალმთიანი დასახლებების რაოდენობის წილი მთლიანად დასახლებების რაოდენობასთან მიმართებაში: იმ

შემთხვევაში თუ რეგიონის დასახლებების 70-ზე მეტს მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი, ან შესაბამისად 30%-ზე ნაკლებს არ აქვს მინიჭებული რეგიონის გეოგრაფიული ნიშნები მეტ-ნაკლებად მსგავსია. ამ ინდიკატორით შეფასებისას მივიღეთ, რომ 5 რეგიონისთვის მაღალმთიანი დასახლებების წილი დასახლებების მთლიან რაოდენობასთან მიმართებაში მკაფიოდ მაღალი ან დაბალია: გურიის რეგიონისთვის - 2%; იმერეთის რეგიონისთვის - 11%; მცხეთა-მთიანეთის რეგიონისთვის - 81%; სამცხე-ჯავახეთის რეგიონისთვის - 82%; რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ყველა დასახლება მაღალმთიანია. დარჩენილი 5 რეგიონისთვის კი ასეთი გეოგრაფიული მსგავსება არ გამოიხატა: ქვემო ქართლის რეგიონის დასახლებების 45%-ს მაღალმთიანის სტატუსი აქვს მინიჭებული; შიდა ქართლის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 38%-ია; კახეთის შემთხვევაში - 33%; აჭარის შემთხვევაში კი - 65%. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მთლიანად ზემო სვანეთის რეგიონს (მესტიის მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებას) აქვს მაღალმთიანის სტატუსი მინიჭებული, მიუხედავად იმისა, რომ ზემო სვანეთის დასახლებების რაოდენობა რეგიონის დასახლებების მხოლოდ 30%-ს შეადგენს, ტერიტორია, რომელსაც ის მოიცავს, რეგიონის მთლიანი ტერიტორიის ნახევარზე მეტია. ამრიგად, ამ ინდიკატორით რეგიონების მხოლოდ ნახევარზე შეიძლება ითქვას. რომ მათ ტერიტორიას მეტ-ნაკლებად მსგავსი გეოგრაფიული ნიშნები ახასიათებს.

ახასიათებთ ეკონომიკური ერთგვაროვნება - რეგიონების განვითარების სტრატეგიები, თუ სხვა დოკუმენტები, რომლებიც აღწერენ რეგიონების რესურსულ მახასიათებლებს, ნათლად აჩვენებს, რომ ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები და ეკონომიკის პოტენციურად წამყვანი დარგები რეგიონებში განსხვავებულია სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულებისთვის. მაგალითად, გურიის რეგიონის ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ურეკის საზღვაო ზოლის არსებობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბახმაროს კურორტისაგან განსხვავებულ ეკონომიკურ შესაძლებლობებს ქმნის. იგივე შეიძლება ითქვას ზემო სვანეთისა და რეგიონის დარჩენილი ტერიტორიის ეკონომიკის მახასიათებლებზე, ისევე როგორც ყაზბეგისა და მცხეთის მუნიციპალიტეტებზე. თუმცა, თავად

რეგიონების ეკონომიკებს ახასიათებთ ერთგვაროვნება. ამასთან ვგულისხმობთ რომ ეკონომიკა საკმაოდ დივერსიფიცირებულია თითოეული მათგანისთვის (აღნიშნულ საკითხს დეტალურად განვიხილავთ მომდევნო თავში).

რეგიონებს ახასიათებთ მართვადობა - რთულია ამ კრიტერიუმის შეფასება, რადგან წარსული გამოცდილების არ ქონა ამის საფუძველს არ გვაძლევს, მხოლოდ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე 18 მაზრის არსებობა შეგვიძლია გავიხსენოთ, თუმცა, იმ პერიოდში ეკონომიკური განვითარების რაციონალურ დაგეგმვაზე საუბარია ზედმეტია. მართვადობის განსაზღვრისთვის შეგვიძლია რეგიონის მუნიციპალიტეტებს შორის არსებული განსხვავება, მათი ტერიტორიული ერთეულების ერთმანეთისგან დაშორება და საერთაშორისო პრაქტიკა გამოვიყენოთ. რეგიონებში გაერთიანებული მუნიციპალიტეტები ერთმანეთისგან უმეტეს შემთხვევაში განსხვავდებიან, მაგალითად მესტიისა და ფოთის მუნიციპალიტეტები, რომლებიც ერთ რეგიონში არის მოქცეულები. კახეთის ტერიტორია, რომლის ფართობიც 11,300 ათას კმ^2-ზე მეტია, საქართველოს ტერიტორიის 17%-ზე მეტს მოიცავს. იმერეთის რეგიონში 507 ათასი ადამიანი ცხოვრობს 11 მუნიციპალიტეტში, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან ბუნებრივ-რესურსული პოტენციალით (მაგალითად ხარაგაულის მუნიციპალიტეტი). დღეს საქართველოში მიმდინარეობს იმაზე დავა თუ რამდენად მისაღებია ადმინისტრაციული მოწყობის არსებული დონე და მუნიციპალიტეტების ზომა ტერიტორიის ეფექტიანად მართვისთვის. 2006 წელს, რეფორმის შედეგად საქართველოში თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის საშუალო ოდენობა 4.350-დან 68.050-მდე გაიზარდა, ის თითქმის 10-ჯერ აღემატება საშუალო ევროპულ მაჩვენებელს (6688 მცხოვრები), ხოლო ევროპული ქვეყნებიდან ჩამორჩება მხოლოდ დიდ ბრიტანეთს (სადაც მუნიციპალური მოწყობის განსხვავებული სისტემაა) (კანდელაკი და აბულაძე 2016, 2). ამრიგად, დღეს რეგიონებად მიჩნეული ტერიტორიული ერთეულებს ეფექტიანად მართვადობა ნაკლებად ახასიათებთ.

რეგიონებისათვის დამახასიათებელი ნიშნების შეფასების შეჯამება მოცემულია ცხრილში 2.1.2.

ცხრილი 2.1.2 რეგიონებისთვის დამახასიათებელი ნიშნების შეფასების შეჯამება

კრიტერიუმი	შედეგი
1. რეგიონებში ვხვდებით ცენტრალურ ადგილებს, ე.წ. „მიზიდულობის ცენტრებს“	✓
2. თითოეული რეგიონი მოიცავს მცირე რაოდენობით მაღალი მოთხოვნილების მქონე დასახლებებს და დიდი რაოდენობით დაბალი მოთხოვნილების მქონე დასახლებებს	✓
3. ადამიანური, კაპიტალური და სასაქონლო ნაკადები უფრო მეტად გადაადგილდება რეგიონის შიგნით ვიდრე სხვა რეგიონებში	-
4. ახასიათებთ სხვადასხვა გარე თუ შიდა ფაქტორების ზეგავლენის მსგავსი შედეგები რეგიონის ფარგლებში	✓
5. საცხოვრებელსა და სამუშაო ადგილს შორის მოსახლეობის გადაადგილების ინტენსივობა მაღალია რეგიონის შიგნით	✓
6. რეგიონები ადმინისტრაციული ერთეულებია	-
7. ბუნებრივი რესურსები, ეკოსისტემა თუ სხვა გეოგრაფიული ნიშნები მსგავსია რეგიონის შიგნით	-
8. რეგიონებს ახასიათებთ ეკონომიკური ერთგვაროვნება	-
9. რეგიონებს ახასიათებთ მართვადობა	-

ამრიგად, რომ შევაჯამოთ განხილული 9 კრიტერიუმიდან საქართველოს რეგიონები 5-ს ვერ აკმაყოფილებს. პოლიტიკის ეფექტიანად დაგეგმვისთვის სასურველია ტერიტორიული ერთეულების ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ხარისხის ანალიზის საფუძველზე განისაზღვროს ფუნქციური რეგიონები.

ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილებას თუ გადავხედავთ, ვნახავთ რომ ტერიტორიული დაყოფა სხვადასხვა მიზნებისთვის მიღებული გამოცდილებაა (Hoover and Giarratani 1984, 124-133):

- ამერიკის შეერთებულ შტატებში ქვეყნის რეგიონული ეკონომიკის დაყოფა სავაჭრო დეპარტამენტის მიერ მოხდა 8 ნაწილად: შორი აღმოსავლეთი; კლდოვანი მთები; სამხრეთ-დასავლეთი; სამხრეთ-აღმოსავლეთი; ვაკეები; დიდი ტბები; შუა აღმოსავლეთი; ახალი ინგლისის რეგიონი;
- აშშ-ს მართვისა და ბიუჯეტის ოფისის მიერ მოხდა ქვეყნის ტერიტორიის დაყოფა სტანდარტული სტატისტიკური მეტროპოლიტენის ტერიტორიებად (SMSAs);
- 1969 წელს ჩამოყალიბდა სტანდარტული ფედერალური რეგიონები და მათი ცენტრები, რათა ხელი შეწყობოდა ტერიტორიების მეტ ერთგვაროვნებას და ფედერალური ოფისების გეოგრაფიული იურისდიქციის განსაზღვრას.

ფუნქციური რეგიონების შიგნით ეკონომიკური ურთიერთობის ხარისხი უფრო მჭიდრო და ხშირი უნდა იყოს, ვიდრე რეგიონის გარე ერთეულებთან. თუ ამ ეტაპისთვის ეს ტენდენცია არ ფიქსირდება, მაშინ მომავლის პერსპექტივა მაინც უნდა აჩვენებდეს, რომ ამ ტერიტორიულ არეალს მჭიდრო შიდა ეკონომიკური კავშირების პოტენციალი აქვს.

იმ პირობებში, როდესაც შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაცია ხელმისაწვდომია ან შესაძლებელია რაოდენობრივი კვლევით მოხდეს ინფორმაციის მიღება, „ორმაგი სტანდარტიზაციის“ კოეფიციენტის გამოყენება შესაძლებელი ფუნქციური რეგიონების ჩამოყალიბებისთვის.

დავუშვათ, მოცემული გვაქვს 5 ჰიპოთეტური ტერიტორიული ერთეული და ინფორმაცია თითოეულ მათგანს შორის სასაქონლო ნაკადების გადაადგილების შესახებ.

ცხრილი 2.1.3 ჰიპოთეტური ტერიტორიული ერთეულები და მათ შორის სასაქონლო ნაკადების მოძრაობის ტენდენცია

რეგიონი (-დან/ - ში)	A	B	C	D	E	ჯამი
A	-	20	30	25	15	**90**
B	5	-	10	25	55	**95**
C	55	10	-	5	35	**105**
D	23	15	67	-	42	**147**
E	14	3	20	10	-	**82**
ჯამი	**97**	**48**	**162**	**65**	**147**	**519**

შეფასება საჭიროა გაკეთდეს არა აბსოლუტური მაჩვენებლების შედარებით, არამედ შეფარდებითი მაჩვენებლების ანალიზით „ორმაგი სტანდარტიზაციის“ კოეფიციენტის გამოყენებით:

$$L_{mn} = L_{nm} = 2(S_{mn} + S_{nm})/(E_m + E_n + I_m + l_n) \quad (2.1)$$

სადაც, S_{mn} - გვიჩვენებს m ტერიტორიული ერთეულიდან n-ის მიმართულებით სასაქონლო ნაკადების მოძრაობას, ხოლო S_{nm} - პირიქით; E_m - არის m ტერიტორიიდან მთლიანი ექსპორტის მოცულობა, ხოლო E_n - იგივე მაჩვენებელი n ტერიტორიიდან; I_m - მთლიანი იმპორტი m ტერიტორიულ ერთეულში, ხოლო l_n - მთლიანი იმპორტი n ტერიტორიულ ერთეულში.

ტერიტორიული ერთეულების წყვილებისთვის „ორმაგი სტანდარტიზაციის“ კოეფიციენტის დაანგარიშების შემდეგ უკვე შესაძლებელი უნდა იყოს მათი დაჯგუფება.

ცხრილი 2.1.4 ჰიპოთეტური ტერიტორიული ერთეულებისთვის „ორმაგი სტანდარტიზაციის“ კოეფიციენტი

ტერიტორიული ერთეული	A	B	C	D	E
A	-	0.075758	0.374449	0.240602	0.139423
B	0.075758	-	0.097561	0.225352	0.311828
C	**0.405728**	0.106667	-	0.300626	0.362903

D	0.240602	0.225352	**0.324324**	-	0.235828
E	0.152231	**0.344214**	0.258216	0.256158	-

ყველაზე მაღალი სამი კოეფიციენტი უკვე მოიცავს ხუთივე ტერიტორიულ ერთეულს შორის ურთიერთკავშირს. „ორმაგი სტანდარტიზაციის“ კოეფიციენტი გვიჩვენებს, რომ A და C ტერიტორიულ ერთეულებს შორის არის ყველაზე ინტენსიური ნაკადების მოძრაობა, ისევე როგორც B და E ტერიტორიულ ერთეულებს შორის, შესაბამისად შესაძლებელია მათი ერთ რეგიონში გაერთიანება. დარჩენილ D ტერიტორიულ ერთეულს კი ახასიათებს მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობები C ტერიტორიულ ერთეულთან, ამიტომ ის გაერთიანდება A და C ჯგუფში.

ტერიტორიული ერთეულების ურთიერთკავშირების (მოცემულ მაგალითში, სავაჭრო ურთიერთობების ინტენსივობა) შესწავლა მნიშვნელოვანია რეგიონის ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისთვის. იგი შესაძლებლობას იძლევა მოხდეს რეგიონში განხორციელებული ინვესტიციის თუ პროგრამის შედეგების წინასწარი ანალიზი და გავლენის შეფასება სხვა ტერიტორიული ერთეულებზე.

საქართველოს რეგიონული ეკონომიკის გამოწვევების შეფასებისთვის მნიშვნელოვანია მისი მახასიათებლების ანალიზი. საქართველოს რეგიონები ტერიტორიული, სოციალური და ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რასაც სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებლის ანალიზი ადასტურებს. მათი ასეთი განსხვავებულობა კი მნიშვნელოვან გამოწვევას აჩენს პოლიტიკის გამტარებლებისთვის. გასათვალისწინებელია, რომ როდესაც განვითარებადი ქვეყნები ცდილობენ რეგიონებს შორის ბალანსის მიღწევას, ეს შესაძლოა ეკონომიკური განვითარების ფასად ხდებოდეს (Scott, 1997, 77).

მოსახლეობა და დემოგრაფია

დედაქალაქს ქვეყნის ტერიტორიის ერთი პროცენტიც არ უკავია, თუმცა, მოსახლეობის რაოდენობითა და სიმჭიდროვით უდაო ლიდერია. ტერიტორიის

მხრივ ყველაზე დიდია კახეთის რეგიონი (11,375 კმ^2), ხოლო ყველაზე მცირე - გურიის რეგიონი (2,033.2 კმ^2), ამრიგად, ყველაზე დიდი რეგიონის ტერიტორია ყველაზე მცირე რეგიონის ტერიტორიას 5.6-ჯერ აღემატება. აღსანიშნავია მოსახლეობის რაოდენობის მხრივ რეგიონებს შორის არსებული განსხვავებაც: მოსახლეობის რიცხოვნობა ყველაზე დასახლებულ რეგიონში (იმერეთი - 507,038 ადამიანი) 17-ჯერ აღემატება მოსახლეობის რაოდენობას ყველაზე ნაკლებად დასახლებულ რეგიონში (რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 30,246 ადამიანი); ყველაზე დასახლებულ ქალაქში მოსახლეობის რაოდენობა (ქ. თბილისი -1,158.677 ათასი ადამიანი) 7-ჯერ მეტია რიგით მეორე ყველაზე დასახლებულ ქალაქში მოსახლეობის რაოდენობაზე (ქ. ბათუმი - 155.6 ათასი ადამიანი). მოსახლეობის სიმჭიდროვე საქართველოში არის 65.2 კაცი/კმ^2-ზე. დედაქალაქში მოსახლეობის სიმჭიდროვის მაჩვენებელი (2,210.6 კაცი/კმ^2-ზე) ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს 34-ჯერ აღემატება, ხოლო სიმჭიდროვის მიხედვით რიგით მეორე რეგიონს (აჭარის ა/რ) 19-ჯერ. სიმჭიდროვის მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით მკვეთრად განსხვავებულია: იმერეთი - 83 კაცი/კმ^2-ზე, შიდა ქართლი - 76.9 კაცი/კმ^2-ზე, გურია - 55.4 კაცი/კმ^2-ზე, სამცხე-ჯავახეთი - 25 კაცი/კმ^2-ზე, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 6.7 კაცი/კმ^2-ზე.

ქ. თბილისისა და აჭარის ა/რ-ის გარდა რეგიონებში მოსახლეობის ძირითადი ნაწილი სოფლებში ცხოვრობს, საქართველოში თითქმის ვერ ვხვდებით საშუალო ზომის ქალაქის ტიპის დასახლებებს. 2018 წლის მონაცემებით სოფლად მოსახლეობის 42% ცხოვრობს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა ყველა რეგიონში სოფლად მცხოვრები მოსახლეობის წილი მოსახლეობის ნახევარს აღემატება. მცხეთა-მთიანეთის, კახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონები განსაკუთრებით გამოირჩევიან მოსახლეობის სასოფლო ტიპის დასახლებებში კონცენტრაციით. აღნიშნულ რეგიონებში მოსახლეობის 77% სოფლად ცხოვრობს.

ეკონომიკური მაჩვენებლები

საქართველოში შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების თითქმის 50% თბილისზე მოდის, ისევე, როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების - 78%, ბიზნეს სუბიექტების ბრუნვის - 72%, ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციების - 73 %. ერთის მხრივ, მნიშვნელოვნად განსხვავებულია ეკონომიკური მაჩვენებლები დედაქალაქსა და ქვეყნის სხვა ტერიტორიული ერთეულებს შორის, იმავდროულად საკმაოდ განსხვავებული მდგომარეობაა თვითონ რეგიონებშიც.



დიაგრამა 2.1.1 მთლიანი სამამულო პროდუქტი (მლნ ლარი) და თბილისის წონა(%), 2006 – 2017 წლები

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ეროვნული ანგარიშების სტატისტიკა, მთლიანი სამამულო პროდუქტი

მთლიან სამამულო პროდუქტში შედარებით მაღალი წონა ვლინდება იმ რეგიონებში, სადაც გვხვდებიან თვითმმართველი ქალაქები და ინდუსტრიულად განვითარებული ზონები. მაგალითად, აჭარის ა/რ., ქვემო ქართლი და იმერეთი. განსაკუთრებით დაბალი მაჩვენებლები კი აქვს გურიას, სამცხე-ჯავახეთს, მცხეთა მთიანეთს, რაჭა ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებს.

რაც შეეხება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, მაჩვენებელი ქვეყნის მასშტაბით მნიშვნელოვანი ზრდის ტემპით გამოირჩევა. 2018 წლის მონაცემებით 2010 წელთან შედარებით 50%-ით გაიზარდა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებლის ზრდა ისევ თბილისზე და იმ რეგიონებზე გადანაწილდა, სადაც თვითმმართველი ქალაქებია. თუ თბილისში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი 2010 წელს 69%-ს შეადგენდა, 2017 წელს - 78%-ია, ხოლო 2018 წლის მდგომარეობით - 81.67%.



დიაგრამა 2.1.2 მთლიან სამამულო პროდუქტში რეგიონების წონა (თბილისის გარეშე), 2011-2018 წლები (%)

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ეროვნული ანგარიშების სტატისტიკა, მშპ რეგიონების მიხედვით

თუ დედაქალაქის მაჩვენებელს არ გავითვალისწინებთ, აჭარის ა/რ-ზე მოდის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თითქმის ნახევარი, 15% მოდის ქვემო ქართლზე, 14% კი იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონზე. მაჩვენებელი ბოლო სამი წელია ცალ-ცალკე ითვლება იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთის რეგიონებისთვის. გამოვლინდა, რომ ამ უკანასკნელის

წილი მხოლოდ 1.7% იყო გაერთიანებულ მაჩვენებელში. 2018 წელს სოფლის მეურნეობის სექტორზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მხოლოდ 0.7% მოდიოდა. ამასთან, ინვესტიციების თითქმის 70% მხოლოდ 4 სექტორზე მოდის: ტრანსპორტი (25%), საფინანსო სექტორი (16%); მშენებლობა (15%) და ენერგეტიკა (12%). პირდაპირი უცხოური ინვესტირების სექტორული განაწილების ტენდენცია ადასტურებს სასოფლო რეგიონების დაბალ საინვესტიციო მიმზიდველობას.

რეგიონების შედარებით თანაბარზომიერი განვითარებისათვის განსაკუთრებული როლი ენიჭება შეღავათიანი აგროკრედიტების განაწილების შესწავლას რეგიონულ ჭრილში. სესხების ყველაზე დიდი წილი გაცემულია კახეთის რეგიონზე - 45.7%. სესხების მიღების მაღალი მაჩვენებელი აქვს ქვემო ქართლის რეგიონსაც - 22.2%, შიდა ქართლში ეს მაჩვენებელი 13.8%-ია. დანარჩენ რეგიონებში გაცემული სესხების წილი უმნიშვნელოა და ვერ ასრულებს ამ რეგიონებში სოფლის მეურნეობის განვითარების მასტიმულირებელ როლს (ხარაიშვილი 2018, 5).

დასაქმება და შემოსავლები. უმუშევრობა საქართველოს რეგიონებში მოსახლეობისთვის ყველაზე მწვავე პრობლემად რჩება. მართალია სტატისტიკა აჩვენებს, რომ სასოფლო ტიპის დასახლებებში უმუშევრობის დონე საკმაოდ დაბალია და საქალაქო დასახლებებს უმუშევრობის ოთხჯერ მაღალი დონე ახასიათებთ, თუმცა ეს მაჩვენებელი რეალურად ცხოვრების დონეს შორის განსხვავებას არ აჩვენებს. სასოფლო დასახლებებში სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებული თითოეული მოსახლე დასაქმებულად მიიჩნევა, იმისდა მიუხედავად მას საკუთარი საქმიანობით საარსებო მინიმუმის ტოლფასი შემოსავლის მიღება შეუძლია თუ არა. ამასთან, ასეთი დასაქმებულების ძირითადი ნაწილი მეტად ორიენტირებულები არიან პროდუქტის საოჯახო მოხმარების მიზნით წარმოებაზე და იშვიათ შემთხვევაში თუ ახორციელებენ წარმოებული პროდუქტის ორგანიზებულ რეალიზაციას.



დიაგრამა 2.1.3 დასაქმების, ეკონომიკური აქტიურობისა და უმუშევრობის დონე სასოფლო და საქალაქო დასახლებებში, 2018 (%)

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დემოგრაფიული სტატისტიკა

დასაქმების მაღალი დონე ახასიათებთ ნაკლებად ურბანულ რეგიონებს, სადაც უფრო მეტად სასოფლო ტიპის დასახლებებს ვხვდებით, ასეთი რეგიონებია გურია, სამცხე-ჯავახეთი და კახეთი. შესაბამისად, უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება დედაქალაქში, ქვემო ქართლისა და იმერეთის რეგიონებში. დაქირავებით დასაქმებულების მაჩვენებლებს თუ განვიხილავთ, დასაქმებულთა 84% არის დაქირავებული დედაქალაქში, 43% იმერეთის რეგიონში და 42% ქვემო ქართლში, სხვა რეგიონების შემთხვევაში მაჩვენებელი 40%-ს არ აღემატება. შეიძლება ვთქვათ, რომ მხოლოდ ამ რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას და ისიც მათ, რომლებიც ცხოვრობენ საქალაქო ტიპის დასახლებებში აქვთ მეტ-ნაკლებად სტაბილური შემოსავალი წლის განმავლობაში.



დიაგრამა 2.1.4 მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით რეგიონალურ ჭრილში, 2018 (%)

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სოციალური სტატისტიკა

დაქირავებით დასაქმებიდან მიღებული შემოსავლების წილი და შესაბამისად როლი საკმაოდ მაღალია მოსახლეობის შემოსავლებში და მათი მსყიდველობით უნარიანობის განსაზღვრაში. მოსახლეობის ფულადი და არაფულადი სახსრები მოიცავს როგორც ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებს ისე უცხოეთიდან მიღებულ გზავნილებს, საჩუქრად მიღებულ ფულს, ფულის სესხებას, ქონების გაყიდვიდან მიღებულ ფულად სახსრებს და სხვა. ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებში გავაერთიანეთ შემოსავლები დაქირავებული შრომიდან, თვითდასაქმებიდან, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან, ქონებიდან (გაქირავებიდან, პროცენტი ანაბრიდან) და არაფულადი შემოსავლები. დაქირავებული შრომის წილი სულ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებში ყველა რეგიონისთვის აღემატება 50%-ს, მხოლოდ კახეთის რეგიონისთვის შეადგენს 45%-ს, რაც, ერთი მხრივ, უნდა აიხსნას კახეთის რეგიონში დასაქმებულ მოსახლეობაში დაქირავებით დასაქმებულების დაბალი წილით და მეორე მხრივ, იმ ფაქტით, რომ კახეთის რეგიონში მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების დონე საშუალებას აძლევს ამ დარში დასაქმებულ მოსახლეობას თვითდასაქმებიდან და სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციიდან მიიღონ შესაბამისი შემოსავლები. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის შემოსავლებში პენსიების, სტიპენდიებისა და დახმარებების სახით მიღებული შემოსავლების წილი საკმაოდ მაღალია და დედაქალაქის, აჭარის ა/რ-ისა და ქვემო ქართლის გარდა სხვა რეგიონებში მოსახლეობის შემოსავლების არანაკლებ 20%-ს შეადგენს. ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია თუ შევაფასებთ წილს მხოლოდ ფულად შემოსავლებთან მიმართებაში.

ცხრილი 2.1.5 ფულადი და არაფულადი შემოსავლები (მლნ ლარი), შემოსავლები ეკონომიკური საქმიანობიდან (მლნ ლარი), დაქირავებული შრომის წილი სულ

ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებში (%) და დაქირავებით დასაქმებულების წილი დასაქმებულ მოსახლეობაში (%) რეგიონების მიხედვით, 2018 წელი

შემოსავლები/ რეგიონი	კახეთი	თბილისი	შიდა ქართლი	ქვემო ქართლი	აჭარის ა.რ.	სამეგრელო–ზემო სვანეთი	იმერეთი, რაჭა–ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	გურია, სამცხე-ჯავახეთი და მცხეთა-მთიანეთი
სულ ფულადი შემოსავლები (მლნ. ლარი)	37.4	277.8	35.4	64.5	57.4	50.6	65.9	44.2
არაფულადი შემოსავლები (მლნ. ლარი)	8.7	5.0	8.5	6.9	6.5	11.2	17.7	10.7
სულ შემოსავლები ეკონომიკური საქმიანობიდან (მლნ. ლარი)	46.1	282.8	43.8	71.4	63.9	61.9	83.6	54.8
დაქირავებული შრომის წილი სულ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებში (%)	45%	79%	52%	63%	67%	53%	57%	54%
დაქირავებით დასაქმებულების წილი დასაქმებულ მოსახლეობაში (%)	28%	84%	39%	42%	48%	35%	43%	32%

წყარო: ინდიკატორები გაანგარიშებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, ცხოვრების დონის რეგიონული სტატისტიკა

არაფულადი შემოსავლების წილიც საკმაოდ მაღალია მოსახლეობის შემოსავლებში. მაჩვენებელი ყველა რეგიონისთვის გარდა დედაქალაქის, აჭარის ა/რ-ისა და ქვემო ქართლისა, მთლიანი შემოსავლების დაახლოებით 13%-ს შეადგენს. ამგვარად, მოსახლეობის სტაბილური და ამასთან ფულადი შემოსავლები

დამოკიდებულია მათი დაქირავებით დასაქმებიდან მიღებულ შემოსავლებში, რომლის წილიც დასაქმებულ მოსახლეობაში არც ერთი რეგიონისთვის, გარდა დედაქალაქისა 50%-ს არ აღემატება.

ბიზნეს საქმიანობა და მისი კონცენტრაცია. ბიზნეს საქმიანობის განაწილება და კონცენტრაცია რეგიონებს შორის დამოკიდებულია, ერთი მხრივ, მათ სპეციფიკურ მახასიათებლებზე, როგორიცაა განსხვავებული რესურსები და მათი არათანაბარი განაწილება, მეორე მხრივ, შეიძლება განპირობებული იყოს წარსული მემკვიდრეობით ან სახელმწიფო პოლიტიკით. იმისთვის, რომ შეგვეფასებინა საქართველოს რეგიონებში სხვადასხვა ბიზნეს სექტორის განაწილების ტენდენცია გამოვიყენეთ განაწილებისა (Location Quotient) და სპეციალიზაციის კოეფიციენტები:

$$LQ = \frac{E(XA)/TE(A)}{E(XB)/TE(B)}$$

E(XA) – X ბიზნეს სექტორში დასაქმებულების რაოდენობა A ტერიტორიულ ერთეულში;

TE(A) – A ტერიტორიულ ერთეულში დასაქმებულების მთლიანი რაოდენობა;

E(XB) - X ბიზნეს სექტორში დასაქმებულების რაოდენობა B ტერიტორიულ ერთეულში;

TE(B) – B ტერიტორიულ ერთეულში დასაქმებულების მთლიანი რაოდენობა.

ჩვენი კვლევის მიზნებისთვისაც B ტერიტორიულ ერთეულად მოხდა მთლიანად საქართველოს აღება, ხოლო A ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენდნენ საქართველოს რეგიონები მონაცვლეობით.

განაწილების კოეფიციენტი საშუალებას გვაძლევს გავზომოთ კონკრეტული სექტორის კონცენტრაცია კონკრეტულ ტერიტორიულ ერთეულში (Roberts 1971, 51). საქართველოში, ყველა რეგიონისთვის 17 სექტორის მაგალითზე დათვლილი კოეფიციენტის შედეგებმა გვიჩვენა, რომ 11 სექტორის კონცენტრაცია რომელიმე

კონკრეტულ რეგიონში თითქმის არ ხდება. ამგვარად ამ სექტორებში არც ერთი რეგიონი არ არის გამორჩეულად სპეციალიზებული და სხვა სექტორებისგან განსხვავებული მნიშვნელობით არ ხასიათდება. აღნიშნული დასკვნა გავაკეთეთ სექტორებისთვის, რომელთათვისაც განაწილების კოეფიციენტი არც ერთ რეგიონში არ აღემატება ორს. არაკონცენტრირებული ეკონომიკური საქმიანობებს შორისაა დამამუშავებელი მრეწველობა, საბითუმო და საცალო ვაჭრობა, განათლება და სხვა (იხ. ცხრილი 2.1.6). ერთ რეგიონში მაინც მეტ-ნაკლებად კონცენტრირებულ საქმიანობებს შორის არის ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორი, რომლის განაწილების კოეფიციენტიც სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონისთვის თითქმის სამს შეადგენს და მნიშვნელოვნად აღემატება სხვა რეგიონებში ამ სექტორის კონცენტრაციის მაჩვენებელს. კონცენტრირებულ ეკონომიკურ საქმიანობებს შორის მოხვდა მხოლოდ სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა და სამთომოპოვებითი მრეწველობა, კარიერების დამუშავება. სოფლის მეურნეობის კუთხით ეკონომიკური საქმიანობის როლი ბიზნესში განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გამოიკვეთა რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონისთვის და ასევე სამეგრელო-ზემო სვანეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებისთვის. რაც შეეხება სამთომოპოვებითი მრეწველობასა და კარიერების დამუშავებას, აღნიშნულ სექტორი ქვემო ქართლისა და იმერეთის რეგიონებისთვის გამოკვეთილად მაღალი კონცენტრაციით ხასიათდება, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს რეგიონებისთვის ამ ეკონომიკური საქმიანობის მნიშვნელობას.

ცხრილი 2.1.6 განაწილების კოეფიციენტი საქართველოს რეგიონებისა და ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით შეფასებული დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობის საფუძველზე

ეკონომიკური საქმიანობა/რეგიონი	ქ. თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი	კახეთი	მცხეთა-მთიანეთი	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი
არაკონცენტრირებული ეკონომიკური საქმიანობები											
დამამუშავებელი მრეწველობა	0.69	1.01	1.05	1.90	0.24	2.45	1.11	1.17	1.24	1.80	1.78

ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	1.19	-	-	0.25	0.03	0.50	-	0.17	0.92	1.50	-
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	1.19	-	-	0.21	0.03	0.16	-	0.51	1.02	1.04	0.38
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	1.07	0.77	0.92	0.87	0.29	0.60	0.96	0.84	1.17	0.84	1.18
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	0.99	0.87	0.92	1.28	0.01	1.55	0.22	1.09	0.60	1.39	0.77
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	1.18	1.19	0.62	0.47	0.02	0.44	0.08	0.53	0.68	0.70	0.47
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	1.37	0.50	0.47	0.41	0.02	0.47	1.17	0.35	0.33	0.24	0.28
განათლება	1.12	0.94	0.09	1.13	0.01	0.10		0.89	0.42	0.83	0.72
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	1.08	0.96	0.41	1.40	0.05	0.44	0.10	0.80	0.42	0.69	1.07
ხელოვნება, გართობა და დასვენება	0.98	1.87	1.70	0.88	0.02	0.50	-	0.45	1.12	0.66	0.39
ინფორმაცია და კომუნიკაცია	1.38	0.35	1.42	0.36	0.01	0.15	0.28	0.34	0.46	0.34	0.47
მეტ-ნაკლებად კონცენტრირებული ეკონომიკური საქმიანობები											
მშენებლობა	0.98	1.30	1.21	0.88	0.10	1.54	2.51	0.72	1.18	0.77	1.08
ტრანსპორტირება და დასაწყობება	1.02	1.37	0.88	0.40	0.03	0.41	0.27	2.91	0.56	0.57	0.38
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	0.89	1.76	2.58	0.88	0.05	2.14	1.32	0.81	2.29	0.51	0.52
სხვა სახის მომსახურება	0.89	2.40	1.02	0.89	0.00	0.81	0.48	0.48	0.64	0.90	1.02
კონცენტრირებული ეკონომიკური საქმიანობები											
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	0.53	0.24	1.88	0.58	0.07	1.27	5.57	3.23	1.04	3.16	2.83
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	0.09	0.45	2.23	3.96	0.02	1.65	2.54	0.70	1.07	6.83	1.21

წყარო: ავტორის გაანგარიშება, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, ბიზნეს სექტორის სტატისტიკა

ანალიზმა გვიჩვენა რომ ეკონომიკური საქმიანობები საკმაოდ დივერსიფიცირებულია რეგიონებს შორის. ის საქმიანობები კი რომელიც კონცენტრირებულია, მაგალითად სამთომოპოვებითი მრეწველობა, მათი კონცენტრაცია მეტწილად განპირობებულია რეგიონში არსებული რესურსული პოტენციალით.

ბიზნეს სექტორების კონცენტრაციის შეფასების კიდევ ერთ საშუალებას გვთავაზობს უოლტერ იზარდი წიგნში „რეგიონული ანალიზის მეთოდები: შესავალი რეგიონულ მეცნიერებაში“. განაწილების მრუდების (Localization Curve) ასაგებად საჭიროა: (1) რეგიონების დალაგება განაწილების კოეფიციენტების კლების მიხედვით; (2) შესაბამისად რეგიონებისთვის დამატებული პროცენტების (Cumulative Percent) გაანგარიშება. დიაგრამაზე წარმოდგენილი მრუდი, რომელიც შეესაბამება საბითუმო და საცალო ვაჭრობის საქმიანობის განაწილებას რეგიონულ ჭრილში საკმაოდ იშვიათია და წარმოადგენს იდეალურთან ძალიან მიახლოებული განაწილების მაგალითს, როდესაც დარგში ჩართულობა რეგიონების მხრიდან პროპორციულად თანაბარია. თითოეული მრუდი, რომელიც მეტად სცილდება აღნიშნულ მრუდს ასახავს მეტ კონცენტრაციას რომელიმე ან რამდენიმე რეგიონში.



დიაგრამა 2.1.5 ადგილმდებარეობის მრუდი საქართველოს რეგიონებისთვის ხუთი სექტორის მიხედვით

წყარო: ავტორის გაანგარიშება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, ბიზნეს სექტორის სტატისტიკა, დასაქმება

აღნიშნული მაჩვენებლების ანალიზი ეფუძნებოდა დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობის სტატისტიკას. ბიზნეს საქმიანობის რეგიონული განაწილების შეფასებისთვის აუცილებელია რეგიონების მიხედვით დამატებული ღირებულებების ანალიზიც, რისთვისაც გამოვიყენეთ სპეციალიზაციის კოეფიციენტი. სპეციალიზაციის კოეფიციენტით შესაძლებელია შეფასდეს ხარისხი, რითაც რეგიონში ეკონომიკური აქტივობების ხასიათი განსხვავდება რაიმე სტანდარტისგან. ეს სტანდარტი შეიძლება იყოს ეკონომიკური აქტივობა ეროვნულ დონეზე ან იმავე რეგიონის ეკონომიკური აქტივობის ხასიათი წარსულში (Hoover and Giarratani 1984, 131). შეფასებისთვის გამოვიყენეთ ზემოთ შესწავლილი 17 ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით საქართველოში და საქართველოს რეგიონებში შექმნილი დამატებული ღირებულებები და მათი წილი ერთ შემთხვევაში ქვეყნის და მეორე შემთხვევაში რეგიონის მთლიან დამატებულ ღირებულებაში. ეროვნულ და რეგიონულ დონეზე თითოეული ეკონომიკური საქმიანობის წილებს შორის სხვაობის დადებითი ან უარყოფითი მაჩვენებლების შეკრებით კი მივიღეთ თითოეული რეგიონისთვის სპეციალიზაციის კოეფიციენტი. შედეგად, დედაქალაქი აღმოჩნდა ყველაზე ნაკლებად სპეციალიზებული, ხოლო ქვემო ქართლის რეგიონი ყველაზე მეტად სპეციალიზებული. ქვემო ქართლის მაღალი სპეციალიზაციის კოეფიციენტი განაპირობა დამატებული ღირებულების მაღალმა კონცენტრაციამ სამთომოპოვებით და დამამუშავებელ მრეწველობაში; სამეგრელო-ზემო სვანეთის შემთხვევაში - ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორმა; სამცხე ჯავახეთის, მცხეთა-მთიანეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთისთვის მხოლოდ დამამუშავებელმა მრეწველობამ.

ცხრილი 2.1.7 სპეციალიზაციის კოეფიციენტი საქართველოს რეგიონებისთვის

რეგიონი	**სპეციალიზაციის კოეფიციენტი (%)**
თბილისი	11.0
აჭარა	22.4

შიდა ქართლი	23.9
გურია	27.5
იმერეთი	31.1
კახეთი	37.1
მცხეთა-მთიანეთი	44.9
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	46.5
სამეგრელო-ზემო სვანეთი	47.5
სამცხე-ჯავახეთი	44.2
ქვემო ქართლი	50.6

წყარო: ავტორის გაანგარიშება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, ბიზნეს სექტორის სტატისტიკა, დამატებული ღირებულება

ამრიგად, უნდა აღინიშნოს რომ მაღალი დარგობრივი სპეციალიზაციით არც ერთი რეგიონი არ გამოირჩევა, მხოლოდ შედარებით მაღალი სპეციალიზაცია ახასიათებს ქვემო ქართლის რეგიონს, ისიც იქ არსებულ ბუნებრივი რესურსების არსებობისა და მათ მოპოვებაზე გაცემული ნებართვების „ხელშეწყობით".

იმერეთის რეგიონზე მოდის გაცემული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიების ყველაზე დიდი წილი. ამ ლიცენზიების თითქმის 70% მიწისქვეშა მტკნარი წყლებით სარგებლობის ნებართვაა.

რეგიონებში სხვადასხვა სექტორის გრძელვადიანი მომგებიანობის ანალიზის შესაფასებლად შეგვიძლია გამოვიყენოთ დაარსებულ საწარმოთა გადარჩენის მაჩვენებელი, რომელიც საკმაოდ დაბალია ყველა სექტორისთვის და მთლიანად ქვეყნისთვის საშუალოდ 30%-საც კი ვერ აღწევს ხუთ წლიანი პერიოდისთვის.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბიზნეს-დემოგრაფიის მონაცემების თანახმად 2012 წელს შექმნილი საწარმოების დაახლოებით 27% აგრძელებს ფუნქციონირებას 5 წლის შემდეგ. საწარმოების გადარჩენის შედარებით მაღალი მაჩვენებელი აქვთ კახეთისა (29%) და შიდა ქართლის (28.5%) რეგიონებს, ხოლო ყველაზე დაბალი - რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონს, სადაც საწარმოების მხოლოდ 17%-მა განაგრძო ფუნქციონირება დაფუძნებიდან 5 წლის შემდეგ.



დიაგრამა. 2.1.6 2012 წელს დაარსებულ საწარმოთა გადარჩენის მაჩვენებელი 2017 წლისათვის (%)

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ბიზნეს რეგისტრი, ბიზნეს დემოგრაფიის მაჩვენებლები

მონაცემთა ანალიზისთვის საინტერსოა რეგიონებში ბიზნესის გადარჩენის მაჩვენებელი სექტორების მიხედვით. სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის სექტორს გადარჩენის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს ყველა რეგიონში. მაგალითად, გურიის რეგიონში 2012 წელს დაარსებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მხოლოდ 11%-მა, სამცხე-ჯავახეთის შემთხვევაში კი 10%-ზე ნაკლებმა განაგრძო ფუნქციონირება. უმეტეს რეგიონებში ტრასპორტირებისა და დასაწყობების სექტორი ყველაზე მაღალი გადარჩენის მაჩვენებლით გამორჩევა. სასოფლო სამეურნეო საქმიანობისა და დამამუშავებელი მრეწველობის შემთხვევაში არც ერთ რეგიონს არ აქვს სხვა სექტორებთან შედარებით გამორჩეულად მაღალი მაჩვენებელი. გურიის, იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, სამცხე ჯავახეთისა და რაჭა ლეჩხუმი, ქვემო სვანეთის რეგიონებისთვის ყველაზე წარმატებული განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და საკვების მიწოდების საქმიანობები აღმოჩნდა, მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლის რეგიონებისთვის კი საბითუმო და საცალო ვაჭრობა.

ცხრილი 2.1.8 გადარჩენილ საწარმოთა გადანაწილება სექტორებისა და რეგიონების მიხედვით, 2017 წლისათვის

	ტრანსპორტირება და დასაწყობება	ვაჭრობა	დამამუშავებელი მრეწველობა	სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	სასტუმრო და რესტორნები
საქართველო	40.3	33.0	30.2	24.9	27.4
ქ. თბილისი	43.5	31.5	29.7	33.0	35.9
აჭარის ა.რ.	43.6	31.5	34.5	22.2	34.1
გურია	38.5	33.7	33.3	11.1	45.0
იმერეთი	34.7	31.0	26.4	17.4	37.7
კახეთი	50.5	38.9	30.9	27.5	40.6
მცხეთა-მთიანეთი	34.6	38.1	20.0	14.3	23.1
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	40.0	30.9	42.1	40.0	42.9
სამეგრელო-ზემო სვანეთი	33.3	29.2	32.2	17.4	43.6
სამცხე-ჯავახეთი	25.0	38.5	29.9	9.1	55.2
ქვემო ქართლი	41.4	36.6	32.6	20.0	36.8
შიდა ქართლი	25.0	38.3	29.2	19.2	27.3

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ბიზნეს რეგისტრი, ბიზნეს დემოგრაფიის მაჩვენებლები

იმის გათვალისწინებით, თუ რა ტენდენცია ვლინდება რეგიონულ ჭრილში დარგების კონცენტრაციის, განაწილების, განვითარების პროცესისა და ბიზნესის მომგებიანობის ფაქტორებზე დაკვირვებით საინტერესოა სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი და მასში ამ საკითხების ასახვის შეფასება. ამასთან, მნიშვნელოვანია იმის ანალიზი, თუ რამდენად პასუხობს სახელმწიფო პოლიტიკა რეგიონებში სხვადასხვა დარგის განვითარების გამოწვევებს და რა ხედვა არსებობს რეგიონებში საწარმოების არა მხოლოდ დაარსების არამედ „სიცოცხლის გახანგრძლივების“ ხელშეწყობისათვის.

2.2 **რეგიონების განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები**

რეგიონული განვითარების პოლიტიკა საქართველოში უნდა შეფასდეს სტრატეგიული დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავდა ან განსაზღვრავს პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და მათი მიღწევის გზებს. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო არც თუ მცირე დახმარებას იღებს ევროკავშირისგან მოულოდნელი ნამდვილად არ არის ევროკავშირის რეგიონული განვითარების პოლიტიკის გავლენა საქართველოში, მით უფრო, რომ ეს გავლენა გამტკიცებულია ასოცირების შესახებ შეთანხმებით. ასოცირების შეთანხმების 21-ე თავი პირდაპირ ავალდებულებს საქართველოს, რომ რეგიონული პოლიტიკის სფეროში აქცენტი გააკეთოს **ღარიბი რაიონების განვითარებასა** და ტერიტორიულ თანამშრომლობაზე. ასევე, გათვალისწინებულია თანამშრომლობა მიწის გამოყენების დაგეგმარების სფეროში. მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ჩანაწერი, რომელიც აღნიშნავს თუ რამდენად მნიშვნელოვანია რეგიონული განვითარების პოლიტიკის პრაქტიკის ურთიერთგაზიარებაზე ორიენტაციის აღება, რამაც ხელი უნდა შეუწყოს **რეგიონების თანაბარზომიერ განვითარებას.** ამრიგად, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების რეგიონული განვითარების მიმართულება მკაფიოდ არის ორიენტირებული „თანასწორობის“, „თანაბარი განვითარების“ მიზნის მიღწევაზე. თუმცა, რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ თუ რეგიონებს არ აქვთ თანაბარი განვითარების შესაძლებლობები? გამართლებულია კი ჩარევა, რომელიც განვითარების ტემპს ერთი რეგიონიდან მეორე რეგიონში გადაამისამართებს?

ამ ეტაპზე ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს საქართველოში რეგიონული განვითარების პოლიტიკა, მისი ძირითადი მიმართულებების გამოვლენა და იმის ანალიზი თუ რამდენად მოდიან პოლიტიკის დოკუმენტები ერთმანეთთან თანხვედრაში და რამდენად პასუხობენ ისინი დღეს საქართველოს წინაშე არსებულ გამოწვევებს.

კვლევის მიზნისთვის მოხდა 12 ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტისა და რეგიონების განვითარების 2014-2021 წლების სტრატეგიის დოკუმენტების შესწავლა, მათ შორის განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა შემდეგი დოკუმენტების სიღრმისეულ ანალიზსა და მათ შემუშავებაში ჩართული პირებისგან პირველადი ინფორმაციის მოძიებაზე. ეს სტრატეგიებია:

- საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020
- 2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა
- საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020
- 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა
- საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015 - 2020

საქართველო 2020. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში „საქართველო 2020“ აღნიშნულია, რომ საქართველო რეგიონში უთანასწორობის მაჩვენებლით გამორჩეული ქვეყანაა, რაც ზოგადად ეროვნულ დონეზე სიღარიბის მაჩვენებლისა და ჯინის კოეფიციენტით არის დოკუმენტში წარმოდგენილი, თუმცა ყურადღება გამახვილებული არ არის რეგიონებს შორის უთანასწორობაზე. დოკუმენტის მიხედვით რეგიონული განვითარების პოლიტიკისთვის უპირატესია რეგიონების შედარებითი უპირატესობის, პოტენციალის გამოვლენა და მისი გამოყენება, რაც საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ორიენტაცია აღებულია რეგიონებში რესურსების ეფექტიან გამოყენებაზე. შესაბამისად, „ეფექტიანობის მიზანი“ უფრო მეტად არის დასახული, ვიდრე „თანასწორობის“, თუმცა, ამასთან აღნიშნულია, რომ ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მოწყობით განსაზღვრულია რეგიონებს შორის უთანასწორობის შემცირების ხელშეწყობა. „საქართველო 2020“-ის სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ინოვაციების ხელშეწყობა და ტექნოლოგიური განვითარების წახალისება, რის ერთ-ერთ საშუალებად აღნიშნულია რეგიონული განვითარების სააგენტოების ჩამოყალიბება, თუმცა, ინფორმაცია თუ რა ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს ასეთ სააგენტოს დაკონკრეტებული არ არის და დღემდე არ ყოფილა მსგავსი სააგენტოების შექმნის

ინიციატივა წამოყენებული სამთავრობო დონეზე. რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობისათვის, რაც, თავის მხრივ, მოიცავს კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდის წახალისებას. სტრატეგიის დოკუმენტით გათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარება და სხვა კომუნალური ინფრასტრუქტურის მოწყობა. ამრიგად, „საქართველო 2020“-ის სტრატეგია მხოლოდ რამდენიმე წინადადებით და ძალიან ზოგადად აღნიშნავს რეგიონული განვითარების პოლიტიკის საკითხებს.

2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა. ძირითადი სამთავრობო დოკუმენტი, რომელიც რეგიონული განვითარების მიზნებს, ამოცანებს და მათი მიღწევის გზებს განსაზღვრავს, არის საქართველოს რეგიონული განვითარების 2018-2021 წლების პროგრამა. სტრატეგიის დოკუმენტში კარგად არის აღწერილი ტერიტორიული უთანაბრობისა და რეგიონების უთანასწორო განვითარების გამოწვევები, გამოყოფილია სამი ჰორიზონტალური საჭიროება: ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, უთანაბრობების შემცირება და რეგიონული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში ჩართული სტრუქტურების ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება. დოკუმენტში წარმოდგენილია განვითარების 5 ძირითადი მიმართულება:

- ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- ეკონომიკის განვითარება ძირითადად მცირე/საშუალო ბიზნესისა და ექსპორტის ხელშეწყობით;
- ადამიანური კაპიტალის გაუმჯობესება;
- ენდოგენური განვითარება, რაც გულისხმობს ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობას და მოიცავს სოფლისა და მაღალმთიანი რეგიონების განვითარებას; რეგიონების განვითარების სტრატეგიების განხორციელების ხელშეწყობას; ანაკლიის პორტის მიმდებარე ტერიტორიის განვითარებას; საზღვრისპირა და მაკრო რეგიონულ თანამშრომლობასა და ურბანული ტერიტორიის ფუნქციური ინტეგრაციის ხელშეწყობას;

- ინსტიტუციური განვითარება, რაც მოიაზრებს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის შესაძლებლობების ზრდას, რათა რეგიონული პოლიტიკის გამტარებლები უზრუნველყონ რეგიონული პოლიტიკის ეფექტიანად დაგეგმვისთვის საჭირო მონაცემებით. ამ კომპონენტით, აგრეთვე, გათვალისწინებულია საპილოტე რეგიონებში ინტეგრირებული რეგიონული განვითარების პროგრამების შემუშავება და განხორციელება. დოკუმენტში გამოკვეთილია შემდეგი ოთხი დაგეგმვის რეგიონი პილოტური პროგრამებისთვის: სამცხე-ჯავახეთი, იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, კახეთი. მათი შერჩევის კრიტერიუმებად კი აღებულია:
  - ყველა სხვა რეგიონისათვის დამახასიათებელი განვითარების ბარიერების კონცენტრირების მაღალი ხარისხი;
  - მაღალი აუთვისებელი პოტენციალი, რომელიც მოითხოვს ქმედებებს სახელმწიფოს პოლიტიკის მხრიდან.

რეგიონული განვითარების პროგრამაში ჩამოყალიბებულია სტრატეგიული და საშუალოვადიანი მიზნები. სტრატეგიულ მიზნად დასახულია „საქართველო 2020-ის“ სტრატეგიაში გაცხადებული მიზნის (ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისა და ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა ეროვნულ დონეზე) ხელშეწყობა ტერიტორიული ერთეულების პოტენციალის გამოყენების ხელშეწყობის გზით. პროგრამის სტრატეგიული მიზნის განმარტება და წარმოდგენილი ხედვა აჩვენებს, რომ რეგიონული პოლიტიკა ორიენტირებულია რესურსების ეფექტიანად გამოყენებაზე და უფრო მეტად „ეფექტიანობის“ მიზნისკენ არის მიმართული. *„აუცილებელია თითოეული რეგიონის (ტერიტორიის) პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება და მათი განვითარება, რათა საკუთარი წვლილი შეიტანონ საერთო ეროვნული წარმატების მიღწევასა და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდაში (პროდუქტიულობის საერთო ზრდა).* თუმცა ამასთან აღნიშნულია, რომ *„ამგვარი სტრატეგიული მიდგომა გავლენას მოახდენს შიდა უთანაბრობების შემცირებასა და აღმოფხვრაზეც“.* რეგიონული განვითარების პროგრამაში წარმოდგენილი მიზნებისა და ამოცანების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ დოკუმენტში მკაფიო არჩევანი „ეფექტიანობისა“ და

„თანასწორობის“ მიზნებს შორის გაკეთებული არ არის და სტრატეგიის დოკუმენტი ორივე მიზნის მიღწევას თანაბრად ისახავს შემდეგი ამოცანების განხორციელებით (2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2018,14):

- ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა;
- სოციალური თანასწორობისა და დასაქმების შესაძლებლობების გაზრდა მოქალაქეთათვის, მიუხედავად მათი საცხოვრებელი ადგილისა;
- ტერიტორიულად დაბალანსებული მდგრადი განვითარების ხელშეწყობა.

საქართველოში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რეგიონული მმართველობის დონე არ არის, რეგიონების ტერიტორიული არეალები კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული და შესაბამისად ტერმინი რეგიონი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას რეგიონული პოლიტიკის გამტარებლების სურვილისამებრ. აქცენტი გააკეთონ კონკრეტულ ტერიტორიულ ერთეულზე მისი განვითარების დაგეგმვის თუ სხვა მიზნებისთვის. საინტერესოა თუ როგორ და რა ტიპის ტერიტორიულ ერთეულებს მოიხსენიებს საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა:

- **ფუნქციური რეგიონები მსგავსი პრობლემებითა და პოტენციალით** - სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ *გეოგრაფიული თვალსაზრისით, ზოგიერთი სოციალურ-ეკონომიური პრობლემა და პოტენციალი ყოველთვის ადმინისტრაციული ან დაგეგმვის რეგიონის ლოგიკით არ არის განპირობებული. რიგ შემთხვევებში, უფრო ეფექტურია შესაბამისი საჭიროებებისა და შესაძლებლობების დაჯგუფება და განხილვა ე.წ. ფუნქციური რეგიონების ჭრილში* (2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2018, 70). ასეთ ფუნქციურ რეგიონებად გამოყოფილია შავი ზღვის სანაპირო ზონა, თბილისის ფუნქციური ზონა და მაღალმთიანი რეგიონები. შავი ზღვის სანაპირო ზონისა და თბილისის ფუნქციური ზონების შემთხვევაში მკაფიოა რეგიონული ცენტრი, ერთ შემთხვევაში ბათუმი, ხოლო მეორე შემთხვევაში თავად დედაქალაქი. ბუნდოვანია მაღალმთიანი რეგიონების ერთიანად ფუნქციურ რეგიონად გამოყოფის მიზანშეწონილობა, გამომდინარე იქიდან, რომ (1) მათი დიდი ნაწილი ერთმანეთის მოსაზღვრეც კი არ არის; (2)

მართალია ზოგ შემთხვევაში მათ აქვთ მსგავსი საჭიროებები (რაც სტრატეგიის დოკუმენტშიც არის აღნიშნული), ისინი ერთანეთთან ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულები არ არინ საქონლის, მომსახურების თუ სხვა ნაკადების გადაადგილებით; (3) ისინი დაკავშირებულები არიან საკუთარ რეგიონულ ცენტრებთან.

- **ფუნქციური ტერიტორია,** რომელიც განმარტებულია, როგორც მაღალმთიანი და სოფლის ტიპის დასახლებებისაგან შემდგარი რეგიონების ერთობლიობა.
- **დიდი ქალაქების ფუნქციური ზონები,** სადაც მოიაზრება თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის ფუნქციური ზონები.
- **რეგიონი (დაგეგმვის რეგიონი)** - სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის სამოქმედო ტერიტორია, რაც მოიცავს საქართველოს ისტორიულ მხარეებს. ასევე, სტრატეგიის დოკუმენტმა რეგიონის სტატუსი მიანიჭა თბილისსა და ავტონომიურ რესპუბლიკებს.

რეგიონული განვითარების პროგრამით წარმოდგენილი პრიორიტეტები ძირითადად შეესაბამება იმ გამოწვევებს, რის წინაშეც საქართველოში რეგიონული განვითარების პროცესი დგას. მიუხედავად ამისა, ტერმინები „რეგიონი“, „ფუნქციური რეგიონი“, „დაგეგმვის რეგიონი“, და სხვა, რომლებიც გამოიყენება პოლიტიკის ობიექტების განსაზღვრისთვის არ არის თანმიმდევრული და ნაკლებად ეფუძნება ტერიტორიულ ერთეულებს შორის არსებული დამოკიდებულების და ფორმების ანალიზს. შესაბამისად, რეგიონული განვითარების პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებების ეფექტიანობა, მაშინ როდესაც პოლიტიკის ობიექტები თითოეული მიმართულების მტკიცებულებებზე დაფუძნებით არ არის განსაზღვრული, მოსალოდნელია, რომ დაბალი იქნება. თუმცა, ეფექტიანობის ზრდა შესაძლებელია მიიღწეს პოლიტიკის ობიექტების მეტად სიღრმისეული კვლევის შედეგების საფუძველზე განსაზღვრისას. ასეთი კვლევა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს რეგიონების ურთიერთდამოკიდებულების მახასიათებლების ანალიზს და მოთხოვნისა და მიწოდების პროცესებთან დაკავშირებული ნაკადების კვლევას.

რეგიონული განვითარების პროგრამაში, ისევე როგორც სხვა სამთავრობო დოკუმენტებში, ხშირად ვხვდებით ეკონომიკური დივერსიფიკაციის მიზანს. უნდა აღინიშნოს რომ, როგორც რეგიონებში განაწილებისა და სპეციალიზაციის კოეფიციენტის დაანგარიშების შედეგებმა გვიჩვენა, საქართველოს ეკონომიკა საკმაოდ დივერსიფიცირებულია, ამიტომ ეკონომიური ზრდის მისაღწევად საჭიროა უფრო კონკრეტული მიზნის დასახვა, ვიდრე ეკონომიკური დივერსიფიკაციაა.

ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად მიჩნეულია მცირე და საშუალი ზომის საწარმოთა მხარდაჭერა. საქართველოში ბიზნესის ბრუნვის 55% და ქვეყანაში შექმნილი დამატებული ღირებულების 62% სწორედ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე მოდის. მსხვილი ბიზნესის წილი ამ მაჩვენებლებში შედარებით მაღალია დედაქალაქში, მცხეთა-მთიანეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში. მცხეთა-მთიანეთის რეგიონის შემთხვევაში ეს დედაქალაქთან სიახლოვით და გადამამუშავებელი საწარმოების შედარებით დიდი რაოდენობით უნდა აიხსნას, ხოლო ქვემო ქართლის რეგიონის შემთხვევაში სამთომომპოვებელ მრეწველობაში ჩართული მსხვილი საწარმოების გავლენით.



დიაგრამა 2.2.1 ბიზნეს სექტორის ბრუნვა და დამატებული ღირებულება საწარმოთა ზომის მიხედვით, საქართველო, 2018 წელი

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ბიზნეს სექტორის რეგიონული სტატისტიკა საწარმოთა ზომის ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით

რაც შეეხება დანარჩენ რეგიონებს, მათ შორის აჭარას, მსხვილი საწარმოების როლი მთლიანი დამატებული ღირებულების შექმნაში საკმაოდ დაბალია. კახეთის რეგიონის შემთხვევაში მხოლოდ 9%-ს შეადგენს, გურიის რეგიონისთვის - 10%-ს, შედარებით მაღალია მაჩვენებელი სამცხე-ჯავახეთისა (40%) და იმერეთის (31%) რეგიონებისთვის. რეგიონებში მცირე და საშუალო საწარმოების დიდ ნაწილს წარმოადგენს სავაჭრო ობიექტები, საოჯახო ტიპის და საშუალო ზომის სასტუმროები, კაფე-ბარები და რესტორნები, ძალიან იშვიათად, და ზოგიერთი რეგიონის შემთხვევაში საერთოდ ვერ ვხვდებით პროდუქტის მწარმოებელ მსხვილ საწარმოებს. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო-სვანეთის შემთხვევაში მსხვილი საწარმოს კატეგორიას მიკუთვნებული საწარმო საერთოდ არ გვხვდება. ამრიგად, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობასთან ერთად, განსაკუთრებით და კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანია მსხვილი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა ეკონომიკის რეალურ სექტორში. ამ მიდგომით უფრო მეტად მოსალოდნელია სწრაფი ეკონომიკური ზრდის მიღწევა.

საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020. 2016 წლის 30 დეკემბერს, საქართველოს მთავრობამ მიიღო სოფლის განვითარების პირველი ეროვნული სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის ხედვას 2017-2020 წლებისთვის ისეთ საკვანძო საკითხებზე, როგორებიცაა ადგილობრივი ეკონომიკის ზრდა და დივერსიფიცირება, სოციალური და საჯარო სერვისების განვითარება, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება და განვითარების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა.

სოფლის განვითარების 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიის შემუშავება მოხდა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ფარგლებში ევროკავშირის მხარდაჭერით. საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წლის 27 ივნისს ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმების მე-10 თავის - „სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება“

თანახმად, საქართველომ უნდა უზრუნველყოს სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარება ევროკავშირის პოლიტიკის და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად და დაუახლოვოს საქართველოს კანონმდებლობა ევროპულს, ასევე, ხელი შეუწყოს როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობების გაძლიერებას, რათა პოლიტიკის დაგეგმვა და შეფასება შეესაბამებოდეს ევროპულ ნორმებს. „მხარეები ითანამშრომლებენ, რათა ხელი შეუწყონ სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებას, კერძოდ, პოლიტიკისა და კანონმდებლობის თანმიმდევრული დაახლოების გზით“ (ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის 2014, მუხლი 333).

დოკუმენტის სახელწოდებიდან ნათელი უნდა ყოფილიყო მისი როლი რეგიონული განვითარების პოლიტიკაში. რეგიონული განვითარების პროგრამა ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობის ამოცანის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად განსაზღვრავს სოფლის განვითარებას. მნივშნელოვანი საკითხი, რაზეც სოფლის განვითარების სტრატეგიის შესწავლის შედეგად უნდა გამახვილდეს ყურადღება, არის თუ როგორ განმარტავს თავად სტრატეგიის დოკუმენტი ტერმინს „სოფელი“. დოკუმენტში საკმაოდ დიდი ნაწილი ეთმობა ქალაქსა და სოფელს შორის არსებული ეკონომიკური, სოციალური და ტერიტორიული განსხვავების აღწერას, რაც უნდა ხსნიდეს თუ რატომ გახდა საჭირო ცალკე „საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020“-ის შემუშავება. თუმცა, დოკუმენტის შესავალ ნაწილში აღნიშნულია, რომ ტერმინი „სოფლად“ გულისხმობს არა მხოლოდ სოფლებს (როგორც სოფელი განმარტებულია კანონმდებლობით) არამედ სხვა დასახლებულ პუნქტებსაც. მაგალითად, მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ცენტრებს, რომლებიც შეიძლება იყოს დაბა ან ქალაქი. თბილისის შემთხვევაში კი, ასევე, ადმინისტრაციულ ერთეულებს - რაიონებს, რომლებიც შედიან თბილისის საზღვრებში. ამრიგად, სოფლის განვითარების სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ სოფლის განვითარება საერთაშორისო და ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად მნიშვნელოვანია სოფლად მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდისა და სოფელსა და ქალაქს შორის

ეკონომიკური უთანაბრობის შემცირებისთვის, და ამასთან, გვთავაზობს ერთიან მიდგომას როგორც ქალაქის ისე სოფლის სოციალური და ეკონომიკური განვითარებისთვის.

სტრატეგიის დოკუმენტში არსებული ასეთი არათანმიმდევრულობა და გაურკვევლობა თუ კონკრეტულად რა ტერიტორიული ერთეულების განვითარებაზე არის ორიენტაცია აღებული, ბუნდოვანს ხდის ამ დოკუმენტის არსებობის საჭიროებას. მასში წარმოდგენილი განმარტებით სოფლის განვითარების სტრატეგია მოიცავს მთლიანად ქვეყანას. მაშინ გაურკვეველია თუ რა სიახლეს გვთავაზობს განსხვავებით სხვა დოკუმენტებისგან, როგორიცაა „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020“, „2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა“ და სხვა. აღნიშნულის შესაფასებლად, სოფლის განვითარების სტრატეგიით დადგენილ ძირითად პრიორიტეტებთან და ამოცანებთან მიმართებაში შესწავლილ იქნა 10 ეროვნული სტრატეგია, რომლებიც მეტწილად კავშირშია სოფლის განვითარების საკითხებთან. უფრო დეტალური ანალიზისთვის შევისწავლეთ შემდეგი 2 სტრატეგიული დოკუმენტი: საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020; 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა[1]. დოკუმენტებს აერთიანებს პოლიტიკის ობიექტი, ის ტერიტორიული ერთეული, რომელთა განვითარების ხელშეწყობის მიზნითაც მოხდა მათი შემუშავება. შეფასებისთვის გამოვიყენეთ სახელმწიფო სტრატეგიების სოფლის განვითარების სტრატეგიასთან შედარების მატრიცა.

სოფლის განვითარების სტრატეგიაში გათვალისწინებულია სოფლად ტურიზმის განვითარების საკითხი, რაც საქართველო 2020-ის დოკუმენტში არ არის განხილული. სხვა საკითხებში ეს დოკუმენტები მნიშვნელოვნად ეხმიანება ერთმანეთს. სოფლის განვითარების სტრატეგიაში საუბარია ინოვაციის და

[1] სოფლის განვითარების სტრატეგიის დამტკიცებისას ჯერ არ იყო შემუშავებული „2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა“ შესაბამისად შედარება მოხდა „2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამასთან“ მიმართებაში

ტექნოლოგიური განვითარების დონის ასამაღლებლად განსახორციელებელი პოლიტიკის მიმართულებებზე, ინოვაციების ხელშეწყობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, და თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პრიორიტეტულობაზე. აღნიშნული ნაწილი სრულ თანხვედრაშია საქართველო 2020-ის სტრატეგიასთან. რაც შეეხება რეგიონული განვითარების პროგრამასთან თანხვედრას, სოფლის განვითარების სტრატეგია მოიცავს 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამით განსაზღვრულ ძირითად პრიორიტეტებს, მხოლოდ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის ჩართულობა არის ის სიახლე, რასაც აღნიშნული დოკუმენტი გვთავაზობს. დიაგრამაზე 2.2.2 მარცხენა მხარეს ნაჩვენებია ის პრიორიტეტები, რომლებიც ასახულია, როგორც სოფლის განვითარების სტრატეგიაში, ისე შესწავლილ ორივე სტრატეგიულ დოკუმენტში, ხოლო მარჯვენა მხარეს წარმოდგენილი საკითხები არის ის „სიახლე“, რასაც სოფლის განვითარების სტრატეგია გვთავაზობს მათგან განსხვავებით.



დიაგრამა 2.2.2 სახელმწიფო სტრატეგიების სოფლის განვითარების სტრატეგიასთან შედარების მატრიცა „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020-თვის“ (ზედა ნაწილი), „2015-2017

წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამისთვის“ (ქვედა ნაწილი)

აღსანიშნავია, რომ ის „სიახლეები“, რომლებსაც სოფლის განვითარების სტრატეგია გვთავაზობს, ერთ შემთხვევაში (ტურიზმი სოფლად) ასახულია „2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამაში“, ხოლო მეორე შემთხვევაში (ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა) საქართველო 2020-ის დოკუმენტში. ამგვარად, თუ შევაჯამებთ სოფლის განვითარების სტრატეგიაში არ არის წარმოდგენილი სხვა სტრატეგიის დოკუმენტებისგან განსხვავებული პრიორიტეტები. შესაბამისად ის ვერ ხსნის საქართველოში სოფლის განვითარების სტრატეგიის არსებობის საჭიროებას.

მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიის დოკუმენტების შესწავლისა და სოფლის განვითარების სტრატეგიასთან შედარების საფუძველზე გამოვლინდა, რომ დოკუმენტებს შორის წინააღმდეგობა არ არის და ძირითად შემთხვევაში წამოყენებული პრიორიტეტები ერთანეთთან თანხვედრაშია, მაინც ბუნდოვანია ცალკე სოფლის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის არსებობის საჭიროება იმ ფორმით, რა ფორმითაც არის წარმოდგენილი. მასში დამატებით აღწერილობითი ინფორმაციის გარდა ვერ ვხდებით სოფლად სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის დასახულ გზებს. მით უფრო, რომ დოკუმენტი შესავალშივე აღნიშნავს, რომ სოფლის გაგება შემდგომში მოიცავს ქალაქსაც. სოფლის განვითარება გაიგივებულია ქვეყნის განვითარებასთან. შესწავლილი სტრატეგიის დოკუმენტები ნაკლებად ეფუძნება ერთმანეთს და რთულია მათ შორის კავშირის დანახვა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მეტწილად ერთი მიზნის მიღწევას ემსახურება. შესაბამისად, ჩნდება საჭიროება, რომ სახელმწიფო სტრატეგიების შემუშავებისას მოხდეს ერთიანი მიდგომის გამოყენება, ახალი დოკუმენტების შესწავლამდე მოხდეს არსებულების გაანალიზება და ახალი სტრატეგიის დოკუმენტისთვის კონკრეტული დანიშნულების განსაზღვრა. ამ კუთხით გამონაკლისია „2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა“, რომელიც ითვალისწინებს „საქართველოს 2020“-ის

მიზნებთან შესაბამისობასა და რეგიონების განვითარების სტრატეგიების განხორციელების ხელშეწყობას. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონული განვითარების პროგრამის სოფლის განვითარების ნაწილში საუბარია სოფლის განვითარების სტრატეგიაზე, რომელიც *„მოწოდებულია ხელი შეუწყოს სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას, სოფლის ეკონომიკის დივერსიფიცირებას და მისი განვითარების შესაძლებლობების ზრდას“* (2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2018, 116). სოფლის განვითარების სტრატეგიის მიზნის ასეთი განმარტება აჩვენებს, რომ რეგიონული განვითარების პროგრამის შემუშავებაში ჩართული პირები სოფლის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტს სათანადოდ არ იცნობდნენ და მისი მოქმედების არეალად მიიჩნიეს ტერმინი „სოფელი“, ისე როგორც ეს განმარტებულია კანონმდებლობით და არა როგორც სოფლის განვითარების სტრატეგია განმარტავს მას.

ამრიგად, სოფლის განვითარების სტრატეგიიდან არ ჩანს სოფლის განვითარებასა და რეგიონულ განვითარებას შორის განსხვავება და შესაბამისად ამ ორი მიმართულებით განსხვავებული პოლიტიკის შემუშავების საჭიროება.

2.3 სივრცით-ტერიტორიული მოწყობის მნიშვნელობა რეგიონების ეკონომიკური განვითარების დაგეგმვაში (შემთხვევების ანალიზი)

ქვეყნის სივრცით-ტერიტორიულ მოწყობასა და ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკაზე არის დამოკიდებული მოსახლეობისა და ბიზნეს სექტორის განაწილება სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებში. „სივრცით-ტერიტორიული“ მოწყობის მაგივრად შესაძლებელია შეგვხვდეს ტერმინი „ადმინისტრაციულ-ტერიტორიული“ მოწყობა. მართლაც, სახელმწიფო პოლიტის მიდგომა ქვეყნის ტერიტორიულ ერთეულებად დაყოფისას დაკავშირებულია და გამოხატულია ტერიტორიული ერთეულებისთვის ადმინისტრაციული დატვირთვის მინიჭებით. ქართველი მკვლევარების ნაწილი მიიჩნევს (მაგალითად. კონსტანტინე კანდელაკი, მამუკა აბულაძე, „ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმა: საჭიროება და მომავლის ხედვა“), რომ ტერიტორიულ ერთეულის განვითარებისა და „მიზიდულობის“ ცენტრების ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია მას მიენიჭოს

ადმინისტრაციული ცენტრის სტატუსი. ამის დასასაბუთებლად განიხილება შულავერისა და მარნეულის მაგალითი. მარნეულში შულავერიდან ადმინისტრაციული ცენტრის გადატანით შულავერი გადაიქცა ჩვეულებრივ სასოფლო ტიპის დასახლებად. არის კი ეს საკმარისი არგუმენტი იმისთვის, რომ ტერიტორიის განვითარების შესაძლებლობები დავაკავშიროთ მათთვის ადმინისტრაციული სტატუსის მინიჭებასთან? და თუ კი მართლაც არსებობს ეს ურთიერთდამოკიდებულება, რამდენად გამართლებულია რეგიონული განვითარების ეს მიდგომა? რა თქმა უნდა, ნათელია თუ რატომ აქცევს ადმინისტრაციული შენობების განთავსება ტერიტორიულ ერთეულს ცენტრად. ის ხდება მოსახლეობის დასაქმების წყარო, ხშირ შემთხვევაში ერთადერთი წყარო, თუ არ ჩავთვლით სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. შედეგად ჩნდება მოსახლეობის აქტივობა ქალაქში, იზრდება სატრანსპორტო ნაკადები ადმინისტრაციული ცენტრის მიმართულებით, ჩნდება ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, იგეგმება სხვადასხვა ღონისძიებები მოსახლეობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების ჩართულობისთვის და სხვა. განვითარების ასეთ მიდგომას შეიძლება ვუწოდოთ „ხელისუფლება, დამსაქმებლის როლში“. შულავერიდან მარნეულში ადმინისტრაციული ცენტრის გადატანის მაგალითი იმის მიმანიშნებელი კი არ უნდა იყოს, რომ საჭიროა მეტი ადმინისტრაციული ერთეულის ჩამოყალიბება „მიზიდულობის ცენტრების“ შესაქმნელად, არამედ, ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ ასეთი მიდგომით ჩამოყალიბებული ცენტრები არ არის სტაბილური. მათი არსებობა სრულად დამოკიდებულია ხელისუფლების მიერ შექმნილ სამუშაო ადგილებზე, ზრდის საკმაოდ შეზღუდული გრძელვადიანი პოტენციალი აქვთ. უდავოა, რომ ასეთი მიდგომით სწრაფი ეკონომიკური ზრდის მიღწევა შეუძლებელია. სხვა რომ არაფერი ვთქვათ ქვეყნისთვის იმ დამატებით ხარჯებსა და ბიუროკრატიულ პროცესებზე, რაც ადმინისტრაციული ერთეულების ჩამოყალიბებასთან არის დაკავშირებული. თუ ადმინისტრაციული ერთეულების შექმნით „მიზიდულობის ცენტრების“ ჩამოყალიბება არ არის მიზანშეწონილი, მაშინ რა ალტერნატივა აქვს სახელმწიფოს ცენტრების ჩამოყალიბების ხელშეწყობისთვის? არ არის ურბანული

ცენტრების ფორმირების მაგალითები, რომელთაც ადმინისტრაციული ერთეულის სტატუსი არ აქვთ? მაგალითად, განვიხილოთ გუდაურისა და ბაკურიანის კურორტები. მარტივია შევაფასოთ თუ რამ გამოიწვია მათი „მიზიდულობის ცენტრებად“ ჩამოყალიბება. ტურისტული ცენტრების ფუნქცია მათი ტურისტული პოტენციალიდან გამომდინარე დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა. გარკვეული პერიოდი დასჭირდა მათი ურბანიზაციის პროცესის დაწყებას, რომელიც ახლაც მიმდინარეობს. ამ პროცესების საფუძველი კი შესაბამისი ინფრასტრუქტურის მეტ-ნაკლებად განვითარებაში უნდა ვეძიოთ. ინფრასტრუქტურის განვითარების დონე „მეტ-ნაკლებად“ არის შეფასებული, რადგან კიდევ დიდი სამუშაოებია გასაწევი შესაბამისი უწყებების მიერ, რათა კურორტების ტერიტორიული განვითარებითა და ინფრასტრუქტურის მოწყობით ტურისტებისთვის კომფორტული გარემო შეიქმნას. მნიშვნელოვანი ფაქტი, რაზეც აქცენტი უნდა გაკეთდეს არის ის, რომ ტერიტორიული ერთეულების ცენტრებად ჩამოსაყალიბებლად არ არის აუცილებელი მათთვის ადმინისტრაციული ცენტრის სტატუსის მინიჭება და ამ ფორმით დასაქმების ხელშეწყობა. ალტერნატივად შესაძლებელია განვიხილოთ ფუნქციური ცენტრების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, რისთვისაც საჭიროა მიზნობრივ ტერიტორიულ ერთეულში ინფრასტრუქტურის მოკლე დროში განვითარება. ამ მოკლე დროში აქცენტი უნდა გაკეთდეს არა „ყველა დასახლებაში რაიმეს“ პრინციპზე, არამედ „კონკრეტულ დასახლებაში ყველაფრის“ პრინციპზე. ასეთი ფორმით ჩამოყალიბებული ფუნქციური ცენტრი არ იქნება დამატებით ადმინისტრაციული ხარჯი სახელმწიფოსთვის და შექმნილი ინფრასტრუქტურით თავისთავად უზრუნველყოფს მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ფორმირებას.

იმისთვის, რომ გაგვეანალიზებინა ეს პროცესები კონკრეტული მაგალითის საფუძველზე, შევისწავლეთ ყაზბეგის მუნიციპალიტეტი. უფრო კონკრეტულად შევაფასეთ (1) მასში მოსახლეობის, საქონლის, მომსახურების და სხვა ნაკადების გადაადგილების მიმართულება; (2) მუნიციპალიტეტის რესურსები; (3) მოსახლეობისა და ბიზნეს სექტორის კონცენტრაციის მახასიათებლები. გამომდინარე იქიდან, რომ სტატისტიკური მონაცემები მუნიციპალიტეტის დონეზე საკმაოდ შეზღუდულია შეფასებების გასაკეთებლად გამოვიყენეთ

კვლევის პროცესში მიღებული ხარისხობრივი ინფორმაცია და სხვადასხვა მხარეების მიერ მოყვანილი მაგალითები.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში. მუნიციპალიტეტს სამხრეთ-აღმოსავლეთით ესაზღვრება დუშეთის მუნიციპალიტეტი, სამხრეთით - ახალგორის მუნიციპალიტეტი, დასავლეთით - ჯავის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთით - რუსეთის ფედერაცია. ყაზბეგის მუნიციპალიტეტი პირობითად დაყოფილია ექვს სათემო ერთეულად: დაბა სტეფანწმინდა, სიონი, სნო, გორისციხე, კობი და გუდაური. თითოეული მათგანი, თავის მხრივ, შედგება დასახლებებისაგან. სულ ყაზბეგის მუნიციპალიტეტში არის 47 სოფელი, თუმცა, მათ ნახევარზე მეტი მუდმივი მაცხოვრებლით არ არის დასახლებული. სოფლების ნაწილში მოსახლეობა მხოლოდ ზაფხულის პერიოდში ბრუნდება. მუნიციპალიტეტის მთლიანი ტერიტორია მოიცავს 1081,7 კმ^2-ს. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი არის დაბა სტეფანწმინდა. დაბა სტეფანწმინდა დედაქალაქიდან 159 კმ.-ით არის დაშორებული, რაც დაახლოებით 3 საათამდე ტრანსპორტირების დროს საჭიროებს. მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრი, მეტწილად ზამთრის პერიოდში არის დაბა გუდაური, რომელიც დაბა სტეფანწმინდიდან დაშორებულია დაახლოებით 32 კილომეტრით, ხოლო დედაქალაქიდან 127 კილომეტრით. მუნიციპალიტეტს სტრატეგიული ადგილი უჭირავს, რუსეთის ფედერაციასთან სიახლოვით სავაჭრო და ტურისტული ნაკადების გატარების კუთხით. ვლადიკავკაზი მხოლოდ 45 კილომეტრით არის დაშორებული სტეფანწმინდიდან.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტყის რესურსები 4,790 ჰა-ს შეადგენს, რაც მუნიციპალიტეტის მთლიანი ტერიტორიის 4%-ია. ყაზბეგის მუნიციპალიტეტი მდიდარია მოსაპირკეთებელი სხვადასხვა სახის ძვირადღირებული გრანიტებით (მწვანე, ყავისფერი დიაბაზი), ქვის საბადოებით, ინერტული მასალებით (ქვიშა, ხრეში). თუმცა აღნიშნული ბუნებრივი რესურსების მოპოვება და გამოყენება ყაზბეგის მუნიციპალიტეტში აქტიურად არ ხდება (ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი 2019, 12).

მუნიციპალიტეტში უხვადაა წყლის რესურსი. ყველაზე დიდი და წყალუხვი მდინარეა თერგი. მეორე, ყველაზე მნიშვნელოვანი მდინარეა ხადასწყალი, როლის ხეობა მოთავსებულია ყუროსა და შავანას შორის და მისი საერთო სიგრძე შეადგენს 16-17 კმ-ს. ხადას ხეობა, მისი მდებარეობიდან და სილამაზიდან გამომდინარე, ტურისტებისთვის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო სანახაობაა. ხევის დანარჩენი მდინარეები ტიპური მთის მდინარეებია. ყაზბეგის მუნიციპალიტეტში არსებული მინერალური წყლების მთელი კომპლექსი მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსია, რაც დამატებით სამედიცინო ტურიზმის განვითარების შესაძლებლობას ქმნის.

აღსანიშნავია რომ, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებულ პუნქტს აქვს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მინიჭებული, რაც სოციალურ სტიმულებს ქმნის ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

2018 წლის მონაცემების მიხედვით მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა 3,812 ადამიანია. 2008 წელთან შედარებით მოსახლეობის რაოდენობა შემცირებულია 9.2%-ით, რაც მცირედით აღემატება ზოგადად მუნიციპალიტეტებში ქვეყნის დონეზე მოსახლეობის შემცირების საშუალო მაჩვენებელს (8.9%[2]). ყაზბეგის მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელია სეზონური მიგრაცია. მოსახლეობის თითქმის 40% ტოვებს ყაზბეგს სეზონურად. მიგრაციული პროცესები ძირითადად განპირობებულია მუნიციპალიტეტში არსებული მკაცრი კლიმატური პირობებით (ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი 2019, 4-22).

მოსახლეობის ძირითადი მსხვილი დამსაქმებლები არიან: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და საჯარო სერვისების მიმწოდებელი სახელმწიფო ორგანიზაციები; რუმს ჰოტელ ყაზბეგი და სს დარიალი ენერჯი, რომელიც ახორციელებს მდინარე თერგზე დარიალი ჰესის მშენებლობას. მუნიციპალიტეტში ვხვდებით სხვა მცირე და საშუალო ზომის სასტუმროებს, კაფე-

[2] დაანგარიშებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, თვითმმართველი ქალაქების მონაცემების გათვალისწინების გარეშე.

ბარებსა და რესტორნებს, სავაჭრო მაღაზიებს, ტურისტული მომსახურების მიწოდებაში ჩართულ მცირე ზომის, ხშირ შემთხვევაში საოჯახო ფირმებს.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 302 აქტიური ბიზნეს სუბიექტი. მათი ძირითადი ნაწილი ფუნქციონირებს სტეფანწმინდისა და გუდაურის ტერიტორიაზე, რაც ამ ტერიტორიულ ერთეულებში მაღალი ტურისტული აქტივობით არის გამოწვეული. გარდა ტურისტულ სფეროში ჩართული ბიზნეს სუბიექტებისა, სავაჭრო დაწესებულებებიც ცენტრალურ ადგილებში კონცენტრაციით გამოირჩევიან. აღნიშნული განპირობებულია ტურისტებთან ერთად ადგილობრივი მაცხოვრებლების რაოდენობით: მეტად დასახლებული ადგილები მაღალ მოთხოვნას წარმოქმნიან, სეზონურად ან ნაკლებად დასახლებულ პუნქტებში სავაჭრო ობიექტების გახსნა კი არარენტაბელურია.

დიაგრამა #2.3.1 ნათლად აჩვენებს თუ როგორი კონცენტრირებულია ეკონომიკური საქმიანობა ყაზბეგის მუნიციპალიტეტში. მთავარი ცენტრებია სტეფანწმინდა და გუდაური. სტეფანწმინდისა და გუდაურის ტერიტორიაზე ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა მთლიანად აქტიური სუბიექტების 80%-ს აღწევს. მეტ-ნაკლები აქტივობა შეინიშნება სტეფანწმინდასთან ახლო მდებარე დასახლებულ პუნქტებშიც, სიონსა და სნოში. მათ საკუთარ ტურისტულ პოტენციალთან ერთად სტეფანწმინდასთან ახლოს მდებარეობა უწყობს ხელს. აქტიური ბიზნეს სუბიექტების თითქმის მეოთხედი (თუ არ ჩავთვლით სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას) სასტუმროს ტიპის სახლებია, რომლებიც ტურისტებს მასპინძლობს. სავაჭრო სუბიექტების წილი დაახლოებით 22%-ია. ასეთი დაწესებულებები ძირითადად წარმოდგენილი არიან მცირე მარკეტების სახით.



დიაგრამა 2.3.1 ყაზბეგის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების განაწილება, სხვადასხვა სექტორების წილი ბიზნეს საქმიანობაში, 2018 წელი

წყარო: მომზადებულია გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით ჩატარებული კვლევის შედეგების საფუძველზე, პროექტი „სოფლის განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“

ყაზბეგის მუნიციპალიტეტს გამოკვეთილი სარგებელი აქვს დედაქალაქთან სიახლოვით. დედაქალაქიდან ყველაზე მაღალი მოთხოვნა სწორედ ყაზბეგის ტურებზეა, რაც შესაბამისად უნდა ისახებოდეს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ბიზნესის კონცენტრაციის მსგავსი კონცენტრაცია ახასიათებს მოსახლეობის შემოსავლებსა და ცხოვრების დონეს, რაც კანონზომიერია. ტურისტულ ცენტრებთან ახლოს მდებარე დასახლებების მცხოვრებლები ნაკლებად არიან ჩართულები მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალიდან სარგებლის მიღების პროცესში.

იმისთვის, რომ შეგვეფასებინა დასახლებებს შორის არსებული ეკონომიკური კავშირები, ასევე, მოსახლეობის, საქონლის, მომსახურების და სხვა ნაკადების

გადაადგილების მიმართულებები და გამოგვევლინა განვითარების შესაძლებლობები ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ჩავატარეთ რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა. კვლევის პროცესში მოხდა როგორც მოსახლეობისა და ბიზნეს სუბიექტების შეფასებების შესწავლა. გამოვიკითხეთ ადგილობრივი თვითმმართველობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლები, ტურიზმის განვითარების პროცესში ჩართული სხვადასხვა სამთავრობო უწყებები და სააგენტოები, დარგობრივი ექსპერტები.

ადგილზე კვლევამ აჩვენა, რომ მუნიციპალიტეტის ყველაზე მეტად დასახლებული ადგილებია, ისინი რომელიც ცენტრალურ გზასთან ახლოს მდებარეობენ და აქვთ ხელმისაწვდომობა დაუკავშირდნენ სხვა დასახლებულ პუნქტებს. აღნიშნული ტენდენცია ვლინდება არა მხოლოდ ზოგადად მუნიციპალიტეტისთვის, არამედ ცალკეული დასახლებული პუნქტებისთვისაც (იხ. დიაგრამა 2.3.2). სტეფანწმინდისა და გუდაურის დაკავშირება შესაძლებელია ისე მოხდეს, რომ სხვა დასახლებული პუნქტებიც ჩაერთონ ეკონომიკურ აქტივობებში. შედეგად, ხელი შეეწყობა სტეფანწმინდიდან გუდაურისკენ მიმავალ გზასთან ახლოს მდებარე დასახლებების განვითარებას.

დიაგრამა 2.3.2 ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მეტად დასახლებული ტერიტორია ყველა სეზონზე

წყარო: ავტორი, კვლევის დაკვირვების შედეგი, 2019 წელი.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ანკეტით გამოკითხულ იქნა 71 ადგილობრივი მოსახლე და 34 ბიზნეს სექტორის წარმომადგენელი. კითხვები მიზნად ისახავდა სხვა საკითხებთან ერთად გამოვლენილიყო ადგილობრივ მოსახლეობასა და ბიზნეს სექტორს შორის თანამშრომლობის ხარისხი.

მუნიციპალიტეტში კვლევამ აჩვენა:

- მიუხედავად იმისა, რომ ყაზბეგის მუნიციპალიტეტზე ტურისტული სანახაობები მთელ ტერიტორიაზე არის გაბნეული, ტურისტები ღამის გასათევ ადგილად ძირითადად სტეფანწმინდისა და გუდაურის სასტუმროებს იყენებენ. სხვა დასახლებული პუნქტების მოსახლეობა მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებიდან საკმაოდ მცირე სარგებელს იღებს და მათი ჩართულობაც ამ სფეროში დაბალია. **იმ გამოკითხული მოსახლეობის 78%-მა, რომელიც არ ცხოვრობს ტურისტულ ცენტრებში, აღნიშნა, რომ ტურიზმის განვითარებიდან მათ სარგებელი არ მიუღიათ.**

- ის მოსახლეობა, რომელიც სეზონურად უბრუნდება ყაზბეგის მუნიციპალიტეტს, არასეზონურ პერიოდს დედაქალაქში ატარებს. მოსახლეობის გარკვეული ნაწილი დაბა სტეფანწმინდაში გადადის დროებით საცხოვრებლად, თუმცა **უფრო ხშირია მოსახლეობის დედაქალაქისკენ გადაადგილების შემთხვევები.**

- მუნიციპალიტეტში არსებული სავაჭრო ობიექტები, სასტუმროები თუ კაფე-ბარები პროდუქტს ძირითადად მუნიციპალიტეტის გარედან იღებენ, ხშირ შემთხვევაში დედაქალაქიდან. აღნიშნული ეხება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებსაც, რადგან ფერმერები ვერ უზრუნველყოფენ მათთვის სტანდარტების დაცვის დამამტკიცებელი საბუთისა და ფინანსური დოკუმენტაციის მიწოდებას.



დიაგრამა 2.3.3 მოსახლეობისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების პასუხი კითხვაზე: „ძირითადად სად შეიძენთ თქვენთვის საჭირო პროდუქტს/ნედლეულს?“

წყარო: ანკეტით გამოკითხვის შედეგები

მოსახლეობის 30%-მა აღნიშნა, რომ მისთვის საჭირო სასურსათო პროდუქტის შეძენის შესაძლებლობა აქვს იმავე დასახლებაში, სადაც ცხოვრობს, გამოკითხულთა 56%-სთვის შესყიდვის განხორციელების ძირითადი ადგილია სხვა დასახლება, თუმცა, იმავე მუნიციპალიტეტში. გამოკითხული ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების 62%-მა დააფიქსირა, რომ მათთვის საჭირო პროდუქტის შესყიდვის ძირითადი ადგილი არის დედაქალაქი. პროდუქტის შეძენას ზოგ შემთხვევაში თავად ახდენენ, ძირითად შემთხვევაში კი დისტრიბუტორები ამარაგებენ სავაჭრო მაღაზიებს, სასტუმროებსა და რესტორნებს თბილისიდან. თავად რეგიონიც ვერ უზრუნველყოფს ყაზბეგის მუნიციპალიტეტისთვის სათანადო რაოდენობითა და მისაღები პირობებით ნედლეულის მიწოდებას. გამოკითხული ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების მხოლოდ 12% თუ შეიძენს პროდუქტს რეგიონის ფარგლებს შიგნით, იმავე დასახლების შემთხვევაში, სადაც ბიზნესი ფუნქციონირებს ეს რიცხვი კიდევ უფრო დაბალია და მხოლოდ 6%-ს შეადგენს. ამრიგად, მუნიციპალიტეტისთვის სასაქონლო ნაკადების მოძრაობა უფრო მეტად დამახასიათებელია დედაქალაქიდან მუნიციპალიტეტის ცენტრების მიმართულებით და ნაკლებად

დამახასიათებელია მუნიციპალიტეტის შიგნით თუ რეგიონის სხვა ცენტრებიდან მუნიციპალური ცენტრების მიმართულებით.

მოსახლეობის ის ნაწილი კი, რომელიც დღეს ჩართულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წარმოებაში, დროთა განმავლობაში ცდილობს შეამციროს სასოფლო-სამეურნეო აქტივობა და დაიწყოს ისეთი საქმიანობა, რომელიც მეტად მომგებიანად მიაჩნიათ. ასეთ საქმიანობად გამოკითხულთა სრულმა უმრავლესობამ დაასახელა ტურიზმის სექტორი. მათ ძირითად სურვილს წარმოადგენდა საოჯახო-სასტუმროს მოწყობა, სუვენირების და ხელნაკეთი ნივთების წარმოება, ტურისტული სერვისის მიწოდება (ტრანსპორტირება, გიდის მომსახურება და სხვა), საცხობების გახსნა და სხვა. ასეთი სურვილი გამოთქვა მოსახლეობის არა მხოლოდ იმ ნაწილმა, რომელსაც უჭირს პროდუქტის რეალიზაცია, არამედ მათაც, ვინც მეტ-ნაკლებად ახერხებს წარმოებული პროდუქტის ტურისტებზე თუ ადგილობრივ მოსახლეობაზე გაყიდვას. მუნიციპალიტეტში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც საოჯახო-სასტუმროს მფლობელი იყენებს მისი საოჯახო მეურნეობის მიერვე წარმოებულ პროდუქტს, თუმცა, ასეთი პროდუქტის წილი მისთვის საჭირო სასურსათო პროდუქტში ძირითად შემთხვევაში 20%-ს არ აღემატება.



დიაგრამა 2.3.4 სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართული მოსახლეობის პასუხი კითხვაზე: „რომელი დებულება შეესაბამება ყველაზე მეტად თქვენს საქმიანობას ?“

წყარო: ანკეტით გამოკითხვის შედეგები

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართული მოსახლეობის 6%-ზე ნაკლებმა აღნიშნა, რომ ის პროდუქტს ყიდის ადგილობრივ სასტუმროებზე, რესტორნებსა და მსგავს დაწესებულებებზე. მოსალოდნელია ამ მაჩვენებლის კიდევ უფრო მეტად შემცირება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართულო მოსახლეობის რაოდენობის შემცირებასთან ერთად. მკვეთრად გამოკვეთილია მოსახლეობის სურვილი გადაერთონ ტურიზმის სექტორში, რადგან ამ დარგს უფრო მომგებიანად და ნაკლებ შრომატევადად მიიჩნევენ. მიზანმიმართული პოლიტიკის გატარების გარეშე, კიდევ უფრო მეტად გაიზრდება დედაქალაქსა და მუნიციპალიტეტის ცენტრებს შორის სასაქონლო ნაკადები. სასაქონლო ნაკადებს მხოლოდ ცალმხრივი მიმართულება აქვს და გადაადგილდება დედაქალაქიდან მუნიციპალიტეტის ცენტრების მიმართულებით. ასეთივე ტენდენცია ახასიათებს ტურისტების გადაადგილებას, მეტად დამახასიათებელია დედაქალაქში ჩასული ტურისტების მოძრაობა ყაზბეგის მიმართულებით, ვიდრე ყაზბეგში სახმელეთო გზით ჩასული ტურისტების გადაადგილება დედაქალაქის მიმართულებით.

ადგილობრივ ბიზნესსა და მოსახლეობას შორის საქმიანი თანამშრომლობის დაბალი დონე მრავალი მიზეზით არის განპირობებული.



დიაგრამა 2.3.5 ადგილობრივი ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების პასუხი კითხვაზე: „რა ფაქტორი გიშლით ყველაზე მეტად ხელს რომ შეიძინოთ პროდუქტი ადგილობრივი მოსახლეობისაგან ?“

წყარო: ანკეტით გამოკითხვის შედეგები

გამოკითხული ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებმა გამოთქვეს სურვილი, რათა ითანამშრომლონ ადგილობრივ მოსახლეობასთან და საშუალება მიეცეთ მომხმარებლებს შესთავაზონ ადგილობრივად წარმოებული პროდუქტი, თუმცა, ამ პროცესს სხვადასხვა ფაქტორი უშლის ხელს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად დასახელდა შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის მიღების პრობლემა, ისევე როგორც სტანდარტების დაცვის დამადასტურებელი საბუთის წარდგენა, განსაკუთრებით რძის პროდუქტებისა და ხორცის შემთხვევაში. იმისთვის, რომ ბიზნეს სუბიექტებმა ბუღალტრული აღრიცხვა განახორციელონ და მიღებული პროდუქტი ოფიციალურად შეისყიდონ სჭირდებათ შესაბამისი დოკუმენტაციის მიღება მათი მომწოდებლებისგან, რაც ადგილობრივ მოსახლეობას არ შეუძლია. მათი წარმოება საოჯახო ტიპისაა, მეტწილად საკუთარ მოხმარებაზე ორიენტირებული და ნამატის რეალიზაციის სურვილი არ არის

საკმარისი, რათა მათ მიიღონ გადაწყვეტილება ბიზნესის რეგისტრაციის შესახებ. მეორე, და არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემა არის პროდუქტის ის რაოდენობა, რისი შეთავაზებაც შეუძლიათ ასეთ საოჯახო მეურნეობებს ბაზრისთვის. პროდუქტის მცირე რაოდენობის ტრანსპორტირება ერთი მხრივ, არახელსაყრელია თავად ასეთი მეურნეობებისთვის და, მეორე მხრივ, არ იწვევს მომხმარებლების დაინტერესებას თავად უზრუნველყონ ტრანსპორტირება. შესაბამისად, თანამშრომლობა ორ მხარეს შორის არ დგება. რა შეიძლება იქნეს გამოსავალი ამ თანამშრომლობის ჩამოყალიბებისთვის? ბოლო პერიოდში საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს კოოპერატივების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, ამ პროცესში ჩართული იყო ევროკავშირიც შესაბამისი საგრანტო კომპონენტით. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა მხარეებმა დიდი შრომა გასწიეს კოოპერატივების ჩამოსაყალიბებლად და მათი საქმიანობის ხელშეწყობისთვის, წარმატებული კოოპერატივების მაგალითები საკმაოდ იშვიათია და მათი საქმიანობა ბევრ პრობლემას აწყდება მენეჯმენტის პროცესში. თუ არა კოოპერატივების შექმნა, მაშინ რა ფორმით შეიძლება ბიზნესსა და მოსახლეობას შორის პარტნიორობა შედგეს? მოსახლეობას შორის კოოპერაცია არ ნიშნავს აუცილებლად კოოპერატივების სამართლებრივად დარეგისტრირებას. მთავარია საოჯახო მეურნეობებმა დაინახონ მათი ერთმანეთთან თანამშრომლობის სარგებელი, ან მესამე პირმა (პოტენციურმა შუამავალმა) დაინახოს ეს სარგებელი. აღნიშნულისთვის, კი საჭიროა ინფორმაციაზე მეტი ხელმისაწვდომობა. საოჯახო მეურნეობების ერთმანეთთან თანამშრომლობით შესაძლებელი იქნება როგორც ფინანსური დოკუმენტაციის მომზადების ხარჯების შემცირება, ისე პროდუქტის არასაკმარისი რაოდენობის პრობლემის გადალახვა. მოკლევადიან პერიოდში ამ პრობლემის მოგვარების საშუალებაა სხვადასხვა საოჯახო მეურნეობის მიერ წარმოებული პროდუქტების გაერთიანება, ხოლო გრძელვადიან პერიოდში აქცენტი უნდა გაკეთდეს წარმოების განვითარებასა და პროდუქტიულობის ზრდაზე.

ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებმა კიდევ ერთ პრობლემად დაასახელეს პროდუქტის არასტაბილური მიწოდება. საოჯახო მეურნეობები სავარაუდო

მოსავლის ოდენობის პროგნოზირებისას ძირითადად წარსულ გამოცდილებას ეყრდნობიან. მათი შეფასება საკმაოდ ზედაპირულია და არ ეფუძნება მოსავლიანობის ინდიკატორების ანალიზს. შესაბამისად, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს საკმაოდ სარისკოდ მიაჩნიათ ასეთ მომწოდებლებთან თანამშრომლობა. ამ და სხვა ფაქტორების გავლენით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წარმოებაში ჩართული მოსახლეობა არ არის ბიზნეს სექტორისთვის ხელსაყრელი მომწოდებელი და მუნიციპალიტეტი ვერ ითვისებს ტურიზმიდან მისაღებ სარგებელს სრულად.

- **ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ორივე მიზიდულობის ცენტრს ახასიათებს**

სეზონურობა და ერთმანეთთან ნაკლებად განვითარებული კავშირები. დაბა სტეფანწმინდა ტურისტებით დატვირთულია ზაფხულის პერიოდში. ზამთრის სეზონზე ტურისტების რაოდენობა საკმაოდ დაბალია, რადგან ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მდგომარეობა და შეთავაზებული სერვისები მათთვის მიმზიდველი არ არის. იგივე შეიძლება ითქვას კურორტი გუდაურის სეზონურობაზე. მას დამსვენებლები ზამთრის სეზონზე სტუმრობენ ისიც სამთო-სათხილამურო ინფრასტრუქტურის გამო. თუ ზამთრის პერიოდში გუდაური დამსვენებლებს ვერ იღებს სასტუმროების არასაკმარისი რაოდენობის გამო, ზაფხულის პერიოდში ის დამსვენებლების დაბალი ფასებით მიზიდვას ცდილობს. ისევე, როგორც ზამთრის პერიოდში ზოგი ტურისტი ცდილობს ისარგებლოს დაბა სტეფანწმინდაში სასტუმროების მხრიდან შეთავაზებული შედარებით დაბალი ფასებით და ყოველდღიურად იმგზავროს გუდაურში. ეს შესაძლებლობა მიმზიდველია მხოლოდ რუსი ტურისტებისთვის, რომლებიც სახმელეთო გზით შემოდიან პირდაპირ ყაზბეგში. სხვა შემთხვევაში, როგორც უცხოელი, ისე ქართველი ვიზიტორებისთვის, დედაქალაქი უფრო მისაღები ადგილია ღამის გასათევად. დედაქალაქი დაბა სტეფანწმინდისგან განსხვავებით თავაზობს მათ უკეთეს ინფრასტრუქტურას, დასვენებისა და გართობის მრავალფეროვან არჩევანს, სოციალურ გარემოს, სადაც საშუალება ეძლევათ გაიცნონ ახალი ადამიანები და მათი კულტურა. გუდაურის კურორტის დედაქალაქთან სიახლოვე სარგებლის

მომტანია, თუმცა, დაბა სტეფანწმინდისთვის ეს ფაქტი გამოწვევას აჩენს. *„ზაფხულის პერიოდში აქ თითქმის არაფერი არ ხდება, ტურისტები მხოლოდ დათოვლილი მთებისთვის რატომ ჩამოვლენ? ზამთარში კი არა ზაფხულშიც არ არის საღამოს გართობის საშუალება. ზამთარში კიდევ თოვლიანი, ატალახებული და ხან მოყინული გზები კიდევ უფრო არაკომფორტულს ხდის აქაურობას ტურისტებისთვის. ზაფხულია რა მარტო სეზონი აქ.“ - აღნიშნა ერთ-ერთი საოჯახო-სასტუმროს მეპატრონემ დაბა სტეფანწმინდიდან.* იმისთვის, რომ სტეფანწმინდამ ზამთრის სეზონზე გუდაურთან სიახლოვით ისარგებლოს, მან დამსვენებელს ღამის გასათევისა და ტრანსპორტირების გარდა სხვა მომსახურებაც უნდა შეთავაზოს. აღნიშნულის რესურსული პოტენციალი დაბაში არსებობს.

ადგილობრივი განვითარების პოლიტიკა ორიენტირებულია ყველა დასახლებაში რაიმე პროექტის განხორციელებაზე. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანალიზი და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების შეფასებები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მუნიციპალიტეტის განვითარებაში ჩართული სხვადასხვა მხარე მიიჩნევს, რომ საჭიროა თითოეული დასახლების განვითარების ხელშეწყობა პროექტების განხორციელებით. საკმაოდ დიდი აქცენტი კეთდება მოსახლეობის თითოეულ დასახლებულ პუნქტში შენარჩუნებასა და მიგრაციის პროცესის შეჩერებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების თქმით დასახლებებში გარკვეულწილად ხორციელდება პროექტები, ადგილობრივი მოსახლეობისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებისთვის რთულია გაიხსენონ ისეთი პროექტი, რომელმაც მათ საცხოვრებელ პირობებსა და ბიზნეს გარემოზე შესამჩნევად დადებითი ზეგავლენა მოახდინა.



დიაგრამა 2.3.6 ადგილობრივი თვითმმართველობისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების (მხოლოდ ისინი, რომლებიც მუნიციპალური ცენტრების გარეთ ცხოვრობენ/ფუნქციონირებენ) პასუხი კითხვაზე: „გთხოვთ გაიხსენოთ ბოლო 5 წლის განმავლობაში განხორციელებული პროექტი, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა თქვენი საცხოვრებელი პირობებისა და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებაზე“

წყარო: ანკეტით გამოკითხვის შედეგები

გამოკითხულთა 47%-მა აღნიშნა, რომ ასეთი პროექტი საერთოდ არ განხორციელებულა. გამოკითხულთა 27%-ს ასეთი პროექტი არ ახსენდება, თუმცა, უშვებენ, რომ შესაძლოა ყოფილიყო. ის ფაქტი რომ ასეთ პროექტს ვერ იხსენებენ, პროექტის არსებობის შემთხვევაშიც მოსახლეობისათვის მის ნაკლებ მნიშვნელოვნებაზე მიუთითებს. გამოკითხულთა მხოლოდ 7%-ს ახსენდება ასეთი პროექტი, რამდენიმე მათგანმა ასეთ პროექტად კობი-გუდაურის დამაკავშირებელი საბაგირო გზა დაასახელა. ამრიგად, ბოლო 5 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ცენტრალური ადგილების გარეთ მოსახლეობისა და ბიზნეს სექტორის შეფასებით მნიშვნელოვანი პროექტი არ განხორციელებულა, რომელმაც მათ სარგებელი ან დასახლების განვითარების პროცესი დაანახა.

ადგილობრივი მოსახლეობა, ბიზნეს სექტორის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების

უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სასურველია ყველა დასახლებაში შეძლებისდაგვარად რაღაც გაკეთდეს. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, რომელთაც ბოლო წლების განმავლობაში აქვთ პასუხისმგებლობა მუნიციპალიტეტში საგრანტო დაფინანსებები გასცენ, დააფიქსირეს, რომ ისინი ცდილობენ დაფინანსება გაიცეს მეტად გაფანტულად და არა კონცენტრირებულად, რათა შეძლებისდაგვარად ყველა თემის მკვიდრი ჩაერთოს ეკონომიკურ საქმიანობაში. კითხვაზე „რა ჯობია, სახელმწიფო ცდილობდეს ყველა დასახლების დახმარებას თუ მეტწილად ცენტრების განვითარებას?“, გამოკითხულთა 97%-მა დააფიქსირა, რომ საჭიროა თითოეული დასახლების განვითარების ხელშეწყობა.

მუნიციპალიტეტის გამოცდილება და შეზღუდული რესურსები გვიჩვენებს, რომ „ცოტა მაინც ყველგან“ პრინციპი არ არის ეფექტიანი, განსაკუთრებით ნაკლებად განვითარებული ქვეყნისა და ტერიტორიისთვის. წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ამ მიდგომისა და შესაბამისად დახარჯული ფინანსური სახსრების მიუხედავად, ადგილობრივი მოსახლეობისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებმა დააფიქსირეს, რომ მუნიციპალური ცენტრების გარეთ მნიშვნელოვანი პროექტი არ განხორციელებულა. ამრიგად, მუნიციპალური ცენტრების განვითარებაზე ორიენტაციის აღება, განსაკუთრებით შესამჩნევი არ იქნება სხვა დასახლებებისთვის და მოსალოდნელია, რომ მეტ სარგებელს მოუტანს მათ, ვიდრე დასახლებაში მცირე ინფრასტრუქტურული პროექტები.

რესურსების შეზღუდულობა და აგლომერაციის ეფექტი აჩვენებს, რომ სწრაფი განვითარების მისაღწევად საჭიროა მიზიდულობის ცენტრებზე აქცენტის გაკეთება და გამართული ინფრასტრუქტურის კონცენტრაცია. მუნიციპალიტეტის სწრაფი განვითარების ხელშემწყობი იქნება:

- **ინფრასტრუქტურის მოწყობა მუნიციპალიტეტის ცენტრებზე ორიენტაციის აღებით** (დაბა სტეფანწმინდა და გუდაური). ადგილობრივი თვითმმართველობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტების დაგეგმვისას საჭიროა მათი თანამშრომლობა და პრიორიტეტის მინიჭება იმ

პროექტებისთვის, რომლებიც შესამჩნევად აისახება მუნიციპალიტეტის საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაზე. აღსანიშნავია, რომ ორივე ცენტრს ტურისტული ფუნქცია აქვს მიღებული. დაბა სტეფანწმინდა დამატებით არის სახელმწიფო დაწესებულებების კონცენტრაციის სივრცე. **მუნიციპალიტეტში რეალური ეკონომიკის განვითარებისთვის საჭიროა ჩამოყალიბდეს სხვა ფუნქციური ცენტრები**, მაგალითად „სასოფლო-სამეურნეო“, „სატყეო მეურნეობა“, „ურბანიზებული“, „გადამამუშავებელი წარმოება“ და სხვა. ფუნქციური ცენტრები შესაძლოა უფრო მეტად სპეციალიზებული იყოს, მაგალითად „რძისა და რძის პროდუქტების საწარმოო“, „მინერალური წყლების საწარმოო“, „სამშენებლო ბიზნესით კონცენტრირებული“, „სამედიცინო-რეკრეაციული სერვისის მიმწოდებელი“ და სხვა. ასეთი ფუნქციური ცენტრების გამოყოფა ხელს შეუწყობს, როგორც ეკონომიკური საქმიანობის მრავალფეროვნებას, ისე აგლომერაციის ეფექტის გაჩენას, რაც დროთა განმავლობაში მოიზიდავს შესაბამის ინვესტიციებს მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე.

- **გუდაურის დაკავშირება დაბა სტეფანწმინდასთან ზაფხულის სეზონზე, რათა კურორტის სეზონურობა შემცირდეს.** გუდაურს აქვს პოტენციალი ტურისტებს შესთავაზოს სხვადასხვა ტურები სტეფანწმინდისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის მიმართულებით. ასეთი ტურები შეიძლება იყოს: ველოსიპედის ტურები, ადგილობრივი კულინარიული ტური, ტურები ფერმებში, ყოველდღიური გამაჯანსაღებელი ვარჯიშები განსხვავებული ხედებით და სხვა. დაბა სტეფანწმინდასა და გუდაურს შორის თემატური გასართობი პარკის ან სხვა ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ხელს შეუწყობდა ამ ორი ცენტრის ერთმანეთთან დაკავშირებას და მიმდებარე დასახლებების ჩართვას ტურიზმის სფეროში.
- **დაბა სტეფანწმინდაში ზამთრის სეზონის გააქტიურების ხელშეწყობა.** ამისთვის პირველ რიგში საჭიროა დაბაში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, რათა ტურისტებს საშუალება ჰქონდეთ კომფორტულად გადაადგილდნენ. დაბა სტეფანწმინდის ცენტრის განვითარება ერთ-ერთი

საფუძველია დაბაში, როგორც მოსახლეობის, ისე ტურისტების აქტივობის ზრდისთვის. დაბის მოსახლეობამ ტურისტებს შესანიშნავი ხედების გარდა სხვა მომსახურებაც უნდა შეთავაზოს, რათა მათი ადგილზე გაჩერების ხანგრძლივობა გაიზარდოს და დაიტვირთოს გასართობი თუ რეკრეაციული აქტივობებით. დაბა სტეფანწმინდაში ზამთრის სეზონზე შესაძლებელია ისეთი მომსახურების პაკეტების შექმნა, როგორიცაა: მარხილის, მათ შორის ძაღლების მარხილის ტურები, ციგებით სრიალი, თოვლის ველოსიპედის ტურები, ორგანიზებული ტრანსპორტი გუდაურის მიმართულებით შესაბამისი აღჭურვილობისა და სადილის პაკეტის უზრუნველყოფით, სალაშქრო ტურები და სხვა. ზამთრის სეზონზე მუნიციპალიტეტის ცენტრების დაკავშირებას სჭირდება მათ შორის სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება, რათა შესაძლებელი გახდეს თოვლის სხვადასხვა ტრანსპორტით ტურისტების მიმოსვლა.

ცენტრების განვითარებით წარმოქმნილ სარგებელს ზეგავლენა ექნება სხვა ტერიტორიებზეც, როგორიცაა: ტრუსოს ხეობა, სნო, ჯუთა, გველეთი, ხადას ხეობა და მათი მიმდებარე დასახლებები. მუნიციპალური ცენტრების გარშემო მყოფი ტერიტორიული ერთეულების მათთან დასაკავშირებლად საჭიროა მოსახლეობას შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა, სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება და საჭიროების შემთხვევაში მოსახლეობის ცენტრების მიმართულებით მიგრაციის ხელშეწყობა. ასეთი პროცესის ჩამოყალიბებას წინ უნდა უსწრებდეს მუნიციპალიტეტის ცენტრებში ადამიანურ რესურსზე მოთხოვნის ზრდა და დასაქმების შესაძლებლობების გაჩენა. დაბა გუდაურს უკვე ახასიათებს ურბანიზაციის პროცესი, რაც კურორტში უძრავ ქონებაზე მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე წლებია დაწყებულია. დაბა სტეფანწმინდაში ეს პროცესი შედარებით ნელა მიმდინარეობს. ურბანიზაციის პროცესის ხელშეწყობისას აუცილებელია გათვალისწინებული იყოს კურორტების იერსახის შენარჩუნების პირობა.

ამრიგად, მუნიციპალიტეტის განვითარების პოტენციალი იკვეთება, ერთი მხრივ, მისი ორი მიზიდულობის ცენტრის, მეორე მხრივ, მათ მიმდებარედ არსებული დასახლებების ცენტრებთან დაკავშირებით. განვითარების ასეთი მიდგომა იძლევა შედარებით სწრაფი ზრდის შესაძლებლობას და მოსახლეობის შემოსავლების სეზონურობის შემცირებას. „ცოტა მაინც ყველგან“ პრინციპის ჩანაცვლება მუნიციპალიტეტის ცენტრებზე ორიენტაციის აღებით საშუალებას მისცემს ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას განახორციელოს მეტად ეფექტიანი პროექტები. პარალელურად საჭიროა მუნიციპალიტეტებში ფუნქციური ცენტრების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, რათა მუნიციპალიტეტის ეკონომიკამ ისარგებლოს სპეციალიზაციით და შეძლოს მოიზიდოს ინვესტიციები სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებში.

2.4 მაღალმთიანი რეგიონების განვითარების პოლიტიკა და მისი გავლენა ბიზნეს გადაწყვეტილებაზე

ბიზნეს სუბიექტების ადგილმდებარეობა და მათი განაწილება ქვეყნის მასშტაბით მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საცხოვრებელი ადგილის შესახებ მოსახლეობის არჩევანზე, მით უფრო ისეთ ქვეყანაში, სადაც დასაქმების შესაძლებლობები ქვეყნის სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულში არათანაბრად არის შეთავაზებული და ეკონომიკური აქტივობა ძირითადად თავმოყრილია დედაქალაქში. დაბალი ბიზნეს აქტივობის პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა მაღალმთიან რეგიონებში, რადგან იქ არსებული გარემო პირობები, ტრანსპორტირების შედარებით მაღალი დანახარჯები, ხშირ შემთხვევაში ნაკლებად განვითარებული ინფრასტრუქტურა და სათანადო ადამიანური რესურსის ნაკლებობა დამატებით დანახარჯებს წარმოქმნის ბიზნეს სუბიექტებისთვის. ამასთან, მაღალმთიან რეგიონები ნაკლებად მჭიდროდ არიან დასახლებულები, მოსახლეობის რაოდენობაც ნაკლებია შესაბამისად მათ მიერ შექმნილი ერთობლივი მოთხოვნა. ამრიგად, მსხვილი ინვესტორისთვის სტიმული სარეალიზაციო ბაზართან სიახლოვე ვერ იქნება. მას მაღალმთიანმა რეგიონმა უნდა შესთავაზოს ადგილობრივი რესურსი, რომელიც ტრანსპორტირებას არ ექვემდებარება და სარეალიზაციო ბაზრამდე ტრანსპორტირების მომგებიანი შესაძლებლობა.

საქართველოს მოსახლების საყოველთაო აღწერის 2014 წლის მონაცემების მიხედვით, მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებთა რაოდენობა 2002 წელთან შედარებით 30%-ით შემცირდა (საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია 2017, 9).

მაღალმთიანი რეგიონების განვითარებისათვის სპეციალური პოლიტიკის გატარების საჭიროება განპირობებულია მთის გეოგრაფიული, კლიმატური, ეკონომიკური და ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის თავისებურებებით. მთის ზემოაღნიშნული მახასიათებლები, როგორც საცხოვრებელი, ისე ეკონომიკური საქმიანობის წარმართვისთვის, მნიშვნელოვნად განსხვავდება ბარში არსებულისაგან. მოსახლეობის მიგრაციას განაპირობებს ისეთი ობიექტური

ფაქტორები, როგორებიცაა: მცირემიწიანობა, მიწის ფრაგმენტაცია და შემცირებული ნაყოფიერება; კლიმატის ცვლილებები და ბუნებრივი კატასტროფები; რესურსების არამდგრადი გამოყენება; ინფრასტრუქტურის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა; საკვების წარმოებასთან დაკავშირებული სირთულეები; საჯარო და კერძო სექტორის მომსახურებაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობა; ბიზნესის განვითარების არამიმზიდველი გარემო და სხვა. როგორც ვხედავთ, მთაში ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები ბართან შედარებით შეზღუდულია, რაც მაღალმთიანი რეგიონების განვითარების ხელშეწყობისთვის სპეციალური პოლიტიკის შემუშავებას მოითხოვს.

საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ანაზღაურებად სამუშაოზე მხოლოდ მოსახლეობის 22%-ია დასაქმებული. მოსახლეობის დარჩენილი ნაწილის შემოსავლის ძირითადი წყარო სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაა. მიუხედავად იმისა, რომ მაღალმთიანი მოსახლეობის თითქმის 80% თვითდასაქმებულია, სოფლის მეურნეობის დარგში საქართველოს მთიან რეგიონებში სასურსათო უსაფრთხოების დონე უფრო დაბალია ვიდრე მთლიანად საქართველოში (ოქსფამი 2016, 7).

მაღალმთიან დასახლებებში საბაზო კვების პროდუქტების უმეტესობა ან არ იწარმოება, ან არასაკმარისი რაოდენობით იწარმოება, ამიტომ მოსახლეობა ძირითადად ბარში წარმოებულ ან იმპორტირებულ პროდუქტს მოიხმარს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მაღალმთიან რეგიონებში ეკონომიკური საქმიანობის განვითარების ხელშეწყობისთვის სპეციალური სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად შეღავათების დაწესების აუცილებლობას განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლიც (საქართველოს კონსტიტუცია 1995, მუხლი 5).

ამ და სხვა გამოწვევების საპასუხოდ 2015 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ, რომლის მიზანიცაა

ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა და მაღალმთიან რეგიონების მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა (საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ 2015, 1).

საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის საკვებით უზრუნველყოფის საკითხების განხილვა სოფლის-მეურნეობის დარგის ანალიზის გარეშე წარმოუდგენელია. შესაბამისად, აქცენტი გავაკეთეთ „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შეღავათების ანალიზსა და მისი პოტენციური როლის შეფასებაზე სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისათვის.

მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მინიჭების კრიტერიუმები

საქართველოს კანონით „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ მაღალმთიანი დასახლებების დელიმიტაციის პარამეტრები და კრიტერიუმები ეყრდნობა ჰიფსომეტრიული სიმაღლის მიხედვით მათ მდებარეობას. ამ კანონით მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მინიჭებული აქვს ზღვის დონიდან 1500 მეტრ და მეტ სიმაღლეზე მდებარე დასახლებებს, ასევე, კონკრეტულ ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებში მდებარე დასახლებებს; სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით სტატუსი შეიძლება მიენიჭოს დასახლებას, რომელიც ზღვის დონიდან არანაკლებ 800 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს და გამონაკლის შემთხვევაში, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი შეიძლება ზღვის დონიდან 800 მეტრის სიმაღლეზე ქვევით მდებარე დასახლებასაც მიენიჭოს.

მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მინიჭებული აქვს 1,730 დასახლებას, მათგან 947 მდებარეობს ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეში, 194 მდებარეობს 1,500 მეტრ და მეტ სიმაღლეზე, ხოლო 589 დასახლებას მიენიჭა სტატუსი შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით (მთის განვითარების ეროვნული საბჭოს სხდომის N2 ოქმის დანართი N1):

- **დემოგრაფიული კრიტერიუმი** - გამომდინარე იქიდან, რომ კანონის ერთ-ერთი მიზანია მოსახლეობის მთაში შეკავება, საჭირო გახდა იმ

დასახლებების იდენტიფიცირება, სადაც მიგრაციული პროცესები მწვავეა. ის დასახლება, რომელიც 800-1500 მეტრზე მდებარეობს და მოსახლეობის რაოდენობა არ აღემატება 10-ს ავტომატურად, კრიტერიუმების გარეშე იღებს მაღალმთიანი დასახლების სტატუსს. სხვა შემთხვევაში დემოგრაფიული კრიტერიუმი შედგენა ორი ქვეკრიტერიუმისგან: (1) 2002 და 2014 წლების აღწერის პერიოდში მოსახლეობის რაოდენობამ დასახლებაში იკლო 25%-ზე მეტად; (2) მოსახლეობის საშუალოდ ასაკი შეადგენს 40 წელზე მეტს;

- **სასოფლო-სამეურნეო კრიტერიუმი** - ამ კრიტერიუმს უნდა გამოევლინა ის დასახლებები, რომელთა მოსახლეობისთვისაც რელიეფი ართულებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. აღნიშნულის შეფასება მოხდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და გამოვლინდა ის დასახლებები, სადაც რეგისტრირებული მოქალაქეების კუთვნილი მთლიანი სასოფლო-სამეურნეო ან სახნავ-სათესი ფართობების ნახევარზე მეტის დამუშავება შეუძლებელია იმ სტანდარტული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, რომელიც გამოიყენება ბარის პირობებში.
- **პერიფერიულობის კრიტერიუმი** - გულისხმობს პერიფერიული დასახლებების გამოვლენას. გამომდინარე იქიდან, რომ მოსახლეობას ხელმისაწვდომობა მეტ-ნაკლებად სათანადო ინფრასტრუქტურაზე და მომსახურებაზე აქვთ მუნიციპალურ ცენტრებში, მათი დაშორება ცენტრიდან საცხოვრებელი გარემოს შედარებით დაბალ ხარისხზე მიუთითებს. მუნიციპალური ცენტრიდან დასახლების დაშორების შესაფასებლად მოხდა ორი ინდიკატორის გამოთვლა:
  - **S=0,01S1+0,02S2+0,03S3+0,04S4**, სადაც S1 - დასახლებასა და მუნიციპალურ ცენტრს შორის საერთაშორისო გზების სიგრძეა; S2 - შიდასახელმწიფოებრივი; S3 - ადგილობრივი მნიშვნელობის გზა ასფალტის/ბეტონის საფარით; S4 – გრუნტის გზის მონაკვეთი. აღნიშნული მონაკვეთების სიგრძე თითოეული დასახლებისთვის მრავლდება შესაბამის სირთულის კოეფიციენტზე და ჯამდება. S-ს შეგვიძლია ვუწოდოთ დასახლებიდან მუნიციპალურ ცენტრამდე

მისასვლელი გზის სირთულის კოეფიციენტი, რომელიც განპირობებულია გზის მდგომარეობიდან გამომდინარე.

- $\boldsymbol{K = h\frac{10+h}{10-h}}$ სადაც, h არის კილომეტრებით გამოხატული აბსოლუტური სიმაღლე, ხოლო შედეგად ვიღებთ K კოეფიციენტს, რომელიც გვიჩვენებს დასახლებიდან მუნიციპალურ ცენტრამდე მისასვლელი გზის სირთულეს, რაც გამოწვეულია დასახლების მაღალმთიანობით.

დასახლების პერიფერიულობა განისაზღვრება ამ ორი კოეფიციენტის ჯამით (S+K), თუ ეს ჯამი მუნიციპალიტეტის საშუალო მაჩვენებელს აღემატება, დასახლება პერიფერიულია (მთის განვითარების ეროვნული საბჭოს სხდომის N2 ოქმის დანართი N1).

იმისთვის, რომ ზღვის დონიდან 1,000 მეტრზე მდებარე დასახლებას მიენიჭოს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი უნდა აკმაყოფილებდეს ზემოთ წარმოდგენილი სამი კრიტერიუმიდან ერთს მაინც, ხოლო თუ დასახლება მდებარეობს 800-დან 1,000 მეტრამდე სიმაღლეზე მაშინ ორი კრიტერიუმის დაკმაყოფილება არის საჭირო სტატუსის მისაღებად. დასახლებების ნუსხა დამტკიცებულია და საშუალოდ 10 წლის განმავლობაში არ იგეგმება ამ ნუსხის გადახედვა, რაც ზეპირსიტყვიერად იქნა გაჟღერებული.

უნდა აღინიშნოს, რომ მაღალმთიანი რეგიონების განვითარების ხელშეწყობაზე ორიენტირებული პოლიტიკის შემუშავებისას მაღალმთიანი რეგიონი, როგორც ცნება არასწორად განისაზღვრა, რადგან „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი მაღალმთიან რეგიონს განმარტავს როგორც მაღალმთიან დასახლებას. ეს ნიშნავს, კანონი რომ რეგიონს განიხილავს ვიწროდ, დასახლებული პუნქტების ერთობლიობად, რომელიც არ მოიცავს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს; გზებს, რომელიც დასახლებულ პუნქტებს ერთმანეთთან აკავშირებს; მთას; ტყეს და სხვა გეოგრაფიულ არეალს, სადაც მოსახლეობა არ არის დასახლებული. რეგიონი და რეგიონული განვითარება უფრო ფართო არეალს მოიცავს, ვიდრე დასახლებული პუნქტების განვითარებაა.

საგადასახადო შეღავათები და მათი პოტენციური ეფექტიანობა მაღალმთიან დასახლებებში. საქართველოს კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ მეწარმე სუბიექტებისთვის ითვალისწინებს სხვადასხვა საგადასახადო შეღავათს. საგადასახადო შეღავათი ბიზნესის მნიშვნელოვანი მასტიმულირებელი ინსტრუმენტია, თუმცა, მათი ეფექტი მნიშვნელოვნად შეზღუდულია. იმისთვის, რომ შეგვეფასებინა, წლების განმავლობაში საგადასახადო კოდექსით დადგენილი შეღავათების გარდა, თუ რა დამატებით შეღავათებს თავაზობს სოფლის-მეურნეობის სფეროში ჩართულ სუბიექტებს „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი, შევისწავლეთ ორი შემთხვევა (ჯიბუტი 2018): კარტოფილის წარმოება (შემთხვევა 1.-პირველადი წარმოება) და ჩიფსის წარმოება (შემთხვევა 2-გადამუშავებული წარმოება) (იხ. ცხრილი 2.4.1 და ცხრილი 2.4.2).

ცხრილში 2.4.1 წარმოდგენილია პირველად სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირების/ორგანიზაციებისთვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული დარგობრივი შეღავათები და საქართველოს კანონით „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ დაწესებული დამატებითი შეღავათები. თუ ფერმერი სოფლის მეურნეობის დარგში ეწევა პირველად წარმოებას, მისთვის დამატებითი შეღავათი იქნება ქონების გადასახადი უძრავ ქონებაზე (საქართველოს საგადასახადო კოდექსი, კარი IX, თავი XXIX, მუხლი 206, ქ,ჰ[6]). მაღალმთიან რეგიონში მიწის დამუშავება შედარებით რთულია და დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. მართალია, უძრავ ქონებაზე საგადასახადო შეღავათი ფერმერს საშუალებას აძლევს გარემო პირობებით გამოწვეული წარმოების დაბალი კონკურენტუნარიანობა გაზარდოს, მაგრამ ქონების გადასახადი აგრობიზნესისთვის განსაკუთრებით მძიმე ტვირთს არ წარმოადგენს. ამიტომ ზემოაღნიშნული შეღავათი არ იწვევს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განვითარების მნიშვნელოვან სტიმულირებას, თუმცა, მოქმედ ფერმერებს უმსუბუქებს საგადასახადო ტვირთს.

ცხრილი 2.4.1 შემთხვევა #1 - საგადასახადო შეღავათები საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში რეგისტრირებული კარტოფილის მწარმოებელი პირისათვის (პირველადი წარმოება)

გადასახადის სახე	**დარგობრივი შეღავათი**	**მაღალმთიანი დასახლების საწარმოსთვის არსებული დამატებითი შეღავათი**
საშემოსავლო გადასახადი	ფიზიკური პირი 200 000 ლარამდე გათავისუფლებულია	ფიზიკური პირი 6 000 ლარამდე გათავისუფლებულია
მოგების გადასახადი	პირველადი მიწოდებით მიღებული მოგება ან მოგების განაწილება გათავისუფლებულია (200 000 ლარამდე ერთობლივი შემოსავლის შემთხვევაში)	გათავისუფლებულია 10 წლით
დამატებული ღირებულების გადასახადი	პირველადი წარმოება გათავისუფლებულია	დამატებითი შეღავათი არ არის განსაზღვრული
ქონების გადასახადი	მოძრავი ქონება გათავისუფლებულია	სრულად გათავისუფლებულია

საქართველოს მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საწარმო, რომელიც გადაამუშავებს კარტოფილს ჩიფსის საწარმოებლად, სარგებლობს დამატებით მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათებით (იხ. ცხრილი 2.4.2), რაც გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის სტიმულს უნდა აჩენდეს. ფაქტობრივად, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების შემდგომ პერიოდში მაღალმთიან დასახლებებში არც ერთი ახალი გადამამუშავებელი საწარმო არ შექმნილა. შესაბამისად, ჩნდება კითხვა: თუ საგადასახადო შეღავათი სტიმულს აძლევს მეწარმეს, რომ ინვესტიცია ჩადოს გადამამუშავებელ საწარმოში, დღემდე რატომ არც ერთ მეწარმეს არ გაუჩნდა ასეთი სტიმული? პასუხი ნათელი ხდება საოპერაციო და საინვესტიციო საკითხების დეტალური განხილვისას. კერძოდ, რამდენად არის გადასამუშავებელი ნედლეული ხელმისაწვდომი რეგიონში? რა იქნება

ნედლეულის საწარმომდე ტრანსპორტირების დანახარჯები? რამდენად არის შესაძლებელი ტრანსპორტირება დანაკარგების გარეშე? ხელმისაწვდომია თუ არა სათანადო რაოდენობის და კვალიფიკაციის სამუშაო ძალა მაღალმთიან რეგიონებში ? რა იქნება სარეალიზაციო ბაზარზე მზა პროდუქციის მიწოდების ხარჯები და სხვა.

ცხრილი 2.4.2 შემთხვევა #2 - საგადასახადო შეღავათები საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში რეგისტრირებული კარტოფილის ჩიფსის მწარმოებელი საწარმოსთვის (გადამუშავება)

გადასახადის სახე	**დარგობრივი შეღავათი**	**მაღალმთიანი დასახლების საწარმოსთვის არსებული დამატებითი შეღავათი**
საშემოსავლო გადასახადი	იბეგრება ზოგადი წესით	ფიზიკური პირი 6 000 ლარამდე თავისუფალია
მოგების გადასახადი	იბეგრება ზოგადი წესით, მოგების რეინვესტირებული ნაწილი თავისუფლდება	გათავისუფლებულია 10 წლით
დამატებული ღირებულების გადასახადი	იბეგრება ზოგადი წესით	იბეგრება ზოგადი წესით
ქონების გადასახადი	იბეგრება ზოგადი წესით	გათავისუფლებულია

თუ მხედველობაში მივიღებთ საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების არსებულ სანედლეულო ბაზას და რესურსების რაოდენობას საქართველოს კანონით „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ განსაზღვრული შეღავათები შესაძლოა მხოლოდ მცირე ზომის საწარმოს შექმნისთვის იყოს მასტიმულირებელი. თუმცა, ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მცირე ზომის საწარმოთა პოტენციური კონკურენტუნარიანობის საკითხები დამატებით შესწავლას საჭიროებს.

სახელმწიფოს მხრიდან ასეთი ფინანსური სტიმულების არსებობამ თუ ის გრძელვადიან პერიოდში გარანტირებული არ არის შესაძლოა ხელი შეუწყოს ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში, როგორებიცაა საქართველოს შემთხვევაში

მაღალმთიანი დასახლებები, არაეფექტიანი ბიზნეს საქმიანობის წამოწყებას. ასეთი საქმიანობა სხვა თანაბარ და კონკურენტულ პირობებში არ იქნებოდა მომგებიანი. რისკი განსაკუთრებით მაღალია მაშინ, როდესაც ასეთ რეგიონებში სათანადო ადამიანურ თუ სხვა ტიპის რესურსებს ვერ ვხვდებით. გადასახადებისგან გათავისუფლების სტიმულებმა შესაძლოა არასწორი სიგნალი მისცეს ბიზნეს სუბიექტებს. მათი მხრიდან საქმიანობის დაწყება თავდაპირველ ეტაპზე რეგიონში ეკონომიკურ აქტივობას მისცემს სტიმულს, თუმცა, გრძელვადიან პერიოდში მიგვიყვანს წარუმატებელ ბიზნეს ფირმებამდე და მასთან ერთად დასაქმების მაჩვენებლის შემცირებამდე. აღნიშნული რისკების თავიდან ასაცილებლად, პირველ რიგში საჭიროა შეფასდეს ის ფაქტორები, რომლებიც დღეს ინვესტორებს არ აძლევს სტიმულს ინვესტიცია ჩადონ ასეთ რეგიონებში. ამის შემდეგ უნდა მოხდეს გადაწყვეტილების მიღება თუ რამდენად ეფექტიანი იქნება გრძელვადიან პერიოდში მათი გადასახადებისგან განთავისუფლების პოლიტიკა.

საქართველოში ამ პოლიტიკის არაეფექტიანობაზე მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მიმღებთა რაოდენობა და ტიპი მეტყველებს. სულ 2018 წლის პირველი ნახევრის მდგომარეობით მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსი მიღებული ჰქონდა 335 საწარმოს, რომელთა ძირითადი ნაწილი მიკრო და მცირე საწარმოა. აღნიშნულ საწარმოებს მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მიღებამდე უკვე ჰქონდათ მიკრო ან მცირე საწარმოს სტატუსი, რაც ნიშნავს, რომ ისედაც სარგებლობდნენ რიგი საგადასახადო შეღავათებით. შეიძლება ითქვას, რომ მათთვის მნიშვნელოვანი სარგებელი სტატუსის მიღებას არ მოუტანია. პირიქით, მათ შეეზღუდათ საქმიანობის არეალი, რადგან კანონი განსაზღვრავს მაღალმთიანი საწარმოს სტატუსის შეწყვეტის პირობებს: თუ საწარმო ახორციელებს (1) ლიცენზირებისადმი/ნებართვის გაცემისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობას; (2) მომსახურების გაწევას; (3) საქონლით ვაჭრობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხორციელდება საქონლის გადამუშავება და მიწოდება. როგორც მაღალმთიან რეგიონებში, ისე ბარში ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთი იურიდიული პირი ეწევა რამდენიმე სხვადასხვა ეკონომიკურ საქმიანობას, რადგან ერთი საქმიანობა შესაძლოა იყოს სეზონური და ბიზნესის მფლობელი ცდილობს ეკონომიკური

საქმიანობებიდან შემოსავლების დივერსიფიკაციით შეამციროს რომელიმე ბიზნესის წარუმატებლობის რისკი და გაზარდოს შემოსავლის სტაბილურად მიღების შესაძლებლობა. ამრიგად, მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მქონე საწარმოებზე არსებული შეზღუდვა ცალკე ბარიერებს ქმნის ბიზნესის ფუნქციონირებისთვის.

ამრიგად, საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების განვითარების ხელშეწყობის სახელმწიფო პოლიტიკა, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტია საქართველოს კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“, გაუმჯობესებას საჭიროებს იმისთვის, რომ მან უზრუნველყოს არა მხოლოდ სოციალური მდგომარეობის დროებით შემსუბუქება, არამედ ეკონომიკური განვითარება.

საქართველოს კანონით „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ განსაზღვრული ნორმები ძირითადად ორიენტირებულია სოციალური პაკეტების შეთავაზებით მოსახლეობისთვის უკეთესი პირობების შექმნაზე, რასაც მხოლოდ მოკლევადიანი ეფექტი აქვს. კანონით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათები ხელს არ უწყობს სამეწარმეო საქმიანობის დაწყებას და განვითარებას. იგი უკვე მოქმედ მეწარმეებს მხოლოდ საგადასახადო ტვირთს უმსუბუქებს, ისიც საკმაოდ იშვიათ შემთხვევაში. მთის განვითარების პოლიტიკის აქცენტი და საგადასახადო შეღავათების არსებობის ეფექტიანობა სოფლის მეურნეობის თუ სხვა დარგებში პირველადი წარმოების შემთხვევაში მინიმალურია, მაშინ როდესაც ეკონომიკური აქტივობის შემდგომი ზრდის დამაბრკოლებელი ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა სწორედ პირველადი წარმოების ეტაპზე არსებული დაბალი მოსავლიანობა და პროდუქტიულობაა. საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში, სანედლეულო ბაზის სიმწირიდან გამომდინარე, გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა ინვესტორებისათვის არამიმზიდველია, ხოლო საქართველოს კანონით „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ გათვალისწინებული დამატებითი შეღავათები არაქმედითი.

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების კანონს საკმაოდ დაგვიანებით მოყვა „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია 2019-2023“, რომლის შემუშავებაც დასრულდა 2018 წელს. აღნიშნული სტრატეგიის დოკუმენტი კარგი მაგალითია რეგიონული განვითარების პოლიტიკის სადაც დოკუმენტის პროექტის 46 გვერდიდან 40 დათმობილი აქვს აღწერილობით ინფორმაციას, წარმოდგენილია პრობლემური საკითხები, საჭიროებები და გამოწვევები, რომელთა საპასუხო ხედვას, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების აღწერას ერთ გვერდნახევარზე მეტი არ დასჭირდა. დოკუმენტში წარმოდგენილია სამი სტრატეგიული მიზანი და შესაბამისი ამოცანები. ამავე ნაწილში წარმოდგენილია მოსაზრება, რომ ხედვის მისაღწევად ყველა მაღალმთიან დასახლებაში მოხდება ადგილობრივი პოტენციალისა და „განვითარების სპეციალური ტერიტორიების“ განსაზღვრა, *რათა ამ ტერიტორიებზე მიზნობრივი პროგრამები განხორციელდეს, მიზიდულობის ცენტრებთან არსებული კავშირების მხედველობაში მიღებით* („საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია 2019-2023“, 41). საინტერესო იქნებოდა აღნიშნული მიდგომის დეტალური აღწერა, თუმცა, ინფორმაცია თუ რა იგულისხმება ამ ხედვაში წარმოდგენილი არ არის. უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელი და მისასალმებელია მაღალმთიანი დასახლებების განვითარების დაგეგმვა არა როგორც ცალკეული დასახლებებისთვის ინდივიდუალურად, არამედ გარშემო მყოფ დასახლებებთან თუ სხვა ტერიტორიულ ერთეულებთან მჭიდრო ურთიერთკავშირის გათვალისწინებით. ამ მიდგომის გამოყენებისთვის კი პირველ ეტაპზე აუცილებელია შეფასდეს მაღალმთიან რეგიონებში საქონლის, მომსახურების თუ სხვა ნაკადების გადაადგილების მიმართულება. გამომდინარე საქართველოში სტატისტიკური ინფორმაციის სიმწირისა და ინფორმაციის მოპოვების სირთულისა გარკვეული გათვლების ჩატარება შესაძლებელია დაშვებებზე დაყრდნობით. აღნიშნულისთვის საჭიროა განისაზღვროს:

- პროდუქტის მომხმარებელი ჯგუფები და მათი რაოდენობა;
- პროდუქტის საშუალო მოხმარება თითოეული ჯგუფისთვის;
- პროდუქტის წარმოების მაჩვენებელი.

ზემო სვანეთის რეგიონის მაგალითი - კარტოფილის წარმოება რეგიონში
ზოგადად კარტოფილის გამოყენება ხდება სასურსათო მოხმარებაში, სათესლედ და პირუტყვის საკვებად. ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა საკვები დანიშნულების კარტოფილის წარმოებისა და მოხმარების შემთხვევა ზემო სვანეთის რეგიონში, რომლის ყველა დასახლება შედის მაღალმთიანი რეგიონების კატეგორიაში. ზემო სვანეთის რეგიონში კარტოფილზე მოიხმარენ საოჯახო მეურნეობები, კვების ობიექტები და სასტუმროები. რეგიონში კარტოფილის წარმოებასა და მოთხოვნას შორის განსხვავების შესაფასებლად გამოვიყენეთ შემდეგი მონაცემები: კარტოფილის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე საქართველოში (55კგ/წელიწადში), კარტოფილის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე მსოფლიოში (32 კგ/წელიწადში), რეგიონის ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობა (9,316 ადამიანი), ტურისტების საშუალო წლიური რაოდენობა (99, 459 ტურისტი), ტურისტების რეგიონში საშუალო დაყოვნების პერიოდი (7დღე). შესაბამისი გაანგარიშებებით ადგილობრივი მოსახლეობის მიერ კარტოფილის მოხმარება წლის განმავლობაში დაახლოებით 512 ტონას შეადგენს, ხოლო ტურისტების მიერ მათი ვიზიტის პერიოდში პროდუქტის მოხმარება - 61 ტონას. ტურისტების მიერ კარტოფილის სავარაუდო მოხმარება გვიჩვენებს სასტუმროებისა და საკვები პუნქტების მოთხოვნას. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზემო სვანეთის რეგიონში კარტოფილზე წლის განმავლობაში მოთხოვნა დაახლოებით 573 ტონას შეადგენს, რასაც 2018 წლის კარტოფილის მოსავალი (6,947 ტონა) 12-ჯერ აღემატება. მსგავსი მიდგომით სხვადასხვა პროდუქტების შემთხვევაში შესაძლებელია შეფასდეს მოძრაობის ნაკადების მიმართულება, სავარაუდო ოდენობა და კავშირი სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებს შორის, მათ შორის მათი ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი.

დოკუმენტში წარმოდგენილი სტრატეგიული მიზნის „მაღალმთიანი დასახლებების მდგრადი განვითარება“ ქვეშ გაერთიანებულია ისეთი ამოცანები, როგორებიცაა ტურიზმის განვითარების, სოფლის მეურნეობისა და სამეწარმეო საქმიანობის მხარდაჭერა და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა.



დიაგრამა 2.4.1 - „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია 2019-2023“-ით განსაზღვრული ხედვის, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების იერარქია

წყარო: „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია 2019-2023“

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის კომპონენტით ძირითადად გათვალისწინებულია ტურისტების მოზიდვისა და ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტები, რაც შეეხება სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობას, ძირითადი ორიენტაცია აღებულია მესაქონლეობის განვითარების ხელშეწყობაზე. დაგეგმილია სულ მცირე სამი რძის გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობა კონკრეტულ მაღალმთიან დასახლებებში და რძის გადამამუშავებელი კოოპერატივების დაფინანსება. დასაფინანსებელი მიმართულებების ასეთი კონკრეტიზაცია საჭიროებს სიღრმისეულ კვლევას, მუნიციპალიტეტში გადამამუშავებელი ნედლეულის რაოდენობის შეფასებას და მზა პროდუქტის ტრანსპორტირებისთვის შერჩეული ტერიტორიის ოპტიმალურობის შეფასებას.

გამომდინარე იქიდან, რომ მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგიაში გამოვლენილი არ არის, რძის გადამუშავების მიმართულებით რაიმე განსაკუთრებული პოტენციალი და საწარმოების გახსნის მომგებიანობა, გაურკვეველია თუ რატომ არის წინასწარ განსაზღვრული გასახსნელი გადამამუშავებელი საწარმოებისთვის კონკრეტული მიმართულება.

სამეწარმეო მხარდაჭერის კუთხით მნიშვნელოვან საჭიროებად და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობად უნდა აღინიშნოს მოსახლეობაში სამეწარმეო უნარების განვითარების ხელშეწყობა. ამ აქტივობის ერთ-ერთ მიზანს კი უნდა ემსახურებოდეს მოსახლეობისთვის ბიზნესის მომგებიანობის შეფასების სწავლება, რაც ხელს შეუწყოს გრძელვადიან პერიოდში არაეფექტიანი საწარმოების რიცხვის შემცირებას. ამ მიმართულებით გათვალისწინებული ძირითადი აქტივობაა „მცირე, საშუალო და მიკრო ბიზნესის ხელშეწყობა და მეწარმეთა საჭიროებებზე ორიენტირებული საინვესტიციო პროგრამების შემუშავება“, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია ხის ნაკეთობების წარმოების ხელშეწყობა და სულ მცირე 50 ბენეფიციარის მხარდაჭერა ეკონომიკური საქმიანობის წამოწყებაში, მათ შორის არაგვის დაცული ტერიტორიის ლანდშაფტის დაარსების შემდეგ (მთიულეთი, ფშავი) დაცული ტერიტორიის მიმდებარედ.

მაღალმთიანი რეგიონების განვითარების პოლიტიკა ორიენტირებულია კონკრეტული ტერიტორიული ერთეულების განვითარებაზე, რაც მისი სახელწოდებიდან და მიზნიდანაც მოსალოდნელი იყო, თუმცა, თავად მაღალმთიან დასახლებებში კონკრეტული ტერიტორიული ერთეულების თუ დარგობრივი მიმართულებების კონკრეტიზაცია შესაბამისი არგუმენტაციით უნდა იყოს დასაბუთებული. ამრიგად, საჭიროა მაღალმთიანი რეგიონების განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმა თანხვედრაში მოდიოდეს თავად სტრატეგიის დოკუმენტთან. სტრატეგიის დოკუმენტი უნდა ხსნიდეს და ასაბუთებდეს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობებისა და ღონისძიებების შესაბამისობას ამოცანებთან. ასევე, უნდა აღინიშნოს სტრატეგიის დოკუმენტში წარმოდგენილი შედეგების ინდიკატორების ჩამონათვალის მრავალფეროვნება და სიმრავლე, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს სტატისტიკის

ეროვნული სამსახურის მხრიდან ცალკე მაღალმთიანი დასახლებებისთვის მონაცემების შეგროვება არ ხდება. ამრიგად მონაცემები მინიმალურად არის ხელმისაწვდომი და ინდიკატორების ჩამონათვალში წარმოდგენილი შედეგების რაოდენობრივი გაზომვა ნაკლებად მოსალოდნელია. პოლიტიკის ეფექტიანად დაგეგმვისა და შეფასებისთვის კი სასურველია განისაზღვროს ისეთი ინდიკატორები, რომელთა როგორც საბაზისო მონაცემები არის მოპოვებული ისე მომავალში ხელმისაწვდომი იქნება შესადარებელი სტატისტიკური ინფორმაცია.

თავი 3. რეგიონული განვითარების ხელშეწყობის საერთაშორისო გამოცდილება და გამოწვევები საქართველოში

რეგიონების ჩამოყალიბებას უდავოდ ისტორიული საფუძვლები აქვს, თუმცა, ისტორიული საფუძვლები არ გამორიცხავს ეკონომიკურ ფაქტორებს. ქალაქების ჩამოყალიბება მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში 7,000 წელს ითვლის და წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის სიჭარბის შედეგს (Fujita and Thisse 2013, 7). დროთა განმავლობაში ტექნოლოგიურმა განვითარებამ, მასშტაბის ეკონომიის ეფექტმა, ინვესტიციების მზარდმა მომგებიანობამ ქალაქების როლი და მათში მოსახლეობის კონცენტრაცია გაზარდა. საშუალო ზომის ქალაქებში თავდაპირველად კაპიტალის მესაკუთრე და სამუშაო ძალა ერთად იყრის თავს, ბიზნესის გაფართოებასთან ერთად კაპიტალის მესაკუთრისთვის მეტად მიმზიდველი ხდება დიდი ქალაქი, შედეგად ის საცხოვრებელ ადგილს იცვლის. ქალაქების მნიშვნელობა ტექნოლოგიურ განვითარებაში და ინოვაციების შექმნაშიც უდავოა. მათი ეკონომიკა, როგორც წესი, უფრო მეტად დივერსიფიცირებულია, შესაბამისად მათზე სექტორული შოკების გავლენა შედარებით დაბალია, ვიდრე მეტად სპეციალიზებულ პატარა ქალაქებში თუ სასოფლო დასახლებებში.

ეკონომიკური აგლომერაცია მოსახლეობას და ფირმებს უბიძგებს, რომ ერთმანეთთან მჭიდროდ განლაგდნენ. მოთხოვნა წარმოიქმნება იქ, სადაც მოსახლეობაა. ფირმებს მეტი სტიმული აქვთ სარეალიზაციო ბაზართან ახლოს განთავსდნენ. ფირმები ასაქმებენ მოსახლეობას და გასცემენ ხელფასებს, რაც წარმოქმნის მოსახლეობის მსყიდველობით უნარს. ამრიგად, ის ტერიტორიები სადაც მოსახლეობას დასაქმების შესაძლებლობა ნაკლებად აქვს, შესაბამისად აქვთ დაბალი შემოსავლები და დაბალი მსყიდველობითი უნარი, ფირმებისთვის მიმზიდველი სარეალიზაციო არეალი არ არის. რამ შეიძლება მისცეს სტიმული ფირმებს წარმოება დაიწყონ ასეთ ტერიტორიულ ერთეულებთან ახლოს? სტიმული შესაძლოა იყოს შედარებით დაბალი საინვესტიციო თუ საოპერაციო დანახარჯები, რომელიც დააბალანსებს სარეალიზაციო ბაზრებთან დაშორების შედეგად გაზრდილ სატრანსპორტო დანახარჯებს. ამასთან, ფირმებისათვის ასეთ

ტერიტორიულ ერთეულში საქმიანობის წამოწყების ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი შეიძლება იყოს მოლოდინი, რომელიც დაკავშირებულია მათი საქმიანობის შედეგად მოსახლეობის მსყიდველობითი უნარიანობის ზრდასთან და ტერიტორიის, როგორც პოტენციური სარეალიზაციო ბაზრის მიმზიდველობის გაუმჯობესებასთან. მარტივი გამოსაცნობია, რომ ასეთი მოლოდინი შესაძლოა მხოლოდ მსხვილი საწარმოს გახსნას ჰქონდეს. მაშინ რატომ ვხვდებით რეგიონების განვითარების გეგმებსა და სტრატეგიებში მცირე და საშუალო ზომის საწარმოების შექმნის ხელშეწყობის მიზნებს და იშვიათად, თუ საერთოდ, მსხვილი საწარმოების განვითარებაზე ორიენტაციას? უმეტეს შემთხვევაში მიჩნეულია, რომ მსხვილ ბიზნეს ხელშეწყობა ნაკლებად სჭირდება და თავად განვითარდება, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელს მცირე თუ საშუალო ბიზნესთან შედარებით საგრძნობლად მეტი კაპიტალია საჭირო და ინვესტირების დროსაც შედარებით მაღალი რისკები ახასიათებს.

3.1 დაახლოების მიზანი, ევროკავშირის პოლიტიკა და რეგიონული პოლიტიკა ევროკავშირის ქვეყნებში

რეგიონული პოლიტიკა ევროკავშირის „დაახლოების“ პოლიტიკის ნაწილია, რომლის ფარგლებშიც უამრავი პროექტი ხორციელდება ევროპის რეგიონული განვითარების ფონდის (ERDF), ევროპის სოციალური ფონდის (ESF) და „დაახლოების“ ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. 1986 წლის ერთიანი ევროპული აქტით განისაზღვრა, რომ ეკონომიკური და სოციალური დაახლოება გულისხმობს პროცესს, რომლის შედეგადაც რეგიონებს შორის უთანასწორობა და ნაკლებად კონკურენტუნარიანი რეგიონების ჩამორჩენის დონე მცირდება. ლისაბონის შეთანხებით „დაახლოების“ ცნება მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და ტერიტორიულ „დაახლოებას“. ამ უკანასკნელზე ორიენტაციით განისაზღვრა, რომ „დაახლოების“ პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს დაბალანსებულ და მდგრად ტერიტორიულ განვითარებას, რაც რეგიონული განვითარების საკითხს უფრო აფართოებს.

ევროკავშირის წვერი თითოეული ქვეყანა განსხვავებულად გეგმავს საკუთარი რეგიონების განვითარების პოლიტიკას, თუმცა, ევროკავშირის პოლიტიკის გავლენა მკაფიოა, განსაკუთრებით ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, რომლებიც მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებულები „დაახლოების“ პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირის ფინანსურ მხარდაჭერაზე.

ევროკავშირის „დაახლოების“ პოლიტიკა უფრო მეტად ორიენტირებულია „თანასწორობის“ მიზნის მიღწევაზე, შესაბამისად ევროკავშირის ფონდებიდან მიღებულ დაფინანსებაზე დამოკიდებული ქვეყნების სტრატეგიულ მიზნებში მოსალოდნელია რეგიონებს შორის უთანასწორობის შემცირება პრიორიტეტს წარმოადგენდეს.

საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ხშირ შემთხვევაში რეგიონული დაყოფა ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და ერთ არეალში მცხოვრები მოსახლეობის კულტურულ იდენტობას. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საზღვრების თავიდან განსაზღვრა სასურველი არ არის. ამის მაგალითია საფრანგეთი 1960-იან წლებში, როდესაც ახლად ჩამოყალიბებული რეგიონული ეკონომიკური განვითარების კომისიის ერთ-ერთი მთავარ ინსტრუმენტად განისაზღვრა რეგიონული დაგეგმარება და დაგეგმვის ობიექტების ხელახალი განსაზღვრა, იმის გაანალიზებით, რომ არსებული პრაქტიკა ხელს უშლიდა ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოდერნიზაციას. შედეგად, ბრეტანის რეგიონის საზღვრები თავიდან განისაზღვრა. ადმინისტრაციული სისტემა სასურველია ითვალისწინებდეს ფუნქციურ მიდგომას. მართალია ადმინისტრაციული და ფუნქციური დაყოფის სრული შესაბამისობის მიღწევა პრაქტიკაში იშვიათია, თუმცა, ის ფაქტი, რომ ამის მიღწევა ვერ მოხერხდა ადმინისტრაციული დაყოფის რაციონალურობაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნას ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის დაგეგმვაში (Dunford 2011, 527-528).

რეგიონული დაყოფის პროცესი მნიშვნელოვანია, რადგან ეს განსაზღვრავს რეგიონული პოლიტიკის ეფექტიანობის მისაღწევად ქვეყანაში შექმნილ

საფუძვლებსა და გარემოს. ამ გარემოს ნაწილად აუცილებლად უნდა განვიხილოთ ინფორმაცია, რომელზე დაყრდნობითაც ხდება პრობლემების, შესაძლებლობების, ურთიერთკავშირების და პერსპექტივების გაანალიზება. ამრიგად, სტატისტიკური ინფორმაცია, რომელსაც კონკრეტული რეგიონებისთვის აგროვებენ სხვადასხვა ქვეყნების სტატისტიკის ეროვნული სამსახურები, უნდა ემსახურებოდეს გარკვეულ მიზანს. ეს მიზანი კი რეგიონული პოლიტიკის დაგეგმვა, განხორციელება და მონიტორინგია. თუ ტერიტორიული ერთეულები ფუნქციური კლასიფიკაციის ნიშნების მატარებლები არ არიან, მათ შესახებ შეგროვებული ინფორმაცია ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის საფუძველი ვერ იქნება.

ევროკავშირის „დაახლოებისა“ და რეგიონული განვითარების პოლიტიკაც აღმოჩნდა გამოწვევის წინაშე, რაც, თავის მხრივ, განპირობებული იყო და არის, ერთი მხრივ, თვითონ ქვეყნების განვითარების დონეებს შორის არსებული განსხვავებით, ხოლო, მეორე მხრივ, ქვეყნების შიგნით სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულების განვითარების უთანაბრობით. იმისთვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ანალიზი და შედარება ქვეყნების და მათში გაერთიანებული ტერიტორიული ერთეულების სოციალური თუ ეკონომიკური განვითარების არსებული დონისა თუ დინამიკის, ტერიტორიული ერთეულების გამოყოფისთვის საჭირო გახდა საერთო კრიტერიუმის განსაზღვრა. 1970-იანი წლების დასაწყისში ევროპულმა სტატისტიკურმა სამსახურმა (Eurostat) განსაზღვრა სტატისტიკის ტერიტორიული ერთეულების ნომენკლატურა (NUTS), რათა მიეღოთ ევროკავშირის ტერიტორიაზე შესადარი სტატისტიკური ინფორმაცია. განისაზღვრა რეგიონული სტატისტიკის დაყოფის სამი სხვადასხვა დონე და საზღვრების განსაზღვრის ერთადერთი კრიტერიუმი (მოსახლეობის რაოდენობა):

- NUTS I - ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური რეგიონები, სადაც მოსახლეობის რაოდენობა არ არის ნაკლები 3 მლნ-ზე და არ აღემატება 7მლნ-ს. უფრო მეტად წარმოადგენს მსხვილ, სუბნაციონალურ რეგიონებს, რომელთა დონეზეც შესაძლებელია ევროკავშირის პოლიტიკის უფრო მეტად ზოგადი ზეგავლენის ანალიზი და შეფასება, როგორებიცაა

ეკონომიკური ინტეგრაციის, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების ეფექტები და სხვა.

- NUTS II - რეგიონული დონე, რომელიც რეგიონული პოლიტიკის დაგეგმვის მიზნებისთვის გამოიყენება (მოსახლეობის რაოდენობა - 800 ათასი - 3 მლნ). ძირითადად ამ დონეზე ხდება ევროკავშირის სხვადასხვა ფონდიდან ფინანსური რესურსების განაწილების დაგეგმვა და განსაზღვრა თუ რამდენად შეესაბამება ქვეყნის ამ ტერიტორიული ერთეულის განვითარების ხარისხი ევროკავშირის კონკრეტული ფონდიდან ფინანსური დახმარების მისაღებ კრიტერიუმებს;
- NUTS III - მცირე რეგიონები, რომელთა გამოყენებაც ხდება რეგიონული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის (მოსახლეობის რაოდენობა - 150 ათასი - 800 ათასი).

NUTS კლასიფიკაცია ევროკავშირის წევრ ქვეყნებს არ ავალდებულებს რომ ტერიტორიული ერთეულების ადმინისტრაციული საზღვრები ზემოთ წარმოდგენილი კრიტერიუმებით განსაზღვროს. NUTS კლასიფიკატორით ქვეყნის სამ დონეზე რეგიონულ დაყოფას ძირითადად სტატისტიკურ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის და რეგიონული პოლიტიკის ფარგლებში დაფინანსების გაცემის დასაშვებობის შეფასების მიზნები აქვს. იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნების ადმინისტრაციული დაყოფა არ შეესაბამება მოსახლეობის რაოდენობის წარმოდგენილ საზღვრებს, შესაძლებელია ახალი, არა ადმინისტრაციული რეგიონის ჩამოყალიბება, რომელიც გააერთიანებს უკვე არსებულ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს. იმ შემთხვევაში თუ ქვეყნის მთლიანი მოსახლეობა არის NUTS III დონის საზღვრებში, მაშინ ევროკავშირისთვის ის ერთ მთლიან რეგიონად აღიქმება NUTS კლასიფიკატორის ყველა დონეზე, ამის მაგალითია ლუქსემბურგი.

NUTS მიხედვით კლასიფიკაციისას მნიშვნელოვანია, რომ არა ადმინისტრაციული რეგიონების ჩამოყალიბებისას გაერთიანდეს ადმინისტრაციული ტერიტორიული ერთეულები. ეს მიდგომა მოთხოვნილია, ერთი მხრივ, სტატისტიკური

ინფორმაციის შეგროვების შედარებითი სიმარტივის, მეორე მხრივ, რეგიონული პოლიტიკის გატარების მიზნებისთვის. საქართველოს შემთხვევაში სავალდებულო არ არის რეგიონული დაყოფის NUTS რეგულაციასთან თანხვედრა. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს დაჭირდება აღნიშნული მოთხოვნის შესრულება, ეს ქვეყნისთვის გამოწვევა არ იქნება და დაყოფის შემდეგი ვარიანტის განხილვა იქნება შესაძლებელი:

NUTS I	საქართველო
NUTS II	თბილისი; სხვა დანარჩენი ტერიტორია
NUTS III	თბილისი; აჭარა და **გურია**; იმერეთი, **რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი**; კახეთი; სამეგრელო-ზემო სვანეთი; ქვემო ქართლი; შიდა ქართლი და **მცხეთა-მთიანეთი.**

ცხრილი 3.1.1 საქართველოსთვის NUTS სამივე დონისთვის შესაძლო სტატისტიკური რეგიონული დაყოფა

NUTS III დონისთვის საკმარისი მოსახლეობის რაოდენობა არ გვხვდება გურიის, რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში, შესაბამისად, საჭირო გახდება ამ რეგიონების სხვა რეგიონებთან უბრალოდ გაერთიანება. ამრიგად, ყველა რეგიონი დედაქალაქის გარდა იქნება არა ადმინისტრაციული რეგიონი, რაც დღესაც ასეა, მმართველობის რეგიონული დონის არ ქონიდან გამომდინარე. თბილისის მოსახლეობის რაოდენობა მართალია NUTS III დონის საზღვრებში არ ჯდება, მაგრამ დედაქალაქის დაყოფა სხვადასხვა სტატისტიკურ და ადმინისტრაციულ ერთეულებად მიზანშეწონილი არ არის, შესაბამისად, გამონაკლისის სახით რეკომენდებულია მისი მთლიანი ტერიტორიის NUTS III ჯგუფში გაერთიანება. ასეთ მაგალითებს ვხვდებით, ბერლინის, პარიზისა და სხვა დედაქალაქების შემთხვევაში.

ევროკავშირი მის წევრ ქვეყნებს უწესებს ზემოთ განხილულ რეგულაციას. აღნიშნული რეგულაციის გათვალისწინებით თითოეული ქვეყანა ინდივიდუალურად განსაზღვრავს საკუთარი ტერიტორიის ადმინისტრაციულ დაყოფას თუ რეგიონულ პოლიტიკას.

წლების განმავლობაში, განსაკუთრებით ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ ეკონომიკური საქმიანობის კონცენტრაცია შეინიშნება დედაქალაქში. ეს ზოგი მკვლევარისთვის პრობლემა, ზოგისთვის თავისუფალი ძალებით განპირობებული პროცესი, როგორც განვითარებადი, ისე განვითარებული ქვეყნებისთვის გამოწვევას წარმოადგენს. ეკონომიკური საქმიანობის კონცენტრაცია თავის მხრივ გულისხმობს სიმდიდრისა და უკეთესო სოციალური პირობების კონცენტრაციას, რასაც მივყავართ როგორც ქვეყნებს შორის განვითარების განსხვავებულ დონესთან, ისე ქვეყნის შიგნით სიმდიდრისა და შესაძლებლობების არათანაბარ განაწილებასთან.

განსხვავებული მოსაზრებები არსებობს იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რამდენად იწვევს თავისუფალი ძალები დროთა განმავლობაში უთანასწორობის შემცირებას და ეკონომიკურ და სოციალურ დაახლოებას. აღნიშნული საკითხის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა ორი მიდგომა (Magrini 2004, 2746-2790):

- რეგრესიული (Regression Approach) - ლოგარითმული მოდელით ნაჩვენებია, რომ სხვა თანაბარ პირობებში ნეოკლასიკურ მოდელში ეკონომიკური დაახლოება და კაპიტალის წილი შემოსავლებში ურთიერთ საპირისპიროდ მოქმედებს. კაპიტალის წილის ზრდასთან ერთად ეკონომიკური დაახლოების კოეფიციენტი ნულს უახლოვდება, რაც საბოლოო ჯამში მდიდარ ეკონომიკას მდიდარ ეკონომიკად ტოვებს, ღარიბს - ღარიბად, ხოლო მათ შორის დაშორებას უცვლელად.

- განაწილებითი (Distributional Approach) - რეგრესიული მიდგომის ერთ-ერთ ნაკლად გამოიკვეთა, რომ მოდელი ეკონომიკის სტაბილური მდგომარეობის შეფასების პირობებში იყო გამოსადეგი და ვერ ასახავდა დინამიკურ პროცესებს. სწორედ ამ პრობლემისთვის უნდა ეპასუხა ეკონომიკური დაახლოების განაწილებით მიდგომას, რომელიც იკვლევს დროთა განმავლობაში ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი სამამულო პროდუქტის განაწილების ცვლილებას სხვადასხვა კომპონენტების ანალიზით. ამ მიდგომის გამოყენებით ნაჩვენები იქნა, რომ ევროკავშირის რეგიონებს არ

ახასიათებთ ეკონომიკური დაახლოება, დაბალშემოსავლიანი ჯგუფები ძირითად შემთხვევაში ინარჩუნებენ მდგომარეობას და ქმნიან სიღარიბის მუდმივ წერტილს. იმავე მოდელის ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე შეფასებამ კი განსხვავებული შედეგი აჩვენა.

საინტერესოა, რომ განაწილებითი მიდგომით ევროკავშირის რეგიონების შესწავლისას საყურადღებო ფაქტი გამოვლინდა: ადმინისტრაციულად დაყოფილი რეგიონების, ისეთის როგორიცაა ევროკავშირის NUTS რეგიონების ნაწილი, გამოყენებამ ანალიზის დროს შესაძლოა არასწორ დასკვნამდე მიგვიყვანოს ტერიტორიული ერთეულების ერთმანეთზე ურთიერთდამოკიდებულების მაღალი ხარისხის გამო. ამ ურთიერთდამოკიდებულების შემცირების მიზნით ფუნქციური რეგიონების შესწავლა პოლარიზაციის პროცესს აჩვენებს, როდესაც მდიდარი რეგიონები ღარიბი რეგიონებისგან მოშორებით ვითარდებიან. ასევე, გამოჩნდა სივრცითი განაწილების მნიშვნელობა რეგიონების ეკონომიკური განვითარების ტემპის ანალიზისას. ევროკავშირში ვხვდებით რეგიონების ჯგუფებს, რომელთა შიგნითაც მთლიანი სამამულო პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე მსგავსია და მათთან ახლოს მყოფ რეგიონებს ეკონომიკური ზრდის უკეთესი შესაძლებლობა ეძლევათ.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ემპირიული კვლევა მიუთითებს ევროკავშირის რეგიონების ეკონომიკური მდგომარეობის დაშორების მუდმივობაზე, ეს არ შეიძლება ჩაითვალოს ევროკავშირის „დაახლოების პოლიტიკის“ ეფექტიანობის შეფასების კრიტერიუმად. თუმცა ევროკავშირმა პასუხი ამ გამოწვევას სწორედ დაახლოების პოლიტიკით გასცა. დაახლოების პოლიტიკით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად გამოყოფილი დაფინანსების ოდენობა 2014-2020 წლებისთვის ევროკავშირის მთლიანი ბიუჯეტის თითქმის 33%-ს შეადგენს. დაახლოების პოლიტიკით მიღწეული შედეგების ჩამონათვალში ვხვდებით შემდეგ მიმართულებებს:

- **სამუშაო ადგილების შექმნა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა** - 2010 წელს ევროკავშირის ყველაზე ღარიბ რეგიონებში მშპ ერთ სულ მოსახლეზე

ევროკავშირის საშუალო მაჩვენებლის 60.5%-დან (2007 წელი) 62.7%-მდე გაიზარდა. ეს სტატისტიკური მონაცემი უფრო მეტად საინფორმაციოა და არ გვაძლევს საშუალებას პოლიტიკის ეფექტიანობასთან დაკავშირებით კონკრეტული დასკვნები გავაკეთოთ.

- **ადამიანურ კაპიტალში ინვესტირება** - ათეულობით მილიონი ადამიანი იღებს მონაწილეობას ევროკავშირის სოციალური ფონდის მიერ თანადაფინანსებულ პროექტებში, რომლებიც ორიენტირებულია მათ გადამზადებასა და სამუშაოს მოძიების შესაძლებლობების ზრდაზე.
- **საწარმოების მხარდაჭერა** - აქცენტი ძირითადად გაკეთებულია მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერაზე. 198,000-მა მცირე და საშუალო ზომის საწარმომ მიიღო პირდაპირი დაფინანსება და 262,000 სამუშაო ადგილი შეიქმნა მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ 2007-2012 წლებში.
- **კვლევებისა და ინოვაციების მხარდაჭერა**
- **გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა** - წყლის სისტემის გამართვა; ქალაქების იერსახისა და მიმზიდველობის გაუმჯობესება.
- **ტრანსპორტის მოდერნიზაცია,** საგზაო ინფრასტრუქტურისა და მატარებლის ხაზების მოწყობით.

დაახლოების პოლიტიკის დაფინანსება სამი ძირითადი ფონდიდან ხორციელდება: ევროპის რეგიონული განვითარების ფონდი (ERDF), ევროპის სოციალური ფონდი (ESF) და დაახლოების ფონდი (Cohesion Fund). აღნიშნული ფონდებიდან დაფინანსების მისაღებად ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ მომზადებული პროექტები უნდა პასუხობდეს თემატურ პრიორიტეტებს:

დიაგრამა 3.1.1 დაახლოების პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირის ფონდების პრიორიტეტული მიმართულებები

წყარო: ევროკავშირის ოფიციალური ვებ-გვერდი, ევროკავშირის რეგიონული და ურბანული განვითარება

https://ec.europa.eu/regional_policy/sources/docgener/informat/basic/basic_2014_en.pdf

ევროპის რეგიონული განვითარების ფონდით შესაძლოა დაფინანსდეს სხვა ფონდებისთვის განსაზღვრული პრიორიტეტებიც, თუმცა, დიაგრამაზე წარმოდგენილი პრიორიტეტები არის მისთვის ძირითადი. ფონდებიდან დაფინანსების მისაღებად კრიტერიუმების განსაზღვრისთვის ევროკავშირის რეგიონების კატეგორიზაცია სამ ჯგუფად მოხდა: ნაკლებად განვითარებული, გარდამავალი და მეტად განვითარებული რეგიონები. რეგიონებად ხდება NUTS II დონეზე განსაზღვრული რეგიონების განხილვა. კატეგორიებისთვის მიკუთვნებისას ძირითად კრიტერიუმად გამოიყენება ერთ სულ მოსახლეზე

მთლიანი სამამულო პროდუქტი და მისი განსხვავებულობა ევროკავშირის საშუალო მაჩვენებლისგან, ამრიგად:

- ნაკლებად განვითარებული რეგიონისთვის ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი სამამულო პროდუქტი EU27-ის საშუალო მაჩვენებელის 75%-ზე ნაკლებია;
- გარდამავალი რეგიონისთვის ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი სამამულო პროდუქტი EU27-ის საშუალო მაჩვენებელის 75%-ია ან მასზე მეტია, მაგრამ 90%-ზე ნაკლებია;
- მეტად განვითარებული რეგიონისთვის კი ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი სამამულო პროდუქტი EU27-ის საშუალო მაჩვენებელის 90%-ია ან მას აღემატება.

2014-2020 წლებში დაახლოების პოლიტიკის ფარგლებში ბიუჯეტის ნახევარზე მეტი ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში პროექტების განსახორციელებლად არის გამოყოფილი, გარდამავალი რეგიონებისთვის მხოლოდ 10% და მეტად განვითარებული რეგიონებისთვის - 15%. დარჩენილი ნაწილი გათვალისწინებულია დაახლოების ფონდის (18%), ახალგაზრდების დასაქმების ინიციატივებისა და სხვა მიზნებისთვის. იმის მიხედვით თუ რომელ კატეგორიას განეკუთვნება რეგიონი, ევროკავშირის მხრიდან პროექტის დაფინანსება შესაძლებელია მოხდეს პროექტის მთლიანი ბიუჯეტის 50%-85%-ის ფარგლებში.

ევროპის რეგიონული განვითარებისა და ევროპის სოციალური ფონდებიდან დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობა აქვს ყველა რეგიონს. დაახლოების ფონდის შემთხვევაში განსაზღვრულია კონკრეტული ქვეყნების ჩამონათვალი, რომელთათვისაც მთლიანი ეროვნული შემოსავალი (GNI) ნაკლებია EU27-ის საშუალო მაჩვენებლის 90%-ზე. ეს ქვეყნებია: ბულგარეთი, ჩეხეთი, ესტონეთი, საბერძნეთი, ხორვატია, ლატვია, ლიტვა, უნგრეთი, მალტა, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვენია და სლოვაკეთი.

ნაკლებად განვითარებული რეგიონის ჩამონათვალშია ბულგარეთის ექვსი რეგიონი, ჩეხეთის შვიდი რეგიონი, საბერძნეთის ხუთი რეგიონი, ესპანეთის მხოლოდ ერთი რეგიონი (Extremadura), საფრანგეთის ხუთი რეგიონი, ხორვატიის

ორი რეგიონი, იტალიის ხუთი რეგიონი. იტალიის ხუთივე ნაკლებად განვითარებული რეგიონი სამხრეთ იტალიას წარმოადგენს. ამ ჩამონათვალს აგრძელებს ლატვიისა და ლიეტუვას თითო-თითო რეგიონი, უნგრეთის ხუთი რეგიონი, პოლონეთის თხუთმეტი რეგიონი, რუმინეთის შვიდი რეგიონი, სლოვენიის ერთ, სლოვაკეთის სამ და გაერთიანებული სამეფოს ორ რეგიონთან ერთად.

ევროკავშირის ფონდებიდან დაფინანსების მიღების მნიშვნელოვნად უფრო მაღალი შესაძლებლობა აქვთ ნაკლებად განვითარებულ რეგიონებს, რაც, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს ისეთი ქვეყნების რეგიონულ პოლიტიკაზე, რომელთა ტერიტორიის არც თუ მცირე ნაწილს წარმოადგენენ ასეთი რეგიონები.

ბულგარეთი. ბულგარეთს NUTS I დონეზე განსაზღვრული აქვს 2 მსხვილი რეგიონი: ჩრდილოეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ბულგარეთი; სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ-ცენტრალური ბულგარეთი. NUTS II დონეზე ჩამოყალიბებული ექვსი რეგიონიდან ექვსივე ნაკლებად განვითარებულ რეგიონს წარმოადგენს. ბულგარეთი არის იმ ქვეყნებს შორის, რომელთა რეგიონულ პოლიტიკაზე ევროკავშირის დაახლოების პოლიტიკის გავლენა ძალიან მაღალია. რეგიონების განვითარების პროექტების ძირითადი ნაწილი ფინანსდება ევროკავშირის ფონდებიდან. ეროვნული სახსრები კი მიმართულია ასეთი პროექტების თანადაფინანსებისთვის. ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსია ბულგარეთისთვის, სადაც ევროკავშირის თანადაფინანსების თანხები ქვეყნის მთლიანი სამამულო პროდუქტის 0.75%-ს აღემატება. ბულგარეთის რეგიონებს ახასიათებთ რეგიონული უთანასწორობის ზრდის ტენდენცია (Bachtler, Mendez and Vironen, 2014, 21-47). რეგიონებში ცხოვრების დონეს შორის განსხვავება საკმაოდ შესამჩნევია, განსაკუთრებით იმ რეგიონების შემთხვევაში, რომლებიც დედაქალაქისგან დაშორებულები არიან და შავი ზღვის სანაპირო ზოლით შექმნილი შესაძლებლობების გამოყენება არ შეუძლიათ.

ბულგარეთში რეგიონული პოლიტიკის დაგეგმვა ოთხ დონეზე ხდება: მუნიციპალურ, რაიონულ, რეგიონულ და ცენტრალურ დონეებზე. ბულგარელი ექსპერტების შეფასებით რაიონული დონის არსებობა არ არის საჭირო, რადგან მას მხოლოდ კოორდინატორის ფუნქცია აკისრია და ამ დონეზე პროექტების განხორციელება ფინანსური რესურსებით არ არის უზრუნველყოფილი. ბულგარეთში რაიონული დონის როლი გარკვეულწილად შესაძლოა შევადაროთ საქართველოში რეგიონულ დონეს. პოლიტიკის დაგეგმვა ორივე დონეზე ხდება, თუმცა, ადმინისტრაციულ ერთეულებს არც ერთი არ წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში შესაძლებლობებად განსახილველია ამ დონეზე პოლიტიკის დაგეგმვის შეწყვეტა ან ტერიტორიისთვის ადმინისტრაციული დატვირთვის მიცემა. ბულგარეთის შემთხვევაში პირველი ვარიანტი მიიჩნევა მეტად მიზანშეწონილად.

რეგიონული დაყოფა ბულგარეთში შესაბამისობაში მოდის NUTS II დონის კრიტერიუმებთან. ამრიგად, ეფუძნება მოსახლეობის რაოდენობას. გამომდინარე იქიდან, რომ დროთა განმავლობაში მოსახლეობის მობილობა შეინიშნება რეგიონიდან რეგიონში, ან რეგიონიდან ქვეყნის გარეთ, ბულგარეთს დასჭირდა რეგიონების საზღვრების ხელახალი განსაზღვრა, რათა NUTS II კლასიფიკატორით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თანხვედრაში მოეყვანა. ზოგადად, NUTS - ის მიხედვით რეგიონების დაყოფა, უპირველეს ყოველისა, ემსახურება სტატისტიკურ მიზნებს და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს არ აქვთ ვალდებულება, რომ NUTS II დონის რეგიონებს მიანიჭონ ადმინისტრაციული სტატუსი და ჩამოაყალიბონ, როგორც თვითმმართველი ერთეულები.

ბულგარეთის რეგიონული განვითარების სტრატეგიის დოკუმენტები ძირითად შემთხვევაში მოიცავს ეკონომიკური, სოციალური და ტერიტორიული დაახლოების ძირითად საკითხებს. სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა უფრო მეტად მოიაზრება, როგორც რეგიონებს შორის უთანასწორობის აღმოფხვრის მექანიზმი, ვიდრე რეგიონების შესაძლებლობების იდენტიფიცირებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის საშუალება. ამრიგად, ბულგარეთისთვის რეგიონული

განვითარების პოლიტიკის მიზნები მეტად ორიენტირებულია „თანასწორობაზე“, ვიდრე „ეფექტიანობაზე“.

შვედეთი. შვედეთის რვავე რეგიონი მეტად განვითარებული რეგიონების კატეგორიას მიეკუთვნება. მიუხედავად ამისა, ქვეყანას ახასიათებს გამოკვეთილი რეგიონული უთანასწორობა. ქვეყნის ყველა ნაწილში არის მოსახლეობა უზრუნველყოფილი საბაზისო ინფრასტრუქტურასა და მომსახურებაზე მაღალი ხელმისაწვდომით, თუმცა, დასაქმებისა და შემოსავლის მიღების შესაძლებლობები განსხვავებულია. ზოგადად რომ შევაფასოთ, რეგიონებში ცხოვრების დონეს შორის განსხვავება დიდი არ არის.

შვედეთში რეგიონული განვითარების პოლიტიკა ორიენტირებულია მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის ზრდაზე და ამავე დროს აქცენტს აკეთებს ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილზე. პოლიტიკის გამტარებლები ცდილობენ ყველა რეგიონში შექმნან კარგი საცხოვრებელი პირობები, რათა თავიდან აიცილონ მოსახლეობის მიგრაცია ნაკლებად განვითარებული და ნაკლებად დასახლებული რეგიონებიდან. „თანასწორობაზე“ ორიენტირებული პოლიტიკის ნაწილად შეგვიძლია განვიხილოთ მათი გადაწყვეტილება ნაკლებ განვითარებულ რეგიონებში ჩამოეყალიბებინათ საჯარო დაწესებულებები მოსახლეობისთვის დასაქმების შესაძლებლობების შესაქმნელად. შვედეთში საჯარო მართვის სამ დონეს ვხვდებით: ადგილობრივი, რეგიონული და ეროვნული. რეგიონული დონის არსებობის საჭიროება ნაკლებად ნათელია შვედეთის შემთხვევაში, რადგან ამ დონეზე ხელისუფლების როლი ძირითადად ჯანდაცვის საკითხს უკავშირდება.

შვედეთი ერთ-ერთი ქვეყანაა, რომელიც ევროკავშირის ფონდებიდან რეგიონული პროექტების განსახორციელებლად მინიმალურ ფინანსურ სახსრებს იღებს. შვედეთის შემთხვევაში ევროკავშირის დაახლოების პოლიტიკას ქვეყნის რეგიონული განვითარების სტრატეგიაზე გავლენა თითქმის არ მოუხდენია. ევროკავშირის დაახლოების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები ისედაც ინტეგრირებული იყო შვედეთის რეგიონულ განვითარების პოლიტიკაში.

შვედეთის რეგიონული განვითარების პოლიტიკა ორიენტირებულია ყველა რეგიონის ეკონომიკურ ზრდაზე, მეწარმეობისა და ინოვაციების ხელშეწყობაზე. რეგიონული პოლიტიკის მიზნებზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ „შვედეთის რეგიონული კონკურენტუნარიანობის, მეწარმეობისა და დასაქმების 2007-2013 წლების ეროვნული სტრატეგიისა“ და „შვედეთის მდგრადი რეგიონული ზრდისა და მიმზიდველობის 2015-2020 წლების ეროვნული სტრატეგიის“ საფუძველზე.

„შვედეთის რეგიონული კონკურენტუნარიანობის, მეწარმეობისა და დასაქმების 2007-2013 წლების ეროვნული სტრატეგიაში“ ხაზგასმულია ევროკავშირის დაახლოების პოლიტიკასთან შვედეთის რეგიონული პოლიტიკის თანხვედრა და გარკვეულ მიზნებთან შესაბამისობა. ეს მიზნებია: რეგიონული კონკურენტუნარიანობისა და დასაქმების ზრდა; ევროპის ტერიტორიული თანამშრომლობა. სწორედ ამ მიზნების მისაღწევად განხორციელდა განვითარების პროექტები შვედეთის სხვადასხვა რეგიონში. დოკუმენტში ნათლად ჩანს, რომ მათი თვალით დანახული ევროკავშირის დაახლოების პოლიტიკა ორიენტირებულია რეგიონების კონკურენტუნარიანობის ზრდაზე, უფრო მეტად ეკონომიკურ განვითარებაზე, ვიდრე სოციალური შეღავათების დახმარებით ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში მოსახლეობის შეკავებაზე. ეკონომიკური სექტორების განვითარების გეგმებში გათვალისწინებულია გეოგრაფიულ არეალებზე აქცენტი, ქალაქებზე განსაკუთრებული ორიენტაციით, რათა სწორედ ისინი წარმოადგენენ ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების ძირითად წყაროს. დოკუმენტით განსაზღვრული პრიორიტეტებია: ინოვაციებისა და მეწარმეობის ხელშეწყობა; სამუშაო ძალის მიერ გაუმჯობესებული უნარების მიწოდების სტიმულირება; საზღვრისპირა თანამშრომლობა. საინტერესოა, რომ ინოვაციებისა და მეწარმეობის ხელშეწყობის კომპონენტში გამოკვეთილია **სპეციალიზაციის უფრო მაღალი დონის მიღწევის საჭიროება.** აღნიშნული განხილულია როგორც რეგიონებისა და კომპანიების კონკურენტუნარიანობის ზრდის საშუალება. ბიზნეს სექტორის, სხვადასხვა სავაჭრო გაერთიანებებისა და კომპანიების წარმომადგენლების ჩართულობით მოხდა შვედეთისთვის პოტენციურად კონკურენტუნარიანი სექტორების იდენტიფიცირება, ესენია: საავტომობილო მრეწველობა, სატყეო

მეურნეობა, მეტალურგია, ინოვაციური ტექნოლოგიები/ტელეკომუნიკაცია, ბიოტექნოლოგიები/სამედიცინო ტექნიკა და ავიაცია. სპეციალიზაციის საჭიროება გამოხატულია უფრო მეტად მცირე და საშუალო ზომის რეგიონების შემთხვევაში, რომელთაც ქალაქებთან შედარებით ნაკლები ალტერნატივები აქვთ სექტორების მრავალფეროვნების მხრივ. სპეციალიზაცია, თავის მხრივ, წარმოქმნის სექტორული შოკებისა და სტრუქტურული ცვლილებების რისკს. აღნიშნული რისკის შესამცირებლად მნიშვნელოვანია, რომ რეგიონების სპეციალიზაციის სფეროები თანხვედრაში მოდიოდეს მთლიანად ქვეყნის პრიორიტეტებთან და ეკონომიკის წამყვან სექტორებთან.

ძირითადი აქცენტი კეთდება მცირე და საშუალო საწარმოების ხელშეწყობაზე, თუმცა, იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობა დაბალი იქნება მსხვილ კომპანიებთან შედარებით. ამ გამოწვევის საპასუხოდ გათვალისწინებულია მათი თანამშრომლობის ხელშეწყობა და მათთვის დამახასიათებელი მაღალი მოქნილობის უპირატესობის გამოყენება. ერთ-ერთ ინსტრუმენტად განხილულია საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობა, რათა მცირე და საშუალო ზომის საწარმოებმა შეძლონ თანამშრომლობა ისეთ სფეროებში როგორებიცაა: კვლევები და განვითარება, წარმოება, მარკეტინგი და გაყიდვები. ამასთან, მცირე და საშუალო მეწარმეებს აქვთ ხელმისაწვდომობა საექსპორტო პოტენციალთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე. თითოეულ რეგიონში (შვედეთში - „County”) ვხვდებით ექსპორტირების შესაძლებლობების მრჩევლებს (export advisors), რომელთა კონსულტაციების მიზანია შვედეთში ჩამოყალიბებული მცირე და საშუალო საწარმოების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა. მსხვილ ბიზნესს განვითარების მაღალი დონე უკვე მიღწეული აქვს და ბიზნეს გარემოც ხელსაყრელია მათი წარმატებით ფუნქციონირებისთვის.

შვედეთის მთავრობის ზოგადი მიდგომაა, რომ მაქსიმალურად შემცირდეს ბიზნეს სექტორის პირდაპირი დაფინანსება. იმ შემთხვევაში, როდესაც ბაზარი ვერ უზრუნველყოფს საკმარისი რაოდენობის კაპიტალს, გამოვლენილი საჭიროების შევსება აუცილებლად უნდა მოხდეს დაბრუნებადი სესხების ფორმით.

ინოვაციების ხელშეწყობის ერთ-ერთ ინსტრუმენტად გამოიყენება უნივერსიტეტებსა და ბიზნეს სექტორს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა. შვედეთში, ისევე როგორც ევროპის ყველა ქალაქში, სამეცნიერო კვლევების შედეგების კომერციალიზაციის პროცესი საკმაოდ ხანგრძლივ დროით პერიოდთან არის დაკავშირებული და ამ კუთხით ეფექტიანობა არ არის მიღწეული. შესაბამისად, მთავრობა ორიენტირებულია ხელი შეუწყოს ბიზნეს სექტორის მიერ სამეცნიერო კვლევების შედეგების კომერციული დანიშნულებით გამოყენების პროცესის გაუმჯობესებას.

შვედეთში მოსახლეობის 80% ქვეყნის ტერიტორიის 30%-ზე ცხოვრობს. მოსახლეობის კონცენტრაცია შეინიშნება სამ დიდ ქალაქში, მათ შორის დედაქალაქში. ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში ვხვდებით ნაკლებად დასახლებულ რეგიონებს, რომლებიც შესაბამისად სამუშაო ძალის მცირე ბაზარს ქმნიან. გასაკვირი არ არის, რომ ასეთი რეგიონები, განსაკუთრებით მსხვილი ბიზნესისთვის, ნაკლებად მიმზიდველია. ამ გამოწვევის საპასუხოთ წარმოდგენილია რეგიონების გაფართოების სტრატეგია, რაც გულისხმობს სხვადასხვა რეგიონის ერთმანეთთან დაკავშირებისა და დაახლოების ხელშეწყობას. რეგიონული განვითარების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ შეინიშნება რეგიონულ გაფართოებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის მჭიდრო კავშირი, რისი სტიმულირებისთვისაც საჭიროა:

- შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და საცხოვრებელი ტერიტორიების განვითარების დაგეგმვა;
- საჯარო მომსახურების მიმწოდებელი ობიექტების ადგილმდებარეობის სათანადოდ განსაზღვრა;
- საჯარო ტრანსპორტის ორგანიზება;
- სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულის დაგეგმვის პროცესების კოორდინაცია.

შვედეთში ნაკლებად დასახლებული რეგიონებისა და ზოგადად რეგიონების განვითარება მჭიდროდ უკავშირდება ქალაქების განვითარების პროცესს.

რეგიონული პოლიტიკისთვის ეს ორი პროცესი ურთიერთდამოკიდებულია და ერთმანეთს უწყობს ხელს. პოლიტიკის გამტარებლების შეფასებით საჭიროა ქალაქების როლი უკეთ იყოს გამოკვეთილი რეგიონების განვითარების სტრატეგიებში.

მცირე და საშუალო ზომის რეგიონები, რომლებსაც ვაჭრობისა და ინდუსტრიული განვითარების ნაკლები შესაძლებლობები აქვთ, მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებულნი მცირე რაოდენობის, მაგრამ დიდი ზომის ქალაქებზე. ზოგიერთი რეგიონები, რომლებიც მაღალი ზრდის ტემპს აჩვენებენ, მაინც გარკვეული რისკის ქვეშ დგანან, რადგან სპეციალიზაციის მაღალი დონით გამოირჩევიან. შედარებით მეტი სექტორული მრავალფეროვნება შეინიშნება იმ რეგიონებში, რომლებიც დიდი ქალაქების გარშემო არიან განლაგებულები.

შვედეთი ერთ-ერთი წამყვანი ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მქონე ქვეყანაა ევროკავშირში, რომელიც ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას რეგიონების ზრდის ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვან პრიორიტეტად მიიჩნევს. მდგრადი რეგიონული განვითარების სტრატეგიით შვედეთს მიზნად აქვს დასახული 2020 წლისთვის ევროკავშირის ქვეყნებს შორის უმუშევრობის ყველაზე დაბალ მაჩვენებელს მიაღწიოს.

პოლონეთი. მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთი სხვა ნაკლებად განვითარებული ქვეყნების მსგავსად რეგიონული უთანასწორობის გაღრმავების პრობლემის წინაშე იდგა, ქვეყანამ შეძლო, რომ რეგიონული პოლიტიკის მიზნებში პრიორიტეტი „ეფექტიანობაზე“ ორიენტირებულ მიზნებს მიანიჭა და ეკონიმიკურ ზრდაზე მაღალი ზეგავლენის მქონე ტერიტორიული ერთეულების განვითარებაზე გააკეთა აქცენტი. ქვეყნის განვითარების ტემპზე დაკვირვება პოლონური არჩევანის შედეგიანობას ნათლად გვიჩვენებს. პოლონეთის რეგიონული განვითარების პოლიტიკა, რა თქმა უნდა, ევროკავშირის პოლიტიკის მიზნებთან შესაბამისობაში მოდის. სხვა შემთხვევაში ქვეყანა ვერ შეძლებდა ევროპის რეგიონული განვითარების ფონდიდან 40 მილიარდ ევროზე, ხოლო ევროპის სოციალური ფონდიდან 23 მილიარდ ევროზე მეტი ფინანსური რესურსის მიღებას. აღნიშნული

ორი ფონდიდან პოლონეთისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსის ოდენობა სამჯერ აღემატება პოლონეთის შემდეგ ყველაზე მაღალი დაფინანსების მიმღები ქვეყნების იმავე მაჩვენებელს. ეს ქვეყნებია იტალია და ესპანეთი. მართალია ისინი, მხოლოდ ევროპის რეგიონული განვითარების ფონდიდან იღებენ თანადაფინანსებას, თუმცა, ორივე შემთხვევაში ეს დაფინანსება საკმაოდ მაღალია და 20 მილიარდ ევროს აღემატება, პოლონეთის შემთხვევაში კი 40 მილიარდ ევროს.

პოლონეთი NUTS I დონეზე დაყოფილია შვიდ მაკრო რეგიონად, ესენია: სამხრეთის, ჩრდილო-დასავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის, ჩრდილოეთის, ცენტრალური, აღმოსავლეთის და მაზოვიცკის რეგიონები. ამ უკანასკნელშია გაერთიანებული დედაქალაქი, რომელიც NUTS III დონეზე დაყოფილია, როგორც: ქალაქი ვარშავა, აღმოსავლეთ და დასავლეთ ვარშავა. NUTS II დონეზე ვხვდებით 16 რეგიონს (Voivodeships), რომელთაგან 15 მიეკუთვნება ნაკლებად განვითარებული რეგიონების კატეგორიას ხოლო მაზოვიცკის რეგიონი - მეტად განვითარებულ რეგიონებს. გარდამავალი რეგიონების კატეგორიაში პოლონეთის არც ერთი რეგიონი არ ხვდება, რაც კარგად აჩვენებს ქვეყნის შიგნით გამოხატულ რეგიონულ უთანასწორობას. პოლონური გამოცდილების ანალიზი საინტერესოა, რადგან ამ ქვეყნის რეგიონული პოლიტიკისთვის დამახასიათებელია სწრაფ ეკონომიკურ ზრდასა და ეფექტიანობაზე ორიენტაცია.

პოლონეთის რეგიონული პოლიტიკის შესწავლა მოხდა შემდეგ დოკუმენტებზე დაყრდნობით:

- რეგიონული განვითარების ეროვნული სტრატეგია 2010-2020: რეგიონები, ქალაქები და სასოფლო დასახლებები;
- ინფორმირებული საზოგადოების განვითარების სტრატეგია (ePoland) 2004-2006 წლებისთვის, რომელიც 2003 წელს შემუშავებულ იქნა სამეცნიერო კვლევებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამინისტროს მიერ;
- ეროვნული ურბანული პოლიტიკა 2023, რომელიც 2015 წელს შემუშავებულ იქნა პოლონეთის ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს მიერ;

- პოლონეთის სოფლის განვითარების მიმოხილვა 2018 წლისთვის, რომელიც მომზადდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ. დოკუმენტის მიზანს წარმოადგენდა შეეთავაზებინათ სასოფლო დასახლებების განვითარების კონკრეტული წინადადებები, რაც შემდგომში აისახა პოლონეთის რეგიონული განვითარების ეროვნული სტრატეგიის შემუშავებაში.

პოლონეთის რეგიონების განვითარების ეროვნული სტრატეგია მიზნად ისახავს ეკონომიკური ზრდის, დასაქმებისა და დაახლოების გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. 2020 წლისთვის განსაზღვრულია, ერთი მხრივ, რეგიონების კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობის, მეორე მხრივ, ტერიტორული თანასწორობის ჩამოყალიბების მიზნების მიღწევა.

პოლონეთში მოსახლეობის 61% საქალაქო ტიპის დასახლებებში ცხოვრობს. ქვეყნის ძირითადი ქალაქებია: ვარშავა, კატოვიცე და კრაკოვი. გარდა აღნიშნული ქალაქებისა თითოეულ რეგიონს აქვს საკუთარი ცენტრი, დედაქალაქი. საინტერესოა, რომ ცენტრალური ქალაქები, ანუ რეგიონების დედაქალაქები მთლიანი სამამულო პროდუქტის თითქმის ნახევარს აწარმოებენ. მართალია, მათ მიერ მოცული ტერიტორიის ფართობი მნიშვნელოვნად მაღალია, თუმცა, ნაკლებად ცენტრალურ ადგილებში ეკონომიკური აქტივობის ასეთი დონის მიღწევა საკმაოდ რთულია. ამრიგად, პოლონეთს ახასიათებს დასახლებების მრავალცენტრიანი სივრცით-ფუნქციური მოწყობა. პოლონეთის რეგიონების განვითარების ეროვნული სტრატეგია ეფუძნება სამ პრინციპს: კონკურენტუნარიანობა-დაახლოება-ეფექტიანობა. კონკურენტუნარიანობის კუთხით აქცენტი კეთდება ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობაზე, რაც პირველ რიგში ითვალისწინებს მსხვილ საქალაქო დასახლებებზე ორიენტაციას. **ამრიგად, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის საფუძვლად მოიაზრება ყველაზე მსხვილი საქალაქო დასახლებების განვითარება.** დაახლოების მიზნის მიღწევაშიც კი ნაგულისხმევია ეკონომიკური დაახლოების უზრუნველყოფა ყველა რეგიონის რესურსის გამოყენების ხელშეწყობით. პოლონეთის რეგიონული პოლიტიკის მიმართულებები ითვალისწინებს რა სხვადასხვა კვლევის შედეგს, აქცენტს აკეთებს

ტერიტორულად მიზანმიმართულ მულტისექტორულ განვითარებაზე, მხოლოდ სექტორულ განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკის ნაცვლად.

დროთა განმავლობაში გაიმიჯნა ძველი და ახალი რეგიონული პოლიტიკის მახასიათებლები.

ცხრილი 3.1.2 რეგიონული პოლიტიკის ძველი და ახალი პარადიგმები

მახასიათებლები	**ძველი მიდგომა**	**ახალი მიდგომა**
ზოგადი სტრატეგია	**სექტორული მიდგომა**	**ინტეგრირებული განვითარების პროექტები**
მიზანი	**კონკურენტუნარიანობა** - მრავალი კონკურენტული უპირატესობის მომცემი „ფაქტორის" გამოვლენა, რაც საფუძვლად დაედო არაკოორდინირებულ ღონისძიებებს	(1) რეგიონული ზრდის სტრატეგიული მიზანი, რომელიც გათვალისწინებულია ყველა რეგიონისთვის, მათ შორის ყველაზე მეტად განვითარებულებისთვისაც; (2) გამოვლენილია კონკურენტული უპირატესობები და მათი გამოყენების პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებები; (3) ტერიტორულად მიზანმიმართული მულტისექტორული განვითარება
	გათანაბრება - უთანაბრობის გაზომვაზე დიდი აქტცენტის გაკეთება, რის პარალელურადაც იზრდებოდა უთანაბრობის ხარისხი	(1) კაპიტალის, ადამიანური რესურსის, ცოდნისა და ინოვაციების გადაადგილების მაღალი ტემპი; (2) ტერიტორიული ერთეულების პოტენციალზე ადაპტირებული „გათანაბრების" ღონისძიებები; (3) კონკრეტულ ტერიტორიულ ერთეულებზე ფოკუსირება, რათა გამოყენებულ იქნას არსებული პოტენციალი და გამოვლინდეს შემდგომი განვითარებისთვის საჭირო „კრიტიკული მასა"
ინსტრუმენტი	სუბსიდიები და ცენტრალური ხელისუფლების დაფინანსება	ინტეგრირებული პოლიტიკის სხვადასხვა („მსუბუქი" და „მძიმე") ინსტრუმენტები, სოციალური კაპიტალი, კავშირები და უკეთესი კოორდინაცია
ტერიტორიული განზომილება	რეგიონებს უდგებოდნენ როგორც ერთგვაროვან ერთეულებს, მათი განსხვავებული მახასიათებლების გათვალისწინების გარეშე; მეტი ყურადღება ექცეოდა სექტორულ განვითარებას	განვითარებაზე ორიენტირებულ ყველა ღონისძიებაში ტერიტორიული განზომილების გათვალისწინება; განვითარების ინტეგრირებული პროგრამები და სივრცითი ინტეგრაცია

ტერიტორიული ერთეული	**ადმინისტრაციული ერთეულები** - არ იძლეოდა შესაძლებლობას საქალაქო-სასოფლო დასახლებების ურთიერთქმედებისა და ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინება მომხდარიყო პოლიტიკის დაგეგმვისას; სასოფლო დასახლებებს უდგებოდა ერთნაირად ქვეყნის მთლიან ტერიტორიაზე	**ფუნქციული ერთეულები** - განსხვავებული ტერიტორიებისთვის განსხვავებული მიდგომა; ადგილობრივ მახასიათებლებზე ადაპტირებული პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკური ზრდის წარმომქმნელ, ფუნქციურად დაკავშირებულ და დაშორებულ ტერიტორიებზე დამოკიდებულების ანალიზს
მონაწილეები	ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობა	მმართველობის ყველა რგოლი, ბიზნესი და სოციალური სექტორი

წყარო: პოლონეთის რეგიონული განვითარების ეროვნული სტრატეგია 2010-2020

ახალი რეგიონული პოლიტიკისთვის დამახასიათებელია ქალაქებში კონცენტრირებული ზრდის ძლიერ მხარედ აღქმა და ამ კონცენტრაციის გამოყენება სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულების ურთიერთდაკავშირების გზით. ასევე, საინტერესოა რომ ახალი რეგიონული პოლიტიკის მიდგომა ითვალისწინებს არა გაფანტული ინვესტიციების განხორციელებას „ცოტა მაინც ყველგან“ პრინციპით, არამედ უფრო მეტად ფოკუსირებულ ინვესტიციებს, რომელიც ეკონომიკურ ზრდაზე რეალურ გავლენას მოახდენს. ეს მიდგომა აჩვენებს, რომ პოლონეთის რეგიონული პოლიტიკა მეტად „ეფექტიანობაზე“ არის ორიენტირებული, რაც სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულების ეკონომიკის ურთიერთდაკავშირებით „დაახლოების“ მიზანსაც ემსახურება.

ახალი რეგიონული პოლიტიკის მნიშვნელოვანი მახასიათებელია **სექტორული მიდგომიდან ტერიტორიულ მიდგომაზე გადასვლა**. რეგიონული პოლიტიკის ტერიტორიულ განზომილებაზე აქცენტი სექტორული მიდგომის რამდენიმე გამოწვევას პასუხობს:

- სექტორული განვითარების ხელშეწყობის დროს პროცესში ჩართულ სხვადასხვა მხარეებს შორის კოორდინაცია რთულია, რაც იწვევს პროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების დამთხვევას, გამეორებას და საბოლოო ჯამში რესურსების არაეფექტიანად ხარჯვას;
- სექტორული განვითარების ხელშეწყობა სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულებისთვის დამახასიათებელი ნიშნების გათვალისწინების გარეშე ვერ იქნება ეფექტიანი. სექტორული განვითარების ხელშეწყობა საჭიროებს

ადგილობრივი რესურსებისა და შესაძლებლობების ანალიზს, რაც ყველა ტერიტორიული ერთეულისთვის განსხვავებულია.

მიუხედავად იმისა, რომ რეგიონული პოლიტიკის აქცენტი ტერიტორიულ მიდგომაზე კეთდება სასურველია რეგიონული პოლიტიკის დაგეგმვისას შეფასდეს ქვეყნის ძირითადი სექტორების განვითარების პოლიტიკის ტერიტორიულ ერთეულებზე ზეგავლენა.

პოლონეთის რეგიონული პოლიტიკის ასეთი აქცენტი ეფექტიანობაზე არ ნიშნავს შიდა რეგიონულ თანასწორობას. დედაქალაქზე, რომელშიც მოსახლეობის 4.5% ცხოვრობს, მთლიანი სამამულო პროდუქტის 13.5% მოდის, მთლიანად ვარშავის ფუნქციურ ტერიტორიაზე კი - 16%. გარდა იმისა, რომ მაზოვიცკის რეგიონი არის ეკონომიკური ზრდის მთავარი წარმომქმნელი, კიდევ 4 რეგიონი (Dolnośląskie, Śląskie, Wielkopolskie და Pomorskie) გამოიკვეთა, რომელთაც მზარდი ეკონომიკური ზრდა და ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი სამამულო პროდუქტის ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელთან დაახლოების ტენდენცია ახასიათებთ. ეს 5 რეგიონი პოლონეთში ქმნის ეკონომიკური ზრდის ძირითად საფუძველს.

შესაბამისად, რეგიონული პოლიტიკა ორიენტირებულია მათი რესურსის გამოყენებასა და სხვა რეგიონებზე გავრცელების ხელშეწყობაზე. რეგიონული პოლიტიკის გამტარებლების ჩარევა უთანაბრობის გაღრმავების შესაჩერებლად მხოლოდ იმ შემთხვევაშია გათვალისწინებული, როდესაც უთანასწორობა კრიტიკულად მაღალ ნიშნულს მიაღწევს. გათავისებულია, რომ არსებული ფინანსური რესურსებით პოლიტიკის გამტარებლების ჩარევა ყველა რეგიონში მიმდინარე უარყოფით ცვლილებებზე რეაგირებას ვერ მოახდენს. რეგიონული პოლიტიკა ორიენტირებულია მოახდინოს ისეთი ტერიტორიების იდენტიფიცირება, რომელთაც ბოლო პერიოდში ეკონომიკური მაჩვენებლების მკვეთრად გაუარესების ტენდენცია ახასიათებდათ და ეს ტენდენცია პოტენციურად დროებითია.

ამრიგად, პოლონეთის რეგიონულ პოლიტიკას აქვს შემდეგი მახასიათებლები:

- **ეფექტიანობაზე მკაფიო ორიენტაცია** - გათვალისწინებულია რესურსების კონცენტრაცია იმ აქტივობებსა და ტერიტორიულ ერთეულებში, რომლებიც ყველაზე მეტად შედეგიანი იქნება რეგიონული პოლიტიკის მიზნების მისაღწევად.
- **ეკონომიკური საქმიანობის კონცენტრაცია აღქმულია როგორც ძლიერი მხარე და ორიენტაცია აღებულია მის გამოყენებაზე** - შეზღუდული რესურსების პირობებში შეუძლებელია ქვეყნის მთლიან ტერიტორიაზე მოსახლეობისთვის ერთნაირად მიმზიდველი საცხოვრებელი პირობები შექმნას სახელმწიფომ. საქალაქო ცენტრები მოსახლეობას უკეთეს დასაქმების შესაძლებლობასა და საცხოვრებელ პირობებს თავაზობს. მოსახლეობის მიგრაცია რეგიონულ ცენტრებში არ უნდა იქნას აღქმული როგორც პრობლემა. ეს პროცესი უფრო მეტად შესაძლებლობაა, რომელსაც სახელმწიფომ თავის მხრივ ხელი უნდა შეუწყოს ასეთი ცენტრების მიმზიდველობის ზრდით. პოლონეთში ასეთი 18 ცენტრია გამოვლენილი. აუცილებელი არ არის ერთ რეგიონს მხოლოდ ერთი ცენტრი ჰქონდეს. დროთა განმავლობაში მიმდინარე ეკონომიკური და დემოგრაფიული პროცესები ასეთ ცენტრებს ნათლად ავლენს.
- **სექტორული მიდგომის ჩანაცვლება ტერიტორიულ განვითარებაზე ორიენტირებული მულტისექტორული პოლიტიკით.**
- **სპეციალიზაცია და კლასტერების ჩამოყალიბების ხელშეწყობა** - სექტორულიდან ტერიტორიულ მიდგომაზე გადასვლა ავლენს ტერიტორიული ერთეულების სპეციალიზაციის საჭიროებას. სპეციალიზაცია, გლობალიზებული კონკურენტული გარემოს პირობებში, ხელს უწყობს ტერიტორიული ერთეულის კონკურენტუნარიანობის ჩამოყალიბებას, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე. ასევე, აღსანიშნავია, რომ სპეციალიზაციის შესაძლებლობა მეტია საქალაქო დასახლებების ფუნქციურ არეალებსა და სასოფლო დასახლებებში, ვიდრე საქალაქო ცენტრებში. პოლონეთის რეგიონული პოლიტიკა ითვალისწინებს ინვესტიციების იმ ტერიტორულ ერთეულებში კონცენტრაციის

ხელშეწყობას, რომელშიც უკვე ჩამოყალიბებულია სპეციალიზაცია იმავე ან დაკავშირებულ სექტორში. კლასტერების განვითარებასთან ერთად ქვეყნის ეკონომიკა დროთა განმავლობაში შეამცირებს არამომგებიანი სპეციალიზაციის ეფექტს, რომელიც ჩამოყალიბებულია სოფლის მეურნეობის დარგში, როგორც პოლონეთის ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში, ისე მსგავსი წარსულის მქონე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში როგორიცაა ბულგარეთი, საქართველო და სხვა.

- **დედაქალაქი აღქმულია როგორც მთლიანად ქვეყნის და სხვა რეგიონული ცენტრების განვითარების პოტენციალი** - აქცენტი კეთდება რეგიონულ ცენტრებსა და დედაქალაქს შორის კავშირების გაუმჯობესებაზე. გრძელვადიან პერიოდში მოსალოდნელია, რომ დედაქალაქში ეკონომიკური აქტივობისა და მოსახლეობის კონცენტრაცია კიდევ უფრო გაიზრდება.
- **მეწარმეების დაუბრუნებელი გრანტით დაფინანსების შეზღუდვა** - მეწარმეების გრანტით დაფინანსება გათვალისწინებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ პროექტი პასუხობს ინოვაციების ხელშეწყობის სტრატეგიას და ემსახურება ინოვაციების შექმნის მიზანს. სხვა შემთხვევაში აქცენტი კეთდება გრანტით დაფინანსებიდან ისეთ ინსტრუმენტებზე გადასვლაზე, რომლებიც ითვალისწინებს მეწარმის მხრიდან ფინანსური სახსრების უკან დაბრუნებას, მაგალითად, სესხები და სესხებზე ხელმისაწვდომის გაზრდის ხელშეწყობა. ამ შემთხვევაში მეწარმე მეტი სიფრთხილით ეკიდება დაფინანსების მიღებას და ვალდებულების აღებას, რაც ამცირებს ბიზნესის წარუმატებლობის რისკებს. გრანტის მიღების შემთხვევაში მეტი ალბათობაა ბიზნესის წარუმატებლობა განპირობებული იყოს შიდა ფაქტორებით, როგორიცაა ბიზნესის მართვის არაეფექტიანობა. სესხის შემთხვევაში მცირდება ისეთი შემთხვევების სიხშირე, როგორებიცაა ბიზნეს პროექტის ჩამოყალიბების ეტაპზე არასაკმარისი ინფორმაციის მოძიება, ბიზნესის პოტენციური მომგებიანობის არარეალისტურად შეფასება და სხვა. ასეთი მიდგომა ზრდის ფინანსების გამოყენების

ეფექტიანობას და ნაკლებ ზეგავლენას ახდენს ბაზარზე ჩამოყალიბებულ კონკურენტულ გარემოზე.

ტერიტორიულ ერთეულებს შორის ფუნქციური ურთიერთდამოკიდებულების ჩამოყალიბება და განვითარება წარმოადგენს პოლონეთის რეგიონული პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას. დროთა განმავლობაში პოლონეთის რეგიონული სპეციალიზაცია და ფუნქციური დატვირთა შეიცვალა (იხ. დიაგრამა 3.1.2). თუმცა, კვლავ გამოწვევად რჩება ურბანული და ურბანიზებული ტერიტორიული ერთეულების გაფართოება და განვითარება.



დიაგრამა 3.1.2 პოლონეთის ტერიტორიული ერთეულების ფუნქციური დატვირთვა 1999 წელსა (1- სოფლის მეურნეობა; 2 - სატყეო მეურნეობა, 3 - ტურიზმი, 4 - შერეული ფუნქციები) და 2009 წელს (1- ურბანული (urban), 2 - ურბანიზებული (urbanized), 3 - მრავალფუნქციური და გარდამავალი, 4 - მნიშვნელოვნად სასოფლო სამეურნეო, 5 - დომინირებს სასოფლო სამეურნეო, 6 - ტურიზმი და რეკრეაცია, 7 - სატყეო, 8 - ტერიტორიული ერთეულები შერეული ფუნქციით)

წყარო: Jerzy Bański, Suburban and peripheral rural areas in Poland – the balance of development in the transformation period (2005), Types of functional areas in Poland (2009)

რეგიონული პოლიტიკის დოკუმენტებში მოხსენიებულია პრობლემური რეგიონის ცნება. პრობლემურ რეგიონად მიჩნეულია ტერიტორია, რომელსაც ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი სამამულო პროდუქტის უარყოფითი ცვლილება ახასიათებს და შეფასდა, რომ პოლიტიკის გამტარებლების ჩარევის გარეშე თავად ვერ შეძლებს მდგომარეობის გაუმჯობესებას მიაღწიოს. ასეთ შემთხვევაში, ერთის მხრივ გათვალისწინებულია რეგიონულ ცენტრებთან მათი დაკავშირების ხელშეწყობა, რათა საზოგადოებრივ პროდუქტებსა და მომსახურებაზე მათი ხელმისაწვდომობა გაიზარდოს. მეორეს მხრივ, გამოსავლად განხილულია მოსახლეობის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, რათა მათი დასაქმების შესაძლებლობა ასეთი რეგიონის გარეთ შესაძლებელი გახდეს. ამრიგად, რეგიონული პოლიტიკა ორიენტირებული არ არის მოსახლეობა მათ საცხოვრებელ ადგილზე გააჩეროს, არამედ ფოკუსირებულია ხელი შეუწყოს მათ მობილობას შესაბამის უნარებსა და ცოდნაზე ხელმისაწვდომობის გაზრდით. იგივე შეიძლება ითქვას იმ შემთხვევაზე, როდესაც გარკვეულ ტერიტორიულ ერთეულში მცხოვრები მოსახლეობა გადაწყვეტილებას იღებს შეწყვიტოს სასოფლო-სამურნეო საქმიანობა და ჩაერთოს სხვა ეკონომიკურ საქმიანობაში. ამ შემთხვევაშიც რეგიონული პოლიტიკის გამტარებლების როლი მოიაზრება, როგორც ამ პროცესების ხელშემწყობი და არა დამაბრკოლებელი. ქვეყნის თუ რეგიონის ეკონომიკური სტრუქტურის ცვლილების პროცესი აღქმული უნდა იყოს, როგორც ჯანსაღი პროცესი განპირობებული კონკრეტულ დარგში ბიზნესის არამომგებიანობით. ასეთი დარგი ხშირ შემთხვევაში, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა ქვეყნებში აღმოჩნდება ხოლმე სოფლის მეურნეობა. სოფლის მეურნეობის დარგში ჩართული მოსახლეობის რაოდენობის შემცირება დარგის მოდერნიზაციასთან და პროდუქტიულობის ზრდასთან ერთად უნდა იყოს ყველა ქვეყნის გრძელვადიანი მიზანი. მოსახლეობის ამ დარგიდან გამოთავისუფლება და ჩართულობა სხვა ქვეყნისთვის მეტად სტრატეგიულ თუ კონკურენტული უპირატესობის მომცემ დარგში სამუშაო რესურსის გამოყენების ეფექტიანობას გაზრდის. ამ პროცესში სახელმწიფოს როლი, როგორც პროცესის დამაჩქარებლის, არის ძალიან მნიშვნელოვანი სწრაფი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად.

საინტერესოა, თუ როგორი კავშირი ვლინდება სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობასა და ტერიტორიულ ერთეულებში მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას შორის. პოლონეთის შემთხვევაში გამოჩნდა, რომ სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის პრობლემას გამოხატული სივრცითი კონცენტრაცია არ ახასიათებს, მაშინ როდესაც ნაკლებად განვითარებული ტერიტორიული ერთეულები მეტად კონცენტრირებულები არიან ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში და მკვეთრად გამოხატული სივრცითი კონცენტრაციით ხასიათდებიან (რეგიონული განვითარების ეროვნული სტრატეგია 2010-2020 წლებისთვის 2010, 8-31). ასევე საინტერესოა რეგიონის შიგნით ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი სამამულო პროდუქტის უთანაბრობასა და რეგიონული ცენტრების განვითარების დონეს შორის კორელაცია. პოლონეთის შემთხვევაში გამოჩნდა, რომ იმ რეგიონებში, რომელთაც ეკონომიკურად ძლიერი საქალაქო ცენტრები აქვთ შიდა უთანასწორობის დონე უფრო მაღალია, ვიდრე სუსტად განვითარებული საქალაქო ცენტრების მქონე რეგიონებში. საქალაქო ცენტრების ნაკლებად განვითარება გარკვეულწილად განპირობებულია სხვა ქალაქებთან სუსტი კავშირების არსებობით.

აღმოსავლეთ პოლონეთის ჩამორჩენის საპასუხოდ რეგიონული პოლიტიკა გეგმავს ხელი შეუწყოს დიდ ქალაქებში ან დიდ ქალაქებად ჩამოყალიბების პოტენციალის მქონე ქალაქებში მოსახლეობის რაოდენობის ზრდას.

მსგავსია მიდგომა სასოფლო ტიპის დასახლებების შემთხვევაშიც. აღსანიშნავია, რომ სასოფლო ტერიტორია არ განისაზღვრება მხოლოდ იქ მცხოვრები მოსახლეობის სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში ჩართულობის ინტენსივობით ან იმ ტერიტორიის წილით, რომელიც სასოფლო სამეურნეო საქმიანობისთვის გამოიყენება. სასოფლო ტერიტორიის განსაზღვრის ერთ-ერთ კრიტერიუმს წარმოადგენს მათი დაშორება საქალაქო ცენტრებიდან. სასოფლო ტერიტორიების განვითარების პოლიტიკის ობიექტს არ წარმოადგენს მხოლოდ ეკონომიკურად სუსტი, პერიფერიული სასოფლო ტერიტორიები. პოლიტიკის ობიექტია ისეთი სასოფლო ტიპის არეალი, რომელსაც საქალაქო დასახლებებთან უკვე მჭიდრო

კავშირები აქვს ჩამოყალიბებული და სარგებლობს ამ კავშირებით წარმოქმნილი დადებითი ეფექტით.

საინტერესოა, რომ რეგიონული პოლიტიკის ეფექტიანობის გასაზრდელად სახელმწიფო მართვის დონეზე გათვალისწინებულია ისეთი ინსტრუმენტის გამოყენება, როგორიცაა **პირობითი ფონდები.** პირობითი ფონდების მიმღები შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ერთეულის ადგილობრივი თვითმმართველობა, რომელმაც შეძლო მიეღწია რეგიონული პოლიტიკის მიზნებისთვის, განახორციელა გამორჩეულად განსაკუთრებული მნიშვნელობის პროექტი ან სხვა. პირობითი ფონდები არის ჯილდოს ტიპის დამატებითი სახსრები ადგილობრივი პოლიტიკის გამტარებლებისთვის, რაც სტიმულს უნდა ქმნიდეს უკეთესი მიღწევებისთვის.

პოლონეთში ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის ერთ-ერთ ინსტრუმენტად გამოიყენება **სპეციალური ეკონომიკური ზონები** და ამ ზონებში ბიზნეს სუბიექტებისთვის დაწესებული საგადასახადო შეღავათები. ჩამოყალიბებულია ასეთი 14 ეკონომიკური ზონა, სადაც ბიზნეს სუბიექტები ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალზე დაწესებულ გადასახადსა და ქონების გადასახადზე იღებენ შეღავათებს. ბიზნეს სუბიექტები წარმოდგენილი არიან ისეთი ეკონომიკური საქმიანობებიდან, როგორებიცაა: საავტომობილო მრეწველობა, ხის დამუშავება, ქაღალდისა და ლითონის წარმოება/დამუშავება, კოსმოსური ინდუსტრია და სხვა. სახელმწიფო დახმარება, რაშიც მოიაზრება საგადასახადო შეღავათები, განსხვავებულია სპეციალური ეკონომიკური ზონის მდებარეობისა და საწარმოს ზომის მიხედვით. 2018 წელს მიღებულ იქნა ახალი კანონი ინვესტიციების ხელშეწყობის მიზნით, რომლითაც პოლონეთის მთავრობამ წარმოადგინა ინვესტიციების ხელშეწყობის ახალი მიდგომა - „პოლონეთის საინვესტიციო ზონა “. ეს მიდგომა ითვალისწინებს სპეციალური ეკონომიკური ზონების ჩანაცვლებას ქვეყნის მთლიანი ტერიტორიით. ამრიგად, ინვესტორისთვის, რომელიც აკმაყოფილებს სახელმწიფო ხელშეწყობისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს, დაწესდა შეღავათები არა მხოლოდ კონკრეტულ ეკონომიკურ ზონაში, არამედ ქვეყნის მთლიან ტერიტორიაზე. შედეგად,

ადგილმდებარეობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ინვესტორისთვის უფრო მეტად მოქნილი და ნაკლებად შემზღუდავი გახდება, ხოლო პოლონეთის მთავრობას თავიდან ააცილებს სპეციალური ეკონომიკური ზონების გაფართოების პროცედურებს. ახალი რეგულაციის მიღებამდე ყველაზე მაღალი საგადასახადო ხელშეწყობა გათვალისწინებული იყო ვარმიასა და მაზურის სპეციალურ ეკონომიკურ ზონაში, რომელიც ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს და მოიცავს მაზოვიცკის რეგიონს (Voivodeship). ეკონომიკური ზონის აღმოსავლეთ ნაწილში გათვალისწინებული იყო ბიზნეს საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალზე გადასახდელი გადასახადის 70%-იანი შეღავათი მცირე საწარმოებისთვის, 60%-იანი შეღავათი საშუალო ზომისა და 50%-იანი შეღავათი მსხვილი ზომის საწარმოებისთვის. ეკონომიკური ზონის ჩრდილოეთ ნაწილში (მაზოვიცკის რეგიონში) შეღავათის ოდენობა შეადგენდა შესაბამისად 55%-ს, 45%-სა და 35%-ს. კატოვიცეს სპეციალურ ეკონომიკურ ზონაში, რომელიც ოპოლესა და სილესიას რეგიონებზე ვრცელდება, დაწესებული შეღავათები მცირე საწარმოებზე შეადგენდა 55%-სა და 45%-ს შესაბამისად, საშუალო ზომის საწარმოებისთვის - 45%-სა და 35%-ს, ხოლო მსხვილი საწარმოებისთვის - 35%-სა და 25%-ს. ამავე, ეკონომიკურ ზონაში ჩამოყალიბდა საავტომობილო ინდუსტრიისა და მოწინავე გადამამუშავებელი კლასტერი. ახალი რეგულაციის მიღებასთან ერთად უკვე არსებულ ეკონომიკურ ზონებში ჩამოყალიბებულ საწარმოებს გაუგრძელდათ ძველი შეღავათებით სარგებლობის შესაძლებლობა 2026 წლამდე.

ინვესტიციების ხელშეწყობის ახალი მიდგომა ითვალისწინებს მთლიანად ქვეყნის მოცვას, თუმცა, ამასთან კვლავ აწესებს შეღავათების განსხვავებულ ოდენობას ტერიტორიული არეალისა და ბიზნეს სუბიექტების ზომის მიხედვით. ამასთან, ტერიტორიული ერთეულების მიხედვით განსხვავებულია შეღავათების ხანგრძლივობა და იცვლება 10-დან 15 წლამდე. სპეციალურ ეკონომიკურ ზონებში ბიზნესის ხელშეწყობა ხდებოდა კონსულტაციების, ტრენინგებისა და მარკეტინგული მომსახურების მიწოდებით. გათვალისწინებულია იმავე რესურსის გამოყენება უკვე მნიშვნელოვნად გაფართოებულ საშეღავათო ზონებში.

ახალი სტრატეგიით გათვალისწინებულია ახალი ინვესტიციების ხელშეწყობა ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: საზიარო მომსახურების ცენტრები, ავიაცია, გემთმშენებლობა, ბიოტექნოლოგიები, ფარმაცევტიკა, ელექტრონიკა, ავეჯის წარმოება, საკვები პროდუქტები, ქიმიკატები, ტრანსპორტი, სამედიცინო აღჭურვილობა, საინფორმაციო ტექნოლოგიები და სხვა.

ახალ ინვესტიციებად მიიჩნევა:

- ახალი საწარმოს ჩამოყალიბება;
- წარმოების შესაძლებლობის გაზრდა არსებულ საწარმოში;
- წარმოების დივერსიფიცირება ახალი პროდუქტის შექმნით, რომელსაც საწარმო აქამდე არ აწარმოებდა;
- წარმოების პროცესში ფუნდამენტური ცვლილების განხორციელება არსებულ საწარმოში.

შეღავათები არ ვრცელდება ისეთ ბიზნესზე, რომელიც აწარმოებს ასაფეთქებელ ნივთიერებებს, ალკოჰოლსა და თამბაქოს, ფოლადს; ჩართულები არიან ენერგიის გამომუშავების ან განაწილების პროცესში; ახორციელებენ საბითუმო ან/და საცალო ვაჭრობას, სამშენებლო სამუშაოებს; აწვდიან საცხოვრებელ ან კვებით მომსახურებას და ჩართულები არიან სათამაშო ბიზნესში. ამ ჩამონათვალს ევროკავშირის რეგულაციით ემატება მეტალურგიის, რკინის, ქვანახშირისა და ტრანსპორტის სექტორი. შეღავათები ვრცელდება სხვა ყველა ტრადიციული მრეწველობის დარგზე, ასევე საინფორმაციო ტექნოლოგიური მომსახურების, საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებებში კვლევებისა და განვითარების, აუდიტორული და ბუღალტრული მომსახურების (გარდა საგადასახადო დეკლარირება), ტექნიკური კვლევებისა და ანალიზის მომსახურების, ქოლ-ცენტრების, არქიტექტურული და საინჟინრო მომსახურების შემთხვევებში.

საგადასახადო შეღავათები განსხვავებულია რეგიონების მიხედვით. შეღავათების შედარებით მაღალ ოდენობას ვხვდებით პოლონეთის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც 4 რეგიონში მსხვილი ბიზნესისთვის დაწესებულია 50%-იანი შეღავათი. საშუალო ზომის საწარმოს შემთხვევაში შეღავათი 10%-ით იზრდება, ხოლო მიკრო

და მცირე ბიზნესის შემთხვევაში 20%-ით. მაზოვიცკის რეგიონში მსხვილი საწარმოსთვის შეღავათი 10%-დან 35%-მდე იცვლება, ვარშავის შემთხვევაში შეღავათი 10%-ს შეადგენს, ვარშავის დასავლეთ-ცენტრალური ნაწილისთვის 20%-ს, ხოლო რეგიონის დანარჩენ ტერიტორიაზე შეღავათი 35%-ია. იმისთვის, რომ საწარმომ შეღავათი მიიღოს უნდა აკმაყოფილებდეს, როგორც რაოდენობრივ ისე ხარისხობრივ კრიტერიუმებს. რაოდენობრივ კრიტერიუმია დასაშვები დანახარჯების მინიმალური ოდენობა, რომელიც განსხვავებულია საწარმოს ზომისა და უმუშევრობის დონის მიხედვით იმ რეგიონში, რომელშიც დაგეგმილია ინვესტირება. რეგიონში, რომელშიც უმუშევრობის დონე მაღალია, მოთხოვნილი ხარჯების მინიმალური ოდენობა დაბალია. ამასთან, უპირატესობა ენიჭებათ ისეთ საწარმოებს, რომლებიც ბიზნესის მომსახურების სექტორში და კვლევასა და განვითარებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში ახდენენ ინვესტირებას.

ხარისხობრივი კრიტერიუმები მოიცავს კრიტერიუმებს, რომლებიც გაერთიანებულია ორ ჯგუფში: (1) მდგრადი ეკონომიკური განვითარება და (2) მდგრადი სოციალური განვითარება. მდგრადი ეკონომიკური განვითარების ჯგუფი თავის მხრივ აერთიანებს, ისეთ კრიტერიუმებს, როგორებიცაა: ინვესტირება კონკრეტულ სექტორებში; ექსპორტზე ორიენტაცია; კვლევებისა და განვითარების ღონისძიებების გათვალისწინება; მიკრო, მცირე ან საშუალო საწარმოს სტატუსის ქონა; კლასტერის წევრობა; ბიზნესის სერვის ცენტრის ჩამოყალიბება, რომელიც მომსახურებას მიაწვდის მომხმარებლებს პოლონეთის საზღვრებს გარეთ. მდგრადი სოციალური განვითარების ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი კრიტერიუმები:

- ეკონომიკური აქტივობის განხორციელება გარემოზე დაბალი ზემოქმედებით;
- ინვესტიციის ადგილმდებარეობა: ინვესტირება დაგეგმილია საშუალო ზომის ქალაქში, რომელიც კარგავს საკუთარ სოციალურ-ეკონომიკურ ფუნქციას ან/და იმ მუნიციპალიტეტში, რომელიც ესაზღვრება ასეთ ქალაქებს; იმ რაიონებში ან ქალაქებში, სადაც უმუშევრობის დონე

ეროვნული მაჩვენებლის 160%-სა და მეტს შეადგენს (გარდა იმ ქალაქებისა სადაც პარლამენტი ან აღმასრულებელი ორგანო არის წარმოდგენილი);

- ცოდნისა და პროფესიული კვალიფიკაციის შეძენის ხელშეწყობა და სამრეწველო სკოლებთან თანამშრომლობა;
- თანამშრომლებზე ზრუნვა;
- ახალი ინვესტიციით დაგეგმილი ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად სპეციალიზებული სამუშაო ადგილების შექმნა და უსაფრთხო დასაქმების შეთავაზება.

ხარისხობრივი კრიტერიუმით შესაძლებელი გახდა ახალი ინვესტიციებისა და პოლონეთის რეგიონული განვითარების სტრატეგიის დაკავშირება. ის საწარმოები, რომლებიც აკმაყოფილებენ მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარების კრიტერიუმებს პასუხობენ პოლონეთის რეგიონული განვითარების ეროვნული სტრატეგიის მიზნებსა და ამოცანებს.

სპეციალური ეკონომიკური ზონების ჩამოყალიბებისა და ინვესტიციების ხელშეწყობის ახალი მიდგომა პოლონეთის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. ქვეყნის ტერიტორიაზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის ტემპი და დაფუძნებული საწარმოების წარმატებით ფუნქციონირება ამ მიდგომის ეფექტიანობას კარგად აჩვენებს.

3.2 რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოდელები და პერსპექტივები

რეგიონული პოლიტიკის მიზნების განსაზღვრისას პასუხი უნდა გავცეთ კითხვას: ხელი უნდა შევუწყოთ რეგიონების კონკურენტუნარიანობის ზრდას ტერიტორიული ერთეულების შესაძლებლობების გამოვლენითა და გამოყენებით თუ აქცენტს ვაკეთებთ გადანაწილების პოლიტიკაზე, რომელიც სიმდიდრის განსხვავებულ დონეს უცვლელად დატოვებს დროთა განმავლობაში ?

პოლონეთის შემთხვევაში ეს არჩევანი ნათელია, აქცენტი გაკეთებულია რეგიონებში არსებული რესურსების გამოყენებასა და მათი კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობაზე. ამ მიზნის მისაღწევადაც აქვთ ჩამოყალიბებული ინსტრუმენტი, რომლის გამოყენებაც განვითარებად ქვეყნებში საკმაოდ ხშირია, თუმცა, ამ ინსტრუმენტის წარმატებით დანერგვა, თავის მხრივ, მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. საქართველოშიც ვხვდებით ოთხ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონას (ფოთის, ქუთაისის, ქუთაისის ჰუალინგისა და თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონები), თუმცა, მათ ფუნქციონირებაზე იმავე წარმატებით ვერ ვისაუბრებთ. ხშირ შემთხვევაში თავისუფალი ინდუსტრიული ზონების არაეფექტიანობის მიზეზია მათი არამიმზიდველ ტერიტორიაზე განთავსება, სადაც მიწა ისედაც იაფია, დაშორება სარეალიზაციო ბაზრებიდან და მსხვილი ქალაქებიდან კი შესაბამისად დიდი. საქართველოს შემთხვევაში ეს ფაქტორი ნაკლებად შეიძლება იყოს მიზეზი, რადგან ოთხივე თავისუფალ ინდუსტრიული ზონის ადგილმდებარეობა ქვეყნისთვის მეტად განვითარებულ ტერიტორიულ ერთეულებთან ხელსაყრელია. თავისუფალი ზონების ეკონომიკური ეფექტიანობა ქვეყნის ეკონომიკის შესაძლებლობებზე უშუალოდაა დაკავშირებული. ამას ადასტურებს მსოფლიოს 26 ქვეყანაში ჩატარებული კვლევა, რომლის თანახმადაც თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის საჭირო ხელისუფლების მიერ გასაწევი დანახარჯები უცხოური ინვესტიციის ყოველ 1 დოლარზე საშუალოდ 4 დოლარს შეადგენს (პაპავა 2007, 9). ამრიგად, ინვესტორები საგადასახადო შეღავათების გარდა ასეთი ზონებისგან ელოდებიან კარგად განვითარებულ

ინფრასტრუქტურულ გარემოს, ბიზნესის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა მომსახურებაზე მაღალ ხელმისაწვდომობას, შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის სამუშაო ძალას, წვდომას წარმოებისთვის საჭირო შუალედურ პროდუქტსა და სარეალიზაციო ბაზრებზე. თუ ქვეყანას ასეთი გარემოს შექმნა არ შეუძლია, ნაწილობრივ მიმზიდველი, ისიც მეტწილად საგადასახადო შეღავათების დაწესებით, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონის შექმნაში ინვესტირება საღ აზრსა და პოტენციურ ეფექტიანობას მოკლებულია. საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამაში თავისუფალი ინდუსტრიული ზონების არსებობა მოხსენიებულია, როგორც ძლიერი მხარე და ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობა. ასევე, აღნიშნულია, რომ თავისუფალი ზონები ინვესტორებს „მნიშვნელოვან ინიციატივებს თავაზობენ“ საწარმოების ამ ზონებში შესაქმნელად, თუმცა, დაკონკრეტებული არ არის თუ რა „ინიციატივები“ არის ნაგულისხმევი. რეგიონული პოლიტიკის განვითარების ერთ-ერთ ინსტრუმენტად განიხილება სპეციალური ეკონომიკური ზონის შექმნა, რომელიც გააერთიანებს ანაკლიის პორტსა და თავისუფალ ინდუსტრიულ ზონას. სპეციალურ ეკონომიკურ ზონაში გათვალისწინებულია მსუბუქი მრეწველობის კლასტერის, ლოგისტიკური კლასტერის, ტრენინგისა და განვითარების კლასტერის, ტურიზმის, გასართობი და უძრავი ქონების კლასტერის შექმნა (2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2018, 118). მსგავსი კლასტერების ჩამოყალიბების საფუძვლის შესაქმნელად საჭიროა ეკონომიკური ზონის არა მხოლოდ ინფრასტრუქტურით, არამედ სათანადო რაოდენობისა და კვალიფიკაციის სამუშაო ძალით უზრუნველყოფა. ის ფაქტი, რომ ამ პროცესში წამყვანი როლი შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ უჭირავს მეტი ეფექტიანობის მოლოდინს ქმნის, რადგან თავად ბიზნეს ორგანიზაციათა ჯგუფის მიერ ინვესტიციის განხორციელება ნიშნავს, რომ მეტი ეკონომიკური ინტერესი იქნება ეს სივრცე საინვესტიციოდ მომგებიანი გახდეს. მიუხედავად ამისა, ინვესტიციების მოზიდვაში სახელმწიფოს როლი უმნიშვნელოვანესია, რადგან სპეციალური ეკონომიკური სივრცის შექმნის უფლებამოსილება მხოლოდ ხელისუფლებას აქვს. ის აწესებს შეღავათებს და სწორედ ის არის გრძელვადიან პერიოდში

ინვესტორებისთვის სტაბილურობის გარანტი. ანაკლიის სპეციალური ეკონომიკური ზონა მომავალში, ისევე, როგორც უკვე ჩამოყალიბებული თავისუფალი ინდუსტრიული ზონები, დგანან იმ გამოწვევის წინაშე, რომელიც ინდუსტრიული ზონის გარეთ არსებულ გარემოს უკავშირდება. ამ გარემოში მოიაზრება: გადამუშავებისთვის საჭირო ნედლეულზე ხელმისაწვდომობა; სარეალიზაციო ბაზრებთან სიახლოვე, მათი მოცულობა და მსყიდველობით უნარიანობა; სათანადო კვალიფიკაციის ადამიანური რესურსზე ხელმისაწვდომობა; ეკონომიკური ზონების გარშემო არსებული დასახლებებისა და საცხოვრებელი ინფრასტრუქტურის განვითარების დონე და სხვა. ამგვარად, საბოლოო ჯამში სპეციალური ეკონომიკური ზონების ფუნქციონირების ეფექტიანობა დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. **რეგიონული პოლიტიკის შედეგიანობის მისაღწევად უფრო მარტივი და ფინანსურად ეფექტიანი იქნებოდა მთლიანად ქვეყნის განვითარების ხელშეწყობა, ინვესტორისთვის მიმზიდველი ბიზნეს გარემოს შექმნით და საქალაქო ცენტრების განვითარებით**. ასეთ შემთხვევაში ადგილმდებარეობის შესახებ არჩევანის გაკეთების დროს ინვესტორი მისი საქმიანობისთვის ყველაზე მეტად ეფექტიანს შეარჩევს.

რეგიონული პოლიტიკის სტრატეგიულ მიმართულებად ეფექტიანობას და მთლიანი ქვეყნის ტერიტორიის განვითარებაზე ორიენტაციას როდესაც ვიღებთ, საჭიროა წინასწარ შევაფასოთ და გავაანალიზოთ თუ რა მიმართულებით მივდივართ და სად შეიძლება ვიყოთ ხუთი ან ათი წლის შემდეგ. აღნიშნულისთვის გამოვიყენეთ სიმულაციური მოდელი და გარკვეულ დაშვებებზე დაყრდნობით გავაანალიზეთ თუ რა დრო დასჭირდება ყველაზე ღარიბ რეგიონს, რათა განვითარების დონით დაუახლოვდეს ყველაზე მდიდარ რეგიონს, როგორი ზრდის ტემპი უნდა ჰქონდეს ამისათვის და სხვა. სანამ უშუალოდ სიმულაციურ მოდელსა და მის შედეგებს განვიხილავთ, მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ თუ რამდენად დიდია განსხვავება რეგიონების ეკონომიკურ მდგომარეობას შორის. ამის შესაფასებლად მიღებულია გამოვიყენოთ ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი სამამულო პროდუქტის მაჩვენებელი და მისი ცვლილების ტემპი.



დიაგრამა 3.2.1 მთლიანი სამამულო პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე რეგიონების მიხედვით, 2006 – 2017 წლები

წყარო: ავტორის გაანგარიშება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

გასაკვირი არ არის, რომ ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი სამამულო პროდუქტის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით თბილისი გამოირჩევა. დედაქალაქის მაჩვენებელი 68%-ით აღემატება რიგით მეორე ყველაზე მაღალი მაჩვენებლის მქონე რეგიონის, აჭარის მაჩვენებელს და 14,145 ლარს შეადგენს ერთ სულ მოსახლეზე. განსხვავება კიდევ უფრო დიდი იყო 2015 წელს, როდესაც თბილისის მაჩვენებელი თითქმის 2-ჯერ აღემატებოდა აჭარის რეგიონის მაჩვენებელს, თუმცა, მას შემდეგ აჭარის რეგიონში ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი სამამულო პროდუქტის შთამბეჭდავი ზრდა შეინიშნებოდა. მაჩვენებელი ჯერ 13%-ით, ხოლო შემდეგ 14%-ით გაიზარდა. 2017 წლის მონაცემებით ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი სამამულო პროდუქტის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ფიქსირდება შიდა ქართლში (4,360 ლარი), შემდეგია რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთისა (5,360 ლარი) და კახეთის (5, 820 ლარი) რეგიონები.

რეგიონებში ეკონომიკური მდგომარეობის დაახლოების ტენდენციაზე დაკვირვების მიზნით უნდა შევაფასოთ ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდის ტემპი. აღსანიშნავია, რომ 2016 წლამდე მთლიანი სამამულო პროდუქტის განაწილება ტერიტორიული ერთეულების მიხედვით იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთისა და შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის რეგიონებისთვის გაერთიანებული მაჩვენებლით ფასდებოდა. 2017 წლიდან მაჩვენებელი ითვლება ინდივიდუალურად, თითოეული რეგიონისთვის. იმისთვის, რომ ქვემოთ წარმოდგენილ ანალიზში და მოდელში შეგვძლებოდა თითოეული რეგიონის ინდივიდუალურად შეფასება, გავაკეთეთ დაშვება, რომ 2017 წელს გამოკვეთილი რეგიონების ინდივიდუალური წილი მსგავსი იყო 2017 წლამდეც. მაგალითად, 2017 წლის სტატისტიკური მაჩვენებლებით გამოჩნდა, რომ იმერეთის რეგიონს მთლიანი სამამულო პროდუქტის განაწილების გაერთიანებულ მაჩვენებელში (იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი) 95%-იანი წილი უჭირავს, ხოლო შიდა ქართლს (შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთის რეგიონების მაჩვენებელში) - 66%. ჩვენი დაშვებით მათი წილი წინა წლების გაერთიანებულ მონაცემებშიც იგივე იყო.

ბოლო ათი წლის განმავლობაში დედაქალაქზე დაბალი ზრდის ტემპი მხოლოდ ოთხ რეგიონს ჰქონდა: გურიის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებს. ბოლო 5 წლის საშუალო მაჩვენებლის შემთხვევაში გურიის რეგიონს ანაცვლებს იმერეთის რეგიონი, ხოლო შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთისა და ქვემო ქართლის რეგიონები უცვლელად ინარჩუნებენ დედაქალაქზე დაბალი ზრდის ტემპს.

ცხრილი 3.2.1 ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდის ტემპი საქართველოს რეგიონებში, ბოლო 5 და 10 წლის საშუალო მაჩვენებელი (2007-2017 წლებისთვის)

რეგიონი	**ბოლო 10 წლის ზრდის ტემპი**	**ბოლო 5 წლის ზრდის ტემპი**
თბილისი	8.6%	6.7%

აჭარა	11.6%	10.8%
გურია	7.5%	9.6%
იმერეთი	9.1%	6.6%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	10.1%	7.6%
კახეთი	10.1%	10.2%
შიდა ქართლი	7.3%	5.6%
მცხეთა-მთიანეთი	6.7%	5.1%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	9.2%	8.7%
სამცხე-ჯავახეთი	9.3%	9.3%
ქვემო ქართლი	6.6%	6.3%

წყარო: ავტორის დაანგარიშება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

დედაქალაქის ეკონომიკის ზრდის ტემპი საკმაოდ მიახლოებულად ასახავს ქვეყნის საშუალო მაჩვენებლის ცვლილებას. ბოლო 5 წლის განმავლობაში ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდის ტემპი ქვეყნის დონეზე 7.7%-ს შეადგენდა, ხოლო ბოლო 10 წლის განმავლობაში 8.8%-ს. რეგიონების ანალოგიური მაჩვენებლის ზრდის ტემპს თუ შევადარებთ ქვეყნის საშუალო მაჩვენებლის ცვლილებას, ბოლო 5 წლიანი ზრდის ტემპის შემთხვევაში რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი შეუერთდება იმ რეგიონების ჩამონათვალს, რომლებსაც ქვეყნის მთლიან მაჩვენებელზე დაბალი ზრდის ტემპი ჰქონდათ. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის მაჩვენებელი მცირედით ჩამოუვარდება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს, შეიძლება ითქვას კიდეც, რომ რეგიონი ეკონომიკურად ისე იზრდებოდა, როგორც მთლიანად ქვეყანა.

იმ შემთხვევაში, თუ რეგიონების ზრდის ბოლო 5 და 10 წლის ტენდენცია შენარჩუნდება, რა დრო დასჭირდება ყველაზე ღარიბ რეგიონს, რათა მიაღწიოს ყველაზე მდიდარი რეგიონის განვითარების დონეს? როგორი ზრდის ტემპი უნდა ჰქონდეს ამისათვის 5, 10 ან 20 წლის განმავლობაში?

ყველაზე ღარიბ რეგიონად ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი სამამულო პროდუქტით გამოიკვეთა შიდა ქართლის რეგიონი. იმისთვის, რომ შეგვეფასებინა

მომავალში სხვა რეგიონებთან დაახლოების რა პოტენციალი აქვს შიდა ქართლის რეგიონს ჩავატარეთ შემდეგი ანალიზი:

1. დავთვალეთ რეგიონების ზრდის ბოლო 5 და 10 წლის საშუალო ტემპი;
2. თითოეული რეგიონისთვის დავთვალეთ 5, 10 და 20 წლის შემდეგ ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი სამამულო პროდუქტის საპროგნოზო მოცულობა იმ დაშვებით, რომ რეგიონები განაგრძობენ ზრდას ბოლო 5 და 10 წლის საშუალო ტემპით. ბოლო 10 წლის საშუალო ტემპი გამოვიყენეთ 20 წლის შემდეგ ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი სამამულო პროდუქტის საპროგნოზო მაჩვენებლის დასათვლელად.
3. შევაფასეთ თუ რა უნდა იყოს შიდა ქართლის რეგიონის ზრდის ტემპი იმისთვის, რომ მისმა დღევანდელმა მაჩვენებელმა 5, 10 ან 20 წლის შემდეგ მიაღწიოს იმ მაჩვენებელს, რომელიც სხვა რეგიონებს ექნებათ 5, 10 და 20 წლის შემდეგ. გათვალისწინებულია, რომ ამ პერიოდში სხვა რეგიონების ეკონომიკაც გაიზრდება.
4. დავთვალეთ, თუ რამდენ წელში მიაღწევს შიდა ქართლი ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი სამამულო პროდუქტის იმ მაჩვენებელს, რასაც სხვები 5 და 10 წელში მიაღწევენ მისთვის ბოლო 5 და 10 წლის განმავლობაში დამახასიათებელი ზრდის საშუალო ტემპით. ამისთვის გამოვიყენეთ ლოგარითმული ფუნქცია. ლოგარითმის ფუძე არის $(1 + 0.01 * R_y)$, ხოლო რიცხვი $(GDP\ per\ capita_{fx}/GDP\ per\ capita_{cy})$, სადაც:

   $R_y -$ *იმ რეგიონის ზრდის საშუალო ტემპი, რომლის შედარებაც ხდება (ერთ შემთხვევაში 5, ხოლო მეორე შემთხვევაში 10 წლის საშუალო მაჩვენებელი). მაგალითად, ყველაზე ღარიბი რეგიონისთვის თუ ვაფასებთ მისი ეკონომიკის დაახლოების პოტენციალს, გამოყენებულ უნდა იქნას შიდა ქართლის მონაცემები.*

$GDP\ per\ capita_{fx}$ *- ერთ სულ მოსახლეზე საპროგნოზო მთლიანი სამამულო პროდუქტი იმ რეგიონისთვის, რომელთან დაახლოებასაც ვსაზღვრავთ (ერთ შემთხვევაში 5, ხოლო მეორე შემთხვევაში 10 წლის შემდეგ).*

$GDP\ per\ capita_{cy}$ *- ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი სამამულო პროდუქტის მიმდინარე მაჩვენებელი იმ რეგიონისთვის, რომლის შედარებაც ხდება.*

5. დავთვალეთ, თუ რამდენ წელში მიაღწევს შიდა ქართლის რეგიონი სხვა რეგიონების განვითარების დონეს, იმ პირობებში, თუ ყველა მათგანი განაგრძობს ზრდას ბოლო 5 და 10 წლის საშუალო ტემპით. ამისთვისაც გამოვიყენეთ ლოგარითმული ფუნქცია. ლოგარითმის ფუძე არის $(1 + 0.01 * R_y)/(1 + 0.01 * R_x)$, ხოლო რიცხვი $(GDP\ per\ capita_{cx}/GDP\ per\ capita_{cy})$, სადაც:

   $R_x -$ *იმ რეგიონის ზრდის საშუალო ტემპი, რომელთან დაახლოებასაც ვაფასებთ;*

   $GDP\ per\ capita_{cx}$ *- ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი სამამულო პროდუქტის მიმდინარე მაჩვენებელი იმ რეგიონისთვის, რომელთან დაახლოებასაც ვსაზღვრავთ.*

ანალიზმა გვიჩვენა, რომ თუ რეგიონული პოლიტიკის მიზნად დავისახავთ, რომ ყველაზე ღარიბი რეგიონი განვითარების დონით უნდა გაუთანაბრდეს ყველაზე მდიდარ რეგიონს უახლოესი 5, 10 ან 20 წლის შემთხვევაში, ეს ნიშნავს, რომ შიდა ქართლის რეგიონმა ეკონომიკური ზრდის, შესაბამისად 35%-იან, 22%-იან და 15%-იან საშუალო წლიურ მაჩვენებელს უნდა მიაღწიოს. ამ მაჩვენებლებს თუ შევადარებთ შიდა ქართლის რეგიონის ბოლო 5 წლის საშუალო ზრდის ტემპს (5,6%), ნათელია, რომ ასეთი მიზნის დასახვა არარეალისტურია. შიდა ქართლის საშუალო ზრდის ტემპთან მიახლოებულ სასურველ ზრდის ტემპსაც კი ვერ ვხვდებით მოდელში.

ცხრილი 3.2.2. ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი სამამულო პროდუქტი საქართველოს რეგიონებისთვის 2017 წლის მდგომარეობით (ათასი ლარი) და შიდა

ქართლის რეგიონისთვის საჭირო ზრდის ტემპი იმისთვის, რომ 5, 10 ან 20 წლის განმავლობაში გაუთანაბრდეს ქვეყნის სხვა რეგიონებს[3]

რეგიონები	**მშპ ერთ სულ მოსახლეზე**	**ზრდის ტემპი -(% - 20 წლის განმავლობაში)**	**ზრდის ტემპი (% - 10 წლის განმავლობაში)**	**ზრდის ტემპი (% - 5 წლის განმავლობაში)**
შიდა ქართლი	**4.36**			
თბილისი	**14.15**	15	22	35
აჭარა	**8.40**	15	19	26
გურია	**5.85**	9	11	16
იმერეთი	**6.31**	12	14	15
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	**5.36**	11	12	12
კახეთი	**5.82**	12	13	17
მცხეთა-მთიანეთი	**6.13**	9	10	13
სამეგრელო-ზემო სვანეთი	**6.45**	11	14	18
სამცხე-ჯავახეთი	**6.10**	11	13	17
ქვემო ქართლი	**6.15**	8	10	14

წყარო: ავტორის გაანგარიშება

ამრიგად, თუ რეგიონული პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს ეკონომიკური მაჩვენებლების დაახლოება, ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ სხვა რეგიონებში ეკონომიკური ზრდის შენელებითა და ღარიბ რეგიონებზე განსაკუთრებული აქცენტის გაკეთებით. ამ პირობებშიც კი ღარიბი რეგიონისთვის საკმაოდ რთული მიზანია 8%-იანი და მეტი ეკონომიკური ზრდის მიღწევა. განვითარებადი ქვეყნებისთვის შეზღუდული რესურსების პირობებში სწრაფი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად მზარდი ეკონომიკის მქონე შედარებით მდიდარი რეგიონების ზრდის შენელებისა და ღარიბი რეგიონების ხელშეწყობის სტრატეგიის არჩევა არამიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს. აღნიშნულს ამყარებს ჩატარებული პროგნოზის შედეგი, რომელიც აჩვენებს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ

[3] გათვალისწინებულია, რომ ამ პერიოდში სხვა რეგიონებიც განაგრძობენ ზრდას.

ქვეყანა ასეთ მიზანს დაისახავს, მიზნის მიღწევა უახლოესი 20 წლის განმავლობაშიც კი ნაკლებად რეალისტურია.

ქვეყნის რეგიონული პოლიტიკა პოტენციურად მეტად ეფექტიანი იქნება მაშინ, როდესაც თანაბრად შეუწყობს ხელს ყველა რეგიონის განვითარებას მათი რესურსული პოტენციალიდან გამომდინარე და არა მათი შედარებით ღარიბი მდგომარეობიდან გამომდინარე. შესაბამისად შემდეგი კითხვა, რომელსაც კვლევის ფარგლებში ვუპასუხეთ არის, თუ რამდენი წელი დასჭირდება შიდა ქართლის რეგიონს იმისთვის, რომ მიაღწიოს იმ მდგომარეობას, რასაც სხვა რეგიონები 5 და 10 წელში აღწევენ ?

ცხრილი 3.2.3. ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი სამამულო პროდუქტის საპროგნოზო მაჩვენებელი 20, 10 და 5 წლის შემდეგ (ათასი ლარი), წლების რაოდენობა, რაც სჭირდება შიდა ქართლის რეგიონს, რათა მიაღწიოს იმ მდგომარეობას, რომელსაც სხვა რეგიონები 10 და 5 წელში აღწევენ (დათვლილია ორი სხვადასხვა ვარიანტისთვის: რეგიონების ზრდის საშუალო ტემპად აღებულია ბოლო 10 და 5 წლის ზრდის საშუალო ტემპები)

რეგიონები	**მშპ ერთ სულ მოსახლეზე 20 წელში**	**მშპ ერთ სულ მოსახლეზე 10 წელში**	**მშპ ერთ სულ მოსახლეზე 5 წელში**	**რამდენ წელში მიაღწევს შიდა ქართლი მშპ-ს ერთ სულზე, რასაც სხვები 10 წელში აღწევენ?**	**რამდენ წელში მიაღწევს შიდა ქართლი მშპ-ს ერთ სულზე, რასაც სხვები 5 წელში აღწევენ?**
შიდა ქართლი	17.84	8.82	5.73		
თბილისი	73.66	32.28	19.56	28	28
აჭარა	75.42	25.17	14.02	25	21
გურია	24.87	12.07	9.26	14	14
იმერეთი	39.49	15.79	8.69	18	13

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	36.71	14.03	7.73	17	11
კახეთი	39.86	15.23	9.46	18	14
მცხეთა-მთიანეთი	22.43	11.73	7.86	14	11
სამეგრელო-ზემო სვანეთი	37.47	15.54	9.78	18	15
სამცხე-ჯავახეთი	36.14	14.85	9.52	17	14
ქვემო ქართლი	22.10	11.66	8.35	14	12

წყარო: ავტორის გაანგარიშება

მოდელში 5 წლიანი და 10 წლიანი ზრდის საშუალო ტემპის გამოყენებამ განსხვავებული შედეგები გვიჩვენა, რაც განპირობებულია ამ ორი ვარიანტის ერთმანეთისგან დამოუკიდებლობით. შიდა ქართლის რეგიონს მხოლოდ 14 წელი სჭირდება, რომ მიაღწიოს ეკონომიკის იმ მდგომარეობას, სადაც მცხეთა-მთიანეთისა და ქვემო ქართლის რეგიონები 10 წლის შემდეგ იქნებიან, თუმცა, ამავე დროს სჭირდება 28 და 25 წელი, დედაქალაქის და აჭარის რეგიონების შემთხვევაში. შეფასების მეორე შემთხვევაში, როდესაც გამოყენებულ იქნა ბოლო 5 წლიანი ზრდის საშუალო ტემპი და მოხდა 5 წლის შემდგომი მდგომარეობის პროგნოზირება, შიდა ქართლის რეგიონის შესაძლებლობები უფრო სუსტი აღმოჩნდა. შიდა ქართლის რეგიონი 28 და 21 წელში მიაღწევს იმ მაჩვენებელს, რასაც თბილისისა და აჭარის რეგიონები 5 წელში მიაღწევენ, თუ ისინი განაგრძობენ ზრდას ბოლო 5 წლის ზრდის საშუალო ტემპით. ბოლო 5 წლის ზრდის საშუალო ტემპის შენარჩუნების შემთხვევაში შიდა ქართლის რეგიონი მცხეთა-მთიანეთისა და რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთის რეგიონებთან დაახლოებას შეძლებს ყველაზე მოკლე პერიოდში, რაც ორივე შემთხვევაში 11 წელს შეადგენს.

შემდეგი კითხვა, რომელსაც პასუხი გავეცით არის: რამდენ ხანში შეძლებს შიდა ქართლის რეგიონი გაუთანაბრდეს სხვა რეგიონებს თუ სხვა რეგიონებიც,

განაგრძობენ ზრდას? გამომდინარე იქიდან, რომ შიდა ქართლის რეგიონში ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდის საშუალო მაჩვენებელი ძირითად შემთხვევაში ჩამოუვარდებოდა სხვა რეგიონების ზრდის მაჩვენებელს, გასაკვირი არ არის, რომ შიდა ქართლის რეგიონი საკუთარი და სხვა რეგიონების ეკონომიკის ასეთი ზრდის პირობებში ვერ შეძლებს დაეწიოს მათ. ის შეძლებს დაეწიოს მხოლოდ მცხეთა-მთიანეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებს 61 და 53 წლის შემდეგ, ბოლო 10 წლის ზრდის საშუალო ტემპის შენარჩუნების შემთხვევაში, ხოლო ბოლო 5 წლის ზრდის საშუალო ტემპით 72 წლის შემდეგ დაეწევა მცხეთა-მთიანეთის რეგიონს.

უნდა ველოდოთ თუ არა რეგიონების ეკონომიკური მდგომარეობის განსხვავების კიდევ უფრო მეტად გაღრმავებას დროთა განმავლობაში? პასუხი ამ კითხვაზე დადებითია. განვითარებად ქვეყნებში, სადაც რესურსული პოტენციალი ჯერ კიდევ არ არის სრულად გამოყენებული, შედარებით მდიდარ რეგიონებშიც კი მოსალოდნელია ეკონომიკური ზრდის გაგრძელება და ეკონომიკური საქმიანობის კიდევ უფრო მეტი კონცენტრაცია. ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი სამამულო პროდუქტის საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს რეგიონებისთვის 5, 10 და 20 წლიან პერიოდში ღარიბი რეგიონის სხვა რეგიონებისგან კიდევ უფრო მეტ დაშორებას აჩვენებს. თუ დღეს ღარიბ და მდიდარ რეგიონებს შორის ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი სამამულო პროდუქტის განსხვავება 10,000 ლარამდეა, 5 წლიან პერიოდში ამ მაჩვენებლის ზრდა 14,000 ლარამდე, ხოლო 20 წლიან პერიოდში 56,000 ლარამდე არის მოსალოდნელი (იხ. დანართი 1). „ახალი ეკონომიკური გეოგრაფიის“ თეორიის მიხედვით გარკვეულ ეტაპზე, გრძელვადიან პერიოდში იაფი სამუშაო ძალისა და ტრანსპორტირების დანახარჯების შემცირება ეკონომიკური საქმიანობის წამოწყებისთვის ხელსაყრელ პირობებს შექმნის იმ ტერიტორიულ ერთეულებში, სადაც დღეს ინვესტირება არ არის მიმზიდველი. დაბალი დანახარჯები ფირმისთვის დააბალანსებს აგლომერაციის ეფექტის არ არსებობით წარმოქმნილ დანაკარგებს. ამრიგად, ეკონომიკური განვითარების საბოლოო ეტაპზე უნდა ველოდოთ ტერიტორიული ერთეულების დაახლოებას, თუმცა, საქართველოს რეგიონული ეკონომიკის დღევანდელი მდგომარეობა

გვიჩვენებს რომ რეგიონების ეკონომიკური დაახლოების მიზანი და მოლოდინი საკმაოდ გრძელვადიანი უნდა იყოს.

აღნიშნული მიზანი შედარებით ნაკლებად გრძელვადიანი იქნება აჭარის რეგიონისთვის, რომლის ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი სამამულო პროდუქტის ამჟამინდელი მაჩვენებელი მართალია 41%-ით ჩამოუვარდება დედაქალაქის მაჩვენებელს, თუმცა, რეგიონის ეკონომიკური ზრდის ტემპი ავლენს დაახლოების პერსპექტივას. ბოლო 10 წლიანი ზრდის საშუალო ტემპით აჭარის რეგიონს მხოლოდ 12 წელი დასჭირდება, რომ მიაღწიოს ეკონომიკის იმ მდგომარეობას, სადაც დედაქალაქი 10 წლის შემდეგ იქნება. აჭარის რეგიონის ბოლო 5 წლის ზრდის საშუალო ტემპი ბოლო 10 წლის მაჩვენებელთან შედარებით დაბალია, შესაბამისად რეგიონის შესაძლებლობები ამ ტემპით ზრდის გაგრძელების პირობებში უფრო მცირეა. მიუხედავად ამისა, თუ რეგიონი ბოლო 5 წლის ზრდის საშუალო ტემპით განაგრძობს ზრდას ის 8 წელში მიაღწევს იმ ეკონომიკურ მდგომარეობას, რის მისაღწევადაც დედაქალაქს 5 წელი სჭირდება. რა თქმა უნდა, დროთა განმავლობაში თითოეული ტერიტორიული ერთეული განაგრძობს ზრდას. შესაბამისად, საინტერესოა დაახლოების პერსპექტივა თითოეული რეგიონის ზრდის პირობებში. ასეთ, შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ აჭარის რეგიონის ეკონომიკური შესაძლებლობები დაეწევა დედაქალაქს (1) 19 წელში, იმ შემთხვევაში, თუ ორივე რეგიონი გაიზრდება ბოლო 10 წლის ზრდის საშუალო ტემპით; (2) 14 წელში, იმ შემთხვევაში, თუ ორივე რეგიონი გაიზრდება ბოლო 5 წლის ზრდის საშუალო ტემპით.

ამრიგად, თუ შევაჯამებთ საერთაშორისო გამოცდილებას და საქართველოს რეგიონების ზრდის შესაძლებლობებს, დაახლოების პერსპექტივა უფრო მოკლე ვადიანია იმ რეგიონებისთვის, რომელთაც ეკონომიკური ცენტრები აქვთ. იმ შემთხვევაში კი, როდესაც რეგიონში მკვეთრად გამოხატულ ცენტრებს ვერ ვხვდებით, რეკომენდირებულია რეგიონული პოლიტიკა ორიენტირებული იყოს სწორედ ასეთი ცენტრების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე. მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს, რომ ცენტრი არ ნიშნავს ადმინისტრაციულ ცენტრს, სადაც ადგილობრივი თვითმმართველობა არის წარმოდგენილი. ხშირ შემთხვევაში,

თვითმმართველობის ჩამოყალიბება, რაც გულისხმობს ადმინისტრაციული ერთეულის შექმნას, აღქმულია როგორც ტერიტორიული ერთეულის განვითარებისთვის აუცილებელი ფაქტორი. ამის აუცილებლობა კი ახსნილია იმით, რომ ადმინისტრაციული დატვირთვის მინიჭებით ტერიტორიული ერთეული იქცევა ცენტრად. აღნიშნული მსჯელობა სწორია. თუ ავიღებთ ტერიტორიას და მას მივანიჭებთ ადმინისტრაციული ერთეულის სტატუსს, გავხსნით საჯარო დაწესებულებებს და დავასაქმებთ მოსახლეობას მერიაში, ტერიტორიული ერთეული მართლაც გახდება ადმინისტრაციული ცენტრი, თანაც საკმაოდ მოკლე პერიოდში. თუმცა, ამ მიდგომისას მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანია გაგვიჩნდეს კითხვა, თუ რატომ შეიძლება იყოს რეგიონული პოლიტიკის მიზანი ადმინისტრაციული ცენტრების შექმნა, დამატებით სამთავრობო დაწესებულებების გახსნა და ისედაც შეზღუდული ფინანსური რესურსების კიდევ უფრო შეზღუდვა ახალი მმართველობითი ხარჯებით? რეგიონული პოლიტიკისთვის ასეთი მიზნის არსებობა მეტ-ნაკლებად გამართლებულია მაშინ, როდესაც განვითარებულ ქვეყანას აქვს რესურსი და ცდილობს შექმნას დამატებითი სამუშაო ადგილები ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში. ეკონომიკური ზრდის მიზნებისთვის აქცენტი უნდა გაკეთდეს არა ადმინისტრაციული ცენტრების ჩამოყალიბებაზე, არამედ ფუნქციური ცენტრების ჩამოყალიბებაზე. ფუნქციური ცენტრების ჩამოსაყალიბებლად კი არ არის აუცილებელი ტერიტორიულ ერთეულებს მიენიჭოთ ადმინისტრაციული ფუნქცია. ამისთვის საჭიროა, შესწავლილ იქნას ტერიტორიების ურთიერთდამოკიდებულება, გაანალიზდეს თითოეული ტერიტორიული ერთეულის ცენტრად ჩამოყალიბების პოტენციალი და ამ პროცესს ხელი შეეწყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებითა და განვითარებით. რეგიონის განვითარებისა და სწრაფი ეკონომიური ზრდის პოტენციალი მით უფრო მაღალია, რაც მეტია რეგიონის ცენტრებში აგლომერაციის ეფექტის ჩამოყალიბების შესაძლებლობა.

დასკვნები და რეკომენდაციები

რეგიონებში ეკონომიკური აქტივობის განსხვავებულ დონეზე პირდაპირ ზეგავლენას ახდენს მოსახლეობისა და ბიზნეს სექტორის გადაწყვეტილება საკუთარი საცხოვრებელი ადგილის, სამუშაო ადგილისა და ეკონომიკური საქმიანობის ტერიტორიის შესახებ. თუ რეგიონული ეკონომიკის საკითხების შესწავლის პირველ ეტაპზე ტერიტორიის ერთგვაროვნება იყო ერთ-ერთი ძირითადი დაშვება, დროთა განმავლობაში სივრცის მახასიათებლებმა მნიშვნელოვანი როლი დაიკავეს და დღეს რეგიონების განვითარების შესაძლებლობები თითოეული ტერიტორიული ერთეულის სივრცითი ხასიათის შესწავლით იწყება.

მიწის ფასი არის ფაქტორი, რომელიც ხელს უშლის სივრცით კონცენტრაციას და ეკონომიკური აგლომერაციით შესაძლო სარგებლის მიღებას. საქართველოს მხოლოდ რამდენიმე ქალაქში თუ შეინიშნება საცხოვრებლისა და გადაადგილების ხარჯების ზრდის ტენდენცია. ქალაქების ძირითადი ნაწილი კვლავ ნაკლებად მიმზიდველია მოსახლეობისა და ბიზნეს სექტორისთვის. შესაბამისად მიწის ფასი შედარებით დაბალია. დაბალი მიწის ფასი ცენტრების ჩამოყალიბებისა და აგლომერაციის პროცესის მაღალი ტემპის მიღწევის შესაძლებლობას ქმნის. ტრანსპორტირების გამარტივება და მასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირება ხელს შეუწყობს კონცენტრაციას, ხოლო ტრანსპორტირების მაღალი დანახარჯები ხელს უწყობს გაფანტულობას. შესაბამისად, მოლოდინი, რომ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება ეკონომიკურ აქტივობას გაზრდის დასახლებებში არ არის გამართლებული.

ისეთ ქვეყნებში, სადაც არასრულყოფილი ინფორმაციის პრობლემა ხელს უშლის ბიზნეს სექტორის აუთვისებელ ტერიტორიულ ერთეულებში განვითარებას, სახელმწიფოს როლი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. შ.პ.ს „Goderdzi Resort"-ის დაფუძნების მიზანშეწონილობა მხოლოდ ფინანსური დოკუმენტების ანალიზით არ იქნება სწორი. ასეთი პოლიტიკა გამართლებულად უნდა შეფასდეს, როდესაც ინფორმაციის არ არსებობის თუ სიმცირის შემთხვევაში სახელმწიფო

ცდილობს ინვესტორს მისცეს სწორი სიგნალი და შექმნას მისთვის დაკვირვების შესაძლებლობა. ამ მიდგომამ ახალ ტერიტორიულ ერთეულებში ეკონომიკური საქმიანობის წამოწყებას შეიძლება მისცეს ბიძგი.

სოფლის განვითარების სტრატეგიიდან არ ჩანს სოფლის განვითარებასა და რეგიონულ განვითარებას შორის განსხვავება და შესაბამისად ამ ორი მიმართულებით განსხვავებული პოლიტიკის შემუშავების საჭიროება. სოფლის განვითარება უნდა იყოს რეგიონული განვითარების პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, ისე როგორც ეს აღნიშნულია საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამაში.

საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში, სანედლეულო ბაზის სიმწირიდან გამომდინარე, გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა ინვესტორებისათვის არამიმზიდველია, ხოლო „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათები არაქმედითი. მაღალმთიანი რეგიონების განვითარების სტრატეგიის დოკუმენტში წარმოდგენილია მრავალფეროვანი ინდიკატორები, თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მხრიდან ცალკე მაღალმთიანი დასახლებებისთვის მონაცემების შეგროვება არ ხდება. ამრიგად, მონაცემები მინიმალურად არის ხელმისაწვდომი და ინდიკატორების ჩამონათვალში წარმოდგენილი შედეგების რაოდენობრივი გაზომვა ნაკლებად მოსალოდნელია.

ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად მიჩნეულია მცირე და საშუალი ზომის საწარმოთა მხარდაჭერა. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ბიზნესის ბრუნვის 55% და ქვეყანაში შექმნილი დამატებული ღირებულების 62% სწორედ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე მოდის. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობასთან ერთად, განსაკუთრებით და კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანია მსხვილი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა ეკონომიკის რეალურ სექტორში. ამ მიდგომით უფრო მეტად მოსალოდნელია სწრაფი ეკონომიკური ზრდის მიღწევა.

საქართველოს რეგიონების არსებული „გამიჯვნის“ ჩვენს მიერ განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასებამ აჩვენა, რომ საქართველოს რეგიონული განვითარების ეფექტიანად დაგეგმვისთვის სასურველია ტერიტორიული ერთეულების ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ხარისხის ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბდეს ფუნქციური რეგიონები.

ტერიტორიული ერთეულების ურთიერთკავშირების შესწავლა მნიშვნელოვანია რეგიონის ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისთვის, რისთვისაც საჭიროა შესაბამის სტატისტიკურ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. მათ შორის, ადამიანური, კაპიტალური და სასაქონლო ნაკადების რეგიონის შიგნით და მის გარეთ გადაადგილების შეფასება.

საქართველოში, ყველა რეგიონისთვის 17 სექტორის მაგალითზე დათვლილი განაწილების კოეფიციენტის შედეგებმა გვიჩვენა, რომ 11 სექტორის კონცენტრაცია რომელიმე კონკრეტულ რეგიონში თითქმის არ ხდება. ამგვარად ამ სექტორებში არც ერთი რეგიონი არ არის გამორჩეულად სპეციალიზებული და სხვა სექტორებისგან განსხვავებული მნიშვნელობით არ ხასიათდებიან. კონცენტრირებულ ეკონომიკურ საქმიანობებს შორის მოხვდა მხოლოდ სოფლის, სატყეო, თევზის მეურნეობა და სამთომოპოვებითი მრეწველობა, კარიერების დამუშავება. სოფლის მეურნეობის კუთხით ეკონომიკური საქმიანობის როლი ბიზნესში განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გამოიკვეთა რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონისთვის და ასევე სამეგრელო-ზემო სვანეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებისათვის.

ეკონომიკური საქმიანობები საკმაოდ დივერსიფიცირებულია რეგიონებს შორის. მაღალი დარგობრივი სპეციალიზაციით არც ერთი რეგიონი არ გამოირჩევა, მხოლოდ შედარებით მაღალი სპეციალიზაცია ახასიათებს ქვემო ქართლის რეგიონს ისიც იქ არსებულ ბუნებრივი რესურსების არსებობისა და მათ მოპოვებაზე გაცემული ნებართვების „ხელშეწყობით“.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი მუნიციპალიტეტის (ყაზბეგი) მაგალითზე ნათლად ჩანს თუ როგორი კონცენტრირებული შეიძლება იყოს ეკონომიკური საქმიანობა მუნიციპალიტეტის შიგნით, ორ მიზიდულობის ცენტრში.

მუნიციპალური ცენტრების განვითარებაზე ორიენტაციის აღება მეტ სარგებელს მოუტანს ყაზბეგის სხვა დასახლებებს, ვიდრე იმავე დასახლებებში მცირე ინფრასტრუქტურული პროექტები. მუნიციპალიტეტის სწრაფი განვითარების ხელშემწყობი იქნება: (1) ინფრასტრუქტურის მოწყობა მუნიციპალიტეტის ცენტრებზე ორიენტაციის აღებით; (2) გუდაურის დაკავშირება დაბა სტეფანწმინდასთან ზაფხულის სეზონზე, რათა კურორტის სეზონურობა შემცირდეს; (3) დაბა სტეფანწმინდაში ზამთრის სეზონის გააქტიურების ხელშეწყობა. მუნიციპალური ცენტრების გარშემო მყოფი ტერიტორიული ერთეულების მათთან დასაკავშირებლად საჭიროა მოსახლეობას შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა, სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება და საჭიროების შემთხვევაში მოსახლეობის ცენტრების მიმართულებით მიგრაციის წახალისება. რეგიონული პოლიტიკა ორიენტირებული არ უნდა იყოს მხოლოდ მიგრაციის შეჩერებაზე, არამედ ხელს უნდა უწყობდეს მოსახლეობის მობილობას მათი ცოდნისა და კვალიფიკაციის ზრდის ხელშეწყობით.

მუნიციპალიტეტის განვითარების პოტენციალი იკვეთება, ერთი მხრივ, მისი ორი მიზიდულობის ცენტრის დაკავშირებით, მეორე მხრივ, მათ მიმდებარედ არსებული დასახლებების ცენტრებთან დაკავშირებით. „ცოტა მაინც ყველგან“ პრინციპის ჩანაცვლება მუნიციპალიტეტის ცენტრებზე ორიენტაციის აღებით საშუალებას მისცემს ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას განახორციელონ მეტად ეფექტიანი პროექტები.

რეგიონული პოლიტიკის დაგეგმვისას გარდაუვალია არჩევანის გაკეთება „თანასწორობისა“ და „ეფექტიანობის“ მიზნებს შორის. ევროკავშირის „დაახლოების“ პოლიტიკა უფრო მეტად ორიენტირებულია „თანასწორობის“ მიზნის მიღწევაზე. შესაბამისად, ევროკავშირის ფონდებიდან მიღებულ დაფინანსებაზე მნიშვნელოვნად დამოკიდებული ქვეყნების სტრატეგიულ

მიზნებში მოსალოდნელია რეგიონებს შორის უთანასწორობის დასაძლევად ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენდეს. ამის მაგალითია ბულგარეთი, ხოლო გამონაკლისს წარმოადგენს პოლონეთი.

აღსანიშნავია ევროკავშირის წევრი ქვეყნების რეგიონული განვითარების სტრატეგიების ზოგიერთი მახასიათებლები. შვედეთში ინოვაციებისა და მეწარმეობის ხელშეწყობის კომპონენტში გამოკვეთილია სპეციალიზაციის უფრო მაღალი დონის მიღწევის საჭიროება. პოლონეთის რეგიონული პოლიტიკა აქცენტს აკეთებს ტერიტორულად მიზანმიმართულ მულტისექტორულ განვითარებაზე, მხოლოდ სექტორულ განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკის ნაცვლად. ამასთან, პოლონეთს ახასიათებს დასახლებების მრავალცენტრიანი სივრცით-ფუნქციური მოწყობა.

ახალი რეგიონული პოლიტიკისთვის დამახასიათებელია ქალაქებში კონცენტრირებული ზრდის ძლიერ მხარედ აღქმა და ამ კონცენტრაციის გამოყენება სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულების ურთიერთდაკავშირების გზით. საჭიროა ტერიტორიულ ერთეულებს შორის ფუნქციური ურთიერთდამოკიდებულების ჩამოყალიბება და განვითარება. აქცენტი უნდა გაკეთდეს რეგიონულ ცენტრებსა და დედაქალაქს შორის კავშირების გაუმჯობესებაზე. დედაქალაქი აღქმული უნდა იყოს, როგორც მთლიანად ქვეყნისა და სხვა რეგიონული ცენტრების განვითარების პოტენციალი. რეგიონული პოლიტიკის ახალი მიდგომა ტერიტორიულ ერთეულებად მოიაზრებს არა ადმინისტრაციულ არამედ ფუნქციურ ერთეულებს.

სპეციალიზაციის შესაძლებლობა მეტია საქალაქო დასახლებების ფუნქციურ არეალებსა და სასოფლო დასახლებებში, ვიდრე საქალაქო ცენტრებში. საჭიროა ამ შესაძლებლობის გამოყენება და კლასტერების განვითარების ხელშეწყობა. შედარებით მეტი სექტორული მრავალფეროვნება შეინიშნება იმ რეგიონებში რომლებიც დიდი ქალაქების გარშემო არიან განლაგებულები.

ბიზნეს აქტივობის ხელშეწყობისას საჭიროა მეწარმეების დაუბრუნებელი გრანტით დაფინანსების შეზღუდვა და აქცენტის გაკეთება ისეთ ინსტრუმენტებზე,

რომლებიც ითვალისწინებს მეწარმის მხრიდან ფინანსური სახსრების უკან დაბრუნებას, მაგალითად სესხები და სესხებზე ხელმისაწვდომის გაზრდის ხელშეწყობა.

საქართველოს კარგი შესაძლებლობა აქვს გამოიყენოს პოლონური გამოცდილება, მათ შორის ინვესტიციების ხელშეწყობის ახალი მიდგომა, რაც ითვალისწინებს სპეციალური ეკონომიკური ზონების ჩანაცვლებას ქვეყნის მთლიანი ტერიტორიით. რეგიონული პოლიტიკის შედეგიანობის მისაღწევად უფრო მარტივი და ფინანსურად ეფექტიანი იქნებოდა მთლიანად ქვეყნის განვითარების ხელშეწყობა, ინვესტორისთვის მიმზიდველი ბიზნეს გარემოს შექმნით და საქალაქო ცენტრების განვითარებით. პოლონეთის შემთხვევაში გამოჩნდა, რომ იმ რეგიონებში, რომელთაც ეკონომიკურად ძლიერი საქალაქო ცენტრები აქვთ შიდა უთანასწორობის დონე უფრო მაღალია, ვიდრე სუსტად განვითარებული საქალაქო ცენტრების მქონე რეგიონებში. პოლონეთის რეგიონების განვითარების შესაძლებლობებს იყენებს შემდეგი მიდგომებით: (1) ეფექტიანობაზე მკაფიო ორიენტაცია; (2) ეკონომიკური საქმიანობის კონცენტრაცია აღქმულია როგორც ძლიერი მხარე და აქცენტი კეთდება მის გამოყენებაზე; (3) სექტორული მიდგომის ჩანაცვლება ტერიტორიულ განვითარებაზე ორიენტირებული მულტისექტორული პოლიტიკით; (4) სპეციალიზაცია და კლასტერების ჩამოყალიბების ხელშეწყობა და სხვა.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა გათვლებმა აჩვენა, რომ რეგიონული პოლიტიკის მიზანი - ყველაზე ღარიბი რეგიონი განვითარების დონით უნდა გაუთანაბრდეს ყველაზე მდიდარ რეგიონს უახლოესი 5, 10 ან 20 წლის შემთხვევაში, ნიშნავს, რომ შიდა ქართლის რეგიონმა ეკონომიკური ზრდის, შესაბამისად 35%-იან, 22%-იან და 15%-იან საშუალო წლიურ მაჩვენებელს უნდა მიაღწიოს. ამ მაჩვენებლებს თუ შევადარებთ შიდა ქართლი რეგიონის ბოლო 5 წლის საშუალო ზრდის ტემპს (5,6%), ნათელია, რომ ასეთი მიზნის დასახვა არარეალისტურია.

ამრიგად, თუ რეგიონული პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს ეკონომიკური მაჩვენებლების დაახლოება, ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ სხვა

რეგიონებში ეკონომიკური ზრდის შენელებითა და ღარიბ რეგიონებზე განსაკუთრებული აქცენტის გაკეთებით. განვითარებადი ქვეყნებისთვის, შეზღუდული რესურსების პირობებში, მზარდი ეკონომიკის მქონე შედარებით მდიდარი რეგიონების ზრდის შენელებისა და ღარიბი რეგიონების ხელშეწყობის სტრატეგიის არჩევა არამიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს. აღნიშნულს ამყარებს ჩატარებული პროგნოზის შედეგები, რომელიც აჩვენებს, რომ იმ შემთხვევაშიც კი თუ ქვეყანა ასეთ მიზანს დაისახავს, მიზნის მიღწევა უახლოესი 20 წლის განმავლობაშიც კი ნაკლებად რეალისტურია. ქვეყნის რეგიონული პოლიტიკა პოტენციურად მეტად ეფექტიანი იქნება მაშინ, როდესაც თანაბრად შეუწყობს ხელს ყველა რეგიონის განვითარებას მათი რესურსული პოტენციალიდან გამომდინარე და არა მათი შედარებით ღარიბი მდგომარეობიდან გამომდინარე.

ამრიგად, თუ შევაჯამებთ საერთაშორისო გამოცდილებას და საქართველოს რეგიონების ზრდის შესაძლებლობებს, დაახლოების პერსპექტივა უფრო მოკლე ვადიანია იმ რეგიონებისთვის, რომელთაც ეკონომიკური ცენტრები აქვთ. იმ შემთხვევაში კი, როდესაც რეგიონში მკვეთრად გამოხატულ ცენტრებს ვერ ვხვდებით, რეკომენდირებულია რეგიონული პოლიტიკა ორიენტირებული იყოს სწორედ ასეთი ცენტრების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის, 2014.
2. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2010.
3. საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ, 2015
4. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020, 2014.
5. საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020, 2016.
6. საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგია, 2019.
7. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015 – 2020, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2015.
8. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის, 2016.
9. საქართველოს ინოვაციების სტრატეგია 2016-2020, 2016.
10. 2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა, 2018.
11. 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა, 2014.
12. გაეროს ბავშვთა ფონდი, *მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა 2017*. ივნისი, 2018. https://www.unicef.org/georgia/ka/ანგარიშები/მოსახლეობის-კეთილდღეობის-კვლევა-2017
13. გველესიანი, რევაზ და ირინა გოგორიშვილი. *ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი #1.* თბილისი, 2008.
14. გველესიანი რევაზ და ირინა გოგორიშვილი. *ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი #2.* თბილისი, 2009.
15. გველესიანი, რევაზ. „პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკა: მიზნები, საშუალებები და საზღვრები“. *ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“*, #9 (2007).

16. თვალჭრელიძე, ალექსანდრე, ავთანდილ სილაგაძე, გიული ქეშელაშვილი და დავით გეგია. *საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა.* თბილისი, გამომცემლობა „ნეკერი“, 2011.
17. პაპავა, ვლადიმერ. თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა – “უკვდავი” იდეა, *გაზეთი ”24 საათი”.* 12 თებერვალი, 2007.
18. პაპავა, ვლადიმერ. *თავისუფალი ეკონომიკური ზონა და საქართველო.* ეკონომიკა, 2018.
19. რეგიონული განვითარების პროგრამა (GARF-RD). *რეგიონული და ინფრასტრუქტურული განვითარების პოლიტიკის შესაბამისობა ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების პრიორიტეტებთან.* პოლიტიკის დოკუმენტი #1, თბილისი, 2015.
20. რეგიონული განვითარების პროგრამა (GARF-RD). *საზღვრისპირა, ტრანსსასაზღვრო და ტრანსეროვნული რეგიონული თანამშრომლობა.* პოლიტიკის დოკუმენტი #1, თბილისი, 2015.
21. რეგიონული განვითარების პროგრამა (GARF-RD). *ტერიტორიული ოპტიმიზაცია - ურბანული და სოფლის განვითარება.* პოლიტიკის დოკუმენტი #1, თბილისი, 2015.
22. ქეშელაშვილი, ომარი. ბიზნესური ეკონომიკა. თბილისი, 2010.
23. შერგელაშვილი, თენგიზ, და მიხეილ თოქმაზიშვილი. საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროს ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი. თბილისი, ევროპული ინიციატივა – ლიბერალური აკადემია თბილისი, 2012.
24. ჩავლეიშილი, მარინა. „ფერმერული მეურნეობების განვითარების ტენდენციები“. *ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“,* #5 (2007).
25. ჩავლეიშვილი, მარინა. „აგრობიზნესის განვითარების ტენდენციები“. *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული ,,ბიზნესი და კეთილდღეობა”* (2008).
26. ჩავლეიშვილი, მარინა. „აგრობიზნესის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში“. *ჟურნალი ,,ეკონომიკა და ბიზნესი”,* #3 (2010).

27. ხარაიშვილი, ეთერ. *რეგიონული ეკონომიკა.* თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2003.
28. ხარაიშვილი, ეთერ. *კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის შეფასების პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში,* თბილისი: უნივერსალი, 2011.
29. ხარაიშვილი, ეთერ. „ქართული აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობა და სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტები". *შრომების კრებული „ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება"* (2013).
30. ხარაიშვილი, ეთერ. *„აგრობიზნესის განვითარების პრობლემები და პრიორიტეტული საჭიროებები საქართველოში",* საუნივერსიტეტთაშირისი სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული ,,ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები". ახალციხე (2015).
31. ხარაიშვილი, ეთერ. „ფერმერულ მეურნეობათა მასშტაბები და აგრობიზნესის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში". *საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომების კრებული ,,ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები.* (ივნისი 2015).
32. ხარაიშვილი, ეთერ. „სოფლის მეურნეობის სტატისტიკა პოლიტიკისა და სტრატეგიის განსაზღვრისათვის". *საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომების კრებული ,,გლობალიზაცია და სტატისტიკა"*. (2014).
33. ხარაიშვილი, ეთერ. „ფერმერული მეურნეობების დივერსიფიკაცია აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში". *ჟურნალი ,,ეკონომიკა და ბიზნესი"*, #2 (2012).
34. ჭიჭინაძე, დავით. „საქართველოს რეგიონული პოლიტიკა". დისერტაცია, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, 2015.
35. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდი www.geostat.ge.

36. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი www.mrdi.gov.ge.
37. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი www.moa.gov.ge.
38. საქართველოს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდი www.apma.ge.
39. Audretsch, David, and Maryann P. Feldman. "Knowledge Spillovers and the Geography of Innovation". *Handbook of Regional and Urban Economics, Volume #4, Cities and Geography*, edited by Vernon Henderson and Jacques Thisse. Netherlands: North Holland, 2004.
40. Agriculture Research Council, Annual Report, 2014.
41. Bachtler, John, Carlos Mendez and Heidi Vironen. *Regional Development and Policy in EU*, EUROsociAL Programme, 2014.
42. Balchin, Paul N., David Isaac and Jean Chen. *Urban Economics – A Global Perspective*. PALGRAVE, 2000.
43. Batten, David F., and David E. Boyce. „Spatial Interaction: Transportation and Interregional Commodity Flow Models". *Handbook of Regional and Urban Economics, Volume #1, Regional Economics*, edited by Peter Nijkamp, Netherlands, 1986.
44. Baldwin, Richard, and Phillipe Martin. „Agglomeration and Regional Growth". *Handbook of Regional and Urban Economics, Volume #4, Cities and Geography*, edited by Vernon Henderson and Jacques Thisse. Netherlands: North Holland, 2004.
45. Beckmann, M.J., and J.F Thisse. „The Location of Production Activities". *Handbook of Regional and Urban Economics, Volume #1, Regional Economics*, edited by Peter Nijkamp, Netherlands, 1986.
46. Becker, Charles M., and Andrew R. Morrison. „Urbanization in Transforming Economies". *Handbook of Regional and Urban Economics, Volume #3, Applied Urban Economics*, edited by Paul Cheshire, Netherlands, 1999.

47. Bodart, W.T. *The Economics of Cities and Suburbs*. Prentice Hall, Upper Saddle River, New Jersey 07458, 1998.
48. Bogdanova, Margarita. „The Stakeholders in the Planning Process - a Network Approach to Analysis“. *Европейски практики и национални рефлексии в планирането: Международна юбилейна научно-практическа конференция: Сборник с резюмета - Свищов*, АИ Ценов:37-39, (2015).
49. Bogdanova, Margarita. „Regional differences in the Agriculture of Bulgaria and Romania (Strategic Aspect)“. *АИ "Ценов", Svishtov. Стопански свят, кн. 83/2006. ISSN 1310 – 2737* (2016).
50. Cadilhon, Joseph, Galvez E., and Shepherd A. „Commodity Associations: a tool for supply chain development? “ *FAO Agricultural Management, Marketing and Financial Occasional Paper #24*, (2009).
51. CENN, *Sustainable Forest Governance in Georgia: Strengthening Local and National Capacity and Developing Structured Dialogue*, Research Report, Tbilisi, 2012.
52. Cremer, Helmuth, and Pierre Pestieau. „Factor Mobility and Redistribution“. *Handbook of Regional and Urban Economics, Volume #4, Cities and Geography*, edited by Vernon Henderson and Jacques Thisse. Netherlands: North Holland, 2004.
53. Chavleishvili, Marina, Gulnaz Erkomaishvili and Rusudan Seturidze. *Georgian Food Security Strategy in the Context of Globalization*. March, 2016.
54. Combes, Pierre-Philippe, and Henry Overman. „The Spatial Distribution of Economic Activities in the European Union“. *Handbook of Regional and Urban Economics, Volume #4, Cities and Geography*, edited by Vernon Henderson and Jacques Thisse. Netherlands: North Holland, 2004.
55. Christaller, Walter. *Central Places in Southern Germany*. Translated by Carlisle W. Baskin, 1966.
56. Dawkins, Casey, J. „Regional Development Theory: Conceptual Foundations, Classic Works, and Recent Developments“. *Journal of Planning Literature* (2003): 131-172.
57. Docherty, Chris. *Branding Agricultural Commodities: The development case for adding value through branding*. New Business Model for Sustainable Trading Relationships, 2012.

https://pubs.iied.org/pdfs/16509IIED.pdf

58. Douwe, van der Ploeg Jan, Werry F., Blom and Huib Silvis. *The European Agricultural Model: Perspectives, Prospects and Research Needs.* Wageningen University and Research Center, 2014.
59. Duranton, Gilles, and Diego Puga D. „Micro-foundations of Urban Agglomeration Economies". *Handbook of Regional and Urban Economics, Volume #4, Cities and Geography*, edited by Vernon Henderson and Jacques Thisse. Netherlands: North Holland, 2004.
60. Durlauf, Steven. „Neighborhood Effects". *Handbook of Regional and Urban Economics, Volume #4, Cities and Geography*, edited by Vernon Henderson and Jacques Thisse. Netherlands: North Holland, 2004.
61. Epple, Dennis, and Thomas Nechyba. „Fiscal Decentralization". *Handbook of Regional and Urban Economics, Volume #4, Cities and Geography*, edited by Vernon Henderson and Jacques Thisse. Netherlands: North Holland, 2004.
62. FAO, The Renewal of Agricultural Market Information Systems in Developing Countries, 2014.
63. FAO/WB, The Evolution and Impact of EU Regional and Rural policy, working paper, 2009.
64. Fishman, Robert. *The Death and Life of American Regional Planning, Reflections on Regionalism*. Brookings Institute Press, Washington, D.C., 2000.
65. Fox, Karl, A., and Krishna Kumar T. *The functional economic area: Delineation and Implications for Economic Analysis and Police*. 1994.
66. Fujita, Masahisa, and Jacques-Francois Thisse J. *Economics of Agglomeration: Cities, Industrial Location, and Globalization.* Cambridge, Second Edition, 2013.
67. Fujita, Masahisa, Tomoya Mori, J. Vernon Henderson and Yoshitsugu Kanemoto. „Spatial Distribution of Economic Activities in Japan and China". *Handbook of Regional and Urban Economics, Volume #4, Cities and Geography*, edited by Vernon Henderson and Jacques Thisse. Netherlands: North Holland, 2004.

68. Fujita, Masahisa, Paul Krugman, and Anthony Venables. *The Spatial Economy: Cities, Regions, and International Trade*. The MIT Press Cambridge, Massachusetts London, England, 2000.
69. Gaganidze, Giorgi. „Competitive Advantages of Georgian Agricultural Products on the EU Market". *Conference paper ICBG*, Volume: 6, number 1 (2016).
70. Gaganidze, Giorgi. „Export Potential of Georgian Agricultural Products on the EU Market (Based on the Competitive Advantages and Market Entry Modes)". *European Journal of Business Research.* Volume 15, Issue 2 (2015): 13-18.
71. Helsley, Robert. „Urban Political Economics". *Handbook of Regional and Urban Economics, Volume #4, Cities and Geography*, edited by Vernon Henderson and Jacques Thisse. Netherlands: North Holland, 2004.
72. Head, Keith, and Thierry Mayer. „The Empirics of Agglomeration and Trade". *Handbook of Regional and Urban Economics, Volume #4, Cities and Geography*, edited by Vernon Henderson and Jacques Thisse. Netherlands: North Holland, 2004.
73. Hohengerg, Paul, M. „The Historical Geography of European Cities: An Interpretive Essay". *Handbook of Regional and Urban Economics, Volume #4, Cities and Geography*, edited by Vernon Henderson and Jacques Thisse. Netherlands: North Holland, 2004.
74. Hoover, Edgar Malone, and Frank Giarratani. *Introduction to Regional Economics*. Knopf, New York, 1984.
75. Hoover, Edgar Malone, and Joseph L. Fisher. *Research in Regional Economic Growth*. 1949.
76. Holmes, Thomas, and John Stevens. „Spatial Distribution of Economic Activities in North America". *Handbook of Regional and Urban Economics, Volume #4, Cities and Geography*, edited by Vernon Henderson and Jacques Thisse. Netherlands: North Holland, 2004.
77. ISET, Cooperation for Rural Prosperity in Georgia, Tbilisi, December, 2014.
78. ISET, The Role of Family Farming in the Sustainable Development of Agriculture Sector and Poverty Reduction, Tbilisi, December, 2014.

79. Jibuti, Mariam. „Key Issues of Competitiveness of Agricultural Sector (The Case of Zemo Svaneti Region)“. *Proceedings of the 32nd International Academic Conference, Geneva*, (2017).
80. Kain, John. „Computer Simulation Models of Urban Location“. *Handbook of Regional and Urban Economics, Volume #2, Urban Economics*, edited by Edwin S. Mills, Netherlands, 1987.
81. Kenneth P. Johnson. *Redefinition of the BEA Economic Areas.* Survey of Current Business, 1995.
82. Kharaishvili, Eter, Gulnaz Erkomaishvili and Marina Chavleishvili. „Problems Faced by the Agricultural Sector and Agribusiness Development Strategy in Georgia“. *Proceedings of the Conference on Economics, Marketing and Management.* (November, 2015).
83. Kourliouros, Elias, George M. Korres, G. O. Tsobanoglou and Kokkinou. *A Socio-Economic Sustainability, Regional Development and Spatial Planning: European and International Dimensions & Perspectives*. Mytilene, 2014.
84. Kim, Sukkoo and Robert Margo. „Historical Perspectives on U.S Economic Geography“. *Handbook of Regional and Urban Economics, Volume #4, Cities and Geography*, edited by Vernon Henderson and Jacques Thisse. Netherlands: North Holland, 2004.
85. Krugman, Paul. „What's New About the New Economic Geography“. *Oxford University Press and the Oxford Review of Economic Policy Limited*, (1998):7-17.
86. Krugman, Paul and Anthony Venables. „Globalization and the Inequality of Nations“. *Oxford University Press* (1995): 857-880
87. Food and Agriculture Organization of the United Nations, Looking Ahead in World Food and Agriculture Perspectives to 2050, (2011).
88. Losch, August. *The Economics of Location*. Translated from the second revised edition by William H. Woglom with the Assistance of Wolfgang F. Stolper, 1954.
89. Malpezzi, Stephen. „Economic Analysis of Housing Markets in Developing and Transition Economies“. *Handbook of Regional and Urban Economics, Volume #3, Applied Urban Economics*, edited by Paul Cheshire, Netherlands, 1999.

90. Magrini, Stefano. „Regional (Di)Convergence“. *Handbook of Regional and Urban Economics, Volume #4, Cities and Geography*, edited by Vernon Henderson and Jacques Thisse. Netherlands: North Holland, 2004.
91. McCann, Philip. *Urban and Regional Economics*. Oxford University Press Inc., New York, 2001.
92. Nikolov, Georgi. „Role and importance of state policies and strategies for the regional development of economy". *Economic Thought journal, Bulgarian Academy of Sciences - Economic Research Institute*, issue 5 (2013): 119-135.
93. Nijkamp, Peter, and Edwin S. Mills. „Advances in Regional Economics“. *Handbook of Regional and Urban Economics, Volume #1, Regional Economics*. Edited by Peter Nijkamp, Netherlands, 1986.
94. Nijkamp, Peter, and Piet Rietveld. „Regional and Multiregional Economic Models: A Survey“. *Handbook of Regional and Urban Economics, Volume #1, Regional Economics*. Edited by Peter Nijkamp, Netherlands, 1986.
95. OECD, *Rural Policy Reviews*, Poland, 2018.
96. Ottaviano, Gianmarco, and Jacques Thisse. „Agglomeration and Economic Geography“. *Handbook of Regional and Urban Economics, Volume #4, Cities and Geography*, edited by Vernon Henderson and Jacques Thisse. Netherlands: North Holland, 2004.
97. Pernia, Ernesto, and M. G. Quibria. „Poverty in Developing Countries“. *Handbook of Regional and Urban Economics, Volume #3, Applied Urban Economics*, edited by Paul Chesire, Netherlands, 1999.
98. Richardson, Harry W. The State of Regional Economics. *International Regional Science Review.* (1978).
99. Richardson, Harry. W. „Aggregate Efficiency and Interregional Equity“. *Semantic Scholar*, 1979.
100. Richardson, Harry, W., and Peter M. Townpoe. „Regional Policies in Developing Countries“. *Handbook of Regional and Urban Economics, Volume #1, Applied Urban Economics*, edited by Peter Nijkamp, North Holland, 1987.

101. Ross, Stephen, and John Yinger. „Sorting and Voting: A Review of the Literature on Urban Public Finance“. *Handbook of Regional and Urban Economics, Volume #3, Applied Urban Economics*, edited by Paul Cheshire, Netherlands, 1999.

102. Rosenthal, Stuart and William Strange. „Evidence on the Nature and Sources of Agglomeration Economies“. *Handbook of Regional and Urban Economics, Volume #4, Cities and Geography*, edited by Vernon Henderson and Jacques Thisse. Netherlands: North Holland, 2004.

103. Rusk, David. *Growth Management: The Core Regional Issue, Reflections on Regionalism*. Brookings Institute Press, Washington, D.C., 2000.

104. Sartorius, Witold, and Natalia Kakabadze. „Analysis of Coherence, Gaps and Overlaps between Strategies and Plans Important from Regional Development Policy Perspectives“. Report developed by the project "Support to Regional Development Policy Implementation II", 2017.

105. Stephan, von Cramon-Taubadel. „Georgia's agricultural exports“. German Economic Team Georgia, Berlin/Tbilisi, 2014.

106. Stiglitz, Joseph, E. *Markets, Market Failures and Development*. The American Economic Review, 1989.

107. Stiglitz, Joseph, E. „Redefining the Role of the State: What should it do? How should it do it? And How should these decisions be made?“. *World Economics*, Vol. 2, No. 3 (July-September,1998).

108. Takayama, T., and W.C. Labys. „Spatial Equilibrium Analysis“. *Handbook of Regional and Urban Economics, Volume #1, Applied Urban Economics*, edited by Peter Nijkamp, North Holland, 1987.

109. The Ministry of Enterprise, Energy and Communication. A national strategy for regional competitiveness, entrepreneurship and employment 2007-2013 of Sweden, 2007.

110. The Ministry of Regional Development, Regional Policy in Poland, Warsaw, 2011.

111. The Ministry of Regional Development, National Strategy of Regional Development 2010–2020: Regions, Cities, Rural Areas, Poland, 2010.

112. The Ministry of Enterprise and Innovation, Sweden's National Strategy for Sustainable Regional Growth and Attractiveness 2015–2020, 2014.

113. Toloraia, I., D. Angelovski. Assessment of the constraints faced by selected farmer organizations and legal entities owned by small scale farmers in Georgia to achieve their potential, 2011.

114. Tolley George, and John Crihfield. „City Size and Place as Policy Issues". *Handbook of Regional and Urban Economics, Volume #2, Urban Economics*, edited by Edwin S. Mills, Netherlands, 1987.

115. Tonkova, Stanka, and Margarita Bogdanova. „Regional Economic Asymmetry on the Balkans". Management Intercultural. - Iasi, N.19, (2009): 62-74.

116. USAID, Competitiveness Assessment, 2014.

117. USAID, Competitiveness of Georgian Agriculture: Investment Case Studies, 2014.

118. Velkovska, G. Some Aspects of the Spatial Planning of the Black Sea Coast of the Republic of Bulgaria, 2013.

119. Williamson, Jeffrey G. „Regional Inequality and The Process of National Development: A Description of the patterns". *Economic Development and Cultural Change*, Vol. 13, No. 4, Part 2, (Jul.,1965):1-84.

120. Wildasin, David. „Theoretical Analysis of Local Public Economics". *Handbook of Regional and Urban Economics, Volume #2, Urban Economics*, edited by Edwin S. Mills, Netherlands, 1987.

121. Official web page of Eurostat, https://ec.europa.eu/eurostat/data/database

122. Official web page of FAO, www.fao.org.

123. Official web page of World Bank, www.worldbank.org.

დანართი

ცხრილი 1. შიდა ქართლის რეგიონსა და სხვა რეგიონებს შორის ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი სამამულო პროდუქტის განსხვავება 2017 წლის მდგომარეობით და საპროგნოზო განსხვავება 5, 10 და 20 წლის შემდეგ (ათასი ლარი)

რეგიონი/განსხვავება	2017 წლის მდგომარეობით (ათასი ლარი)	20 წლის შემდეგ (ათასი ლარი)	10 წლის შემდეგ (ათასი ლარი)	5 წლის შემდეგ (ათასი ლარი)
თბილისი	9.79	55.81	23.46	13.84
აჭარა	4.04	57.57	16.35	8.30
გურია	1.50	7.03	3.25	3.53
იმერეთი	1.95	21.65	6.97	2.97
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	1.00	18.87	5.21	2.00
კახეთი	1.46	22.02	6.41	3.73
მცხეთა-მთიანეთი	1.77	4.59	2.91	2.14
სამეგრელო-ზემო სვანეთი	2.09	19.63	6.72	4.06
სამცხე-ჯავახეთი	1.74	18.30	6.03	3.80
ქვემო ქართლი	1.79	4.25	2.84	2.63

წყარო: ავტორის დაანგარიშება